

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

**ლერი თავაძე**

**ბიზანტიური სამხპერიო ტიტულატურა საქართველოში**

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**თედო დუნდუა**



თბილისის  
უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2012

## შინაარსი

შესავალი-----	2
თავი I. ბიზანტიური საიმპერო ტიტულატურა და თანამეგობრობის ქვეყნები--	32
თავი II. კურაპალატის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში-----	51
თავი III. ნოველისიმოსის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში-----	109
თავი IV. სევასტოსის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში-----	132
თავი V. კეისრის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში-----	156
თავი VI. საქართველოს მეფეთა საიმპერატორო ტიტულატურა-----	182
დასკვნა-----	218
შემოკლებათა განმარტება-----	225
ბიბლიოგრაფია-----	226

## შესავალი

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება ეთმობოდა. იქმნებოდა და იქმნება არაერთი ნაშრომი და სტატია, რომელშიც განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი ასპექტი. თემატიკა ფართოა: იკვლევენ შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობის, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების, პოლიტიკის, კულტურის, სამართლის ისტორიის საკითხებსა და მრავალ სხვა სფეროს.

საზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიულმა სკოლამ დიდი სამუშაო ჩაატარა საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემის დამუშავებაში. საქართველოს ისტორიის შუა საუკუნეების ეპოქის კვლევაში მნიშვნელოვანი როლი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს (1876-1940 წწ.) მიუძღვის. ივანე ჯავახიშვილმა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში საფუძველი ჩაუყარა ქართული მედიევისტიკის ყველაზე ძლიერ სკოლას. სწორედ ამ სკოლის მიღწევები გახდა ის საფუძველი, რამაც შესაძლებელი გახდა ჩვენი ნაშრომის იმ სახით შესრულება, როგორც ის არის წარმოდგენილი დღეს.

ჩვენი მიზანია კომპლექსურად იქნას შესწავლილი საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური საკარისკაცო და საიმპერატორო ტიტულები. ასევე, ყველა ძირითადი ტიტულის ფუნქცია, რაობა, საქართველოში მათი გავრცელების ქრონოლოგია და მნიშვნელობა. მნიშვნელოვანია აგრეთვე, სხვადასხვა ქართული სამეფო-სამთავროებისა თუ ერთიანი საქართველოს სამეფოს პოლიტიკური სტატუსის საკითხიც შუა საუკუნეებში.

ბიზანტიური საიმპერიო ტიტულების საქართველოში გავრცელების შესახებ ვრცელი მასალები არსებობს, როგორც საისტორიო წყაროებში, ასევე სპეციალურ ლიტერატურაში. მიუხედავად დიდი ინტერესისა, რომელსაც სპეციალისტები იჩენდნენ და იჩენენ აღნიშნული პრობლემის მიმართ, საკითხის კომპლექსური შესწავლა არავის უცდია. სამეცნიერო კვლევის პირობებში მოვიპოვეთ გარკვეული მასალა, რომელიც ახალია და ინტერპრეტირებას მოითხოვს. ამ კუთხით

ბიზანტიური ტიტულატურის შესწავლა საქართველოსთან მიმართებაში საინტერესოდ გვეჩვენება.

ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა წლების მანძილზე იყო დამკვიდრებული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. აღნიშნული ტიტულები ეძლეოდათ, როგორც ქართული სამეფო-სამთავროების მმართველებს, ასევე წარჩინებულ ქართველ დიდებულებს. მისი მფლობელები იყვნენ ქართული არისტოკრატის გამორჩეული წევრები, როგორც საკუთრივ საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე XII საუკუნის დასაწყისამდე ყველა ბიზანტიურ ტიტულს ქართული არისტოკრატის წევრებზე ბიზანტიის იმპერატორი გასცემდა. დავით აღმაშენებლის მეფობის დროს სიტუაცია შეიცვალა. ამიერიდან ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები ქრება, ხოლო ქართველი მეფეები ბიზანტიის იმერატორების მსგავსად საიმპერატორო ტიტულებით იწოდებიან. აღნიშნული საიმპერატორო ტიტულები მემკვიდრეობითი იყო და მას ქართველი მონარქი ბიზანტიის მმართველის სანქციის გარეშე იღებდა. ამრიგად, ბიზანტიური ტიტულატურის შესწავლა იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ არამხოლოდ საქართველო ბიზანტიის ურთიერთობის ცვალებად ხასიათზე, არამედ მნიშვნელოვან წილად წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული სამეფო-სამთავროების მმართველების პოლიტიკურ სტატუსზე, როგორც ბიზანტიის თანამეგობრობაში, ასევე მთელს შუა საუკუნეების სამყაროში. მიუხედავად იმისა, რომ ტიტულატურა არის, მხოლოდ ერთი მხარე, რომელიც საშუალებას იძლევა შევისწავლოთ შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური და იმპერიული აზროვნების ასპექტები, მისი კომპლექსური დამუშავება და ქართული სამეცნიერო სივრცეში ფართოდ გატანა ამ კუთხითაც საკმაოდ მნიშვნელოვნად გვეჩვენება. გამომდინარე იქიდან, რომ ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურის კომპლექსური შესწავლა ჯერ არავის უცდია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს მომენტი აღნიშნული კვლევის აქტუალობას ზრდის.

არსებობდა ორი სახის ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა, რომელიც საქართველოში გავრცელდა: 1. საკარისკაცო – სენატორული. 2. საიმპერატორო. ამათგან, ეს უკანასკნელი თითქმის შეუსწავლელია ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო პირველი სხვადასხვა ნაშრომებში დამუშავებულია, მაგრამ არა კომპლექსულად.

ამრიგად, ჩვენი მცდელობაა მონოგრაფიულად შევისწავლოთ აღნიშნული პრობლემა. საისტორიო კვლევითი მეთოდებიდან ვიყენებთ კომპლექსური კვლევის, შედარებითი ანალიზისა და ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდებს. ყველა აღნიშნული მეთოდით მოხდება ნაშრომში დასმული სხვადასხვა პრობლემების შესწავლა. ბუნებრივია, ვითვალისწინებთ კონკრეტული საკითხის სპეციფიკას, რომელსაც შესაბამის მეთოდს მივუსადაგებთ.

### საისტორიო წყაროები და ისტორიოგრაფია

ა) ქართული წყაროები – მრავალფეროვანია ქართული წყაროების ცნობები საქართველოში ბიზანტიური ტიტულატურის გავრცელების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი პირდაპირ არ მიაჩნებენ ამა თუ იმ ტიტულის ფუნქციაზე, მათში დაცული ცნობები ბიზანტიური ტიტულების შესახებ საქართველოსთან მიმართებაში პირველხარისხოვანი ცნობებს შემცველია. ამასთან ერთად, ქართულ საისტორიო წყაროების ცნობები საქართველოში ბიზანტიური საიმპერიო ტიტულების შესახებ, სხვა საისტორიო ნარატივებთან შედარებით გაცილებით უფრო უხვი, მრავალფეროვანი და მდიდარია.

პირველრიგში უნდა გამოვეყოთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვანი ორი კრებული – „ქართლის ცხოვრება“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ორივე მათგანი წარმოადგენს საისტორიო თხზულებათა კრებულს, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდში შესრულებული რამდენიმე ნაშრომი. ორივე კრებულის, როგორც შედგენილობის, ასევე მათში შემავალი ნაშრომების ავტორებისა თუ შედგენის პერიოდი დიდ კამათს იწვევს ისტორიოგრაფიაში.

„ქართლის ცხოვრებაში“ შესულია რამდენიმე საისტორიო თხზულება, მათ შორის პირველია „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან V საუკუნის დასაწყისის ჩათვლით. მიიჩნევენ, XI საუკუნის შუა წლების ნაშრომად, რომელიც ლეონტი მროველს, რუისის ეპისკოპოსს უნდა შეექმნა. არსებობს სხვა თვალსაზრისიც მისი დათარიღებისა და ავტორის ვინაობის შესახებ. ნაწარმოები განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოს ანტიკური პერიოდის ტიტულების შესახებ.

ჯუანშერ ჯუანშერიანის „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასლისა“ „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი მეორე თხზულებაა. აღწერილია V-VIII საუკუნეების ამბები. ივანე ჯავახიშვილი და სხვა ისტორიკოსები თვლიან, რომ ის XI საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი. არის მოსაზრება, რომ ვახტანგ I გორგასლის ცხოვრება თავად ჯუანშერ ჯუანშერიანის, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგი ამბები მისი უცნობი გამგრძელებლის მიერ უნდა იყოს აღწერილი. თუმცა, ქართლის ცხოვრებაში დაცული ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით, რომელიც მომდევნო თხზულებას „წამებად წმინდასა არჩილისას“ აქვს დართული ორივე თხზულების ავტორად ჯუანშერია დასახელებული, იგივე სახის მინაწერი აქვს „ქართლის ცხოვრების“ XII საუკუნის სომხურ თარგმანს, რაც იმას მიუთითებს, რომ ცნობა ჯუანშერის ავტორობის შესახებ XI-XII საუკუნეებში ცნობილი იყო (აბულაძე 1953: 207-208; მეტრეველი 2008: 250; ყაუხჩიშვილი 1955: 248). სწორედ ამ ნაწარმოებში ფიქსირდება პირველად ჩვენთვის საინტერესო ბიზანტიური ტიტულები, რომელთა გადაცემა ქართველ მმართველებზე ტექსტის მიხედვით VI საუკუნიდან არის სავარაუდებელი (მაგალითად კურაპალატის ტიტული).

მომდევნო თხზულება: „ცხოვრებად წმინდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი რომელი-ესე იყო მეფე ქართლისა“ (შემოკ.: „წამებად წმინდასა არჩილისა“) ავტორად, კვლავ ლეონტი მროველს მიიჩნევენ, მაგრამ მინაწერის მიხედვით, ავტორად ჯუანშერ ჯუანშერიანია დასახელებული. აღნიშნული ნაწარმოები არის ჰაგიოგრაფიული ტიპის მცირე ზომის ტექსტი. იგი ნაკლებად მნიშვნელოვანი ცნობების შემცველია (ყაუხჩიშვილი 1955: 245-248; მეტრეველი 2008: 247-250).

სამაგიეროდ დიდი მნიშვნელობა აქვს ანონიმი ავტორის, „მატიანე ქართლისაჲს“. ის შედგენილია XI საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და აღწერილია VIII-XI საუკუნეების ამბები. მასში მრავლად მოიპოვება ცნობები, როგორც ბიზანტიის საიმპერიო ტიტულების გავრცელების შესახებ საქართველოში, ასევე ბიზანტიის და ქართული სამეფო-სამთავროების ურთიერთობის ამსახველი მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი. აღნიშნული ნაწარმოების სათაური პირობითია და ის ივანე ჯავახიშვილმა შემოიღო. კონსტანტინე გრიგოლია ახალ ვერსიას

გეთავაზობს ნაწარმოების სათაურად: „წიგნი მეფეთა დივანის“, რაც უფრო ახლოს უნდა იყოს ტექსტის რეალურ სათაურთან.

უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ აღწერს საქართველოს ისტორიას დავით აღმაშენებლის ეპოქაში. თხზულება დაწერილია 1123-1126 წლებში (ჯავახიშვილი 1977: 210-220; ბოგვერაძე 1971: 70-83) და შეიცავს აღწერას დავითის დაბადებიდან (1073 წელი), ვიდრე მის გარდაცვალებამდე (1125 წელი). ტექსტის დასაწყისი სავარაუდოდ ნაკლულია, თხრობა გრძელდება 1074 წლიდან, როდესაც სულთანი მალიქ-შაჰი შემოვიდა საქართველოში – „ამისა შემდგომად მოვიდა სულტანი მალიქ-შა, მოადგა სამშუღდეს და წარიღო“ (მეტრეველი 2008: 301). ეს რაღაც ამბის გაგრძელებაა, რაც ტექსტში არ ჩანს. დავითის მემკვიდრის თხზულებაში მრავლად ვხვდებით ბიზანტიური საიმპერატორო ეპითეტების ხსენებას, ადრესატი, როგორც წესი დავით IV აღმაშენებელია.

დავითის მატთანეს მოსდევს მისი ერთგვარი გაგრძელება ე.წ. გიორგი ღაშას მემკვიდრის თხზულების სახით. ტექსტი მცირე ზომისაა, ხოლო თხრობის სტილი მოკლე და ლაკონური. მასში აღწერილია ოთხი მეფის (დემეტრე I, გიორგი III, თამარი და გიორგი IV ღაშა) ისტორია. ტექსტი დაწერილია რუსუდან დედოფლის (1222-1245 წწ.) მეფობის დასაწყისში და წარმოადგენს ბაგრატიონთა სამეფო კარის ოფიციალურ მატთანეს.

სუმბატ დავითის ძე (XI საუკუნე) „ქართლის ცხოვრებაში“ შემაჯავლი ორიგინალური თხზულების ავტორია – „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“. ის აღწერს, მმართველი დინასტიის – ბაგრატიონთა ცხოვრებას XI საუკუნემდე. ჩვენამდე მოღწეული რედაქციები შეიცავს 1030 წლამდე ამბების აღწერილობას, რის შემდეგაც თხრობა წყდება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტექსტის სულ მცირე სამოცწლიანი მონაკვეთი დაკარგულია. თავად სუმბატი დავით აღმაშენებლის დროინდელი მოღვაწე უნდა იყოს ბაგრატიონთა გვარიდან. მისი ნაწარმოები პირველწყაროა ბაგრატიონთა დინასტიის წევრების საიმპერიო ტიტულების შესწავლის საქმეში.

უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ აღწერს თამარ მეფის და მისი მამის გიორგის ისტორიას. თხზულება პანეგირიკული ხასიათისაა და მრავალ ხოტბის შემსხმელი ეპითეტებით გამოირჩევა, ამასთან „ქართლის

ცხოვრების“ შემავალ თხზულებებში ერთ-ერთი ყველაზე ვრცელია. დაწერილია XIII საუკუნეში (ჯავახიშვილი 1977: 221-241).

იმავე, XIII საუკუნეშია შედგენილი თამარის მეორე მემატიანის ნაწარმოები „ცხოვრებაჲ მეფეთ-მეფისა თამარისი“. ივანე ჯავახიშვილმა ჰიპოთეტურად აღნიშნული ნაწარმოების ავტორად ბასილ ეზოსმოდვარი გამოაცხადა, რომელიც თითქოს საკუთარი თავის მოხსენიებას ახდენს ტექსტის შუა მონაკვეთში (მეტრეველი 2008: 501), რაც არ არის საკმარისი არგუმენტი ბასილის ავტორობის სამტკიცებლად. თხზულება ძირითადად აღწერს თამარის მეფობას და მის მოღვაწეობას, მსგავსად თამარის პირველი ისტორიკოსის ნაშრომისა, მატიანე მდიდარია მოტივებით, რომლებიც კარგად ახასიათებს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობას და მის სახეცვლილ ხასიათს, ამჯერად უკვე XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე.

უამთააღმწერელის – XIV საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება პირობითი სათაურით „ასწლოვანი მატიანე“, აღწერს საქართველოს ისტორიის დაახლოებით ასწლიანი ისტორიის მონაკვეთს – 1205/7 წლიდან 1317 წლის ჩათვლით. უამთააღმწერელის ტექსტი, რუსუდანის გამეფებიდან (1222/3 წელი) მოყოლებული, ვიდრე გიორგი ბრწყინვალის გამეფებამდე, უნიკალური ინფორმაციის შემცველია, ვინაიდან სხვა, ვრცლად მოთხრობილი მატიანე, ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ შემორჩენილი არ არის (ჯავახიშვილი 1977: 246-262; კიკნაძე 1987; კიკნაძე 1989: 156-175).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი დამოუკიდებელი ნაშრომისგან შედგება. მათ შორის პირველის პირობითი სახელწოდებაა ქართლის მოქცევის ქრონიკა, სადაც აღწერილია საქართველოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. IV ს.) ქართლში „შემოსვლიდან“, ვიდრე არაბების შემოსევებამდე (VII საუკუნის 30-იანი წლები), მასვე დართული აქვს ერისთავთა და კათალიკოსთა სია X საუკუნის ჩათვლით, რომელიც გვიანდელი დანართი უნდა იყოს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მეორე ნაწილია „წმინდა ნინოს ცხოვრება“, როგორც ზაზა ალექსიძე ვარაუდობს ტერმინი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო საერთო სათაური იმ თხზულებებისა, რომლებიც აღწერდნენ ქართლის გაქრისტიანებას დასაბამიდან VI საუკუნის ჩათვლით (ალექსიძე 2007: 5). ქართლის გაქრისტიანების ამსახველი ეს ორივე ნაწარმოები მნიშვნელოვანი წყაროა, როგორც ჩვენთვის



საინტერესო პრობლემის შესასწავლად, ასევე საქართველოს ისტორიის რიგი მოვლენების დასადგენად.

„ქართლის ცხოვრების“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თხზულებების გარდა V-XV საუკუნეების ჩვენთვის საინტერესო ქართული წყროებიდან გამოვარჩევდით შემდეგ ჰაგიოგრაფიულ თუ სხვა სახის ნაწარმოებებს: იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ (V ს.), იოანე საბანის ძის „ჰაბოს წამება“ (VIII ს.), ანონიმის „დავით და კონსტანტინეს წამება“ (X ს.), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X ს.), გიორგი მთაწმიდელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“ (XI ს.), გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება“ (XI ს.), ასევე „ძეგლი ერისთავთა“ ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე და სხვა.

გვიანდელი წყაროებიდან, რომლებიც ერთგარი შემავსებელი მასალების როლს ასრულებენ, ხოლო რიგ შემთხვევებში პირველადი წყაროს ფუნქცია ენიჭებათ (მაგალითად XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად) გამოვყოფდით შემდეგ ნაწარმოებებს: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ყაუხიშვილი 1973), უცნობი ავტორის „ცხოვრება საქართველოსა“ იგივე ე.წ. „პარიზის ქრონიკა“ (ალასანია 1980), ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ე.წ. პირველი ტექსტი), ბერი ეგნატაშვილის ტექსტის ორი გადამუშავებული თხზულება ე.წ. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე და მესამე ტექსტები. მათი ავტორები უცნობია. ყველა მათგანი დაწერილია XVIII საუკუნეში (ყაუხიშვილი 1959).

ეს რაც შეეხებოდა ჩვენთვის საინტერესო საისტორიო და ძველი ქართული ლიტერატურული ჟანრის თხზულებებს, მათ გარდა არსებებს მრავალი სხვა ისტორიული წყაროები, რომელთა შესწავლაც ბიზანტიური ტიტულატურის საქართველოში გავრცელების კუთხით ფრიად მნიშვნელოვანია. მათ შორის გამოვყოფდი ქართული დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, სიგილოგრაფიის (სფრაგისტიკა) მრავალ სხვა ძეგლებს, რომელთა კვლევა, არანაკლებ მნიშვნელოვან მატერიალებს გვაძევეს საკითხის კომპლექსური ანალიზის კუთხით.

დიპლომატიკის ნიმუშებიდან უნდა გამოვარჩიოთ ის მრავალრიცხოვანი სიგელ-გუჯარები, რომლებიც მრავლადაა გაცემული ქართველი მეფეების მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XI-XV საუკუნეების სამეფო სიგელები. XI

საუკუნეზე ადრეული, სრული სახით შემონახული ქართველ მეფეთა სიგელი არ გაგვანჩნია. სიგელ-გუჯარებში საუცხოოდ არის ასახული მეფეთა ტიტულატურა მისი ცვალებადობა, შედგენილობა, რიგითობა, ხასიათი და ა.შ. XIII საუკუნის ჩვენს ხელთ არსებული სიგელ-გუჯრები თითქმის სრული სახით არის შესული „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსში“ (წიგნი პირველი). ამდენად, XIV-XV საუკუნეების დიპლომატიკის ნუმუშები გაბნეულია სხვადასხვა მკვლევართა შრომებში. ამ კუთხით შექმნილი სიცარიელე გარკვეულწილად შეავსო „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ გამოცემამ, სადაც XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით ამ პერიოდში მცხოვრები თითოეული ისტორიული პირის შესახებ მოკლე ინფორმაცია არის შეკრებილი. ამჟამად (2011 წლისთვის), გამოცემულია „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ოთხი ტომი, სადაც გაერთიანებულია მონაცემები ისტორიული პირების შესახებ ანიდან (ა) ღანის (ღ) ჩათვლით. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული ლექსიკონის პირველი ტომი, სადაც შესულია ბაგრატიონთა დინასტიის წევრების ანოტირებული ლექსიკონი (სურგულაძე, ოდიშელი 1991: 212-371).

ქართული დიპლომატიკური მასალების გამოცემაში დიდი წვლილი მიუძღვის ისიდორე დოლიძეს, რომელმაც გამოსცა „ქართული სამართლის ძეგლები“ შვიდ ტომად. ამათგან, ჩვენთვის საინტერესოა მეორე და მესამე ტომები (დოლიძე 1965; დოლიძე 1970).

სამეფო სიგელები გამოქვეყნებულია, ასევე სხვა მრავალი ავტორის მიერ. თავის დროზე მათ მოძიებაში და შესწავლაში დიდი წვლილი მოუძღვით ისეთ მკვლევარებს, როგორებიც იყვნენ: სარგის კაკაბაძე, დიმიტრი ბაქრაძე, თედო ჟორდანი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები (ბაქრაძე 1987; კაკაბაძე 1912; ჟორდანი 1897; ჟორდანი 2004; თაყაიშვილი 1920). ქართული ეპისტოლარული წყაროები შეისწავლა და გამოსცა მამისა ბერძნიშვილმა (ბერძნიშვილი 1989).

ეპიგრაფიკული წყაროები მნიშვნელოვანწილად ავსებს, ზემოსხენებულ წყაროებს ქართველი მეფეების ტიტულატურის შესახებ. თავის დროზე დაიგეგმა რეგიონულ-ქრონოლოგიური პრინციპით შეჯერებული ეპიგრაფიკული წყაროების კორპუსის გამოცემა. სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკული მასალების მეტ-ნალებად სრული სურათი ასახულია ნოდარ (ნუკრი) შოშიაშვილის მიერ შედგენილ „ქართული წარწერების კორპუსში“, რომელიც ფარავს

აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X საუკუნეების ლაპიდარულ ძეგლებს (შოშიაშვილი 1980). IX-XIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკა, ამავე სერიის მეორე წიგნში გამოსცა ვალერი სილოგავამ (სილოგავა 1980). ამ წიგნში შესული და მოგვიანო პერიოდის აღმწესხველი „სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“, იმავე ავტორმა უკვე მოგვიანებით გამოსცა (სილოგავა 2004). XII და XIII საუკუნის დასაწყისის წარწერებს თავი მოუყარა გიორგი ოთხმეზურმა (ოთხმეზური 1981). ზემოთ ხსენებული და სხვა მკვლევარების მიერ გამოქვეყნებულია, კიდევ არაერთი წარწერა, რაც საზოგადოდ მდიდარ მასალას იძლევა სამეფო ტიტულატურის შესახებ V-XV საუკუნეებში.

ნუმიზმატიკური მასალებიდან საინტერესოდ გვეჩვენება X–XVI საუკუნეების მონეტები. ისინი იძლევიან საინტერესო ინფორმაციას, როგორც ნარატივის სახით სახით, ასევე ატრიბუტიკის და რეგალიების შესწავლის მხრივაც. ამათგან, ჩვენთვის საინტერესო X-XIII საუკუნეებში მოჭრილი მონეტების დიდი ნაწილი შესულია გიორგი დუნდუას და თედო დუნდუას „ქართული ნუმიზმატიკის“ ორტომეულში (დუნდუა, დუნდუა 2006; 2011), ხოლო მოგვიანო პერიოდის ქართული ნუმიზმატიკური ძეგლების აღწერილობები მოცემულია მათივე ავტორობით შესრულებულ სხვა მონოგრაფიებსა თუ სტატიებში. ამავე დარგში საინტერესო კვლევები შემოგვთავაზეს ევგენი პახომოვმა, დევიდ მარშალ ლანგმა, დავით კაპანაძემ, თამარ აბრამიშვილმა, ციალა ღვაბერიძემ და სხვებმა (ПaxoMoB 1970; Lang 1957; კაპანაძე 1969; ღვაბერიძე 1986).

ქართული ბეჭდების შესწავლა საკვლევის თემის კუთხით, ასევე საინტერესოდ გვეჩვენება. განსაკუთრებით ბიზანტიური და ქართული სფრაგისტიკის ნამუშევრების შედარება. ქართული სფრაგისტიკის ნიმუშების დიდი ნაწილი შეისწავლა და გამოაქვეყნა ანა ბაქრაძემ (ბაქრაძე 1978).

სხვა მასალებიდან, ალბათ ყველაზე ფასეული ინფორმაცია დაცულია ქართულ ანდერძ-მონაწერებში (კოლოფონები), რომლებსაც ხშირად კინკლოსებად ანუ მცირე ქრონიკებად მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, რომ ანდერძ-მინაწერების მნიშვნელობა დიდია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის არაერთი მოვლნის აგდგენა-დათარიღების კუთხით, მათი კომპლექსურად შეკრება და ერთად თაგმოყრა ჯერ არავის უცდია. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ კუთხით, რაც გაკეთდა იყო თედო

ქორდანიას „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა“ – მისი სამტომეულის გამოცემა (ქორდანია 1897; 1967; 2004). ეს ნაშრომი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოიცა და დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მას შემდეგ ცალკე, კომპლექსურად ანდერძ-მინაწერების გამოცემა არავის უცდია, თუ არ ჩავთვლით იმ შრომების მცირე ნაწილს, სადაც როგორც წესი, მოკლე ქრონოლოგიური ჩარჩოა გათვალისწინებული. მათი დიდი ნაწილი თავმოყრილია ელენე მეტრეველის საერთო რედაქციით გამოცემულ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერები ფონდების მიხედვით იქნა აღწერილი და თითოეული ფონდის აღწერილობა რამდენიმე ტომად გამოიცა, სადაც მრავლად შევიდა თითოეული აღწერილი ხელნაწერის კოლოფონები (შარაშიძე 1948; მეტრეველი 1976). მიუხედავად იმ დიდი შრომისა, რაც ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჩაატარეს ელენე მეტრეველის ხელმძღვანელობით, საქართველოს შუა საუკუნეების ანდერძ-მინაწერების კორპუსის მომზადებაზე მუშაობის დაწყება აუცილებლად მიგვაჩნია.

კოლოფონების მსგავსად, საგულისხმო ინფორმაციის შემცველია სინოდიკონებიც, იგივე სულთა მოსახსენიებელი მატრიანეები. სულთა მოსახსენიებელი მატრიანეებსა და სააღაპე წიგნებში მრავალი ცნობაა დაცული საქართველოს მონარქების, მათი ოჯახის წევრებისა და იმ საპატიო ტიტულების შესახებ, რომელსაც ისინი ატარებდნენ ცხოვრებაში (მეტრეველი 1998).

ბ) ბერძნული, ლათინური, სირიული და სომხური წყაროები – ქართულისგან განსხვავებით ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესრულებული ბიზანტიური წყაროები გაცილებით მრავალრიცხოვანია. საქართველოს შესახებ დაცული ცნობები, უმთავრესად აღწერს ქართველი მეფეების ცხოვრებასა და ზოგადად ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს. ისინი თავმოყრილია სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით გამოსულ რვატომეულში – „გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ (ყაუხჩიშვილი 1941; 1952; 1961; 1963; 1965; 1966; 1967; 1970). იმ ბიზანტიური წყაროების ცნობებიდან საქართველოზე, რომლებიც არ არის შესული „გეორგიკაში“ და მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მასალები: ცნობა აბაზგიის კათალოკოსის შესახებ კონსტანტინოპოლის სინოდის აქტებიდან; პავლე ტაგარის-

პალეოლოგოსის ცნობა XIV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო სახლში მიმდინარე დაპირისპირების შესახებ (F. Miklosich, J. Muller 1862: 224-230); გიორგი პახიმერეს ცნობები (Failler 1999<sup>1</sup>; 1999<sup>2</sup>) და სხვა.

ბიზანტიური ისტორიული თხზულებები შეიძლება, იმდენად მდიდარი არ იყოს საქართველოს მეფეების ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ დაცული ინფორმაციით, სამაგიეროდ ცნობები ბიზანტიის იმპერატორებისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე სენატორების ტიტულებსა და ეპითეტებზე მათში დიდი რაოდენობითაა შემონახული. ყველაფერი ეს კომპლექსური და შედარებითი კვლევის პირობებისთვის კარგ ნიადაგს გვიძაბავს.

ბიზანტიის ისტორიის წყაროთმცოდნეობის კომპლექსურ შესწავლას საფუძველი ჯერ კიდევ, XVI საუკუნეში ცნობილმა გერმანელმა ფილოლოგმა იერონიმუს ვოლფმა (1516-1580 წწ.) ჩაუყარა. მანვე დაამკვიდრა სამეცნიერო წრეებში ტერმინი „ბიზანტია“ – აღმოსავლეთ რომის იმპერიის საყოველთაოდ გაზიარებული სახელწოდება (ODB 1 1991: 344). იერონიმუსის შრომებმა დიდი გავლენა მოახდინა ბიზანტინოლოგიური კვლევების გაღრმავების კუთხით. ბიზანტიელი მწერლების კორპუსი - *Corpus Historiae Byzantinae* შეიკრიბა და გამოიცა საფრანგეთის მეფე ლუი XIV (1638-1715 წწ.) და მისი მინისტრის ჟან-ბატისტ კოლბერის (1619-1683 წწ.) პატრონაჟის ქვეშ. აღნიშნული სერიის შექმნაში საფრანგეთის და ევროპის მრავალმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. ის „პარზის კორპუსის“ სახელით არის ცნობილი. მოგვიანებით მისი ხელახალი გამოცემა განხორციელდა ვენეციაში (Ostrogorsky 1957: 4).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟან პოლ მინეს რედაქტორობით მისივე გამომცემლობაში შესრულებული *Patrologia Graeca* – ქრისტიანული ეპოქის ბერძნულ ენაზე შესრულებული თხზულებების კრებული, სადაც დიდი ნაწილი შრომებისა სწორედ ბიზანტიის ეპოქაზე მოდის. შეიცავს 161 ტომს, ამათგან რამდენიმე შესრულებულია ორ ან სამ ნაწილად.

ბიზანტიური ისტორიული თხზულებების შესახებ საუბრისას არ შეიძლება გვერდი აუაროთ ბიზანტიური წყაროების კიდევ ორ კორპუსს – 1. *Corpus Scriptorum Historiae Byzantinae*; 2. *Corpus Fontium Historiae Byzantinae*.

ამათგან პირველის გამოცემა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო გერმანელმა კლასიკოსმა იმანუელ ბეკერმა, რაც მოგვიანებით სხვა მკვლევარებმა გააგრძელეს. ეს არის ორმოცდაათტომეული, სადაც თავმოყრილია რამდენიმე ათეული ბიზანტიელი ავტორის საისტორიო ნაშრომი ბერძნულ ორიგინალითა და ლათინური თარგმანით. მისი დიდი ნაწილი „პარიზის კორპუსის“ ხელახალი გამოცემაა, რაც შეესებულება დამატებით სხვა მასალებით (Ostrogorsky 1957: 4).

Corpus Fontium Historiae Byzantinae წარმოადგენს ბიზანტიური ტექსტების კრიტიკულად დადგენილ გამოცემას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1967 წელს, ბიზანტიის კვლევების დამბარტონ-ოქსის ცენტრში. გამოდის რამდენიმე სერიად, ისინი იყოფიან გამოცემების ადგილის მიხედვით. ესენია: ვაშინგტონის (დამბარტონ-ოქსი), ბერლინის, ვენის, პარიზის, ბრუსელის, იტალიის, ათენის და სალონიკის სერიები. სულ გამოცემულია ორმოცდაათამდე ტომი და აქედან ნახევარი ვაშინგტონის სერიაზე მოდის.

ბიზანტიელი ავტორების მონაცემები, რომლებიც აღწერდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის და გარე სამყაროს ცხოვრებას ქრისტიანობის დამკვიდრებიდან კონსტანტინოპოლის დაცემამდე (1453 წელი), თავისი ინფორმაციულობით ერთ-ერთი უმდიდრესია შუა საუკუნეებში.

ევსევი კესარიელის (263-339 წწ.) შრომები IV საუკუნის პირველი ნახევრის შესახებ განსაკუთრებით გამორჩეულია და მრავალფეროვანი. მისი მრავალფეროვანი ბიბლიოგრაფიიდან გამორჩეული ადგილი უკავია სამ ნაშრომს, ესენია: 1) „ქრონიკა“ - აღწერს 303 წლამდე მოვლენებს და მათ შორის დიოკლეტიანეს მოღვაწეობას, რომელმაც პირველად გაყო იმპერია აღმოსავლეთ და დასავლეთ იმპერიებად. 2) „საეკლესიო ისტორია“ მოგვითხრობს იმპერიის ისტორიას 325 წლამდე. 3) „კურთხეული იმპერატორი კონსტანტინეს ცხოვრება“, სადაც კონსტანტინე I დიდის ცხოვრება არის აღწერილი მის გარდაცვალებამდე (337 წელი) (ყაუხჩიშვილი 1961: 21-23; Cameron, Hall 1999; Oulton 1932; Redrosian 2008).

IV საუკუნის მეორე ნახევარის ბიზანტიის ისტორიის აღწერილობა დაგვიტოვა ამიანე მარცელინემ (330-390-ანის ბოლო). ამიანე აგრძელებს ტაციტუსის ისტორიას ნერვას მმართველობიდან, ვიდრე იმპერატორ ვალენსის დაღუპვამდე ადრიანოპოლის ბრძოლაში (378 წელი). შემორჩენლია ამიანეს ისტორიის მხოლოდ

ბოლო ნაწილი. აღსანიშნავია, რომ მისი თხზულება გამოირჩევა მოვლენების ზუსტი აღწერით და ობიექტურობით (ყაუხჩიშვილი 1961: 78-9; Rolfe 1935; 1940; 1952).

ევსევი იერომე (331-420 წწ.) ცნობილი სწავლული და მთარგმნელი. თარგმნა ბიბლია ლათინურად (ვულგატა). მასვე ეკუთვნის მრავალი წერილი თავისი ეპოქის ამსახველი სხვადასხვა თემების შესახებ. დაწერა ასევე ნაწარმოები „De viris illustribus“ (ცნობილ პირთა შესახებ). მნიშვნელოვანია მისი განვრცობილი პერეფრაზირება ევსევი კესარიელის „ქრონიკისა“ აბრაამიდან 325 წლის ჩათვლით (ODB 2 1991: 1033).

მნიშვნელოვანი ასევე თეოდორიტე კვირელის (393-457 წწ.) „საეკლესიო ისტორია“, რომელიც მოიცავს ეკლესიის ისტორიის ამბებს, ვიდრე 429 წლამდე. შემორჩენილია მისი აპოლოგეტიკური, ეგზეგეტიკური და დოგმატიკური ნაშრომების დიდი მემკვიდრეობა, რომელთა ნაწილი თავის დროზე ითარგმნა ქართულ ენაზე (იხ.: ჯუღელი 2008). „ეკლესიის ისტორიის“ ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ქართლის გაქრისტიანებას XI საუკუნეში თარგმნა ევრემ მცირემ (ყაუხჩიშვილი 1961: 208-209).

მესოთე საუკუნის ბიზანტიური საისტორიო მწერლობიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ზოსიმეს „ისტორია“. ზოსიმეს ნაწარმოები მოიცავს რომის ისტორიის ამბების აღწერას 410 წლის ჩათვლით. ის ეყრდნობა სამ ძირითად ავტორს: დეკსიპუსს (III საუკუნე), ენაპიუსს (IV-V სს.) და ოლიმპიოდორუსს თებედან (დაახ. 380-425 წწ.) (ყაუხჩიშვილი 1961: 264-266; Ridley 1982).

საღამანე ერმია სოზომენეს (დაახ. 400-450 წწ.) „საეკლესიო ისტორია“ მოიცავს 324-439 წლების ამბების აღწერას, რაც ფორმალურად ევსევი კესარიელის ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენს (ODB 3: 1932). თხზულების ბოლო ნაწილი დაკარგულად ითვლება, სადაც 425-439 წლების ამბებია აღწერილი (ყაუხჩიშვილი 1961: 236).

პრისკე პანიონელი ნაწარმოები, იმავე საუკუნის მნიშვნელოვანი წყაროა. მისი ნაშრომი დაკარგულად ითვლება და შემორჩენილია სხვა ავტორების შრომებში და ისიც ფრაგმენტების სახით (ყაუხჩიშვილი 1961: 249, ODB 3 1991: 1721; Дестунис 1860). პრისკე პანიონელის ისტორია იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის აღწერილია უშუალო თვითმხილველის მიერ, რომელსაც თავად

ჰქონდა შეხება იმ ქვეყანაში მიმდინარე საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ პროცესებთან, რომელსაც ის აღწერს თავის ნაშრომში. ამდენად, ის ნაკლებად ეყრდნობა სხვა ავტორებს (Rohrbacher 2002: 92).

მარსელინუს კომესი (VI საუკუნე), წარმოშობით ილირიელი. თავის ლათინურ „ქრონიკაში“ (ანალები) აღწერს 379-518 წლების ბიზანტიის ისტორიას. თავადვე აგრძელებს, ვიდრე 534 წლამდე. მოგვიანებით ტექსტს დაემატა მეორე ჩანართი – 548 წლამდელი ამბების აღწერა, რომელიც მარსელინუსს აღარ ეკუთვნის. აღნიშნული შრომა წარმოადგენს ევსევი იერომეს თხზულების ფორმალურ გაგრძელებას (ODB 2 1991: 1296; Croke 1995: XIX).

პროკოპი კესარიელი (VI საუკუნე) იყო გამოჩენილი ბიზანტიელი მწერალი პალესტინიდან. მისი ორიგინალური ნაშრომებიდან, რომლებიც შეეხება იუსტინიანე I დიდი (527-565 წწ.) ეპოქას გამორჩეულად მნიშვნელოვანია „ომები“ (შედგება რვა წიგნისგან), „შენობათა შესახებ“ და „საიდუმლო ისტორია“ (ყაუხჩიშვილი 1965: 38-9; ODB 3 1991: 1732).

იოანე ლიდე ანუ ლიდიელი (490 - დაახ. 565 წწ.) დაიბადა ლიდის ფილადელფიაში. მის კალამს ეკუთვნის ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორცაა „ძალაუფლების შესახებ“, სადაც აღწერს გვანანტიკურ რომაულ ბიუროკრაციას. ის, ავტორია, სხვა მნიშვნელოვანი თხზულებებისა, მათ შორის ისეთების, როგორცაა „თვეების შესახებ“, „ციურ ნიშთა შესახებ“. (ODB 2 1991: 1061; ყაუხჩიშვილი 1965: 235).

აგათიას მირინელი (დაახ. 532-582 წწ.), იგივე სქოლასტიკოსი. მისი მთავარი ნაშრომია „იუსტინიანეს იმპერატორობის შესახებ“, სადაც აღწერილია იუსტინიანე I დიდის ხანის ბიზანტიის იმპერია. ნაშრომი წარმოადგენს პროკოპი კესარიელის „ომების“ გაგრძელებას და მოიცავს მცირე პერიოდს, 552-559 წლები (ODB 1 1991: 35-6; J. D. Frendo 1975, გვ. IX-X).

ევაგრე სქოლასტიკოსი (დაახ. 535-600 წწ.) დაიბადა ეპიფანიაში მდინარე ორონტის ხეობა, სირია. მისი „საეკლესიო ისტორია“ მოიცავს ფართო ქრონოლოგიურ პერიოდს ეფესოს პირველი საეკლესიო კრებიდან (431 წელი), ვიდრე იმპერატორ მაგრიკეს (582-602 წწ.) მოღვაწეობის ხანამდე. (Whitby 2000: XIII-XV; ყაუხჩიშვილი 1936: 290).



იოანე ეპიფანელი (VI-VII სს.) იყო ევაგრე სქოლასტიკოსის ნათესავი, მისი ისტორიას გრძელდება აგათია მირინელის თხზულების დასასრულიდან, ვიდრე იმპერატორი მაგრიკეს მმართველობის ჩათვლით. მისი თხზულება შემორჩენილია ფრაგმენტების სახით (ODB 2 1991: 1064-1065).

იოანე მაღალას (დაახ. 490-570/580 წწ.) „ხრონოგრაფიაში“ მოთხრობილია მსოფლიოს ისტორია დასაბამიდან 574 წლამდე. ავტორი ბიბლიური ადამიდან მოყოლებული აღწერს უნივერსალურ ისტორიას რელიგიურ-ფილოსოფიურ ჭრილში. ნაშრომი შედგება თვრამეტი წიგნისგან და ავტორის წარმოშობის ადგილის გათვალისწინებით აღწერილობაში ცენტრალური ადგილი უკავია ანტიოქიას (სირია), მხოლოდ ბოლო წიგნის შუა ნაწილიდან – კონსტანტინოპოლი. (ყაუხჩიშვილი 1936: 260; Thurn 2000).

მენანდრე პროტექტორი (VI საუკუნე), ეკავა სასახლის ზედამხედველის თანამდებობა. მსგავსად, იოანე ეპიფანელისა აგრძელებს აგათია მირინელის ისტორიას, ვიდრე იმპერატორ მაგრიკეს (582-602 წწ.) მმართველობამდე. (ODB 2 1991: 1338; Blockley 1985).

თეოფილაქტე სიმოკატა (VI-VII სს.) იყო გამგრძელებელი მენანდრე პროტექტორის „ისტორიის“, რომელიც მთავრდება იმპერატორი ტიბერიუსის (578-582 წწ.) გარდაცვალებით. მისი ისტორია დაიწერა იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) ზეობის დროს. ის არის ერთ-ერთი უკანასკნელი კლასიკური სტილის მიმდევარი ისტორიკოსი, რომელმაც თავის ისტორიაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო ისეთ ტრადიციულ თემებს, როგორებიცაა პოლიტიკა, დიპლომატია, სამხედრო საქმე და არა ისეთს, როგორც არის რელიგია. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ისტორია აღარ გაუგრძელებიათ, ვიდრე VIII-IX საუკუნეების მიჯნამდე, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნიკიფორემ წარმოგვიდგინა VII-VIII საუკუნეების ბიზანტიის ისტორიის მოკლე ექსკურსი, რაც ჩაფიქრებული იყო თეოფილაქტე სიმოკატას ნაშრომის გაგრძელებად (Whitby, Whitby 1986: XIII).

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიკიფორე თევდორეს ძე (758-828 წწ.) დაიბადა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქში ხატმებრძოლი იმპერატორი კონსტანტინე V კოპრუნიმუსის (741-775 წწ.) დროს. პატრიარქად აკურთხეს 806 წელს, ხოლო გადააყენეს 815 წელს. გარდაიცვალა 828 წელს. ის არის ავტორი

მრავალი თეოლოგიური თხზულებისა, რომელიც ძირითადად ეძღვნება ხატმებრძოლობის თემატიკას (O'Connell 1972). ჩვენამდე მოაღწია მისმა ორმა ისტორიულმა ნაშრომმა, ესენია: „მოკლე ისტორია“ და „მოკლე ხრონოგრაფიული გადმოცემა“. ამათგან პირველი სიმოკატას „ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მოიცავს მსოფლიო ისტორიის მოკლე ხრონოგრაფიულ აღწერას, ვიდრე IX საუკუნის დასაწყისამდე (Mango 1990: 1-4). „მოკლე ისტორია“ იწყება ფოკას მმართველობით და გრძელდება 769 წლის ამბების აღწერის ჩათვლით, რის შემდეგაც თხრობა წყდება. ფიქრობენ, რომ ნაშრომი დაუმთავრებელია (Mango 1990: 6-7).

გიორგი სვინგელოზი (VIII-IX სს.) მოღვაწეობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ ტარასის დროს (786-806 წწ.). მისი „ხრონოგრაფია“ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ადამიდან იმპერატორ დიოკლეტიანემდე (284-305 წწ.). ავტორს გამიზნული ჰქონდა გაეგრძელებინა მისი ისტორია და ფაქტობრივად ცალკე გამოეყო რომის ისტორიის ქრისტიანული პერიოდი, მისივე თანამედროვეობის ჩათვლით, მაგრამ არ დასცალდა. სამაგიეროდ მისი ნაშრომის გაგრძელება ითავა თეფანე აღმსარებელმა. (Adler, Tuffin 2002: XXIX).

თეოფანე აღმსარებელი (759/60-818 წწ.), იგივე უამთაადმწერელი აგრძელებს გიორგი სვინგელოსის „ხრონოგრაფიას“. თეოფანეს ქრონიკა ბიზანტიური საისტორიო მწერლობის უდიდეს მიღწევადაც არის შეფასებული (Mango and Scott 1997: L-LI; ყაუხჩიშვილი 1941: 70; Adler, Tuffin 2002: XIX, XXIX; Mango 1978; 17).

გიორგი ჰამარტოლოსი (IX საუკუნე) „ხრონოგრაფია“ დაწერილია ბიზანტიის იმპერატორ მიხაელ III ლოთის (842-867 წწ.) მმართველობის დროს. მასში მოთხრობილია ბიზანტიის ისტორია უძველესი დროიდან იმპერატორ თეოფილეს გარდაცვალებამდე (842 წელი). თხზულება შედგება ოთხი წიგნისგან და მასში ბიზანტიის ამბებთან ერთად მოთხრობილია სხვა ქვეყნების ისტორიაც, რის გამოც ნაშრომი იმპერიის საზღვრებს გარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ითარგმნა მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც, გამოჩენილი ქართველი მთარგმნელისა და თეოლოგის არსენ იყალთოელის მიერ XII საუკუნის დასაწყისში (ყაუხჩიშვილი 1952: 309).

ნიკოლოზ მისტიკოსი (852-925 წწ.) იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი და იმპერატორ ლეონ VI ბრძენის ერთ-ერთი ყველაზე დაახლოებული პირი. მისი მემკვიდრეობიდან ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი წერილები. ვატიკანის ერთ-ერთი ხელნაწერი შეიცავს მის 163 წერილს, რაც მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა იმ დროინდელი ბიზანტიის იმპერიის შესასწავლად. (ყაუხნიშვილი 1952: 209).

იოსებ გენესიოსი (X საუკუნე) არის ავტორი თხზულებისა, რომელსაც სათაურია „ბასილეია“ (ხელმწიფებანი). ნაშრომი ფარავს 813-886 წლების პერიოდს და შედგება ოთხი წიგნისგან. გენესიოსმა მისი მატთანე შეასრულა იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დაკვეთით. (Kaldellis 1998: XI-XV).

კონსტანტინე VII პორფიროგენეტი (905-959 წწ.) იყო ბიზანტიის იმპერატორი 913-959 წლებში. მიუხედავად მისი მდგომარეობისა განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა მეცნიერებისკენ. არის ავტორი რამდენიმე თხზულებისა, მათ შორის: „თემების შესახებ“ (De thematibus), „ცერემონიების შესახებ“ (De caeremoniis), „მმართველობის შესახებ“ (De administrando). ყველა მათგანი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ბიზანტიის იმპერიის ცხოვრების მრავალი ასპექტის შესახებ. მისივე დაკვეთით დაიწყო სხვადასხვა ნაწარმოებების შესრულება, რითიც მეცნიერების არაერთი დარგის განვითარებას შეეწყო ხელი X საუკუნის ბიზანტიის იმპერიაში (ყაუხნიშვილი 1952: 219; ODB 1991: 502-3).

სუდას ენციკლოპედიური ლექსიკონი შედგენილია დაახლოებით X საუკუნეში. მასში განმარტებულია 30 000-ზე მეტი სხვადასხვა სახის ტერმინი და სახელწოდება. ლექსიკონის სათაური „სუდა“ ძველი ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს „ზღუდეს“, „გამაგრებულ ადგილს“. სუდას „კომპილაციების კომპილაციადაც“ მოიხსენიებენ, რადგან შედგენილია სხვადასხვა კომპილაციური ტიპის ნაშრომებისგან ამოკრეფილი მასალების საფუძველზე. სავარაუდოდ, დაწერილია ავტორთა ჯგუფის მიერ და არა ვინმე სვიდას მიერ, როგორც ეს ადრე ითვლებოდა (ODB. 3 1991: 1930-1931; ყაუხნიშვილი 1952: 313-314).

თეოფანეს გამგრძელებელი, როგორც ის საკუთარ თავს მოიხსენიებს არის ანონიმი ავტორი ვრცელი თხზულებისა, რომელიც შედგება ექვსი წიგნისგან. აღწერილია 813-961 წლების ბიზანტიის ისტორია. ნაშრომი შემორჩენილია

ერთადერთი ხელნაწერის სახით, რომელიც განეკუთვნება XI საუკუნეს. ავტორი იყენებს მრავალ თხზულებას, ხოლო თავად ნაწარმოები კომპილაციური სახისაა (ODB 3 1991: 2061-2062; ყაუხჩიშვილი 1952: 325-326).

სიმონ ლოგოთეტი, მაგისტროსი (X საუკუნე) არის ავტორი ნაწარმოებისა „ხრონოგრაფია“, რომელიც აღწერს ისტორიას ქვეყნის დასაბამიდან, 948 წლის ჩათვლით, აქედან 842-948 წლების ამბები მისი ორიგინალური ნაშრომია, დანარჩენი კი კომპილაციური სახისაა. არსებობს მისი ნაშრომის გაგრძელება და გადაკეთებული ვარიანტებიც. ადრე დაუდგენელი იყო აღნიშნული ნაშრომის ავტორის ზუსტი ვინაობა, რის გამოც მის ავტორად ხან თეოდოსი მელიტენელი და ხან ლეონ გრამატიკოსი მიიჩნეოდა. არ მტკიცდება მისი იდენტიფიკაცია სიმონ მეტაფრასტთან (იხ.: ODB 3 1991: 1982-1983). ლეონ გრამატიკოსი 1013 წლის ხელნაწერის გადამწერია და არა ავტორი, როგორც ეს არის მითითებული გეორგიკაში (ყაუხჩიშვილი 1963: 1-2). მიუხედავად ამისა, მკვლევარი შენიშნავს, რომ ლეონი შეიძლება იყოს მხოლოდ რედაქტორი (აღნიშნული წყაროს ერთ-ერთი უკანასკნელი გამოცემა იხ.: Wahlgren 2006).

გიორგი კედრენე (XI-XII სს.) არის ავტორი შრომისა, რომელსაც ეწოდება „ისტორიული მიმოხილვა“, ოფიციალური სათაური შედარებით ვრცელია და უკვე იქიდან ჩანს, რომ ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა – „ისტორიული მიმოხილვა, დაწყებული ქვეყნის გაჩენით, ვიდრე ისაკ კომნენოსის იმპერატორობამდე, შედგენილი უფალ გიორგი კედრენეს მიერ სხვადასხვა წიგნების მიხედვით“. ამდენად, კედრენეს ისტორია ისაკ I-ის მმართველობის დასასრულით მთავრდება (1059 წელი) (ODB 2 1991: 1118; ყაუხჩიშვილი 1963: 7-9).

იოანე სკილიცე (XI საუკუნის II ნახ.) კურაპალატი და ვიგლას დრუნგარიოსი, გაიგივებულია იოანე თრაკესიოსთან. არის ავტორი ნაშრომისა, რომელსაც ეწოდება „ისტორია“, რომელიც თეოფანე აღმსარებლის გაგრძელებას წარმოადგენს. მათიანე ფარავს 811-1057 წლების ბიზანტიის ისტორიას (ODB 3 1991: 1914). 1057-1079 წლების ამბები ეკუთვნის იოანე სკილიცეს უცნობ გაგრძელებებს, რომლის მათიანეც მიხაელ ატალიატეს თვითნებურ გადაკეთებას წარმოადგენს (ODB 3 1991: 1914).

კეკაგემნოსი (XI საუკუნე) ბიზანტიელი წარჩინებული და სამხედრო მოღვაწე არის ავტორი საბრძოლო სახელმძღვანელოსი, რომელსაც შემოკლებულად „სტრატეგიკონს“ ვუწოდებთ. ეს არის ბიზანტიის იმპერიის სამხედრო საქმის აღწერა, სადაც სამხედრო ხელოვნების გარდა გადმოცემულია ბიზანტიის ისტორიის მრავალი მოვლენა ბასილ II დიდის (976-1025 წწ.) იმპერატორობიდან, ვიდრე რომანოზ IV დიოგენეს (1068-1071 წწ.) მმართველობამდე (ODB 2 1991: 1118; ყაუხჩიშვილი 1963: 314; Литаврина 1972).

მიხაელ ფსელოსი (1018-1081 წ. შემდეგ) ერისკაცობაში კონსტანტინე-ბიზანტიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სწავლული და სახელმწიფო მოღვაწე-არის ავტორი არაერთი წერილისა და ნაშრომის. მათ შორის ისტორიული კუთხით ყველაზე ღირებულია მისი „ხრონოგრაფია“, რომელიც მოიცავს 976-1077 წლების ისტორიას. ფსელოსი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ბუნებას, რომელიც მისი აზრით მართალია ღმერთის მიერ იყო შექმნილი, მაგრამ იმართებოდა ბუნებრივი კანონებით, რითიც ის პროვინდენციულურ შეხედულებებს განზე აყენებს. მისი ნაშრომები სავსეა, როგორც პანეგირიკული ხასიათის პასაჟებით, ასევე მოვლენების კრიტიკური ანალიზით. მიხაელ პსელოსის რამდენიმე ნაშრომი, უკვე XII საუკუნეში ითარგმნა ქართულ ენაზე (ODB 3 1991: 1754-1755; ყაუხჩიშვილი 1966: 1-8).

მიხეილ ატალიატე (1020/1030-1085 წ. შემდეგ) პროედროსი. როგორც სენატორი და მოსამართლე, ატალიატეს კარიერა შესაშური ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა ბიზანტიის იმპერიაში. ის არის ავტორი რამდენიმე ნაშრომისა, რომელთა შორის არის იურიდიული სახის თხზულებებიც. ყველაზე მნიშვნელოვანია მისი „ისტორია“, სადაც აღწერილია 1034-1079/80 წლების ამბები. ნაშრომის შესაბამისი ნაწილი იმპერატორ ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078-1081 წწ.) ხოტბის შესხმას წარადგენს. ნაშრომის ბოლო ნაწილი ნიკიფორეს გადაყენების შემდეგ იქნა დაწერილი, სადაც უკვე ავტორი ფაქტების ობიექტური შეფასებით და რაციონალური ანალიზით გამოირჩევა (ODB I 1991: 229; ყაუხჩიშვილი 1966: 20-21).

ნიკიფორე ვრიენიოს უმცროსი (1064/1080-1136/7 წწ.) იყო ცნობილი ბიზანტიელი სარდალი და ისტორიკოსი. არის ავტორი შრომისა „საისტორიო მასალები“, სადაც აღწერილია XI საუკუნის 70-იანი წლების ამბები. მისი

თხზულება დაუმთავრებელია, სამაგიეროდ მას ხშირად იმოწმებს მისი მეუღლე ანა კომნენა. ანამ დაგვიტოვა ნიკიფორე უმცროსის დეტალური დახასიათება (ODB 1 1991: 330-331; ყაუხჩიშვილი 1966: 302).

ანა კომნენა (1083-1153/4 წწ.) იყო ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი, ნიკიფორე ვრიენოს უმცროსის მეუღლე. თავის დროზე დანიშნული იყო მართა ბაგრატიონის ვაჟზე კონსტანტინე პორფიროგენეტზე, თუმცა ამ უკანასკნელის პოლიტიკური სტატუსის დამცრობის გამო ქორწილი არ შედგა. ანა კომნენა არის ავტორი მამამისის – იმპერატორ ალექსი I კომნენოსის ბიოგრაფიულის ხასიათის ნაშრომისა, რომელსაც მან უწოდა „ალექსიადა“. წიგნი შედგება 15 წიგნისგან და აღწერს ალექსის დროინდელი ბიზანტიის პოლიტიკურ ვითარებას, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავად მამამისის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (ODB 2 1991: 1142; ყაუხჩიშვილი 1966: 33-37).

იოანე ზონარა (XII საუკუნის მეორე ნახ.) ბიზანტიელი დიდმოხელე, რომელიც მოგვიანებით ბერად აღიკვეცა და დაგვიტოვა რამდენიმე ნაშრომი როგორც ისტორიული, ასევე თეოლოგიური ხასიათის. ისტორიული თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია „მსოფლიო ისტორია“, სადაც აღწერილია ბიზანტია და გარე სამყარო დასაბამიდან 1118 წლის ჩათვლით. ზონარა განსხვავებით ანა კომნენასგან კრიტიკულად აფასებს ალექსი I-ის დროს განვითარებულ მოვლენებს და ხანდახან აკრიტიკებს კიდევ იმპერატორს (ODB 3 1991: 2229; ყაუხჩიშვილი 1966: 177-181).

იოანე კინამოსი (დაახ. 1143 – 1185 წ. შემდეგ) იყო იმპერატორ მანუელ I დიდის პირადი ისტორიკოსი. მისი ნაშრომი პანეგირიკული ხასიათისაა და აღწერს ორი იმპერატორის: იოანე II კალოიოანეს (1118-1143 წწ.) და მანუელ I დიდის (1143-1180 წწ.) მმართველობის ეპოქას (ODB 2 1991: 1130; ყაუხჩიშვილი 1966: 140-141).

ნიკეტა ხონიატე (1155/7-1217 წწ.) გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი, თეოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე. არის რამდენიმე ნაშრომის ავტორი, მათ შორის მთავარია „ისტორია“, რომელიც აღწერს 1118-1206 წლების ამბებს. ნიკეტას „ისტორია“ შედგება 21 წიგნისგან და გამოირჩევა ფაქტებისა და მოვლენების უხვი აღწერით. (ODB I 1991: 428; ყაუხჩიშვილი 1966: 122-123).

გიორგი აკროპოლიტე (1217-1282 წწ.) იყო ბიზანტიელი მოხელე და ისტორიკოსი. როგორც იმპერატორ მიხაელ VIII პალეოლოგოსის (1261-1282 წწ.) ახლო ნათესავი, ითვლებოდა მის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მსახურად. მისი „ქრონიკა“ ფაქტიურად ნიკეტა ხონიატეს ნაშრომის გაგრძელებას წარმოადგენს და აღწერს 1203-1261 წლების ამბებს – კონსტანტინოპოლის დაცემიდან მის დაბრუნებამდე. მისი ნაშრომი პანეგირიკული ხასიათისაა, სადაც ავტორი განადიდებს მიხაელ VIII პალეოლოგოსს (ODB 1 1991: 49; ყაუხჩიშვილი 1967: 40).

გიორგი პახიმერე (1242-1310 წწ.) აგრძელებს აკროპოლიტეს ისტორიას და აგვიღწერს ორი იმპერატორის მოღვაწეობის პერიოდს: მიხაელ VIII პალეოლოგოსის (1261-1282 წწ.) და ანდრონიკე II პალეოლოგოსის მმართველობის ხანას (1282-1328 წწ.). გიორგი პახიმერე არის სხვა მრავალი, რიტორიკული თუ ფილოსოფიური სახის ნაშრომების ავტორი (ODB 3 1991: 1550; ყაუხჩიშვილი 1966: 48-49).

ნიკიფორე გრიგორასი (1290/4-1358/60 წწ.) XIV საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და სწავლული. მისი მრავალი შრომებიდან ყველაზე გამორჩეულია „რომაული ისტორია“, რომელიც გიორგი პახიმერეს ისტორიის ერთგვარი გაგრძელებაა, მასში აღწერილია ამბები 1204 წლიდან 1359 წლის ჩათვლით. მისი ისტორია შედგება 37 წიგნისგან და მასში აღწერილია მრავალი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, თუ რელიგიური სახის მოვლენა (ODB 2 1991: 874-875; ყაუხჩიშვილი 1967: 119-123).

იოანე VI კანტაკუზენე (1295-1383 წწ.) იყო ბიზანტიის იმპერატორი და XIV საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. ტახტიდან გადადგომის შემდეგ (1354 წ.) აღიკვეცა ბერად იოსების სახელით, რის შემდეგაც ცხოვრების მნიშვნელოვანი დრო მწერლობას დაუთმო. არის ავტორი საკუთარი ავტობიოგრაფიული სახის ნაწარმოებისა, რომელსაც „ისტორიანი“ ეწოდება. მასში აღწერილია 1320-1356 წლების ბიზანტიის ისტორია, სადაც იოანე კანტაკუზენე გადმოგვცემს საკუთარ თვალსაზრის და შეხედულებებს ყველა იმ პოლიტიკურ პროცესის შესახებ, რომელშიც თავად იღებდა მონაწილეობას. თხზულება შედგენა ოთხი ნაწილისგან და მნიშვნელოვანი წყაროა ბიზანტიის ისტორიის ამ საინტერესო პერიოდის შესასწავლად (ODB 2 1991: 1050-1051).

მიქელ პანარეტოსი (დაახ. 1320-1387 წწ.) იყო ტრაპიზონის იმპერიის პროტოსევასტოსი და პროტონოტარიოსი. მსახურობდა იმპერატორ ალექსი III კომნენოსის (1349-1390 წწ.) სასახლის კარზე. არის ავტორი ნაწარმოებისა, რომელიც შემოკლებით „ტრაპიზონის ქრონიკის“ სახელით არის ცნობილი. თხზულებაში მოკლედ არის გადმოცემული ტრაპიზონის ისტორია 1204 წლიდან 1386 წლის ჩათვლით. გაგრძელება, სადაც დამატებულია 1390-1426 წლების ამბების აღწერა ეკუთნის მის უცნობ გამგრძელებელს (ODB 3 1991: 1569-1570; ყაუხჩიშვილი 1967: 161-165; თავაძე 2008: 108).

დუკა (დაახ. 1400-1462 წწ.) მის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, სამაგიეროდ შემორჩენილია მისი „ისტორია“, სადაც აღწერილია 1341-1462 წლების ბიზანტიის ისტორია. 1341 წლამდელი მოვლენები კი ძალზედ მოკლედ არის აღწერილი, რაც ძირითადად ქრონოლოგიის სახით არის წარმოდგენილი. 1421 წლამდე მოვლენების აღწერისას მისი წყაროა ნიკეტა ხონიატეს, ნიკიფორე გრიგორასის და იოანე ანაგნოსტეს ნაშრომები. დუკას „ისტორია“ უეცრად წყდება 1462 წელს, რაც იმას მიუთითებს, რომ ავტორმა ის ვერ დაასრულა და სავარაუდოდ ამავე წელს გარდაიცვალა (Magoulias 1975: 57-60; ODB 1 1991: 656-657; გეორგიკა VIII, გვ. 21-24).

გიორგი სფრანძესი (1401-1477/8 წწ.) ბიზანტიის იმპერიის დიდმოხელე პალეოლოგოსების საიმპერიო კარზე, ფლობდა პროტოვესტიარის სახელს. მნიშვნელოვანია მისი „ქრონიკა მინუსი“, რომელიც ეყრდნობა მისი დღიურის ჩანაწერებს, სადაც 1413-1478 წლების ბიზანტიის ისტორიის მოვლენებია აღწერილი. რაც შეეხება ამავე ნაწარმოების უფრო ვრცელ ვერსიას – „ქრონიკა მაიუსს“ ის, როგორც ეს დღეს აღიარებულია, ითვლება მონემნასის მეტროპოლიტი მაკარიოს მელისენოსის შედგენილად XVI საუკუნეში (ODB. III, გვ. 1937; ყაუხჩიშვილი 1970: 36-37, 41).

ლაონიკე ხალკოკონდილეს (1423/30-1490 წწ.) „ისტორია“ მოიცავს 1298-1463 წლების მოვლენების აღწერას და შედგება ათი წიგნისგან. დაიწერა XV საუკუნის 80-იან წლებში. ლაონიკეს განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა „დიდი ელინური იმპერიის დაცემა“, რასაც თავისთავად ოსმანთა თურქული იმპერიის აღორძინება მოჰყვა (ODB 1 1991: 407; ყაუხჩიშვილი 1970: 89-91).



კარდინალი ბესარიონი (1400-1472 წწ.) გამოჩენილი ბიზანტიელი სწავლული დაიბადა ტრაპიზონში, ხოლო განათლება მიიღო კონსტანტინოპოლში. 1437 წელს დაამტკიცეს ნიკეის მიტროპოლიტად. იყო უნიატური მოძრაობის ლიდერი ბიზანტიაში, ხოლო გარკვეული წარუმატებლობის შემდეგ, დატოვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და გადავიდა იტალიაში, სადაც კათოლიციზმი მიიღების შემდეგ კარდინალად აირჩიეს. ორჯერ (1455, 1471 წწ.) იყო პაპობის კანდიდატი. არის ავტორი სხვადასხვა პანეგირიკული სახის ტექსტებისა და ენკომიის, მათ შორის ერთ-ერთი ეძღვნება მის მშობლიურ ქალაქ ტრაპიზონს (ODB 1 1991: 285).

გიორგი ტრაპიზონელი (1395-1472/3 წწ.) წარმოშობით იყო ქალაქი ტრაპიზონიდან, ხოლო დაიბადა კუნძულ კრეტაზე. 1416 წელს დატოვა მშობლიური მხარე და გაემგზავრა იტალიაში, სადაც მიიღო კათოლიკური მრწამსი და ჩადგა რომის პაპის სამსახურში. არის ავტორი უამრავი სხვადასხვა სახის ნაწარმოებისა, მათ შორის რიტორიკული, ფილოსოფიური, თეოლოგიური, ასტრონომიური, ასტროლოგიური და ა.შ. წერდა ძირითადად ლათინურ ენაზე. მნიშვნელოვანია მის თხზულება „ჭეშმარიტება ქრისტიანული მრწამსის შესახებ“, სადაც იგი წერს, რომ თუ ოსმანთა სულთანი ქრისტიანობას მიიღებს ის გახდება მსოფლიოს მბრძანებელი (ODB 2 1991: 839-840).

თეოდორ სპანდუნესი (1460 წ. შემდეგ – 1560 წლამდე), მათე სპანდუნესისა და ევლოკია კანტაკუზენეს ვაჟიშვილი, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ლათინურ სამყაროში გაქცეულ ბიზანტიელ არისტოკრატთა მეორე თაობის წარმომადგენელი იყო. მის კალამს ეკუთვნის ლათინურ ენაზე დაწერილი XVI საუკუნის ევროპაში საკმაოდ პოპულარული თხზულება „ოსმან იმპერატორთა წარმოშობის შესახებ“, რომელიც ამავე საუკუნის პირველ ნახევარში შეიქმნა და ხელნაწერის სახით 1538 წელს საფრანგეთის მომავალ მეფეს, ანრი II ვალუას (1547-1559 წწ.) გადაეცა, ხოლო ნაბეჭდი სახით პირველად 1550 წელს გამოქვეყნდა (Nicol 1997: XVIII). მისი ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა პოსტ-ბიზანტიური ეპოქის შესასწავლად. აღნიშნული ნაშრომი იმითაც არის საყურადღებო, რომ მისი შესაბამისი ასახვა არ მომხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში და არ დამუშავებულა ზოგადად საქართველოს ისტორიის შესწავლის კუთხით. ამ

ავტორის მიხედვით, ტრაპიზონის იმპერატორის გადარჩენილმა მემკვიდრემ ცოლად მოიყვანა საქართველოს მეფის ასული და არა გურიის მთავრის, როგორც ეს ხშირად იყო აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში და დაეფუძნა საქართველოში. მისი მემკვიდრეები თეოდორ სპანდუნესის ცნობით XVI საუკუნის შუა წლებისთვის საქართველოში ცხოვრობდნენ (Nicol 1997: 41).

XVI საუკუნის ავტორებიდან მნიშვნელოვანია, ასევე ანონიმი ავტორის ბერძნული ენაზე შესრულებული ქრონიკა, რომელიც აღწერს ბიზანტიისა და ოსმალეთის ისტორიას 1373-1513 წლებში. ეს ნაშრომი მიუკუთვნება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ქრონიკების კატეგორიას, სადაც თხრობა იწყება 1391 წლიდან და გრძელდება კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წელი). მსგავსად მანუელ მალახოსისა და დამასკენოსის ნაწარმოებებისა ანონიმი ავტორის ქრონიკა ძირითადად 1391 წლის მოვლენების მოთხრობით იწყება, თუმცა გარკვეული პასაჟები ეხება 1373 წლის შემდგომ პერიოდსაც. საბოლოოდ, უცნობი ავტორის ქრონიკა მისმა გამომცემელმა, მარიოს ფილიპიდესმა შემდეგი სათაურით გამოსცა: „კონსტანტინოპოლის იმპერატორები, პატრიარქები და სულთნები, 1373-1513“ (Philippides 1990: 16-20). აქ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ მწირია, თუმცა იხსენიება კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოაკიმეს საქართველოში ვიზიტი და სხვა (Philippides 1990: 119-120).

ყველა ზემოხსენებული ავტორის გარდა არსებობს სხვა, ბიზანტიელი მწერლების ნაწარმოებები, რომელთა ნაშრომებიც გარკვეულწილად ავსებენ ჩვენს ცოდნას ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურის შესახებ და იმ სამოხელეო წყობის შესახებ, რომელიც შუა საუკუნეების აღმოსავლეთ რომის იმპერიაში არსებობდა.

ბიზანტიის საიმპერიო ტიტულატურის შესწავლის კუთხით, გამორჩეული ადგილი უკავია იმ მრავალფეროვან „ნოტიციებსა“ თუ „ტაკტიკებს“, რომლებიც მრავლად იწერებოდა სახელმწიფო აპარატის ეფექტური მართვის კუთხით. ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ამ ტერმინების აღსანიშნავად: „გარიგება“, „განწესება“, „წესი“, გამოიყენებოდა. სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ მიხედვით: „წესი უწოდიან ჩვეულებასა, განმტკიცებულსა და მდგომარესა“ (აბულაძე 1993: 374). „წესის“ სინონიმად იქვე მითითებულია – „განწესება“,

რომელიც იმავე ლექსიკონის მიხედვით „გარიგებას“ შეესაბამება (აბულაძე 1991: 145).

გვიან რომაული საიმპერიო აპარატის შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანი წყაროა *Notitia Dignitatum*, რომელიც წარმოადგენს ოფიციალური სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობების ნუსხას. მასში ნაკლებად არის წარმოდგენილი საპატიო ტიტულები. ტექსტს ბოლო რედაქტირება V საუკუნის დასაწყისში გაუკეთდა და ამავე სახით არის ჩვენამდე მოღწეული (ODB 3 1991: 1496; ყაუხჩიშვილი, გამყრელიძე 1961: 168-170). საგულისხმოა, ასევე *Notitia Urbis Constantinopolitanae*, სადაც აღწერილია ქალაქი კონსტანტინოპოლი და მისი მოხელეები. ეს დოკუმენტიც შედგენილია იმავე – V საუკუნის დასაწყისში (ODB 3 1991: 1496).

დიდი რაოდენობით არის შემონახული საეკლესიო ნოტიციები. ამათგან, ორ ათეულზე მეტი გამოქვეყნებულია ჟან დარუზოს მიერ (Darrouzès 1981).

„ტაკტიკები“ ზემოთ განხილულ „ნოტიციებთან“ ერთად ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ბიზანტიური ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული აპარატის შესასწავლად. ამ კუთხით, *Notitia Dignitatum*-ის გარდა მნიშვნელოვანია IX-X საუკუნეების ტაკტიკები, რომლებიც შეკრიბა და გამოაქვეყნა ნ. ოიკონომიდისმა. გვიანბიზანტიური სამოხელეო წყობის შესასწავლად ძვირფასი წყაროა – ფსევდო-კოდინეს „ტრაქტატი თანამდებობებისა და ტიტულების შესახებ“ (XIV ს. შუა წლები) (ODB 3 1991: 2007; Verpeaux 1966). ცალკე აღნიშვნის ღირსია სტარატეგიკონები – სამხედრო საქმის სახელმძღვანელოები, მათი ცნობები ადმინისტრაციული სისტემის შესახებ უფრო მოკრძალებულია, ვინაიდან მათში აქცენტი სამხედრო საქმის სწავლებაზეა გაკეთებული. ყველა ამ მასალას ბიზანტიური იერარქიისა და ადმინისტრაციის შესახებ მნიშვნელოვნად ავსებს ბიზანტიური ბეჭდები (სფრაგისტიკის ნიმუშები) და ნუმიზმატიკური მასალები.

ბიზანტიური ნუმიზმატიკისა და სფრაგისტიკის ნიმუშები დიდი რაოდენობით არის დაცული სხვადასხვა მუზეუმებსა, თუ კერძო კოლექციებში. ნუმიზმატიკის ნიმუშებზე ძირითადად ბიზანტიის იმპერატორების, დედოფლების, თანა-იმპერატორების და იშვიათ შემთხვევაში მთავრების პორტრეტული გამოსახულებები და ტიტულებია აღნიშნული. სფრაგისტიკის ნიმუშებზე იმპერიის

თითქმის ყველა კატეგორიის დიდმოხელის თანამდებობა და ტიტულები ფიქსირდება. ბიზანტიური ნუმიზმატიკის უამრავი ნიმუშები შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვთ ისეთ სპეციალისტებს, როგორებიც არიან: ფ. გრირსონი, დ. სეარი, ვ. როთი, მ. ჰენდი და სხვა მკვლევარები (Grierson 1973; Sear 1996). ბიზანტიური ბეჭდების გამოქვეყნებაში დიდი წვლილი შეიტანეს ისეთმა მეცნიერებმა როგორებიც არიან: გ. შლუმბერგე (Shclumberger 1884), ვ. ლორენი (Lorent... 1-3: 1963-72), ჯ. ნესბითი, ნ. ოიკონომიდისი (Oikonomides 1985; Catalogue I-VI), ვ. ზაიფტი, გ. ზაკოსი (Zacos 1972), ი. იორდანოვი (Jordanov I-III), ჟან-კლოდ შენე (Cheynet 2001), დ. მეტკალფი (Metcalf 2004) და სხვები.

ლათინური წყაროებიდან გამორჩეული ადგილი უკავია ლანგობარდიელ ისტორიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწე ლუდბრანდის (დაახ. 920-970 წწ.), კრემონის ეპისკოპოსის ნაშრომებს. მისი შრომები გამოქვეყნებულია პაოლო სკუატრიტის მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიუდბრანდმა კარგად იცოდა ბერძნული ენა და საღვთო რომის იმპერატორის ოტონ I-ის (962-973 წწ.) სამსახურში მყოფი (მანამდე იტალიის მეფე ბერენგარ II-ის დავალებით) რამდენიმეჯერ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. ყველაფერი ამის ფონზე მშვენივრად აღწერს ბიზანტიას და იქაურ პოლიტიკურ ვითარებას (ODB 2 1991: 1241-1242; Squatriti 2007).

სირიული წყაროებიდან ბევრი მნიშვნელოვანი მემატიანეს დასახელება შეიძლება. მათ შორის არიან: იესო სტილიტე (VI საუკუნე), ზაქარია რეტორი (VI საუკუნე), იოანე ეფესელი (VI საუკუნე), მეშვიდე და მერვე საუკუნის სირიული ქრონიკები, იაკობ ედესელი (640-708 წწ.), მიხაელ სირიელი (1126-1199 წწ.), 1234 წლის სირიული ქრონიკის ანონიმი, გრიგოლ ბარ-ებრაუსი (1226-1286 წწ.) და სხვა (Joshua the Stylite 1882; Zachariah of Mitylene 1889; Smith 1999; Harrak 1999; Chabot 1899-1910; Chabot 1920; Budge 1932).

სომხური წყაროებში ასევე გვხვდება მრავალი ცნობები ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ, ისინი მდიდარია პოლიტიკური მოვლენების აღწერითაც. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი ავტორები: ლაზარ ფარფეცი (V საუკუნე), სებეოსი (VII საუკუნე), ანონიმი სომეხი გეოგრაფი, რომელსაც ანანია შირაკაცისთან აიგივებენ (VII საუკუნე), დევონდი (VIII საუკუნე), მოვსეს

კალანკატუაცი (X საუკუნე), იოანე დრასხანაკერტი (X საუკუნე), სტეფანოზ ტარონეცი (XI საუკუნე), არისტაკეს ლასტივერცი (XI საუკუნე), მათე ურჰაეცი (XII საუკუნე), მხითარ აირივანეცი (XII საუკუნე), მხითარ გოში (XII-XIII საუკუნეების მიჯნა), გრიგოლ აკანეცი (XIII საუკუნე), ვარდან არეველცი (XIII საუკუნე), კირაკოზ განბაკეცი (XIII საუკუნე), სტეფანოზ ორბელიანი (XIII-XIV საუკუნეების მიჯნა), სებასტაცი (XIV საუკუნე), ჰეთუმი (XIV საუკუნე), თოვმა მეწოფეცი (XV საუკუნე) და ა.შ. XIV-XV საუკუნეების პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანია სომხური ანდერძ-მინაწერები, იგივე ჰიშატაკარანები (იხ.: ჯანაშია 1962; Себеос 1862; Гевонд 1862; დავლიანიძე-ტატიშვილი 1985; Дарбинян-Меликян 1984; Bedrosian 1985; Matthew of Edessa 1993; დავლიანიძე-ტატიშვილი 1985; Патканов 1871; კვაჭანტირაძე, შოშიაშვილი 2003; Киракос Гандзакеци 1976; ცაგარეიშვილი 1978; Себасти 1962; Bedrosian 2004; Тер-Григорян, Баграмян 1957; Bedrosian 1987; კუცია 1987; აბდალაძე 1978).

გ) ისტორიოგრაფია – საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობები დიდი ხნის განმავლობაში, არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარის ყურადღების ცენტრში მოექცა. მიმოხილულია მრავალი საკითხი, მათ შორის: პოლიტიკური ურთიერთობა, დიპლომატია, წყაროთმცოდნეობითი კვლევები, ეკონომიკური ურთიერთობები, სამხედრო ისტორიის საკითხები და მრავალი სხვა. ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურის საქართველოში გავრცელებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე არ არსებობს დამოუკიდებელი ნაშრომი აღნიშნული თემის ირგვლივ, ბიზანტიური ტიტულების საქართველოში გავრცელებას ყურადღება მიაქციეს და შეისწავლეს ისეთმა მკვლევარებმა როგორებიც არიან: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, შოთა მესხია, შოთა ბადრიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, ზურაბ პაპასქირი, ილია ანთელავა, თედო დუნდუა, ჯაბა სამუშია, ასევე კირილ თუმანოვი, ვალერი სტეპანენკო, სტივენ რაპი. XI-XII საუკუნეების ბიზანტიური ტიტულები საფუძვლიანად შეისწავლა გამოჩენილმა ბიზანტინოლოგმა ალექსანდრე კაუდანმა. მთელი აღნიშნული შრომა ალექსანდრე კაუდანმა მის ორიგინალურ მონოგრაფიაში „ბიზანტიის მმართველი კლასის სოციალური შემადგენლობა XI-XII სს-ში“ მოაქცია

(Каждан 1974). გამოვლინდა არაერთი ქართული არისტოკრატიული გვარი, რომელიც ამ ეპოქაში ფლობდა ბიზანტიურ ტიტულებს.

„ქართველთა საკურაპალატოს“ შესახებ დისერტაცია დაიცვა შოთა ბადრიძემ, რომელიც მოგვიანებით თსუ-ს შრომებში გამოიცა (ბადრიძე 1965) ჯემალ სტეფნაძემ დაბეჭდა საინტერესო სტატია ბიზანტიური ტიტულების გავრცელებაზე საქართველოში (სტეფნაძე 1976; ანთელავა 1988).

მიუხედავად დიდი ინტერესისა ყველა ზემოთ ხსენებული ავტორი ბიზანტიური ტიტულატურის საქართველოში დამკვიდრების და ქრონოლოგიის საკითხების შესწავლით შემოიფარგლა. ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ტიტულების გენეზისის, ფუნქციის, რაობის და იერარქიული მდგომარეობის საკითხებს ბიზანტიის იმპერიაში. ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება, ტიტულების მნიშვნელობაზე, პრივილეგიებზე და ფინანსურ დოტაციებზე, რომელსაც მათი მფლობელები იღებდნენ ბიზანტიის იმპერატორისგან. კვლევა ძირითადად საქართველოს შეეხებოდა, შესაბამისად ბიზანტიური ტიტულები მხოლოდ ამ კუთხით იქნა შესწავლილი. ამდენად, საკითხი არ არის დამუშავებული კომპლექსურად და ამ კუთხით მუშაობის გადრმავებისკენ გვიბიძგებს.

ქართული ისტორიოგრაფიისგან განსხვავებით, ბიზანტიის კვლევებში ტიტულატურისა და საპატიო ეპითეტების ან ზოგადად ინსტიტუციური სისტემის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს. მათი გაცნობა ქართული ინსტიტუციური საკითხების კვლევის თვალსაზრისით აუცილებელია.

ამ კუთხით კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო. ერთ-ერთი პირველია რუსი მეცნიერის ნიკოლაი სკაბალანოვიჩის მონოგრაფია: „ბიზანტიის სახელმწიფო და ეკლესია XI საუკუნეში“ (Скабаланович 1884).

ყურადღებას იმსახურებს, ასევე ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის შარლ დილის შრომები ბიზანტიის ადმინისტრაციული თუ ინსტიტუციური მოწყობის შესახებ. მისი დისერტაცია, რომელიც 1888 წელს გამოქვეყნდა სწორედ ამ პრობლემის შესწავლას დაეთმო, უფრო კონკრეტულად რავენის ეგზარხატის ადრებიზანტიის ეპოქაში. ნაშრომის სრული სათაურია: „ნარკვევები ბიზანტიის ადმინისტრაციის შესახებ: რავენის ეგზარხატი (568-751)“ (Diehl 1888). ბიზანტიის იმპერიის ძირითადი ისტორიის შესახებ დაწერილი ნაშრომების (Diehl 1919<sup>1</sup>; Diehl

1919<sup>2</sup>) გარდა აღსანიშნავია მისი სტატია სათაურით: „ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება და ადმინისტრაცია“, რომელიც შესულია კემბრიჯის შუა საუკუნეების მეოთხე ტომში (Cambridge Medieval History IV 1923: 726-744).

მნიშვნელოვანია ასევე ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ ბაგნელ ბიურის ნაშრომები ბიზანტიის ადმინისტრაციისა და ბიუროკრატის შესახებ. მათგან, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია „იმპერიული ადმინისტრაციის სისტემა მეცხრე საუკუნეში“ (Bury 1911).

მნიშვნელოვანია ლუი ბრეიეს სამი ტომისგან შემდგარი ფუნდამენტური ნაშრომი „ბიზანტიური სამყარო“. ამათგან, ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა მეორე ტომი „ბიზანტიის იმპერიის ინსტიტუციები“ (Bréhier 1949).

მნიშვნელოვანია გენადი ლიტავრინის „ბიზანტიის საზოგადოება და სახელმწიფო X-XI სს-ში“ (Литаврин 1977). ბიზანტიური ადმინისტრაციული სისტემის გარდა, აღნიშნულ მონოგრაფიაში ყურადღება იმპერიის სოციალურ შემადგენლობებსაც ეთმობა. განსხვავებით სკაბალანოვიჩის ნაშრომისგან იგნორირებულია სასულიერო ფენის როლი, სამაგიეროდ წარმოჩენილია საერო პირების მოღვაწეობა X-XI საუკუნეების ბიზანტიის ყოფა-ცხოვრებაში.

გვიანრომაული და ადრეობიზანტიური ხანის ინსტიტუციებისა და ადმინისტრაციული სისტემის შესახებ საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა ჩაატარეს ისეთმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ მ. თ. ვ. არნჰაიმი (Arnheim 1972), ჯონ ჰალდონი (Haldon 1984), კ. მ. ჯონსი (Jones I-IV 1964), ამ უკანასკნელს განხილული აქვს აღნიშნული ეპოქის ყველა ძირითადი პრობლემატიკა დაწყებული პოლიტიკური ისტორიის საკითხებით დამთავრებული სოციალურით და ინსტიტუციონალურით. მნიშვნელოვანია, ასევე ევერილ კამერონის, დანიელ სლუტესისა და სხვათა შრომები (Cameron 1993; Slaatjes 2006). ბიზანტიის იმპერიის შუა ხანების ინსტიტუციური ისტორიისა თუ პოლიტიკური აზროვნების შესასწავლად მრავალი შრომა არის დაწერილი. მათი ნაწილი უკვე დავახიასიათეთ, როდესაც ჩვენთვის საინტერესო ძირითად შრომებს ვიხილავდით, ხოლო სხვა ავტორებიდან შეიძლება გამოვარჩიოთ, შემდეგი მკვლევარები: როდოლფ გიიანი (Guiland I-II 1967), ნ. თიკონომიდესი (Oikonomides 2005), უ.კ. შენე, სპეროს ვრიონის უმცროსი (Vrionis 1997) და სხვა. გვიანბიზანტიური ინსტიტუციების შესახებ მნიშვნელოვანია: ლ.

მაქსიმოვიჩი (Maksimovic 1988), ი. ა. ბილიარსკი (Biljarski 1998). გ. ხ. სულისი (Soulis 1984), დ. ანგელოვი (Angelov 2007) და სხვა ავტორთა შრომები.



## თავი I

### ბიზანტიური საიმპერო ტიტულატურა და თანამეგობრობის ქვეყნები

ბიზანტიის იმპერია რომის იმპერიის სამართალ მემკვიდრე იყო. სწორედ რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს დაუშვებდა სამეცნიერო სივრცეში ფართოდ დანერგილი სახელწოდება – ბიზანტია. ბიზანტიის მოსახლეობას თავს რომაელებად მიიჩნევდა. მისი ეთნიკური შემადგენლობა ადგილობრივი, ელინიზირებულ მოსახლეობიზგან იყო წარმოდგენილი. მოიუხედავად ბერძნული ენისა და კულტურის ძლიერი გავლენისა ბიზანტიის იმპერია რჩებოდა რომაული ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად. ამდენად, იქამდე სანამ უსუალობ ბიზანტიის იმპერიის საიმპერო ტიტულატურის გავრცელებას მივადევნებთ თვალს თანამეგობრობის ქვეყნებში მნიშვნელოვანია შევეხოთ იმ ტენდენციასაც, რაც წინ უძღოდა ბიზანტიური საიმპერო ტიტულების გავრცელებას საქარველოსა და თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოებში.

რომის იმპერიის პოლიტიკა როგორც წესი აგრესიული იყო, თუმცა იმპერიის ხანაში ფართოდ იყენებდა „მეგობარი მოკავშირე“ ქვეყნების დახმარებასაც. „მეგობარი მოკავშირე“ ქვეყნებში შედიოდა ყველა ის სახელმწიფო განურჩევლად რელიგიისა და ეთნიკური შემადგენლობისა, რომლებიც რომის ხალხისა და სენატის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებდა. ამ ქვეყნებში ფართოდ იყო დანერგილი რომის იმპერიის მოქალაქეობის გაცემის პრაქტიკაც, რაც უზრუნველყოფდა მმართველი ელიტის რომის იმპერიის მმართველ კლასებთან ინტეგრაციას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ქართული პოლიტიკური ერთეულების განხილვა, როგორც რომის იმპერიის საინტეგრაციო ზონის წევრებისა, რომლებსაც კქონდათ მისწრაფება აქტიური მონაწილეობა მიეღოთ რომის იმპერიის თავდაცვითი სისტემის ეფექტურ წარმართვაში. რომი სამაგიეროდ, მათი უშიშროების გარანტორი ხდებოდა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია, არამხოლოდ „მეგობარი მოკავშირე“ ქვეყნების – ქართლის/იბერია, ეგრისის/ლაზიკა და სხვა პოლიტიკურ ერთეულთა კოორდინაციის შესწავლა რომის მმართველ წევრებთან, რომელიც ეფექტურად ხორციელდებოდა ძვ.წ. I – ახ.წ. II საუკუნის ჩათვლით, არამედ უკვე III ფართოდ დანერგილი ლიმესური სისტემის ჩამოყალიბებაც, სადაც საკუთარი

ადგილი ეკავა კოლხეთსაც, რომელიც პონტოს ლიმესის აღმოსავლეთ ნაწილად განიხილებოდა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ინტეგრაცია პონტოს ლიმესში ჩვენ უკვე განვიხილეთ შესაბამის სტატიებში და მას უფრო ვრცლად აღარ შევეხებით, ვინაიდან მათი გაცნობა უკვე შესაძლებელია ორ ენაზე ქართულად და ინგლისურად (იხ.: Dundua, Tavadze 2009; დუნდუა, თავაძე 2011). რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთი საზღვრების პრობლემატიკას ანტიკურ ეპოქაში, იგი გარკვეულწილად შევისწავლეთ, უკვე ჩვენს დამოუკიდებელ ნაშრომში, რომელიც დაეთმო საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის პრობლემებს განხილვას და იმ პოლიტიკურ თუ სოციალურ რეალობას, რომელიც იქ იყო გაბატონებული. საერთო დასკვნის მიხედვით გამოდის, რომ რეგიონის საზღვრების კონტროლს საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა (იხ.: თავაძე 2010). თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ლიმესის სისტემას ადგილი არ ჰქონია. ამდენად, ეს სივრცე შედარებით ნაკლებად იყო ინტეგრირებული რომაულ პოლიტიკური სისტემაში.

მიუხედავად ეფექტური მუშაობისა, ლიმესების სისტემამ, რომელიც სამხედრო ტყვეობაში მყოფი, გადასახლებული ბარბაროსების ხელით სხვა ბარბაროსების შეჩერებას ისახავდა მიზნად არ გაამართლა. რომის იმპერია პოლიტიკურმა ქაოსმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა. ამის გამო იყო, რომ ჰუნების მიერ განხორციელებული მძიმე დარტყმების შემდეგ დასავლეთ რომის იმპერია ბარბაროსების მსხვერპლი გახდა. რომის მემკვიდრის ტვირთი აღმოსავლეთ რომის იმპერიამ იკისრა.

ბიზანტია პირველი ქრისტიანული იმპერია იყო, რომელიც ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ მის გავრცელებას მსოფლიოს მასშტაბით ცდილობს. ქრისტიანობისა და ქრისტიანული ფასეულობების დამკვიდრებით ბიზანტიის იმპერიის მესვეურები საკუთარი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას ცდილობდნენ.

ბიზანტიის პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი ამოსავალი კონცეფცია, ქრისტესმოყვარე ბიზანტიის იმპერატორის იესო ქრისტეს მონაცვლეობა იყო დედამიწაზე. ქრისტესმოყვარე იმპერატორი უფლის მოადგილედ, რჩეულად და ქრისტიანობის დამცველად განიხილებოდა ხილულ სამყაროში. ბიზანტიის იმპერატორი კოსმოკრატორად, ანუ ამქვეყნიული სამყაროს მბრძანებლად იქცა,

ხოლო ქრისტე – პანტოკრატორად, ანუ სრულიად ხილული და უხილავი სამყაროს მეუფედ. იმპერატორი, ქრისტეს ვასალად განიხილებოდა, ხოლო მოსახლეობა მის მონებად.

იმპერატორის პრივილეგია იყო წოდებულიყო „ყოვლისა დროის მეუფედ“ ანუ ხრონოკრატორად. იმპერატორი ამქვეყნიური დროის მეუფეა, რომელსაც ბიზანტიელთა შეგნებით ყოველი სულიერის განსჯა შეეძლო, მათი ცხოვრების ყოველი წუთი და საათი მისი კეთილი ნების გამოხატულებად ითვლებოდა. ამგვარი იყო ბიზანტიური იმპერიული იდეოლოგიის ერთ-ერთი ამოსავალი კონცეფცია, ბიზანტიის იმპერატორის ადგილის შესახებ ქრისტიანულ სამყაროში.

ამგვარად, ბიზანტიის იმპერატორი ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანის იმპერატორად იქცა, რომლის მოვალეობა ქრისტიანებზე ზრუნვა, სარწმუნოების დაცვა და ურწმუნოთა ჭეშმარიტ მრწამსზე მოქცევა იყო. ამ კუთხით მნიშვნელოვანია იმპერატორის გააზრება, როგორც ქრისტეს საფლავის მცველისა, იმ საფლავისა, სადაც მოგვიანებით აღდგომის ტაძარი აიგო. ითვლებოდა, რომ იმპერატორის მეუფება დედამიწაზე შეუზღუდავი იყო. აქედან გამომდინარე, ნელ-ნელა დამკვიდრდა ბიზანტიის იმპერატორის საიმპერატორო ტიტულებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული – ავტოკრატორის (ქართულად თვითმპყრობელი) ტიტული.

იმპერატორის ოფიციალური ტიტული იყო ავგუსტუსი ანუ „ღმერთთაგან აღზევებული“, რომელიც იმპერიის ოფიციალურ რეგალიებსა თუ სამართლის ძეგლებში ავტოკრატორის ფართოდ გავრცელებამდე საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა. ბერძნულად იმპერატორს ბასილევსს უწოდებდნენ. სწორედ ტიტულები ავგუსტუსი, ავტოკრატორი და ბასილევსი იყო ბიზანტიის იმპერატორის უმთავრესი ოფიციალური საიმპერატორო ტიტულები. არსებობდა იმპერატორის სხვა, ოფიციალური თუ საპატიო ტიტულები და ეპითეტები, რომლითაც ის ცერემონიების დროს იწოდებოდა. თუმცა, ამ ეტაპზე უმჯობესია, მხოლოდ ძირითადი ტიტულების აღნიშვნით შემოვიფარგლოთ.

### **საკარისკაცო და სენატორული ტიტულები**

საიმპერატორო საპატიო ტიტულებისა და ეპითეტების გარდა, ბიზანტიის თანამეგობრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სენატორულ, იგივე საკარისკაცო

ტიტულებს. საიმპერო საკარისკაცო ტიტულები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ადმინისტრაციულ მოწყობასთან ერთად შეიქმნა. ამას კი საფუძველი რომის იმპერიის ხელისუფლების ორგანოს, სენატის, კონსტანტინოპოლში შექმნამ ჩაუყარა.

რომში არსებული სენატი, რომელიც თავის დროზე რესპუბლიკის მმართველი ორგანო იყო, პრინციპების ეპოქაში ნელნელა დაკნინდა, თუმცა გარკვეული ინერციით მაინც შეინარჩუნა გარკვეული უფლება-მოსილება.

კონსტანტინოპოლის, ახალი ქალაქის დაარსებას ახალი სენატის შექმნა მოჰყვა შედეგად. ამიერიდან რომის იმპერიაში ორი პოლიტიკური ცენტრი, რომი და კონსტანტინოპოლი, თანაარსებობდა ორი დამოუკიდებელი სენატით. კონსტანტინოპოლის სენატმა, ისევე აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ბიზანტიის სენატის სახელი დაიმკვიდრა თანამედროვე ისტორიოგრაფიაში.

სენატი ლათინური სიტყვაა და ამავე ენაში დამკვიდრებულ სიტყვა სენექსიდან მომდინარეობს, რაც ნიშნავს უხუცესს. სენატი რომის რესპუბლიკის ეპოქაში განუსაზღვრელ უფლებებს ფლობდა და წარმოადგენდა ქვეყნის ოფიციალურ მმართველ ორგანოს. სენატი წარმოადგენდა რომის, როგორც წარმომადგენლობით, ასევე აღმასრულებელ და საკანონმდებლო სტრუქტურას. იმპერიის ეპოქაში სენატის როლი მნიშვნელოვნად დაქვეითდა და ერთგვად მრჩეველთა საბჭოდ გადაიქცა, უხეშად განსაზღვრული უფლება-მოვალეობებითა და პრივილეგიით (ODB III 1991: 1868). სენატს ბიზანტიის იმპერიაში ბერძნულად „სინკლეტოს“ (σύνκλητος) უწოდებდნენ.

ბიზანტიის სენატში თავს იყრიდა იმპერიის მმართველი ელიტა. მათ შორის იყვნენ იმპერიის პროვინციის მმართველები და სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული მოხელეები. პროვინციის განმგებლები, როგორც წესი, მმართველი ფენის ზედა ეშელონებს წარმოადგენდნენ.

რომის იმპერიის არსებობის დროს სენატში, უმაღლესი რომაული არისტოკრატის წევრები იყვნენ წარმოდგენილი. სენატორობა არ იყო მხოლოდ თანამდებობა, ის კონკრეტული პირის სოციალურ სტატუსს განსაზღვრავდა. ძველი რომაული არისტოკრატია ერთიანდებოდა ან სენატორულ წოდებაში, ანდა ეკვესტრულ რანგში. ეკვესტრული (ლათინურად ნიშნავს ცხენოსანთას) წოდება სამხედრო სამსახურში დაწინაურებული ფენა იყო. მათი წარმოშობა, განსხვავებით

სენატორისგან, დაბალი იყო. რომაელი სენატორები პატრიციების სოციალურ ჯგუფს წარმოადგენდნენ, ხოლო ეკვესტრული წოდების მფლობელები პლებების მასიდან გამოსული ხალხი იყო, რომელიც სამხედრო სამსახურის დროს დაწინაურდა და აღზევდა. რომაელი სენატორები კლარისიმუსად (ლათ. clarissimus; ბერძ. λαμπρότατος) იწოდებოდნენ, ხოლო ეკვესტრები – პერფექტისიმუსად (ლათ. perfectissimus; ბერძ. διασημότητα) და ეგრეგიუსის (ლათ. egregius; ბერძ. κριστος) ან ემინენტისიმუსის (ლათ. eminentissimus; ბერძ. ἐξοχώτατος) ტიტულს ატარებდნენ. უკანასკნელით მხოლოდ პრეტორიანელთა პრეფექტი იწოდებოდა (Slootjes 2006: 21-22; Cambridge Ancient History..., 2000: 262).

მესამე საუკუნეში იმპერატორები სამოსელო თანამდებობებზე დამტკიცებისას პრივილეგიებს ეკვესტრებს უფრო ანიჭებდნენ, ვიდრე სენატორებს, რაც მათ მიერ სათანადო სამხედრო გამოცდილების ქონით შეიძლება აიხსნას. ამდენად, სენატორებმა დაკარგეს არაერთი თანამდებობა, რომელიც მანამდე მათი პრივილეგია იყო. კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) შემდეგ ვითარება შეიცვალა – ეკვესტრული წოდება ნელ-ნელა გაქრა, ხოლო მისი ადგილი სენატორებმა დაიკავეს.

კონსტანტინოპოლში დაარსებულ ახალ სენატში კონსტანტინე დიდმა სენატორები დანიშნა თითქმის ყველა იმ თანამდებობაზე, რომლებიც ადრე ეკვესტრებს ეძლეოდათ. მათ შორის, პრესესის, ვიკარის, პრეტორიანელთა პრეფექტის და ა.შ. ეკვესტრული კლასის დამცრობამ აღზევებული სენატორები იმპერიის ერთადერთ ელიტად აქცია. (Slootjes 2006: 22; Jones ..., 1964: 528). მეოთხე საუკუნის ბოლოსთვის პროვინციის ყველა მმართველი სენატორთა წოდების წარმომადგენელი იყო (Slootjes 2006: 22).

რომის იმპერიაში იერარქიას დიდი ადგილი ეკავა, ამდენად ყველა სენატორი არ იყო თანაბარი პატივის მქონე. ისინი შესაბამისი თანამდებობების მიხედვით განსხვავებულ რანგებად იყოფოდნენ. იმპერატორების ვალენტინიან I (364-375 წწ.) და მისი შვილის, გრაციანუს (375-383 წწ.), დროს სენატორების სამ რანგი ჩამოყალიბდა: უმაღლესი რანგის მფლობელები ილუსტრისებად (ლათ. illustris; ბერძ. ἰλλούστρις) იწოდებოდნენ, შემდეგ მოდიოდა სპექტაბილისი (ლათ. spectabilis; ბერძ.

πειθλεπτος), ხოლო ყველაზე დაბალი იყო კლარისიმუსის (ლათ. clarissimus; ბერძ. λαμπρότατος) რანგი (Slootjes 2006: 23; Jones ..., 1964: 529; Kuhoff 1982: 271).

სენატორობა ტრადიციულად მემკვიდრეობითი იყო, თუმცა როგორც კი მამაკაცი მისი წვერი გახდებოდა, იღებდა ყველაზე დაბალ, კლარისიმის, რანგს. სენატის წოდებაში მიღება იმპერატორის მიერ სპეციალური დადგენილების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, რაც რანგის შესაბამისი თანამდებობის მიღებით იყო შესაძლებელი (იხ.: Slootjes 2006: 23 სქ. 35; Jones ..., 1964: 529).

პრესიდის, კორეკტორის, კონსულარის თანამდებობის მფლობელები ერთიანდებოდნენ კლარისიმის სენატორულ რანგში. პროკონსულისა და ვიკარის თანამდებობების მქონელები სპექტაბილისის რანგის მფლობელები იყვნენ. ყველა პრეტორიანელთა პრეფექტი ილუსტრისად იწოდებოდა (Slootjes 2006: 23; Jones ..., 1964: 529; Ausbuttel 1988: 115; Talbert 1984: 488-91).

ილუსტრების გავლენა იმპერიაში უფრო მეტად გაიზარდა. 440 წლისათვის მათ მიენიჭათ ფისკალური და სასამართლო უფლებები, რითიც მნიშვნელოვნად დაწინაურდნენ დაბალი რანგის სენატორებზე. ამის შემდეგ სენატის წამყვან ჯგუფად სწორედ ილუსტრისის რანგის მქონე სენატორები იქცნენ (იხ.: Slootjes 2006: 23; Jones ..., 1964: 529; Ausbuttel 1988: 115; Talbert 1984: 488-91; ODB II 1991: 986-987).

აღსანიშნავია ისიც, რომ სენატორული ტიტულების მიღება შესაძლებელი იყო, არამხოლოდ გარკვეული თანამდებობის მიღებასთან ერთად, როგორც ეს ხდებოდა ტრადიციულად, არამედ საპატიო ტიტულის სახითაც, ყველანაირი თანამდებობის გარეშე, იმპერატორის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე. ყველა თანამდებობის გაცემა შესაძლებელი იყო საპატიო ტიტულის სახით, მათ შორის, პრეტორიანელთა პრეფექტისაც. (Slootjes 2006: 23).

სენატორული ღირსების მინიჭებასთან ერთად იმპერატორის პრივილეგია იყო, ჩამოერთვა მისივე გაცემული საპატიო ტიტული ან თანამდებობა. დანიელ სლუტერს მოჰყავს ებრაელი პატრიარქის, გამალიელის, მაგალითი, რომელსაც იმპერატორმა პრეტორიანელთა პრეფექტის საპატიო ტიტული უბოძა. თუმცა მას მერე, რაც პატრიარქმა გამალიელმა ბოროტად დაიწყო მიღებული წყალობით სარგებლობა, იმპერატორმა გამალიელს ტიტული ჩამოართვა. ამით ებრაელმა პატრიარქმა ხელშეუხებლობა, ფინანსური შეღავათები, ახალი სინაგოგების

მშენებლობის უფლება და ქრისტიანთა და ებრაელთა შორის სამართლის წარმოების უფლება დაკარგა. გამალიელის მაგალითი მართლაც თვალსაჩინოა. ის აჩვენებს, რომ ქრისტიანული რომის იმპერიის უმაღლეს საერო იერარქიაში, მიუხედავად განსხვავებული რწმენა-წარმოდგენებისა, ნებისმიერი აღმსარებლობის პირები დაიშვებოდნენ.

ამდენად, სენატორული ტიტულების მიღებით სენატორები მრავალ პრივილეგიას ეუფლებიან, მათ შორის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური შეღავათები იყო, ასევე გათავისუფლება იმ სამოქალაქო სამსახურის შესრულებისგან, რომელიც ევალებოდათ იმპერიის ადმინისტრაციის წინაშე. სენატორული ტიტულების მომრავლებამ აიძულა იმპერატორები სპეციალური ბრძანება გამოეცათ და სენატორებისთვის კვლავ დაევალებულენათ სახელმწიფო გადასახადების გადახდა, ასევე შეესრულებინათ ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც სენატორს ევალა კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეული წინაშე (Slootjes 2006: 24).

ილუსტრების სენატორული ღირსება საბოლოოდ გავრცელდა უმაღლესი თანამდებობის ისეთ პირებზე, რომლებიც ფლობდნენ პრეტორიანელთა პრეფექტის, ქალაქის პრეფექტის, სამხედრო მაგისტრის, კონსულის, პატრიკიოსისა და სხვა სახელოებსა თუ საპატიო ტიტულებს (ODB II 1991: 986-987).

V საუკუნის შუა წლებიდან ილუსტრისის ტიტულის მფლობელები მაგნიფიკებად (ლათ. *magnifici*), ხოლო ოდნავ მოგვიანებით ექსელსებად (ლათ. *excelsi*) იწოდებიან. 450-530 წლებს შორის სენატორულ პატივს კარგავენ ძველი – სპექტაბილისის და კლარისიმუსის ტიტულის მფლობელები. ამიერიდან სენატორებად მხოლოდ ილუსტრისები იწოდებიან (ODB I 1991: 468; ODB II 1991: 855).

ილუსტრისის ტიტულის მფლობელები იმდენად გამრავლდნენ, რომ უკვე VI საუკუნეში მათ შორის ყველაზე დაწინაურებულები გლორიოსებად, ანუ გლორიოსისიმუსად (ლათ. *gloriosissimus*; ბერძ. *ἐνδοξότατος*) იწოდებნენ. მსგავსად ილუსტრისისა V საუკუნის ჩათვლით გლორიოსის ტიტული იმპერიის უმაღლეს მოხელეებს ეძლეოდათ. ამავე ტიტულს გასცემდნენ ასევე ბარბაროს მეფეებზე,

მათგან ამ რანგს ფლობდა იტალიის ოსტგოთი მეფე თეოდორის დიდი. (ODB II 1991: 855).

რომის იმპერიის ეპოქაში იმპერატორებმა მნიშვნელოვნად შეზღუდეს სენატისა და სენატორების ძალაუფლება ამ პროცესმა ერთგვარ კულმინაციას იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) მმართველობის დროს მიაღწია (დიოკლეტიანეს დროს სენატორების დამცრობის შესახებ იხ.: Arnheim 1972: 39-48). დიოკლეტიანეს დროს თითქმის ყველა წამყვან თანამდებობაზე რომის დაბალი წარმოშობის მოქალაქეები ინიშნებოდნენ. მაგალითისთვის გამოდგება რომის იმპერიის ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობები, როგორც არის პრეტორიანელთა პრეფექტი, ვიკარი, პრეზიდი. დიოკლეტიანეს დროს ჩვენთვის ცნობილი პრეტორიანელთა ხუთი პრეფექტიდან სამი უბრალო წარმოშობის იყო, ხოლო ორის წარმომავლობა გაურკვეველია. დაახლოებით იგივე სურათია ვიკარების შემთხვევაშიც, ექვსიდან ოთხი დაბალი წარმოშობის იყო, ხოლო ორი – გაურკვეველი. პრეზიდების შემთხვევაში საქმე კიდევ უფრო მძიმეა, 37 პრეზიდიდან 27 არასენატორული წარმოშობისაა, ხოლო 10 – გაურკვეველი. (Arnheim 1972: 43, 46) დიოკლეტიანე თავადაც დაბალი წარმოშობის ილირიაში დაბადებული ბერძენი იყო, რომელიც იმპერიაში სამხედრო სამსახურის წყალობით დაწინაურდა. ამდენად, მის მიერ არისტოკრატიის ძალაუფლების შეზღუდვა ნაკლებად გასაკვირია.

კონსტანტინე I დიდის (306-337 წწ.) დროს სიტუაცია შეიცვალა. თავად არისტოკრატიული წარმოშობის კონსტანტინემ დიდი ყურადღება მიაქცია ტრადიციული რომაული ტიტულების აღდგენას. სწორედ მის დროს იქმნება ძველი პატრიციების წოდებაზე დაყრდნობით ახალი პატრიკიოსოს (ლათ. პატრიკიუს) საპატიო ტიტული, ასევე კონსულის საპატიო ტიტული, რომელიც გარკვეული პროვინციების მმართველებს დაურიგდათ (Arnheim 1972: 51). მნიშვნელოვანია კონსტანტინეს მიერ სენატის დაარსება კონსტანტინოპოლში. რომის სენატორებისგან განსხვავებით, იმისთვის, რომ კონსტანტინოპოლელი სენატორები მათგან გამოეჩინათ – კონსტანტინოპოლის სენატორები კლარებად (ლათ. clari) იწოდნენ, ხოლო რომაელები – კლარისიმებად (clarissimi) (ODB I 1991: 468).

მეექვსე საუკუნიდან ბიზანტიის სენატში გარკვეული ცვლილებები ხდება. მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ იმპერატორ კონსტანტინე I დიდის მიერ იყო



ინიცირებული, თუმცა ახალი წესების დამკვიდრებას გარკვეული დრო დასჭირდა. კეისრის ტიტულის გარდა, რომელიც იმპერატორმა დიოკლეტიანემ შემოიღო და უბოძა მის თანამმართველს (მანამდე იმპერატორის საპატიო ტიტული იყო), იმპერატორმა კონსტანტინემ ჩამოაყალიბა ნობილისიმატი, რომელშიც ნობელისიმუსის ტიტულის მქონე პირები გაერთიანდნენ. კეისრები და ნობელისიმუსები მხოლოდ იმპერატორის ოჯახიდან ირჩეოდნენ, მათ შორის შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ნაშვილები, ასევე იმპერატორის დეიძლი შვილი, ძმა და ახლო ნათესავი. აღნიშნული ტიტულის მქონე პირების პოზიცია პრეტორიანელთა პრეფექტზე აღმატებული იყო.

კონსტანტინეს დროს განახლდა ძველი პატრიციების (ბერძ. პატრიკიოსი) წოდებაც, რომელიც საპატიო ტიტულად იქცა. იმპერატორმა ზენონმა (474-491 წწ.) პატრიციის ტიტული ყველა კონსულსა და პრეფექტს უბოძა, ხოლო იუსტინიანე I დიდმა (527-565 წწ.) კი – ყველას, ვინც ილუსტრისის რანგში იყო აყვანილი (Bury 1911: 20).

მოქმედი ადმინისტრაციული თანამდებობის პირები, ჯონ ბაგნელ ბიურის მიხედვით, ორად იყოფოდნენ: მოქმედი ოფიცოზი (ἔμπρακτοι) და საპატიო ტიტულის მქონე პირები (ἄμπρακτοι). ეს უკანასკნელები ასევე ორ ჯგუფად იყოფოდნენ: ილუსტრის ვაკანტეს (illustres vacantes) და ილუსტრის ჰონორარი (illustres honorarii). ამათგან პირველი საპატიო ტიტულს ფლობდა ადმინისტრაციული თანამდებობის გარეშე, ხოლო ინსიგნიის სახით იღებდა სარტყელს (cingulum). მეორე, ანუ ილუსტრის ჰონორარი გადამდგარ სენატორს ეწოდებოდა. (Bury 1911: 143).

VII-VIII საუკუნეებში იმპერიული საკარისკაცო და სამოხელეო ტიტულების ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათი გაცემა უკვე შესაბამის ინვესტიტურასა და ინსიგნიასთან ერთად ხდებოდა. იმპერატორის სასახლესთან არსებობდა, ისეთი სამოხელეო თანამდებობები, როგორც იყო: სილენტიარი, ვისტიტორი, მანდატორი, კანდიდატი, სტრატორი, სპათარი. ყველა ეს თანამდებობის მქონე პირს გარკვეული უფლება-მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული. ეს ტიტულები ეძლეოდათ მნიშვნელოვან სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის მფლობელ პირებს. არსებობდა ამ თანამდებობების უხუცესის ტიტულიც, მაგალითად, სპათართა შორის უპირველესი პროტოსპათარიოსად იწოდებოდა. პროტოსპათარიოსი

სპათარზე უპირატესი ტიტული იყო და იერარქიაში პატრიკოსის შემდეგ იკავებდა ადგილს. სპათარიოსსა და სპათარს შორის მოქცეული იყო სპათაროკანდიდატი. სპათარიოსის გარდა, იყო სხვა ტიტულები, მაგალითად, იპატოსის, რომელიც რომაული ხანის კონსულის შემცვლელი იყო და ამ პერიოდისთვის საპატიო ტიტულად იქცა. იპატოსზე უპირატესი იყო დისიპატოსი (ლათ. *bis consule*) (Bury 1911: 21).

პატრიკოსი და იპატოსი VII საუკუნის წამყვან სენატორულ ტიტულებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი სენატორული ტიტულები იყო. მაღალ წოდებებს წარმოადგენდნენ, ასევე აპოეპარხისა (ლათ. *ex praefecti*) და სტრატილატის ტიტულები.

მომდევნო საუკუნეებში ზემოხსენებული ტიტულების რიცხვი უფრო გაიზარდა და გამრავალფეროვნდა. მათი დიდი ნაწილი შედარებით პრივილეგირებულ და ნაკლებად პრივილეგირებულ ტიტულებად დაიყო. პატრიკოსი ორ ჯგუფად გაიყო: 1) პატრიკოსები, რომელთა ინსიგნიას სპილოს ძვლის მედალიონი წარმოადგენდა 2) უფრო დაწინაურებული პატრიკოსები, რომელთა ტიტულს ანთიპატოსის (რომაული ხანის პროკონსული) ღირსება დაემატა და იქცა ანთიპატოს პატრიკოსად. შეიქმნა უფრო მაღალი მაგისტროსის ტიტულიც ამ ტიტულის შემოდება *magister-officiorum*-ის გაუქმებას უკავშირდება. თავიდან მაგისტროსი მხოლოდ ერთი იყო, ხოლო მოგვიანებით ჩნდება რამდენიმე მაგისტროსი, თუმცა ის იშვიათ შემთხვევებში გაიცემოდა იმპერატორის მიერ (Bury 1911: 21).

სენატორული და სამოხელეო ტიტულების ვრცელ სიებს წარმოგვიდგენენ ბიზანტიური საიმპერიო განაწესის დოკუმენტები – ტაქტიკონები (ტაქტიკა). IX-X საუკუნეების ოთხი ბიზანტიური ტაქტიკონის მიხედვით, სამოხელეო და საკარისკაცო ტიტულების იერარქია გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, თუმცა ეს არ ეხება უმაღლეს საკარისკაცო ტიტულებს. მნიშვნელოვანი ტიტულების მქონე პირების იერარქია, ამ ეპოქაში, როგორც წესი, არ იცვლება. გვაქვს გამონაკლისი შემთხვევებიც. არსებულ ტაქტიკონებს შორის ყველაზე ვრცელი ფილოთეოსის „კლემენტოლოგიონია“, რომელიც 899 წელს შეადგინეს, ხოლო უძველესი ე.წ. უსპენსკის ტაქტიკონი, რომელიც 842-843 წლებშია შედგენილი. გვაქვს ასევე ე.წ.

ბენეშევიჩის ტაქტიკონი 934-944 წლებისა და ესკორეალის ტაქტიკონი 971-975 წლების.

ფილოტეოსის „კლექტოროლოგონი“ თავისი მნიშვნელობითა და ტექსტის მოცულობით, ალბათ, ყველაზე უფრო ძვირფასია აღნიშნულ ტაქტიკონებს შორის. თავად ტექსტი ოთხ სექციად არის დაყოფილ, რასაც მოსდევს დამატება. (Oikonomidès. 1972: 66). ვინაიდან ფილოტეოსის ტექსტში დაწვრილებით არის მოცემული, არამხოლოდ სათანადო საკარისკაცო ტიტულების სია, არამედ მათი ინვესტიტურა, ინსიგნია, ჩვენც საორიენტაციოდ სწორედ მისი ტექსტი ავიღეთ. „კლექტოროლოგონის“ ტექსტზე დაყრდნობით ტაბულის სახით წარმოვადგენთ ნარატივში მოცემული ტიტულების რიგითობას, ინსიგნიას, ინვესტიტურასა და წლიურ სარგოს თითოეულ ტიტულზე. ორიგინალი ტექსტისგან განსხვავებით რიგითობის დაცვისას ყველაზე მნიშვნელოვან ტიტულებს სიის სათავეში მოვაქცევთ, ხოლო ნაკლებ მნიშვნელოვანი ტიტულები, შესაბამისად, სიის ბოლოს მოექცევა.

ფილოტეოსის ტექსტის მიხედვით, სენატორული ტიტულების იერარქია შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

ტიტული. ინსიგნია. ინვესტიტურა.

1. კეისარი. გვირგვინი ჯვრის გარეშე, იგივე სტეფანისი. იგივე სამოსი რაც ნოველისიმოსს.
2. ნოველისიმოსი. სარტყელი. ძოწისფერი ქიტონი ოქროს ორნამენტებით შემკული და ხლამიდა.
3. კურაპალატი. სარტყელი. წითელი ხიტონი ოქროს ორნამენტით შემკული და ხლამიდა.
4. ზოსტე პატრიკოსი. სპილოსძვლის მედალიონი, პატრიკოსების მსგავსად.
5. მაგისტროსი - გლორისიმუსი. ტყავის წითელი სარტყელი ძვირფასი ქვებით შემკული. თეთრი ხიტონი ოქროსქსოვილითა შემკული.
6. ანთიპატოსი. ძოწისფრად დაწვრილი კოდიკელოსი (ლათ. codicillus; ბერძ. κωδῖκελλος).

7. პატრიციუსი – სპექტაბილისი. ფირფიტა სპილოს ძვლის ორნამენტით კოდიკელოსთან ერთად დაწერილი კანონის სახით.
8. პროტოსპათარიოსი. ყელსაბამი ძვირფასი ქვებით შემკული.
9. დისიპატონი. დიპლომი.
10. სპათაროკანდიდატი. ოქროს ყელსაკიდი.
11. სპათარიოსი. ოქროსტარიანი მახვილი.
12. იპატოსი. დიპლომი.
13. სტრატორი. ოქროს მათრახი მარგალიტით შემკული.
14. კანდიდატი. ოქროს ყელსაკიდი.
15. მანდატორი. წითელი არდანი
16. ვესტეტორი. ფიბლატორიონი.
17. სილენტიარიოსი. ოქროს არდანი.
18. აპოეპარხი. დიპლომი.
19. სტრატელატი. დიპლომი.

ამათგან ექვსი ტიტული სენატორულია, ხოლო ნაწილი კი, როგორც ამას ფილოთეოსის ტრაქტატში ვკითხულობთ, *πριελευσιμαῖσι* ან *βασιλικῶν*. (Bury 1911: 22-23) ამდენად, როგორც ჯ. ბ. ბიური აღნიშნავს, გამოიყოფა ორი სახის პატივს (*cursus dignitatum*), ერთი სენატორული და მეორე სამხედრო. პატრიციოსები და სხვა მასზე მაღალი სახის ტიტულები შეიძლება ორივე ჯგუფს წარმომადგენელს გადასცემოდა. სენატორებად ფილოთეოსთან იწოდებიან: სტრატელატი, აპოეპარხი, სილენტიარიოსი, ვესტიტორი, იპატოსი, დისიპატოსი. სამხედრო ჯგუფის წოდებებს, ანუ საიმპერიო კარის (*βασιλικῶν*) მიაკუთვნებოდა: მანდატორი, კანდიდატი, სტრატორი, სპათარიოსი და სპათაროკანდიდატოსი. ასეთი დაყოფა თითქოს ძველი სენატორული და ეკვესტრული წოდებების რემინისცენსიას გვაფიქრებინებს. გვიანრომაული ეპოქისგან განსხვავებით IX-X საუკუნეებში უკვე დიდი ხანია, რაც აღარ არსებობს ეკვესტრული წოდება. შესაბამისად, სენატორთა წოდებას სამხედრო სამსახურის მქონე ჩინოსნებს ბუნებრივია, ვერ გამოვაკლებთ. სენატორი თავისუფლად ითავსებს სამხედრო თანამდებობას და, შესაბამისად, იღებს კიდევ სამხედრო სამსახურში მონაწილეობას.

ჯონ ბაგნელ ბიურის მიხედვით, სენატორებიც იღებდნენ მონაწილეობას ცერემონიებში, მაგრამ არ მონაწილეობდნენ *πρωτεύσεις*-ში, ანუ საიმპერიო მსვლელობაში. აღნიშნული მსვლელობის დროს იმპერატორის ამალას საიმპერატორო კარის მოხელეები (*βασιλικοί*) შეადგენდნენ (Bury 1911: 23). ასეთი დაყოფა ვფიქრობთ, რომ პირობითია, რადგან სამხედრო ტიტულის მფლობელები თავადაც იწოდებიან სენატორული ტიტულებით (Catalogue ...2001: 13; Bury 1911: 23), რაც, ერთის მხრივ, იმის მაჩვენებელია, რომ ბიზანტიაში დიდი ხნია, წაიშალა განსხვავება სენატორსა და სამხედრო სამსახურში მყოფ პირებს შორის. მოგვიანებით ეს ფორმალური განსხვავებაც წაიშალა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ძველი სენატორული გვარები ამ დროისთვის თითქმის არ არსებობდა. ამდენად, სამოხელეო აპარატსა და სენატში მეტ-ნაკლებად ყველას ჰქონდა მოხვედრის შანსი. ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა XI საუკუნეში, როდესაც, მიხედვით ატალიატეს შეფასებით, იმპერიაში სენატორების რაოდენობა „მილიარდობით“ იყო, რაც, ბუნებრივია, მათი რაოდენობის საგულისხმო გაზრდაზე მიუთითებს და არა ობიექტურ რეალობაზე.

\* \* \*

აქვე მნიშვნელოვანია *βασιλικοί*-ის ანალოგია ქართულ რეალობასთან. IX-X საუკუნეების ინსტიტუციური დაყოფიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მათი შესატყვისი შუა საუკუნეების ქართულ სოციალურ სისტემაში „ტაძრეულია“. სწორედ ტაძრეულები შეადგენდნენ მეფის მსახურეულ ფენას და სამოხელეო თანამდებობების შესაბამისად იყოფოდნენ რამდენიმე ჯგუფად: მანდატურები, მეჭურჭლენი, მსახურები, მწიგნობები და სხვა. ანალოგიური სურათია ბიზანტიაშიც. იქ არსებობს ისეთი ჯგუფები, როგორც არი: მანდატორი, კანდიდატი, სპათარი, სტრატორი და ა.შ. ამ კუთხით კვლევა ძალიან საინტერესოა, თუმცა ამაზე სიტყვას მეტს აღარ შევაჩერებთ, რადგან იგი სცილდება ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს.

ბიზანტიური სამოხელეო წყობის თანდათანობითი შემოსვლა ქართულ სოციალურ რეალობაში ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულების გამოჩენასთან ერთად არის სავარაუდებელი. მანამდე ქართული სამოხელეო წყობა ირანულის

ანალოგია უფრო იყო, ვიდრე ბერძნულ-რომაულის. ამ ყველაფერს აქემენიდების-პართიის-სასანური ირანის მძლავრი გავლენა ემატებოდა. რომაულ/ბიზანტიური გავლენა უფრო ქრისტიანობის გავრცელებამ მოიტანა. სამოხელეო სისტემაში ბიზანტიის ადმინისტრაციული აპარატის დამკვიდრება ერისმთავრობის დამყარების თანმდევი პროცესი უნდა ყოფილიყო.

ქართლსა და მის მეზობელ ქვეყნებში (სომხეთი, ალბანეთი) ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები მძლავრად იკიდებს ფეხს. მათი გაცემა, როგორც საისტორიო წყაროები გვიჩვენებს, დიდი რაოდენობით ხდებოდა (დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: 93-94), რაც ბუნებრივია, გამოიწვევდა ბიზანტიური სამოხელეო-საკარისკაცო ტიტულების შეთვისებას და მათი ანალოგიით ახლის დამკვიდრებას.

\* \* \*

XI-XII საუკუნეებში ბიზანტიის უმაღლეს სამოხელეო თუ სენატორულ თანამდებობებზე გაძლიერდა ბიზანტიის საგვარეულო არისტოკრატის გავლენა. სამართლიანი იქნება აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებიდან უნდა დაწყებულიყო (Каждан 1974: 131, ტაბ. 1). ალექსანდრე კაუდანის შეფასებით, არისტოკრატული ოჯახები უფრო მეტად დამკვიდრდნენ ბიზანტიის პოლიტიკურ ელიტაში (Каждан 1974: 123), რაც განპირობებული იყო მათ მიერ თანამდებობებისა და ტიტულების ფლობის სისწორით. თუ ადრე ბიზანტიის ელიტა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა, ხოლო წამყვანი არისტოკრატული გვარის წევრები ხშირად კარგავდნენ ადგილს უმაღლეს ელიტაში XI-XII საუკუნეებში მათი პოზიცია გამყარდა (Каждан 1974: 130-132).

ბიზანტიაში შენარჩუნდა სენატორული ტიტულების დიდი ნაწილი, თუმცა გაჩნდა რამდენიმე ახალი ტიტული, რომელიც პოპულარული იყო XI-XII საუკუნეებში. უფრო მეტიც, XI საუკუნეში სევასტოსის ტიტულის გამოჩენასთან ერთად საიმპერიო წოდებების გარკვეული სახის რეფორმაციაც კი განხორციელდა. ამას წინ უძღვოდა იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) მიერ საიმპერიო წოდებების მასიური გაცემა. XI საუკუნის ბოლოს ამ პროცესის ლოგიკური გაგრძელება ალექსი I კომნენოსმა სენატორული ტიტულების რეფორმაციაში დაინახა. იმპერიის უმაღლესი საკარისკაცო პატივი სევასტოსისა და

ავტორკრატორის შერწყმის შედეგად შექმნილი სევასტოკრატორის ტიტული გახდა. მას მოსდევდა კეისრის, პანიპერსევასტოსის, პროტოსევასტოსის, სევასტოსის, პროტონოველისიმოსის, ნოველისიმოსისა და სხვა ტიტულები. ამ დროს ხმარებიდან ამოიღეს მრავალი ძველი ტიტული, მათ შორის, მაგისტროსის, პატრიკოსის, დისიპატოსის, იპატოსის, ანთიპატოსის, პროტოანთიპატოსის, დისანთიპატოსის. (ODB I 1991: 111; ODB II 1991: 964, 1267; ODB III 1991: 1600). ამ და სხვა ტიტულების ხმარებიდან ამოღება ერთბაშად არ მომხდარა. მათმა მფლობელებმა გარკვეულწილად, შეინარჩუნეს ტიტულები ცხოვრების ბოლომდე და იღებდნენ კიდევ შესაბამის სარგოს წოდების შესაბამისად. ბოლოს კი, ვინაიდან იმპერატორი მათ არსებობას საჭიროდ აღარ თვლიდა, ამ ტიტულების გაცემა შეწყდა, რასაც ძველი მფლობელების გარდაცვალების შემდეგ ბევრი მათგანის გადაშენება მოჰყვა. მაგალითად, ტიტული მაგისტროსი ფსევდო-კიდონისის ნაწარმოებში პირდაპირ არის დასახელებული ხმარებიდან გასულ ტიტულად (ODB II 1991: 1267; Verpeaux 1966: 338).

აღექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) რეფორმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მისი განხორციელება იმპერატორმა მმართველობის პირველივე წლებიდან დაიწყო. რეფორმას არ ჰქონია ერთჯერედი საკანონმდებლო ინიციატივის სახე და იმპერატორის სოცოცხლის ბოლომდე ეტაპობრივად ხორციელდებოდა რაიმე სახის რადიკალური ღონისძიებების გარეშე. რეფორმაციის მთავარი მიზანი კომნენოსების დინასტიასთან დაახლოებული ყველა ძირითადი არისტოკრატიული ოჯახის აღზევება იყო. ამან საფუძველი დაუდო კომნენოსთა დინასტიის კლანურ მმართველობას, რაც საუკუნეზე მეტი გაგრძელდა. XII საუკუნე თამამად შეიძლება ჩაითვალოს კომნენოსთა ეპოქად ბიზანტიის ისტორიაში. ანგელოზთა დინასტია, რომელიც თავს კომნენოსადაც მოიხსენიებდა ბიზანტიის ხელისუფლებაში მხოლოდ 1185 წელს მოვიდა. კომნენოსების ხანაში კლანური მმართველობის პრინციპის გათვალისწინებით დიდი ადგილი ეკავა ნათესაობის ფაქტორს. სევასტოსის ტიტულზე დაყრდნობით შექმნილი სხვადასხვა საიმპერიო ტიტულების გაცემა ძირითადად კომნენოსებისა და დუკების გვარის წარმომადგენლებზე ხდებოდა, ასევე მათთან დანათესავებულ, სხვა, არისტოკრატებზე. სევასტოსის რანგის ტიტულები გაიცემოდა ასევე უცხოელ მეფე-მთავრებზე და იმპერიის

სამსახურში მყოფ მოქირავნეებზე, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ იმპერატორის კლანთან (Stiernon 1965: 229).

ზემოხსენებული წოდებები კომნენოსთა ეპოქაში წამყვანი საპატრიარქო ტიტულებია, ამათ გარდა, არსებობდა სხვა, შედარებით დაბალი რანგის საკარისკაცო პატივი, რომელთა რაოდენობა არც თუ ისე მცირე იყო. სევასტოსის რანგის ტიტულების გარდა, ხშირად გვხვდება ნოველისიმოსის, პროტონოველისიმოსის, პროტონოველისიმოიპერტატის, კურაპალატის, პროტოკურაპალატის, პროედროსის, პროტოპროედროსის, სევასტოფორის, რეკტორის და სხვა მრავალი ტიტული. XII საუკუნეში, თუ არ ჩავთვლით ჩამოთვლილი ტიტულების დამცრობასა თუ აღზევებას, მნიშვნელოვანი ცვლილება საიმპერიო ტიტულატურის იერარქიაში არ მომხდარა. ერთადერთი, რასაც ადგილი ჰქონდა, იყო დესპოტის ტიტულის შემოღება. იმპერატორმა მანუელ I დიდმა (1143-1180 წწ.), ეს წოდება თავის მემკვიდრესა და სიძეს – უნგრეთის მომავალ მეფეს, ბელა არპადს, უბოძა 1163 წელს. აქედან მოყოლებული დესპოტის ტიტული ყველაზე მაღალ საფეხურს იკავებს ბიზანტიის სენატორული ტიტულების იერარქიაში. იგი თავიდან ტახტის მემკვიდრეებს, ხოლო შემდეგ იმპერატორის უმცროს შვილებს ან იმპერიის ყველაზე დაწინაურებულ არისტოკრატებს ეძლეოდათ, მოგვიანებით ვრცელდება უცხოელ მეფე-მთავრებზეც.

კონსტანტინოპოლის დაცემისა და ლათინთა იმპერიის დაარსების შემდეგ (1204 წელი) ბიზანტიური ტიტულატურა ლათინური რომანიის იმპერიაშიც გავრცელდა. ბიზანტიაში მნიშვნელოვნად დაქვეითდა სევასტოსის ტიტული, ხოლო მისი შერწყმის შედეგად შექმნილი ზოგიერთი ტიტული (მაგ. სევასტოკრატორი) ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის პრესტიჟსა და მაღალ პოზიციას.

პალეოლოგოსთა ეპოქის ბიზანტიის იმპერიაში დაიწერა, ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორცაა ფსევდო-კოდინეს „ტრაქტატი თანამდებობებისა და ტიტულების შესახებ“, რომელიც იმპერატორ იოანე კანტაკუზენესა და იოანე პალეოლოგოსის მმართველობის პერიოდში არის შედგენილი (Verpeaux 1966: 25-31). აღნიშნულ ტრაქტატში ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი ეპოქის იერარქია არის ასახული.



ფსევდო-კოდინეს ტრაქტატის მიხედვით იმპერიის სათავეში მდგომი იმპერატორის შვილები, ძმები და გამბროსები (იმპერატორის ოჯახის წევრი ქალების მამაკაცი მეუღლეები, იგივე იმპერატორის სიძეები) იღებდნენ დესპოტის და სევასტოკრატორის ტიტულებს. ეს ორი წოდება კვლავ იერარქიის სათავეში მოხანს (Verpeaux 1966: 133). იმპერატორის ოჯახის წევრები და მასთან დაახლოებული პირები იღებდნენ ისეთ ტიტულებს, როგორც იყო, კეისარი, პროტოვესტიარიოსი, დიდი დუქსი, დიდი დომესტიკოსი, პანიპერსევასტოსი. სხვა მნიშვნელოვანი ტიტულები თუ თანამდებობები, რომელიც ეძლეოდათ სხვადასხვა დიდებულებს მეტ-ნაკლები იერარქიის პრინციპის დაცვით, მოტანილი აქვს პსევდო-კოდინეს. იგი ასახელებს ისეთ ტიტულებსა და თანამდებობებს, როგორებიცაა: პროტოსტრატორი, დიდი სტრატოპედარხი, დიდი პრიმიკერიოსი, დიდი კონტაბლი, დიდი ლოგოთეტი, პროტოსევასტოსი, პინკერნისი, კურაპალატი, ბეჭდის პარაკიმომენოსი, საწოლის პარაკიმომენოსი, გენიკონისის ლოგოთეტი, პროტოვესტიარიოსი, სუფრის ლოგოთეტი, ეპი ტეს ტრაპეზისი (სუფრის მეთაური ანუ სუფრაჯი), დიდი პაპიასი, ეპარხოსი, ვიგლთა დიდი დრუნგარიოსი, დიდი ჰეტერიარხი, დიდი ხარტულარიოსი, დრომის ლოგოთეტი, პროტასეკრეტისი, ეპი ტუ სტრატუსი (სამხედრო ბანაკის მოწყობის მეთაური)<sup>1</sup>, მისტიკოსი, სხოლათა დომესტიკოსი, ფლოტის დიდი დრუნგარიოსი, სასახლის პრიმიკერიოსი, პროტოსპათარიოსი, დიდი არხონი, სასახლის ტატასი, დიდი ცაუსიოსი, სახალხო პრეტორი, ოიკეიაკონის ლოგოთეტი, დიდი ლოგარიასტესი, პროტოკინეგოსი, სკუტერიოსი, ამირალიოსი, ეპი ტონ დეესეონი (სანივრების საქმეთა განხილვის მეთაური), კვესტორი, დიდი ადნუმბიასტესი, სტრატოტიკონის ლოგოთეტი, პროტოიერაკარიოსი, მრევლის ლოგოთეტი, დიდი ინტერპრეტორი, აკოლუთოსი, არმიის მოსამართლე, ალაგიონის არხონი, პროტალაგატორი, დიდი დიოიკეტესი, ორფანოტროფოსი, პროტონოტარიოსი და სხვა. (Verpeaux 1966: 137-139). ამ ტიტულებისა თუ სახელოების გარდა, იყო მრავალი სხვა ღირსებაც, რომელიც იერარქიულ სისტემში შედარებით დაბალ საფუხურს იკავებდა.

<sup>1</sup> Mark C. Bartusis. The late Byzantine army: arms and society, 1204-1453. University of Pennsylvania Press, 1992. გვ. 253

მართალია, პალეოლოგოსების მმართველობის დროს გარკვეულ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა, რაც ხშირად სხვადასხვა საიმპერიო ტიტულის აღმავლობით ან დამცრობით იყო გამოხატული, თუმცა კარდინალური გადანაცვლებები ამ ეპოქაში არ შეინიშნება.

პალეოლოგოსების ეპოქაში გრძელდებოდა ბიზანტიური ტიტულების გაცემა, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების არისტოკრატებზე. უფრო მეტიც, მრავალი ბიზანტიური ტიტული ამავე რეგიონის ისეთმა მმართველებმა აითვისეს, როგორებიც იყვნენ ბულგარეთის და სერბეთის იმპერატორები. განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა დესპოტის ტიტულმა, რომელიც ამ ქვეყნების მრავალ უფლისწულსა თუ რიგით ფეოდალს მიენიჭა (Ферjanuic 1960; Failler 1982: 171–186).

ბიზანტიური ტიტულების გაცემა საქართველოსა და საერთოდ აღმოსავლეთ ქრისტიანულ ქვეყნებში უკვე დავით IV აღმაშენებლის მმართველობის დროს შეწყდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. აღნიშნულ საკითხზე ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ, ხოლო მანამდე კი მიმოვიხილავთ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების გავრცელებას საქართველოში. განხილული იქნება მხოლოდ ძირითადი სენატორული ტიტულები, რომლითაც ქართული არისტოკრატის უმაღლესი ეშელონის წევრები იწოდებოდნენ მეფე-მთავრებისა და წამყვანი ფეოდალების ჩათვლით.

ზემოთ აღნიშნული საკარისკაცო-სენატორული ტიტულების გაცემა ბიზანტიის იმპერატორის მიერ ხდებოდა. ამ პროცესს VI საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით. საკარისკაცო-სენატორული ტიტულების გაცემა ბიზანტიის იმპერატორის მიერ ხდებოდა. ამ პროცესს VI საუკუნიდან XI საუკუნის ჩათვლით ჰქონდა ადგილი, მხოლოდ XII საუკუნეში შეწყდა ბიზანტიის იმპერატორის მიერ საკარისკაცო ტიტულების გაცემა. ამის შემდეგ საქართველოში, უკვე ოფიციალური საიმპერატორო ტიტულატურა მკვიდრდება, რასაც დამოუკიდებელ თავში შევისწავლით. ხოლო მანამდე გავეცნოთ საკარისკაცო-სენატორული ტიტულების გავრცელებას საქართველოში. ამ საკითხის კვლევას, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, კურაპალატის ტიტულის გაცემით დავიწყებთ. სხვა საკითხია, იყო თუ არა კურაპალატის ტიტული, პირველი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს შორის, რომელიც ქართველ ფეოდალებს გადაეცათ? ალბათ არა! თუმცა, ვინაიდან იგი იყო პირველი, ყველაზე მნიშვნელოვან საკარისკაცო

ტიტულებს შორის, რომელსაც ქართველი ფეოდალები იღებდნენ ბიზანტიის იმპერატორისგან, მართებულად მიგვაჩნია სწორედ კურაპალატის ტიტულის შესწავლით გაეხსნათ ჩვენი კვლევის ძირითადი ნაწილი.

## თავი II

### კურაპალატის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულებს შორის კურაპალატის პატივი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. კურაპალატის ტიტული იყო პირველი უმაღლესი რანგის სენატორული ტიტულებიდან, რომელიც უკვე VI საუკუნიდან ჩნდება ქართულ პოლიტიკურ სამყაროში. საქართველოში კურაპალატის ტიტულის უკანასკნელი მფლობელი XI საუკუნის მეორე ნახევარში ფიქსირდება (იხ.: ბადრიძე 1965: 217-265; ლორთქიფანიძე 1963).

კურაპალატი რომაულ/ბიზანტიურ სამყაროში ჩნდება და გვიანბანტიკურ პერიოდში დაბალი რანგის მოხელეს წარმოადგენდა. *Cura palatii* (ლათ. სასახლის მზრუნველი) მშენებლობის ხელმძღვანელსა და იმპერატორის სასახლის მეთვალყურის თანამდებობა იყო. V საუკუნის ბიზანტიის სენატში ამ თანამდებობის მფლობელი სპექტაბილისის (*vir spectabilis*) რანგში იყო აყვანილი, იშვიათად კი – ილუსტრისის (*vir illustris*). სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა იუსტინიანე I დიდის (527-565 წწ.) იმპერატორობის დროს, როდესაც მან საკუთარ დისწულს და მომავალ მემკვიდრეს, იუსტინეს, უბოძა კურაპალატობა (552 წელი). ამის შემდეგ კურაპალატის ტიტული ხდება რიგით მესამე პატივი ბიზანტიის იმპერიაში (ODB 1 1991: 1157). ვინაიდან თავად იუსტინიანე I დიდის მმართველობის დროს არ ფიქსირდება არც კესაროსისა და არც ნოველისიმოსის ტიტულები, უნდა ვიფიქროთ, რომ ის უმაღლესი სენატორული პატივი იყო მთელი თანამეგობრობის მასშტაბით. იუსტინე II (565-578 წწ.) იმპერატორად კურთხევამდე 552-565 წლებში სწორედ ამ ტიტულის მფლობელია.

მოგვიანებით, როგორც ისტორიოგრაფიაში არის შენიშნული, კურაპალატობა გადაეცემოდა ან იმპერატორის ოჯახის წევრებს ან კიდევ უცხო ქვეყნის მმართველებს (მაგ. ქართლის და სომხეთის). აღნიშნული ტიტული ინარჩუნებს თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას X საუკუნეშიც, როდესაც იმპერატორი ნიკიფორე II ფოკა (963-969 წწ.) მას გადასცემს თავის ძმას, ლეონ ფოკას. XI საუკუნეში კურაპალატები ხდებიან, იმპერატორის ოჯახის წევრების გარდა, სხვა ბიზანტიელი დიდებულებიც, მაგალითად, კატაკალონ კეკავმენი. (ODB

1 1991: 1157). აღნიშნული ტიტულის დაკნინება XI საუკუნეშივე უნდა დაწყებულიყო, როდესაც მას უფრო ინტენსიურად გასცემენ, ვიდრე მანამდე. ხოლო XII საუკუნეში უკვე ჩნდება პროტოკურაპალატი, ანუ კურაპალატთა შორის უპირველესი. ეს ფაქტი ამ ტიტულის ფართო გავრცელებაზე მიანიშნებს, რის გამოც მათ შორის კონკრეტული პირების გამოსარჩევად ახალი ტიტულის შექმნა გახდა საჭირო. მიუხედავად დაკნინებისა, კურაპალატის ღირსება ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე შემორჩა ბიზანტიური ტიტულატურის იერარქიას.

საქართველოში კურაპალატის ტიტული VI საუკუნეში ჩნდება. თუმცა განსაკუთრებული გავრცელება IX-X საუკუნეებში ჰპოვა, როდესაც ამ ეპოქაში არსებულ ქართველთა სამეფოში (ისტორიოგრაფიაში ცნობილია, ასევე ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით) ერთ-ერთი ყველაზე წამყვანი ტიტული გახდა. უფრო მეტიც, ეს ტიტული იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ სამეფოს „ქართველთა საკურაპალატოდ“ მოიხსენიებენ. თუ რამდენად სწორია აღნიშნული დეფინიცია ქართველთა სამეფოს მისამართით, ცალკე საკითხია. დამოუკიდებელ განხილვას მოითხოვს ისიც, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კურაპალატის ტიტულს ქართველთა სამეფოს არსებობის პერიოდში, ასევე ერთიანი საქართველოს დროს.

### **გუარამ-გურგენ კურაპალატი და ქართლის ერისმთავარი**

ქართლის პირველი კურაპალატი, ქართული წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ჯუანშერ ჯუანშერიანი, სუმბატ დავითის ძე) მიხედვით, იყო გუარამ (გურგენ) ერისთავი, რომელიც ქართლის ერისმთავრად, ანუ ერისთავთა შორის უპირველესად განაჩინეს და ქვეყნის გამგებლობა ჩააბარეს.

ყველაზე ძველი აღნიშნული ქართული წყაროებიდან არის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა, რომლის მიხედვითაც სპარსელთა ბატონობის დამხობის შემდეგ ქართლის მმართველ წრეებს შემდეგი გადაწყვეტინება მიუღიათ:

*„და ნელად-რე შეკრბა ქართლი. და განაჩინეს ერისთავად გუარამ და მერმე-კურაპალატადცა“* (აბულაძე 1963: 95).

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი არ ასახელებს წამოწყების ინიციატორებს ქართლის „ნელად-რე“ შემოკრებაში, მისი პოლიტიკური ელიტის კონსოლიდაცია უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც იმავე ქვეყანაში მარზპანის გადაგდების, და სასანიდების ბატონობის დამხობის პარალელური პროცესი იყო. ამ შემთხვევაში

„ერისთავად“ განჩინება თუ ადგილობრივი დიდებულების ინიციატივა იყო, კურაპალატობა, ფაქტია, გუარამ ერისთავს ბიზანტიის იმპერატორისგან უნდა მიეღო. აღნიშნული დასტურდება ჯუანშერ ჯუანშერიანის თხზულებაშიც, რომელშიც პირდაპირ არის მოთხრობილი, როგორ სთხოვეს ბიზანტიის კეისარს ქართველებმა სპარსეთის წინააღმდეგ დასმარება და ქვეყნის მეთაურის შერჩევა, რომელსაც უნდა ემართა ქართლი ერისთავების შეუცვლელობის პირობით. ჯუანშერთან ვკითხულობთ:

*„ესრეთ რად უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს, რადთა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა და, რადთა იყვნენ ერისთავნი იგი თვს-თვსსა საერისთავოსა შეუცვალელებლად.*

*მაშინ კეისარმან აღასრულა თხოვად მათი და მოსცა მეფედ დისწული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნისა ცოლისად, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს.*

*ამას გუარამს მისცა კეისარმან კურაპალატობად და წარმოგზავნა მცხეთას“* (მეტრეველი 2008: 226).

როგორც ჯუანშერთან ვარკვევთ, აჯანყების მოწყობა და ქართლის მმართველის დადგინება ბიზანტიის იმპერატორთან იყო შეთანხმებული. იმავე ბიზანტიის იმპერატორს შეურჩევია გუარამ კლარჯეთის მთავარი ქართლის ხელისუფლად. უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა სხვა კანდიდატურაც, მაგრამ გუარამის გამორჩევა იმპერატორის ერთგულების, სანდოობისა და მისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ უნდა მომხდარიყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გუარამი იყო კლარჯეთის მთავარი, ანუ დიდებული, ამასთან ერისთავი, რეგიონისა, რომელიც ზემო ქართლის საერისთავოთა რიცხვს განეკუთვნებოდა სპარსელთა ბატონობის მიღმა იყო და ემორჩილებოდა ბიზანტიას. გუარამის მდგომარეობამ განაპირობა კიდევ მისი ერისმთავრად დადგინება, მასვე უბოძეს კურაპალატობა და სწორედ ამის შემდეგ გამოგზავნეს მცხეთაში ქვეყნის მმართველად. ჯუანშერის მიხედვით ისე ჩანს, რომ კეისარმა გუარამი მეფედ დაამტკიცა, მაგრამ სხვა წყაროების მიხედვით („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და სუმბატ დავითის ძე) ის ერისთავად განუწესებია. სუმბატის თხზულების „ცხოვრებაჲ და

უწყებად ბაგრატიონთად“ მიხედვით, ის სწორედ ერისთავად იქნა დაყენებული და არა მეფედ:

*„და გუარამ განაჩინეს ერისთავად. და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურაპალატობად და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიადსად, რომელ არს მცხეთას“* (მეტრეველი 2008: 361).

გუარამს ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად სამართლიანად VI საუკუნის ბოლოს მოჭრილ ქართულ მონეტებზე დაფიქსირებულ გურგენთან აიგივებენ. გუარამ-გურგენი ქართლის ერისმთავრად ანტირანული აჯანყების დასაწყისშივე უნდა დაემტკიცებინათ, რასაც, როგორც ზემოთ მოხმობილ წყაროებში დავინახეთ, წინ უძღოდა ბიზანტიის იმპერატორის მიერ მისი კურაპალატის ხარისხში აყვანა და ერისთავად გამორჩევა. აჯანყების დაწყებაც და მისი მეთაურის არჩევა ბიზანტიის მმართველთან იყო შეთანხმებული, რაც კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კურაპალატის ტიტული სწორედ ამ დროს იქნა გაცემული.

ანტირანული აჯანყება, გუარამის კურაპალატად დანიშვნა და მისი მცხეთას გაგზავნის ფაქტი ისტორიკოსთა შეფასებით 571 წელს უნდა მომხდარიყო (საქართველოს I 1973: 276). ვახუშტი ბაგრატიონი იმავე მოვლენას 575 წლით ათარიღებდა (ვახუხიშვილი 1973: 118-119). ვინაიდან ვახუშტი ბატონიშვილის თარიღი არ არის გაზიარებული, ლოგიკურია, გუარამ-გურგენის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღება 571 წლით განისაზღვროს.

ჯუანშერის მიხედვით, ქართლის მეფეთა მემკვიდრეები გუარამს დამორჩილდნენ. ამ უკანასკნელის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ბიზანტიის იმპერატორ მავრიკეს (582-602 წწ.) პოლიტიკური და ფინანსური დახმარებით გუარამი ახერხებს და ირანის სამფლობელოების დასალაშქრად დიდ ჯარს გზავნის. ჯუანშერი გადმოგვცემს:

*„მაშინ კეისარმან წარმოსცა განძი დიდძალი გუარამ კურაპალატისა თანა და უბრძანა, რადთა მით განძითა გამოიყვანნეს ჩრდილოდს ლაშქარნი და შეგზავნნეს სპარსეთს, ხოლო გუარამ ეო ევრე, გამოიყვანნა ოვსნი, დურძუკნი და დიდონი და წარუძღუანნა წინა ერისთავნი ქართლისანი, შევიდეს ადარბადაგანს და უწყეს ტყუენვად. და ესევეთარნი ჭირნი და უცალოებანი მოიწინეს სპარსთა ზედა“* (მეტრეველი 2008: 226-227).

ბიზანტიასა და ირანს შორის ურთიერთობის მოგვარება მხოლოდ ხოსრო II ფარვიზის (591-628 წწ.) გამეფების პირველივე წელს მოხერხდა, როდესაც იმპერატორ მაურიკეს (582-602 წწ.) დახმარებით ის ირანში გაამეფეს და წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ქართლზე და სომხეთზე ხელი აადებინეს (Cambridge Medieval History II 1913: 280).

*„მაშინ ერჩდა სპარსთა მეფე კეისარსა და განთავისუფლდეს ქართველნი. და ესე გუარამ კურაპალატი დადგა მორჩილებასა ზედა ბერძენთასა“* (მეტრეველი 2008: 228).

ამის შემდეგ მემატიანე გუარამ-გურგენის მოღვაწეობისა და აღმშენებლობის შესახებ გადმოგვცემს. მასვე მიაწერს მცხეთის ჯვრის მონასტრისა და თბილისის სიონის მშენებლობას. იმავე ჯუანშერის გადმოცემით, გუარამის შემდეგ ერისმთავრად მისი ძე, სტეფანოზი, დაჯდა.

*„ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა სიონისაჲ, რამეთუ ნათესავნი მირიან მეფისა მორწმუნისანი ყოველნი ეკლესიათა მაშენებელნი იყვნეს. და მოკუდა გუარამ კურაპალატი. და დაჯდა ძე მისი სტეფანოზ, მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს“* (მეტრეველი 2008: 208).

საინტერესოა ისტორიკოსის განცხადება იმის თაობაზე, რომ სტეფანოზმა თავის მეფედ გამოცხადება ვერ იკადრაო, რაც უჩვენებს სტეფანოზისა და ზოგადად ერისმთავრების მისწრაფებას, აქმაღლებინათ საკუთარი პოლიტიკური სტატუსი. სტეფანოზის ერისმთავრად შედგომა 589/91 წლით თარიღდება. ამდენად, გუარამ-გურგენ ერისმთავარი კურაპალატის პატივს 571-589/91 წლებში ფლობდა.

### **სტეფანოზ I დიდი პატრიკოსი და ქართლის ერისმთავარი**

გუარამ-გურგენის შემდეგ ერისმთავარი სტეფანოზ I დიდი ხდება. „დიდის“ ეპითეტით იგი, როგორც ეს ისტორიოგრაფიაში არის შენიშნული, მისი აღმშენებლობითი და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის უნდა შეემკოთ (საქართველოს... II 1973: 273-275; დუნდუა, დუნდუა 2006: 143-148). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამგვარად მოიხსენიებდნენ მათაც, ვისი გამორჩევა სურდათ იმ ეპოქაში მოღვაწე სეხნია-თანამედროვესგან, არ არის გამორიცხული, რომ სტეფანოზი I მისივე შვილიშვილის, ქობულ-სტეფანოზისგან



გამოსარჩევად დიდად იწოდა. სტეფანოზის ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ ქართულ საისტორიო ნარატივში არაფერია გადმოცემული, სამაგიეროდ, მისივე მმართველობის დროს აგებულ მცხეთის ჯვრის ტაძრის საქტიტორო წარწერაში ეს უკანასკნელი პატრიკოსის ტიტულით არის მოხსენიებული. ბიზანტიური ტიტულებით იხსენიებიან მისი ოჯახის სხვა წევრებიც: ძმა – დემეტრე იპატოსი, ძე – ადარნერსე იპატოსი და შვილიშვილი – ქობულ-სტეფანოზი (საქართველოს II 1973: 274). უკანასკნელი თითქოს სტრატეგის ტიტულით არის მოხსენიებული, რაც არ მტკიცდება წარწერის ახალი წაკითხვის შედეგად (შოშიაშვილი 1980: 165). იქვეა შესრულებული ქტიტორთა პორტრეტული გამოსახულებები. წარწერები მოგვყავს ნოდარ შოშიაშვილის მიერ შედგენილი „ლაპიდარული წარწერების“ პირველი ტომის მიხედვით:

*„[ჯ]უარო მაცხოვრისა[ო სტეფანო]ს ქართლისა პატრიკოსი შ(ე)წყალ)ე ... წ(მიდა)ო გ(აბ)რ(ი)ელ მთავარანგელო[ზ]ო ადარ[ნ]ერსეს ჯპატოსსა მეოხ ეყავ ... ქობულ სტეფანოსი ადარნერსეს ძე ... წ(მიდა)ო მ(ი)ქ(ა)ელ მთავარანგელოზო დემეტრეს ჯპატოსსა მეოხ ხეყავ ... წ(მიდა)ო ს(ტ)ეფ(ან)ე ქობულ-სტ(ე)ფანოსი შ(ე)წყალ)ე“* (შოშიაშვილი 1980: 157-165).

ყველა ზემოხსენებული წარწერის მიხედვით დგინდება, რომ ქართლის ერისმთავრის ოჯახის სამი წევრი მცხეთის ჯვრის ეკლესიის აგების პერიოდში პატრიკოსისა და იპატოსის ტიტულებს ატარებდა. როგორც ნოდარ შოშიაშვილი თვლიდა, ადარნერსე, რომელიც წარწერების მიხედვით იპატოსის ტიტულით იხსენიება, ჯერ არ იყო ერისმთავარი. ამ მოხელეობის წინაპირობად მას პატრიკოსობა მიაჩნია (შოშიაშვილი 1980: 158).

აღნიშნულ პერიოდს განეკუთნება მცხეთის სტელა-ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა, რომელიც იმავე სახის ინფორმაციის შემცველია, როგორც დაცულია ზემოგანხილულ მცხეთის ჯვრის საქტიტორო წარწერებში. სვეტზე სამივე დიდებული, სტეფანოზ ერისმთავარი, ადარნერსე და დემეტრე, იხსენიება ზუსტად იმავე ტიტულებით, რომლითაც მცხეთის ჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე შესრულებულ წარწერაში განსხვავება ტექსტის შინაარსშია. სტელას არა აქვს დართული ერისმთავართა სახლის პორტრეტული გამოსახულებები. წარწერის შინაარსი შემდეგია:

*„ესე ჯ(უარი) ქრისტე(ს)I აღ[ხემა]რთა ს(ა)ლ(ო)ც[ველ]ად სტეფ[ან]ოს პატრიკი[ოსი]სა, დემეტრ[ე] ვპატოსისა, ადრნერსე ვპატოსისა. სულ[თა] და კორცთ[ა] მათთა მეო[ხად] და ყ(ო)ვლისა [მ(ო)მ(ა)კ]ლისა მცვ[ელა]დ“ (შოშიაშვილი 1980: 96).*

სტეფანოსის მმართველობის დროს ბიზანტიური ტიტულები ფართოდ გავრცელებულა ქართლის საერისმთავროში, რასაც ადასტურებს დემეტრესა და ადარნერსეს მიერ იპატოსის ტიტულის მიღება, რაც, ბუნებრივია, დასაშვებს ხდის ბიზანტიური ტიტულების კიდევ უფრო ფართო გავრცელებას ქართლის მასშტაბით. ანალოგიად ალბანეთი შეიძლება დავასახელოთ, სადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიზანტიის იმპერატორს გულუხვად დაურიგებია საიმპერიო-საკარისკაცი ტიტულატურა.

### **ადარნერსე I ქართლის ერისმთავარი**

ადარნერსე, ალბანელი ისტორიკოსის, მოვსეს კალანკატუაცის, მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორისგან სამმაგი პატივით იყო დაჯილდოვებული. (დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: 91-92). იგი სამ სამოხელეო და საკარისკაცი ტიტულს ატარებდა. ამ რაოდენობის ტიტულების მიღება, ერთი მხრივ, ადარნერსეს პოლიტიკური მხარდაჭერით უნდა აიხსნას, ხოლო, სხვა მხრივ იმპერატორის ყოველწლიური წყალობის, ანუ როგის გაზრდით, რაც თითოეულ ტიტულზე დამატებით შემოსავალს იძლეოდა მისი მფლობელისთვის (დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: 181). თუ რომელი სამი საიმპერატორო პატივის მფლობელი იყო ადარნერსე, ჩვენთვის უცნობია. მათგან ერთი იპატოსის ტიტული შეიძლება ყოფილიყო, თუმცა აღნიშნული პატივი ადარნერსეს მანამდე მიუღია, ვიდრე ის ერისმთავრად შედგებოდა, ხოლო მოვსეს კალანკატუაცის ცნობა კი მისი ერისმთავრობის პერიოდს შეეხება. საინტერესოა, ასევე მოვსესის ცნობა იმის შესახებ, რომ როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანს II-მ (641-668 წწ.), ალბანეთის მთავარს, ჯუანშერს, პროტოპატრიკიოსობა უბოძა, მასთან ერთად გასცა 1200 სხვა საიმპერიო პატივი ალბანეთის დიდებულებზე.

*„ძღვენად გაუგ ზავნა დიდებული საჩუქარი: ვერცხლის სავარძლები, მოოქროვილი ზურგებით, ოქროსქსოვილის ტანსაცმელი, მარგალიტებით მოოჭვილი ხმალი, თავისი სარტყელით. უბოძა ასევე პროტონპატრიკობა, ხოლო ათას ორასი*

კაცისათვის გაგ ზაენა [სხვადასხვა] პატივი; პატრიკობისა და იპატოსობისა, ასევე ეპარქოსობისა და სტრატელატობისა, რათა მას (ჯუანშერს – ლ. თ.) ვისთვისაც უნდოდა, იმათთვის ებოძებინა“ (დავლიანიძე-ტატიშვილი 1985: 93-94).

ამდენად, იმპერატორს ალბანეთის მთავარი ჯუანშერი პროტოპატრიკოსის რანგში აუყვანია, ხოლო სხვა საიმპერიო ტიტულები როგორცაა პატრიკოსი, იპატოსი, ეპარქოსი და სტრატელატი, მიუხედავად იმპერატორის მიერ ამ ტიტულების გაცემისა, კონკრეტულ პირებზე მათი დარიგება თავად ჯუანშერს დაევალა. მემატიანეს ცნობით, 1200 მსგავსი პატივი იქნა გაცემული ალბანელ დიდებულებზე, რაც გაზვიადებული გვეჩვენება.

სომეხი ისტორიკოსის, სებეოსის, ცნობით, ერთ-ერთი სომეხი მთავარი, ატატ ხორხორუნი, ბიზანტიის იმპერატორის მიერ პატრიკოსის პატივში ყოფილა აყვანილი, რაც მისთვის გარკვეული ვალდებულებების დასახვის წინაპირობა იყო. ატატის ვალდებულების შესახებ სებეოსი გადმოგვცემს:

*„ის (ატატე) იყო დიდი პატრიკოსი, რისთვისაც უბრძანა მას იმპერატორმა, გამოცხადებულიყო მასთან სასახლეში, სადაც იგი წავიდა ჩვიდმეტი კაცის თანხლებით. [იმპერატორმა] ის და მასთან ერთად მეოფი დიდებულები პატივის, და წყალობის ღირსი გახადა, როგორც წესი მოითხოვდა. მეფემ უბოძა მათ ვერცხლისა და ოქროს საჭურჭლე და მრავალი ძვირფასეულობა. [იმპერატორმა] უბრძანა მას წასულიყო მის (იმპერატორის – ლ. თ.) ჯართან თრაკიაში“ (Патканьян 1862: თავი. XX).*

ამდენად, სომეხეთის ერთ-ერთ მთავარს, როგორც პატრიკოსს, ევალებოდა იმპერატორის წინაშე აუდიენციით წარმდგარიყო, როდესაც ამას ბიზანტიის იმპერატორი მოითხოვდა. უფრო მეტიც, პატრიკოსის მოვალეობა იყო, ებრძოლა იმპერიის ინტერესების გამო, როგორც ამას მოითხოვდა ღვთაებრივი იმპერატორი. იმპერატორის სამსახური იმდენად მძიმე იყო, რომ თრაკიისკენ მიმავალ ატატ ხორხორუნს გზაში გადაუწყვეტია, იმპერატორს აჯანყებოდა და სპარსეთის შაჰის მხარეზე გადასულიყო, რაც მოგვიანებით განახორციელა კიდევ (601 წელი) (Патканьян 1862. თავი. XX).

პატრიკოსებს, იპატოსებსა და სხვა ბიზანტიური საიმპერიო ტიტულის მქონე თუნდაც უცხო ქვეყნის მმართველებს იმპერატორის მორჩილება მოეთხოვებოდათ. ეს შეეხებოდა როგორც იმპერატორთან აუდიენციას, ასევე

სამხედრო და სხვა სახის სამსახურს. ამ ყველაფრის სანაცვლოდ იმპერატორი ტიტულებსა და მასთან დაკავშირებულ როგას, საჭიროების შემთხვევაში კი შესაბამის ძღვენს გასცემდა. ამგვარი კავშირები პოლიტიკურ მოკავშირეობასაც გულისხმობდა, სადაც იმპერატორი ყოველთვის უპირატესი სტატუსით სარგებლობდა, სამაგიეროდ, მის მიერ ქვეშევდომად აღქმული ქვეყნის მმართველი გარკვეული პოლიტიკური სახის სარგებელს ნახულობდა ხოლმე. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ორი ძლიერი იმპერიის (ბიზანტია და ირანი) არსებობის პირობებში ქართლის, სომხეთის, ალბანეთისა თუ სხვა ქვეყნების ლიდერები იცვლიდნენ „პატრონს“ მათივე ინტერესების შესაბამისად. კურაპალატის პატივის მქონე პირთათვის იმპერატორთან დამოკიდებულება ანალოგიური ხასიათის უნდა ყოფილიყო, მეტნაკლები კომპრომისით ორივე მხრიდან.

ადარნერსე ერისმთავარის სამმაგი ტიტული, ერთი მხრივ, მისთვის მამის (სტეფანოზი) მსგავსად ან პატრიკიოსის ტიტულის ტარებას, ანდა ბაბუის (გუარამ-გურგენი) ანალოგიით კურაპალატის ტიტულის ფლობას უნდა გულისხმობდეს. ეს ტიტულები იერარქიული, საიმპერიო ტიტულატურის ნაწილებია, რომელთა მიღების შემთხვევაში კონკრეტული პირი საკუთარ ადგილს იკავებდა ბიზანტიის სენატში. ცალკე აღებული პატრიკიოსობა წარჩინებულთა ფენის წევრობას გულისხმობდა. შესაბამისად, ადარნერსეს ერთ-ერთი ბიზანტიური ტიტული სწორედ პატრიკიოსის ტიტული უნდა ყოფილიყო. ამრიგად, ეს ტიტული სხვა საიმპერიო ტიტულთან ერთადაც გაიცემოდა ხოლმე. სხვა ტიტული, სავარაუდოდ, სამოსხელეო თანამდებობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც კონკრეტული ფუნქცია გააჩნდა. ანალოგად შეგვიძლია დავასახელოთ ვარაზ-ბაკურ ანტიპატოს-პატრიკიოსი, რომელიც აღნიშნული საიმპერიო ტიტულის გარდა, ფლობდა პროტოსპათარიოსისა და ოფსიკიონის კომესის თანამდებობებს (გოილაძე 2007: 299-309; Toumanoff 1971; მეტრეველი 2008: 362).

### **სტეფანოზ II პატრიკიოსი და ქართლის ერისმთავარი**

ადარნერსეს შემდეგ ერისმთავარი ხდება მისი ძე, სტეფანოზ II, ყრმობაში ქობულ-სტეფანოზად წოდებული. ინფორმაცია სტეფანოზ II ერისმთავრობის შესახებ არ არის ვრცელი. მცხეთის ჯვრის ზემოთ მოტანილი წარწერის, ასევე, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის, სუმბატ დავითის ძისა და ჯუანშერ

ჯუანშერიანის მიხედვით, ის ადარნერსეს ძედ იწოდება (შოშიაშვილი 1980: 162; აბულაძე 1963: 96-97; მეტრეველი 2008: 232, 362). აქედან პირველი საისტორიო წყაროს მიხედვით, მისი მამა ადარნერსე, სტეფანოს I დიდის ოჯახის წევრად მოსჩანს (შოშიაშვილი 1980: 35, 157-162, 164-165). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით კი, ადარნერსეს წარმომავლობა ღიად არის დატოვებული (აბულაძე 1963: 96). სუმბატ დავითის ძე ადარნერსეს მამად პირდაპირ სტეფანოზ დიდს ასახელებს (მეტრეველი 2008: 362).

სტეფანოზ II-ის ერისმთავრობის წლები არ არის დადგენილი. არც ის არის ცნობილი, თუ რა ურთიერთობა არსებობდა ერისთავებს შორის მისი მმართველობის დროს. უცნობია მისი მოღვაწეობის სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც. ქართული წყაროებიდან არც ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ ვიცით რამე. ამ კუთხით ვაკუუმს არაბული წყაროები ავსებენ, ჰაბიბ იბნ მასლამას სიგელში, რომელიც სტეფანოზის დროს უნდა ყოფილიყო შედგენილი, ქართლის მთავარი ბიზანტიური ტიტულით, პატრიკოსად, იწოდება (წყაროში ბატრიკ – ლ. თ) (სილაგაძე 1991: 56-62; ცქიტიშვილი 1976: 108-195).

რამდენიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის დაცულია ჯუანშერ ჯუანშერიანთან. მასში ხასგასმულია სტეფანოზის აღმშენებლობითი მოღვაწეობა. მისი თაოსნობით მცხეთის ჯვრის მონასტრის ზღუდე და იქვე არსებული დარბაზი აუგიათ, სადაც, ისტორიკოსის თქმით, კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მონაწილეობით პარასკეობით კრებები იმართებოდა ხოლმე. აღნიშნული კრებების ინიციატორად მემატიანეს სტეფანოზი მიაჩნია:

*„ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნე, განმწმედელი სჯულისაჲ და მაშენებელი ეკლესიათაჲ. და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატოხნისასა და აღაშენნა დარბაზნი და დაუწესა ყოველთა პარასკევთა კრებაჲ. და მუნ შეკრბიან ყოველნი ეპისკოპოსნი და მღვდელნი მის არისანი კათალიკოზსა თანა, წინაშე პატოხნისა ჯუარისა ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი, ხოლო საკათალიკოზოსა არიან ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმიდაჲ სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა საიდუმლოსა თანა ჳორცითა და სისხლითა ქრისტესითა. ხოლო მცხეთას საეპისკოპოსოსა არნ კრებაჲ ყოველთა სამშაბათთა და ჳსენებაჲ პირველმოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთაჲ, და დიდისა მისგან ძლიერებისა სპარსთაჲსა*

რომელ წამებულ იყვნეს, აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაჲ, რომელმან მოაქცინა უმრავლესნი მთეულნი არაგუსა აღმოსავლითნი, ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადევს მცხეთას, საეპისკოპოსოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა. და დღესასწაულსა უფროდს ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და აღიდებდიან ღმერთსა“ (მეტრეველი 2008: 232).

როგორც აღნიშნული მონაკვეთიდან ჩანს, ცნობები სტეფანოზის მოღვაწეობის შესახებ მცირეა, თუმცა გარკვეული კონიუქტურის დანახვა მაინც შეიძლება. მის მიერ მცხეთის ჯვრის ტაძრის შემკობა და მისი გაფართოება მისივე წინამორბედების საქმიანობის გაგრძელებაა. ერთადერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ჯუანშერთან არის დაცული, არის ცნობა არაბების შემოსევის შესახებ, რომელსაც ისტორიკოსი სტეფანოზ II-ის მმართველობის ხანით განსაზღვრავს (მეტრეველი 2008: 233-234). არაბების ლაშქრობებს სტეფანოზის მმართველობის პერიოდით ათარიღებს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ უცნობი ავტორიც. შატბერდის ვერსიაში ვკითხულობთ:

*„და მისა (ადარნერსეს – ლ. თ.) შემდგომად ერისთვობდა სტეფანოზ, ძმ მისი, და ამან განიშორა ჯუარისა ეკლესიაჲ და დადვა კრებაჲ ჯუარს ჯუარობასა ერთ თთუე, და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ და კათალიკოზი იყო სამოველ და მის ზევე ევნონ. და ჰამბავი მოკდა, ვითარმედ ბაღდადი აგარეანთა დაიპყრესო და ამისთვის ბერძენთა ქვეყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთა“ (აბულაძე 1963: 97).*

სტეფანოზის მმართველობის პერიოდს უკავშირდება ქართლის მოსახლეობის აღწერა და იქ დაცული სიმდიდრის ბიზანტიაში წაღება. როგორც დაცული ცნობებიდან ირკვევა, სპარსეთიდან განძი წამოუღიათ და ქართლში დაუმაღლიათ სპარსელ დიდებულებსაც. ჯუანშერის მიხედვით, ბიზანტიელებს სპარსელების სიმდიდრე საგანგებოდ აღუწერიათ და სიგელ-გუჯარების ძალით მათი მფლობელებისთვის დაუმტკიცებიათ იმ პირობით, რომ როდესაც იმპერატორი მათ სპარსეთში დააბრუნებდა, კუთვნილ მხარეებთან ერთად ამ სიმდიდრესაც დაუბრუნებდა უკან (მეტრეველი 2008: 233-234). „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობა უფრო მშრალია, ტექსტის მიხედვით ბიზანტიელებმა მას შემდეგ, რაც დიდი ზარალი განიცადეს მუსლიმებთან ბრძოლაში ქართლის სიმდიდრე „ჯორსა აჰკიდეს“ და ბიზანტიაში გაიტანეს (მოქ. ქართ. 97). სუმბატის ცნობით კი, ამ

ყველაფერს მოსახლეობის აღწერა უძღოდა წინ (მეტრეველი 2008: 362). ყველა ამ ცნობას თუ შევაჯერებთ, გამოვა, რომ გაჭირვებაში მყოფ ბიზანტიის იმპერიის მესვეურებს უკიდურესი ზომებისთვის მიუძღრებოდათ. არაბების შემოტევების შეჩერების მიზნით სპარსეთის დიდებულების გადამალული ქონება წამოუღიათ და, როგორც ჩანს, ქართლის დიდებულებთან შეთანხმებით ქართლის მოსახლეობის აღწერის შედეგად ქვეყანაში არსებული ქონება „ჯორსა აჰკიდეს“ და ბიზანტიაში წაიღეს. ჯუანშერის მიხედვით ისე ჩანს, რომ ამ პროცესს თავად იმპერატორი ჰერაკლე ედგა სათავეში, რომელიც ამ დროს მეორედ შემოსულა ქართლში (მეტრეველი 2008: 234).

ქართლი ბიზანტიის იმპერიასთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ბიზანტიის გავლენა განსაკუთრებით ჰერაკლეს 627-628 წლების ლაშქრობების შემდეგ გაიზარდა. ქართლი ბიზანტიის მმართველობის ქვეშ მოექცა, ხოლო მის მმართველ ერისმთავარს, მსგავსად ეგრისის მმართველისა პატრიკიოსის ტიტული დაუმკვიდრდა. სწორედ ამ ტიტულით და არა საკუთარი სახელით იცნობდა სტეფანოზ II-ს არაბული წყაროები (სილაგაძე 1991: 56-62), რაც, ერთის მხრივ, აღნიშნული ტიტულის მნიშვნელობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, კი ქართლის ერისმთავრის დამოკიდებულების ხარისხზე მიანიშნებს ბიზანტიის მიმართ.

სტეფანოზ II-ის ერისმთავრობის მომდევნო პერიოდი ვიდრე ძმების – არჩილის და მიჰრის – მმართველობამდე ქართული წყაროების მიხედვით ძალიან ბუნდოვანია. ამრიგად, ქართულმა წყაროებმა არ შემოგვინახა გაბმული სახის ნარატივი VII საუკუნის მეორე ნახევრიდან VIII საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

### **გუარამ II კურაპალატი და ქართლის ერისმთავარი**

გუარამ II კურაპალატის შესახებ ცნობები დაცულია როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში, ასევე სუმბატ დავითის ძის თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ (აბულაძე 1963: 97; მებრეველი 2008: 362). ორივე საისტორიო ტექსტის მიხედვით, გუარამი ქართლის ერისმთავარია, ხოლო სუმბატის ცნობით, მისი მამა სტეფანოზ II ადარნერსეს ძეა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის მიხედვით, სტეფანოზ II ადარნერსეს ძეა, ხოლო გუარამი, რომელიც სტეფანოზის შემდეგ მთავრობს, წარმომავლობის მითითების გარეშეა დასახელებული (აბულაძე 1963: 97).

სუმბატ დავითის ძის ცნობით, გუარამი კურაპალატის ტიტულის მფლობელი ყოფილა. მისი მმართველობის პერიოდს არაბების შემოსევები უძლოდა წინ. სხვა დეტალები ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსს მითითებული არა აქვს. სუმბატი წერს:

*„და ამბავი მოიწია, ვითარმედ ბაღდადი დაიპყრეს აგარის ნათესავთაო. და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთავობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი“* (მეტრეველი 2008: 362).

გუარამ II-ის ბიზანტიური საიმპერიო ტიტულის მიღების შესახებ თხრობის გადმოცემის დროს მსგავს ინფორმაციას გვაწვდის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაც, მასში ვკითხულობთ:

*„და მისა (სტეფანოზის შემდეგ – ლ. თ.) შემდგომად ერისთავობდა გუარამ კურაპალატი“* (აბულაძე 1963: 97).

როგორც ორივე ტექსტის შეჯერებიდან ვიგებთ გუარამი კურაპალატის საიმპერიო ტიტულის მფლობელია, თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის მიიღო მან აღნიშნული პატივი ან რა დამსახურების გამო მაშინ, როდესაც მისი უშუალო წინამორბედები მხოლოდ პატრიკოსებად იწოდებოდნენ, წყაროებში არ ჩანს. გუარამს გაკვრით ახსენებს ჯუანშერ ჯუანშერიანიც, ამ ავტორის მიხედვით, გუარამი კურაპალატის ტიტულის მფლობელია და მისი ასული ცოლად არჩილ მეფეს მოუყვანია. ჯუანშერთან ვკითხულობთ:

*„ამისა შემდგომად მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყვნა ივინი, აღაშენა ეკლესია საძმორს, შეირთო ცოლი, ასული გუარამ კურაპალატისა, რომელი იყო შვილთაგან ვახტანგ მეფისათა, ბერძნისა ცოლისა ნაშობთა“<sup>2</sup>* (ყაუხჩიშვილი 1955: 243; მეტრეველი 2008: 243).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკისა და სუმბატ დავითის ძის თხზულებისგან განსხვავებით ჯუანშერი გუარამ II კურაპალატს ერისმთავრად

---

<sup>2</sup> იხ.: ყაუხჩიშვილი 1955: 243; მეტრეველი 2008: 243. ამ შემთხვევაში, სახელი „გუარამ“ ამოღებულია მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ შეჯერებული ტექსტიდან. მათ უპირატესობა მარიამისეულ ნუსხას მიანიჭეს. სამაგიეროდ სიმონ ყაუხჩიშვილის ტექსტში არჩილის ცოლი „ასული გუარამ კურაპალატისა“-დ არის დასახელებული. აქ უფრო ჭკალაშვილისეული და ანასეული ნუსხები არის გათვალისწინებული. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ უძველეს (XII ს.) სომხურ თარგმანში არჩილის ცოლად „ასული გორამ კურაპალატისა, რომელიც ვახტანგ მეფის ჩამომავალი იყო“ არის დასახელებული, რაც დამატებითი საფუძველია იმისა, რომ ყაუხჩიშვილის ტექსტს მიენიჭოს უპირატესობა. იხ.: აბულაძე 1953: 199.



საერთოდ არ ასახელებს, ხოლო სტეფანოზ II-ის მემკვიდრეებად მიჰრი და არჩილი გამოჰყავს. გუარამ კურაპალატის შესახებ კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ის ქართლში VIII საუკუნის მეორე ნახევარში მთავრობდა და კურაპალატის ტიტული იმპერატორისგან არაბების წინააღმდეგ აქტიური მხარდაჭერის სანაცვლოდ უნდა მიეღო.

### გუარამ III ყრმა ქართლის ერისმთავარი

გუარამ ყრმადს ერისმთავრობა მისივე სეხნიის, გუარამ კურაპალატის მმართველობას მოსდევს. მისი არსებობის შესახებ მხოლოდ ერთი საისტორიო წყაროდან ვგებულობთ. „მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკის მიხედვით, გუარამ კურაპალატის შემდეგ ქართლის რიგით მეშვიდე ერისმთავარი გუარამ ყრმადად ყოფილა.

*„და შემდგომად მისა ერისთავობდა გუარამ კურაპალატი :უ: და გუარამ ყრმადად :ზ:“ (აბულაძე 1963: 97).*

„მოქცევა ქართლისაჲს“ ქრონიკის ცნობა გუარამ ყრმადს ამ მოკლე პასაჟით შემოიფარგლება. მისი ზედსახელის, „ყრმადად“ მიხედვით ვარკვევთ, რომ ერისმთავრობის პერიოდში გუარამი მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო. აქედან წარმოდგება მისი შერქმეული სახელი. გუარამ ყრმადს ამგვარი მოსხენიება, გუარამ II კურაპალატისგან გამორჩევის მიზნითაც უნდა მომხდარიყო. ანალოგიური მაგალითი იმავე წყაროში მეფე ფარსმანის მომდევნო მმართველის, მისი ძმიშვილის, ფარსმან სხუადს, სახით (აბულაძე 1963: 94). მას ბიძის, ფარსმან მეფისგან, გასარჩევად, ავტორი ფარსმან „სხუად“ მოიხსენიებს. გუარამის შემთხვევაში ტერმინი „ყრმადად“ ხმარება მისი მცირეწლოვანებით უნდა აიხსნას. გუარამ ყრმადსგან განსხვავებით ფარსმან სხუად ზდასრული უნდა ყოფილიყო, შესაბამისად, წინამორბედისგან გამოსარჩევად მას განსხვავებული ეპითეტი მოუგონეს.

საისტორიო წყაროში არ ჩანს ერისმთავარ გუარამ ყრმადს არც წარმომავლობა და არც ის, ჰქონდა თუ არა მას ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული. მისი მმართველობა დაახლოებით VIII საუკუნის მეორე ნახევრით უნდა განისაზღვროს. სავარაუდოდ, მისი მმართველობა ხანმოკლე იყო, ამდენად, ისტორიამ მეტი დეტალი არ შემოგვინახა მისი მოღვაწეობის შესახებ.

## ნერსე I დიდი ქართლის ერისმთავარი

ნერსეს შესახებ ინფორმაცია დეფიციტურია. ქართულ წყაროებში მასზე არაფერია ნათქვამი. შესაბამისად, გვიწევს უცხოენოვანი ლიტერატურის გაცნობა, რომელიც ასევე მოკლედ გადმოგვცემს ნერსეს მოღვაწეობას. სომეხი ისტორიკოსის ჰოვანეს დრასხანაკერტელის, „სომხეთის ისტორიაში“ საუბარია ქართლის იშხანის (ქართ. მთავარი) ნერსეს წარმატებულ ბრძოლაზე არაბების წინააღმდეგ. ნერსეს გაერთიანებულ ქართულ-სომხურ ჯარს არაბი სარდალი ბარაბა დაუმარცხებია და სომხეთიდან გაუძევებია (Дарбинян-Меликян 1984: 94). ის იხსენიება ასევე „წმინდა სილვესტრ რომის ეპისკოპოსის ცხოვრების“ სომხური თარგმანის ანდერძში. როგორც ირკვევა, ის სომხეთის წამყვანი ფეოდალური ოჯახის კამსარაკანების სიძე იყო და სათავეში ედგა ქართულ-სომხურ აჯანყებას არაბეთის სახალიფოს წინააღმდეგ (Дарбинян-Меликян 1984: 94). ნერსეს ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ მონაცემები არ გავგაჩნია, თუმცა მივიჩნევთ, რომ ისიც მსგავსად მისი წინამორბედებისა ატარებდა ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულს. თუ ზუსტად რომელს, ამის გარკვევა ძნელია.

## არშუშა კურაპალატი, ქართლის ერისმთავარი

არშუშა კურაპალატი, იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის მიხედვით, ერისმთავრად გუარამ ყრმაჲს შემდეგ გამხდარა. არშუშას არ იცნობს არც ჯუანშერ ჯუანშერიანი და არც სუმბატ დავითის ძე. ჯუანშერის მოტივი, როგორც ზემოთ დავინახეთ, არჩილის ლეგიტიმურობის მტკიცებაა. ამდენად, სტეფანოზ II-ის შემდეგი ყველა ერისმთავარი ქართლის ხელმწიფეთა სიიდან ამოღებულია, ხოლო სუმბატი საკუთარ მატიანეში აშოტ I კურაპალატის და ზოგადად ბაგრატიონების უშუალო წინაპრების ფიქსაციას ახდენს. ამდენად, არშუშა კურაპალატი (ასევე გუარამ ყრმაჲ, მეფე არჩილი და სხვა), რომელიც, როგორც ჩანს, არ იყო აშოტ ბაგრატიონის უშუალო წინაპარი, ვერ მოხვდა ქართლის მმართველთა ჩამონათვალში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის ინფორმაცია არშუშა კურაპალატის შესახებ მოკლეა და ორი გუარამის მმართველობას მოსდევს. ცნობაში ვკითხულობთ:

„და შემდგომად მისა ერისთავობდა გუარამ კურაპალატი :ჟ: და გუარამ ერმად :ზ: და მერმე არშუშა კურაპალატი :წ: და ვარაზ ბაკურ აპად პატრიკიოზი“ (აბულაძე 1963: 97).

ამდენად, არშუშას ერისმთავრობა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით გუარამ ერმადს და ვარაზ-ბაკურის მმართველობის შუაშია მოქცეული. სხვა ისტორიული ჟანრის თხზულება არშუშას შესახებ არაფერს გადმოგვცემს. სამაგიეროდ, არსებობს ეპიგრაფიკული წარწერა, შესრულებული აბასთუმანში მდებარე ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკზე, სადაც ქართლის ერისთავი (ერისმთავარი) არშუშა არის მოხსენიებული. ფრაგმენტი დათარიღებულია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II რინოტმეტოსის (685-695, 705-711 წწ.) ზეობით. მისი შინაარსი ასეთია:

„† [შ(ე)წ(წენი)თა ქ(რისტ)წსითა], დ(ს)ტ(ინ)იანე მ(ე)ფ(ი)სა [ზე, მე] [-----  
----- ვ(ი)ქ(მენ) დ(მრ)თ(ისა)გან გ(ან)დ(ი)დ(ებუ)ლი ნ(ა)თ(ესა)ვთ[ა ყ(ოველ)თა  
ჩ(ემ)თა]: ბძ(ან)გ(ებ)ითა დ(მრ)თ(ი)ვ დ(ა)ც(უ)ლ(ის)ა მ(ამ)ფლ(ის)ა არ(შუ)შა  
პ(ა)ტ(რი)კ(იოსი)სა და ნ(ებ)ითა დ(მრ)თ(ისა)დ(თა) ქ(ართ)ვ(ელ)თა ერ(ის)თ(ავის)ა,  
ქ(რ)ის(ე)პ(უ)ლ(ი)ს ც(ი)ხ(ე)ს(ა)თა ბო(ძე)ბ(ი)თ(ა), მ(ო)წ(უე)ულ ვიყავ და ა(დგ)მ(ა)რთე  
პ(ა)ტ(იო)ს(ანი) ჯ(უარ)ი, წ(მი)დ(ის)ა დ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ელი)სა ს(ა)ხ(ე)ლ(ს)ა,  
ს(ა)ლ(ო)ც(ვე)ლ(ად) ჩ(ე)მდა და ძმ(ა)თა ჩ(ე)მთა, მეოხ(ებ)ი(ს)ათ(ჯ)ს ყ(ოვე)ლ(ს)ა  
ჭ(ი)რსა, ამ(ას) ს(ა)წ(უ)თრ(ო)ს [დ]ა ს(ა)უ(ე)უნ(ეს). და ვ(ი)ნ აღ(მო)ი(კ)ით(ო)ს(ო)ს  
ლ(ო)ც(ვ)ასა მ(ო)მი(ჯ)ს(ენ)ე[თ]“ (შოშიაშვილი 1980: 103).

ამგვარად, როგორც აღნიშნული წარწერიდან ირკვევა, იმპერატორ იუსტინიანე II რინოტმეტოსის (685-695, 705-711 წწ.) დროს ქართლის ერისმთავარი არშუშა პატრიკიოსი ყოფილა, რომელიც იმავდროულად მამფალის ტიტულის მატარებელია. საინტერესოა, არის თუ არა ეს არშუშა, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ არშუშა კურაპალატი და თუ არის, საიდან ვარკვევთ ამას?! დავიწყოთ იქიდან, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის მიხედვით, არშუშა კურაპალატის შემდეგ ერისმთავარი ვარაზ-ბაკურია, ხოლო როგორც ვახტანგ გოილაძემ გაარკვია, წარწერის დაზიანებულ ადგილზე მოხსენიებული პიროვნება, რომელიც ფლობდა ქალაქ ქრისეპულს და გვევლინება წარწერის შემკვეთად, სწორედ ვარაზ-ბაკურ ანთიპატოს-პატრიკიოსია (გოილაძე 2007). ვარაზ-ბაკური ბიზანტიური საისტორიო წყაროების მიხედვით, იუსტინიანე II რინოტმეტოსის მარჯვენა ხელი და მისი

აქტიური მხარდამჭერია (Mango, Scott 1997: 102-103, 112-113), შესაბამისად, ეპიგრაფიკულ წარწერაში იმპერატორ იუსტინიანეს მოხსენიება შემთხვევითი არ არის.

ქრისეპულის მფლობელ ვარაზ-ბაკურს ქართლში ჩამოსვლის მოწვევა თავად ერისმთავარ არშუშა პატრიკოსისგან მიუღია და აბასთუმანთან ახლოს ჯვარი აღუმართავს. როგორც ლაპიდარული წარწერიდან ჩანს, არშუშა პატრიკოსის საპატიო ტიტულის მფლობელია მიუხედავად იმისა, რომ ქართლში არშუშა მთავრობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვარაზ-ბაკური ამ დროისთვის უკვე ანტიპატოს-პატრიკოსია, რაც არშუშაზე მაღალი პატივის ფლობას გულისხმობს ბიზანტიის სენატის წევრის რანგში. ამას, ერთი მხრივ, ვარაზ-ბაკურის მდგომარეობა გვაფიქრებინებს ბიზანტიის იმპერიაში, ხოლო, მეორე მხრივ, წარწერის შინაარსი, რომელშიც ვარაზ-ბაკური თავს ქართველთა შორის („ნათესავთა ყოველთა ჩემთა“) ყველაზე განდიდებულად მოიხსენიებს: „*ვ(ი)ქ(მე)ნ ღ(მრ)თ(ისავა)ნ გ(ა)ნდიდ(ებუ)ლი ნ(ა)თ(ესავთა) ყ(ოველ)თა ჩ(ემთ)ა*“ (შოშიაშვილი 1980: 103).

არშუშას კურაპალატის ტიტულით მოხსენიება უკვე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში გვხვდება, რაც არ უნდა იყოს გაზვიადებული. უნდა ვიფიქროთ, რომ არშუშამ, რომელიც თავისივე ქვეყანაში ვარაზ-ბაკურზე უპირატესი უფლებით სარგებლობდა (ამას გვიმტკიცებს თავად ქრისეპულის მფლობელის ვარაზ-ბაკურის წარწერა), მოგვიანებით მის ქვეშევდომზე (ძმაზე) მაღალი – კურაპალატის – ტიტული მიიღო, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. აქედან გამომდინარე, საისტორიო წყაროში არშუშა მის მიერ მიღებული ბოლო ტიტულით იხსენიება და არა იმ ტიტულით (პატრიკოსი), რომელიც მას მმართველობის დასაწყისში ჰქონდა მიღებული. ანალოგია შეგვიძლია გავავლოთ დავით III კურაპალატთან, იმიერ ტაოს მფლობელთან, რომელმაც კურაპალატობა 990 წელს მიიღო და ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა, თუმცა საისტორიო წყაროების უმრავლესობა მას კურაპალატად მოიხსენიებს მისი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. აქ დამკვიდრებული ტენდენციის ადრეულ პერიოდზე გადატანასთან გვაქვს საქმე. არშუშას შემთხვევაში იგი, მის მიერ ბოლოს მიღებული ტიტულით იქნა მოხსენიებულ ქართულ საისტორიო ქრონიკაში.

**ვარაზ-ბაკურ ანტიპატოს-პატრიკოსი, ოფსიკონის კომესი,  
პროტოსპათარიოსი, ქართლის ერისმთავარი**

ვარაზ-ბაკურ ანტიპატოს-პატრიკოსი თავისი დროის გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწეა. მისი პოლიტიკური ასპარეზი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, მან დიდი გავლენა მოიპოვა VII-VIII საუკუნეების მიჯნის ბიზანტიის იმპერიაშიც. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე II რინოტმეტოსის (685-695, 705-711 წწ.) კარზე ვარაზ-ბაკურს იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი პროვინციის – ოფსიკონის თემის – კომესის (მეთაური) თანამდებობა ეკავა. ატარებდა ასევე პროტოსპათარიოსის საიმპერიო საკარისკაცო ტიტულს, ხოლო ქართული წყაროების მიხედვით, იყო ანტიპატოს-პატრიკოსის ტიტულის მფლობელი. იმავე საისტორიო ნარატივის მიხედვით, „გარდაბანელნი მოაქცივნა“ მართლმადიდებელ მრწამსზე (Toumanoff 1971: 149; მეტრეველი 2008: 362-363; გოილაძე 2007: 299-300).

ქართული საისტორიო წყაროების ინფორმაცია ვარაზ-ბაკურის შესახებ მოკლეა. წერილობითი წყაროებიდან მის მოხსენიებას ვხვდებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში და სუმბატ დავითის ძის ნაწარმოებში. ჯუანშერის თხზულებაში ვარაზ-ბაკური საერთოდ არ არის ნახსენები მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ის ასრულებდა თავისი ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. „მოქცევაჲ ქართლისაჲსა“ და სუმბატის ცნობები ვარაზ-ბაკურის შესახებ დაახლოებით იდენტურია. ტექსტების ასეთი სიახლოვე იმასაც გვაფიქრებინებს, ამ კონკრეტული პასაჟის გადმოცემისას ხომ არ მომდინარეობს სუმბატის ტექსტი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკიდან?! თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სუმბატი იცნობდა თავისი წინამორბედის ტექსტს, არ გამოვრიცხავთ, რომ ეს ასეც იყოს. მიუხედავად მსგავსებისა, ვხვდებით გარკვეულ განსხვავებებსაც, კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ვკითხულობთ:

*„და შემდგომად მისა ერისთვობდა ... ვარაზ ბაკურ აჰაჲ პატრიკიოზი, რომელმაც გარბანელნი მოაქცინა [და ქრისტეანობაჲ ასწავა უნებლიაჲთ] :თ:“* (აბულაძე 1963: 97; ალექსიძე 2007: 20).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკაში ვარაზ-ბაკური, როგორც დავინახეთ, აჰაჲ პატრიკოსად არის მოხსენიებული. სამაგიეროდ, სუმბატ დავითის ძე მას

ანთიპატოს-პატრიკოსს უწოდებს, რაც უფრო რეალურია, ვინაიდან აპად პატრიკოსის ბიზანტიური ტიტული ჩვენთვის უცნობია. სუმბატთან ვკითხულობთ:

*„სტეფანოზისა შემდგომად ერისთავობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი. და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი ანთიპატოს-პატრიკოსი, რომელმან გარდაბანელნი მოაქცივნა“* (მეტრეველი 2008: 362-363).

ტიტულების განსხვავებული ჩვენება იმაზე მეტყველებს, რომ ერთ-ერთი ტექსტი, საგარაუდოდ, ცდება. კერძოდ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკა განსხვავებული ფორმით გადმოგვცემს ვარაზ-ბაკურის ბიზანტიურ ტიტულს და ანთიპატოს-პატრიკოსის ნაცვლად იყენებს აპად პატრიკოსს. შეიძლება გვეფიქრა, რომ „აპად“ „ანთიპატოსის“ შერყენილი ფორმა უნდა იყოსო, თუმცა ძნელია იმის დაჯერება, რომ ტექსტი ასე ძლიერ დააბნელებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის სამივე რედაქცია მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები ქრონიკის ტექსტში გადამწერთა მიერ იქნებოდა შეტანილი. ქრონიკის ორიგინალი დაახლოებით VII-VIII საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, ხოლო ხელნაწეთაგან უადრესი IX-X საუკუნეების მიჯნაზეა შესრულებული. ამათგან ტერმინი „აპად“ იხმარება N/Sin-50-სა (X სს. I ნახ.) და შატბერდის (X ს. 70-იანი) რედაქციებში, ხოლო „აპა“ ჭელიშურში (XIV-XV სს.) (აბულაძე 1963: 97; ალექსიძე 2007: 20). ამდენად, აპად/აპა შესაძლოა კნინობითი და შერყენილი ფორმა იყოს ანთიპატოსისა, რომელსაც ზუსტად გადმოგვცემს სუმბატ დავითის ძის ჩვენამდე მოღწეული რედაქციები. ეს მსჯელობა მართებული ჩანს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „აპაი/აპა პატრიკოსის“ ტიტული ბიზანტიაში საერთოდ არ არსებობდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „აპად/აპა“ ტექსტში აღნიშნავდეს „აპო“-ს (ἀπο) ანუ, ტიტულ „აპო პატრიკოსს“, რაც ყოფილ პატრიკოსს ნიშნავს. ბიზანტიაში არსებობდა აპო იპატოსისა და აპო ეპარხოსის ტიტულები, რაც თავისთავად არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ არსებულიყო „აპო პატრიკოსის“ ტიტულიც. ჯონ ჰალდონის მიხედვით, „აპად პატრიკოსის“ მსგავსი ფორმა დასტურდება VII-VIII საუკუნეებში „აპო იპატონ პატრიკოსის“ სახით, რომელიც ამავე პერიოდის ბიზანტიის საიმპერიო ტიტულების იერარქიულ კიბეზე ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურს იკავებს (Haldon 1990: 393).

ბიზანტიური ტიტულატურის გადმოცემის გარდა, თუ კარგად დავაკვირდებით, ორივე საისტორიო ტექსტი ოდნავ განსხვავებული ინფორმაციების შემცველია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ვარაზ-ბაკურის წარმომავლობის შესახებ არაფერს გვამცნობს, მის წინამორბედად – არშუშა კურაპალატს, ხოლო მემკვიდრედ ნერსეს ასახელებს; ხოლო სუმბატ დავითის ძის „ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონთაჲს“ ტექსტის მიხედვით, ვარაზ-ბაკური გუარამ კურაპალატის ძეა, ხოლო მის მემკვიდრედ ნერსე არის დასახელებული. ნერსე ორივე საისტორიო წყაროში მამის მითითების გარეშეა მოხსენიებული. ამდენად, თუ რა ნათესაური კავშირი არსებობდა ვარაზ-ბაკურსა და ნერსეს შორის, არცერთ ზემოხსენებულ ტექსტში არ ჩანს.

ბიზანტიური საისტორიო წყაროები ვარაზ-ბაკურის შესახებ ფრიად საინტერესო მასალებს გვაწვდიან. თეოფანე აღმსარებლის ცნობით, ვარაზ-ბაკური ბიზანტიის იმპერატორის, იუსტინიანე II-ის, მოხელე და თანამზრახველია, რომელიც დევნილობის დროსაც მასთან არის ხერსონსა და ხაზარეთში (Mango and Scott 1997: 521). ვარაზ-ბაკურს იმპერატორ იუსტინიანესთან ერთად დასჯიან სიკვდილით 711 წელს (Mango and Scott 1997: 529). თეოფანე ვარაზ-ბაკურს პროტოპატრიკოსსა და ოფსოკიონის თემის კომესს, ანუ მეთაურს უწოდებს (ლათინურად ნიშნავს თანაშემწეს) (Mango and Scott 1997: 529; Migne 1861: 769).

ვარაზ-ბაკურის ბიზანტიური ტიტულატურისა და სახელოს შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაძლევს ბიზანტიური სფრაგისტიკის ის ნუმუშები, რომლებიც მოიპოვა ცნობილმა კოლექციონერმა და ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრე გიორგი ზაკოსმა (1911-1989 წწ.). ხელთ გვაქვს ორი ასეთი ეგზემპლარის აღწერილობა.

პირველი ნიმუშის აღწერილობა მოგვყავს ნიკოლას ოიკონომიდისის ნაშრომის მიხედვით. ბეჭდის დიამეტრი 33 მმ., ხოლო 1986 წლისთვის ზაკოსის კოლექციაშია დაცული, ქალაქი ბაზელი. ლითონის ბეჭდის ძირითადი მახასიათებლები ნ. იკონომიდისის მიხედვით შემდეგია:

შუბლი: ჯვარისებრი მონოგრამა – ΘΕΟΤΚΕ ΒΙΗΘΕΙ (ლორენი, V ტიპი). ოთხივე კუთხეში ორ ხაზად შესრულებული წარწერა. მონეტის კიდე დაგრეხილია.

Тω-Δ8<sup>1</sup>Λω-COU-<sup>1</sup>BAPA-CBA<sup>1</sup>K8-ΠΙω

ზურგი: წარწერა ექვს ხაზად. მონეტის კიდე დაგრეხილია.

†ΠΑΤΡΙΚΙΩΣΚΟΜ'...ΙΤΘΕΟ'.VΛΑΚΤΘΒ.ΣΙΛΙΚΘΟΨΙΚΙΘ

წარწერა ამგვარად არის აღდგენილი:

„Θεοτόκε βιήθει τῷ δούλῳ σου βαρσβακουρίῳ πατρικίῳ (καί) κομ[ετ]ί τοῦ  
θεο[φ]υλάκτου β[α]σιλικοῦ Ὀψικίου“ (Oikonomidès 1986: 40-41).

„ღვთისმშობელო შეეწიე შენს მონას ვარაზ-ბაკურს პატრიკოსსა (და)  
ღმრთივდაცული საიმპერიო ოფსიკიონის კომეტს.“

ვარაზ-ბაკური იხსენიება ასევე კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკეფორეს  
„მოკლე ისტორიაში“, რომლის მიხედვით იგი იმპერატორ იუსტინიანე II-ს ერთ-  
ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია. ის იუსტინიანეს აქტიურად ეხმარება  
ტახტის დაუფლებაში ძმასთან ერთად, რომელსაც სალივა რქმევია - Βαρσβακούριον  
καί τον τούτου ἄδελφὸν τὸν τε Σαλιβᾶν „ვარაზ-ბაკურის და მისი ძმის სალივას“ (Mango  
1990: 102-103). ბერძნული Σαλιβᾶν/სალივა ამ შემთხვევაში ქართულ „შალვას“ უნდა  
შეესატყვისებოდეს. ამდენად, ვარაზ-ბაკურის ძმას შალვა ერქვა. შალვა ძმებს  
შორის უმცროსი უნდა ყოფილიყო. უფროსს, როგორც ზემოთ ვიხილეთ, არშუშა  
ერქვა.

იმავე ისტორიკოსის მიხედვით, იუსტინიანეს დამხობისა და ყელის  
გამოჭრის შემდეგ იმპერატორის მომხრე სხვა არხონტებთან ერთად შეიპყრეს და  
სიკვდილით დასაჯეს ვარაზ-ბაკურიც. ნიშანდობლივია ისიც, რომ სიკვდილით  
დასჯილ არხონტებს შორის პატრიარქი ნიკეფორე სახელით მხოლოდ ვარაზ-  
ბაკურს იხსენიებს (Mango 1990: 102-103). ეს მისი უპირატესი მდგომარეობის  
ხაზგასმაა. უცნობია შალვას ბედი. ის ძმასთან მონაწილეობს იუსტინიანე II-ის  
გამეფებაში 705 წელს, ხოლო შემდეგ ქრება ბიზანტიური საისტორიო წყაროებიდან.  
შალვა ან ბიზანტიაში დარჩა და ძმის ხვედრი გაიზიარა, ანდა სამშობლოში  
გააგრძელა მოღვაწეობა, ყოველშემთხვევაში მისი შემდგომი ბედი მასალებში არ  
ჩანს. საფიქრებელია, რომ ის 711 წელს ძმასთან ერთად უნდა დაღუპულიყო,  
რადგან ქართლის ერისმთავრად ვარაზ-ბაკურის შემდეგ ნერსეს ძე სტეფანოზი  
ხდება და არა სხვა ვინმე.

ამდენად, როგორც წყაროებიდან ვარკვევთ, ვარაზ-ბაკური ოფსიკიონის  
თემის კომესის სახელს გარდა, ფლობდა პროტოსპათარიოსის ტიტულს და



იწოდებოდა პატრიკოსად. თუმცა მოგვიანებით ხდება მისი მნიშვნელოვანი დაწინაურება და იუსტინიანე II-ის მმართველობის მეორე პერიოდში (705-711 წწ.), როდესაც ვარაზ-ბაკური ეუფლება ისეთ საპატიო ტიტულებს, როგორც არის პროტოპატრიკოსი და ანთიპატოსი. სხვადასხვა თემების მეთაურები პატრიკოსებად იწოდებოდნენ. ოფსიკიონის თემის მეთაური მათ შორის უპირველესად, ანუ პროტოპატრიკოსად იწოდებოდა, აღნიშნული სენატორული ტიტული ვარაზ-ბაკურს 711 წლისთვის უკვე მიღებული ჰქონდა (Mango, Scott 1997: 529). ამას თუ შევუჯერებთ ქართულ წყაროებს, მივაღწეოთ იმ დასკვნამდე, რომ ვარაზ-ბაკურს საპატიო ტიტულად ანთიპატოსის ტიტულიც მიუღია და წოდებულა როგორც „ვარაზ-ბაკურ ანთიპატოს-პატრიკოსი“. როგორც ბიზანტიოლოგიაში ითვლება, ანთიპატოსი საპატიო ტიტულად მხოლოდ IX საუკუნიდან იქცა (ODB 1 1991: 111). თუმცა ვარაზ-ბაკურის მაგალითი გვიჩვენებს, რომ აღნიშნული პატივი საპატიო ტიტულად ჯერ კიდევ VII საუკუნის დასაწყისში ქცეულა. მხოლოდ ამგვარი კონიუქტურით შეიძლება აიხსნას ბიზანტიურ ტაქტიკებში მოხსენიებული ანთიპატოსის ტიტული, რომელიც X საუკუნემდე მაგისტროსის შემდეგ ყველაზე საპატიო ტიტული იყო ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულატურაში (Oikonomides 1972: 94-95). პარალელურად, იმავე X საუკუნეში, ბიზანტიის ყველა თემის სტრატეგოსი საპატიო ტიტულად ანთიპატოსის ტიტულს ატარებდა (Oikonomides 1972: 136-141) მაშინ, როდესაც შედარებით ძველი კონიუქტურით ისინი მხოლოდ პატრიკოსებად იწოდებოდნენ (Oikonomides 1972: 46-49). ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ ანთიპატოს-პატრიკოსამდე თემის მეთაურები მხოლოდ პატრიკოსებად იწოდებოდნენ. ხოლო მოგვიანებით, გარკვეული პრეცედენტის შექმნის შემდეგ, მათი პატივი ამაღლდა ანთიპატოს-პატრიკოსის ტიტულამდე. ასეთი პრეცედენტი უნდა ყოფილიყო ოფსიკიონის თემის კომესის, ვარაზ-ბაკურის, დაწინაურება ანთიპატოს-პატრიკოსად, რამაც განაპირობა მისი პროტოპატრიკოსობა, ანუ პატრიკოსთა შორის უპირველესის ტიტულის მიღება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ თეოფანესთან მოხსენიებული პროტოპატრიკოსობა გულისხმობდეს ანთიპატოს-პატრიკოსის ტიტულს; ვგულისხმობთ იმას, რომ პროტოპატრიკოსად ვარაზ-ბაკურის დასახელებით ისტორიკოსი ხაზს უსვამს მის დაწინაურებას სხვა პატრიკოსებს შორის. ხოლო ქართული წყარო გვიჩვენებს მის ოფიციალურ

ტიტულს – ანთიპატოს-პატრიკიოსს. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის, რომ პროტოპატრიკიოსის ტიტული არ გვხვდება სხვა ბიზანტიურ წყაროებში, ხოლო ანთიპატოს-პატრიკიოსი კი მრავალჯერ დასტურდება იმავე პერიოდის მასალებში.

ეს ყველაფერი თავისთავად არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პროტოპატრიკიოსობას რეალური შინაარსი ჰქონოდა. აღნიშნული მიუთითებს არა იმდენად რეალურ ტიტულზე, არამედ მდგომარეობაზე, რომელიც ვარაზ-ბაკურს ეკავა ბიზანტიაში. სწორედ ამის გამო იყო, რომ თეოფანე აღმსარებლის ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა, ჰარი თართლედოუმ, ტიტული თარგმნა არა როგორც პროტოპატრიკიოსი, არამედ როგორც პატრიკიოსთა შორის უპირველესი – Βασβακισριος δ πρωτοπατρικιος και κμης του Ουακίου (Mango and Scott 1997: 529; Migne 1861: 769). ამით ხაზი გაუსვა იმას, რომ პროტოპატრიკიოსის მსგავსი საპატიო ტიტული არ არსებობდა. თუმცა, ამასთან, ამავე პასაჟის მიხედვით, ვარაზ-ბაკური ყველაზე დაწინაურებული იყო სხვა პატრიკიოსებს შორის. მის რეალურ ტიტულზე ინფორმაციას სუმბატ დავითის ძე გვაწვდის, როდესაც მას ანთიპატოს-პატრიკიოსს უწოდებს (მეტრეველი 2008: 362-363).

რა მდგომარეობა უნდა ჰქონდა აღნიშნულ ტიტულს ბიზანტიაში VII საუკუნის დასაწყისისთვის? ფილოთეოსის „კლექტოროლოგიონის“ მიხედვით, ტიტული ანთიპატოსი სპექტაბილისზე და პროტოსპათაროსზე მაღალია და ადგილს მაგისტროსის შემდეგ იკავებს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს 899 წლისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთი ტიტულები, როგორც არის მაგისტროსი და ზოსტე პატრიკია, იშვიათად გაიცემოდა. ზოსტე პატრიკიად იწოდებოდნენ მხოლოდ საიმპერატორო ოჯახის წევრი ქალები და იმპერატორის ოჯახთან დაახლოებული ქალები. მაგისტროსის ტიტული, როგორც ფილოთეოსის ტაქტიკონშია აღნიშნული, 899 წლისთვის საპატიო ტიტულია (Oikonomides 1972: 94-95). მოგვიანო პერიოდის ტაქტიკონებში იგი შედარებით დამცრობილია და მეორე რიგის ტიტულებში არის გაერთიანებული (Oikonomides 1972: 244-245, 262-263). შედარებით ძველ ე.წ. უსპენსკის ტაქტიკონში, როგორც ჯ. ბ. ბიური აღნიშნავს, მაგისტროსის საპატიო ტიტულს ვერ გვხვდებით, ხოლო ნ. ოიკონომიდის ამ ფაქტს გადამწერის შეცდომას მიაწერს და აღადგენს მას შესაბამის ადგილას (Bury 1911: 46-47; ODB II 1991: 1267). VII საუკუნიდან რამდენიმე მაგისტროსი გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე (Oikonomides

1972: 294). მათ შორის ერთ-ერთი პირველია ნიკიტა ქსილინიტესი, რომელიც მაგისტროსობას იმპერატორ ანასტასიუს II არტემიოსის (713-715 წწ.) დროს ეუფლება. ხოლო ლეონ III ისავრიელის (717-741 წწ.) დროს ნიკიტა ყოფილ იმპერატორს ეხმარება ტახტისთვის ბრძოლაში, თუმცა წარუმატებლობას განიცდის და ანასტასიუს-არტემიოსთან ერთად სიკვდილით დასჯიან 719 წელს. ხოლო იმ დიდძალ ქონებას, რაც თანამდებობზე ყოფნის დროს დააგროვა, კონფისკაციას გაუკეთებენ (Bury 1911: 29; Mango and Scott 1997: 92). ძნელია ზუსტად იმის განსაზღვრა, იყო თუ არა მაგისტროსის, ტიტულის მფლობელი რომელიმე კონკრეტული არისტოკრატი იუსტინიანე II-ის (685-695, 705-711 წწ.) მმართველობის დროს, ან თუ იყო, რამდენად მაღალია მისი მდგომარეობა ბიზანტიის იმპერატორის საკარისკაცო იერარქიაში. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ კესაროსისა და ნოველისიმოსის ტიტულების მფლობელებს ამ დროს ვერ ვხვდებით საკუთრივ ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში, ხოლო კურაპალატი, სავარაუდოდ, ასევე იმპერიის ფარგლებს გარეთ არის საძიებელი.

ამდენად, ვარაზ-ბაკურის მდგომარეობა ბიზანტიაში თუ არა ყველაზე მაღალი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაინც უნდა ყოფილიყო. ხოლო მისი მოხსენიება იმპერატორ იუსტინიანეს მხარდამჭერთა შორის, როდესაც იმპერატორი დევნილობაში იმყოფებოდა, და მაშინაც, როდესაც მის მეორე მმართველობას საფრთხე შეექმნა, მიუთითებს მის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე იმპერატორ იუსტინიანე II-ს საიმპერატორო კარზე. სწორედ, იუსტინიანეს დროს იქნა შესრულებული ვარაზ-ბაკურის წარწერა, სადაც მისი სახელი სამართლიანად აღადგინა ვახტანგ გოილაძემ. წარწერის მიხედვით, ვარაზ-ბაკური ქართველთა შორის ყველაზე უფრო განდიდებულად მოიხსენიებს საკუთარ თავს: „† [შ(ე)წ(წვნი)თა ქ(რისტ)წსითა], ძვ(ს)ტ(ი)ნ(ი)ანე მ(ე)ფ(ი)სა [ზე, მე]---(ვარაზ-ბაკური – ლ. თ.)---ვ(ი)ქ(მე)ნ ღ(მრ)თ(ისაგან) გ(ა)ნ[დიდ(ებუ)ლი ნ(ა)თ(ესა)ვთ[ა ყ(ოველ)თა ჩ(ემთ)ა“: (შოშიაშვილი 1980: 103)

### სტეფანოზ III (IV) ქართლის ერისმთავარი

ვარაზ-ბაკურის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ, რასაც ადგილი 711 წლის 11 დეკემბრის ახლო ხანებში ჰქონდა, ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ III (IV)

ნერსეს ძე ხდება. სტეფანოზი თავისი ფრესკული წარწერის მიხედვით 739 წელს, 14 ოქტომბერს, ოთხშაბათ დღეს გარდაიცვალა (აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 34-35, 89-90). ამავე წარწერის მიხედვით, სტეფანოზი თავისი მთავრობის 29-ე წელს გარდაცვლილა, რაც მისი ერისმთავრობის დასაწყისად 711 წელს მიუთითებს (აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 34-35, 89-90).

გურამ აბრამიშვილმა გაარკვია, რომ სტეფანოზი ერისმთავრ ნერსეს ძეა (აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 37; აბრამიშვილი 1977: 64; აბრამიშვილი 1984: 165-166). ნერსე ერისმთავარი, როგორ ასოლიკის ცნობით ზემოთ ვიხილეთ, ქართლის ერისმთავარი ყოფილა.

სტეფანოზის შესახებ ინფორმაციას ატენის სიონის ტაძარში აღმოჩენილი გრაფიტები გვაწვდიან. ატენის სიონის აღნიშნული ეპიგრაფიკული წარწერების მიხედვით, სტეფანოზს ერისმთავრობა ბიზანტიის იმპერატორ ვარდან ფილიპიკოსისგან (711-713 წწ.) მიუღია (აბრამიშვილი 1984: 162-164). ერთ-ერთ გრაფიტში სტეფანოზი ნერსეს ძედ არის დასახელებული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ის ნერსე I დიდის ვაჟიშვილი ყოფილა (აბრამიშვილი 1984: 163; გიოლაძე 2008: 52).

სტეფანოზის შესახებ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია ატენის სიონის დასავლეთ ფასადის ფრესკული წარწერა, რომელიც მისივე შინაარსის მიხედვით სტეფანოზ მამფალს ეკუთვნის. სტეფანოზ მამფალი ქართველთა და მეგრელთა ერისთავთ-ერისთავთა უფლად არის დასახელებული. წარწერის აბრამიშვილისეული ვარიანტი შემდეგია:

*„[ქ: ზეობას]ა კა (= 21) ღ(მრ)თ(ი)გვირგვინ[ოსანისა]  
[არხილისი<sup>3</sup>, კეთ(ი)თლადმსახურებასა შ(ინ)ა]  
მ[ე]ფ[ისა] ჩუენისასა, კელმწიფობასა  
[სა]რკინოზთასა რ კ ა (= 121), აღესრულა  
კუ[რ]თხეული მ(ამ)ფ(ა)ლი სტეფანოზ,  
ღ(მრ)თ(ი)სა მ[იერ] ქ(არ)თ(უე)ლთა და მ(ე)გრ(ე)ლთა  
ერისთავე[რისთა]ესთა უფ(ა)ლი თ(უეს)ა ოკლომბერსა*

<sup>3</sup> სხვა გავრცელებული მოსაზრებით აქ უნდა ვიგულისხმოთ ბიზანტიის იმპერატორი ლეონ III სირიელი/ისაურიელი (717-741 წწ.), რომლის იმპერატორობის 21-ე წელი სწორედ 738/739 წელზე მოდის, ისევე როგორც ჰიჯრით 121-ე წელი.

[იდ] (= 14), დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა

ა (= 1) ღა[მისას]ა ა, ამას ზ(ედ)ა წელსა დღისა

მო[ავრობისა მო]ხრდილი კთ (= 29)“ (აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 89-90; აბრამიშვილი 1977: 35-36).

წარწერას გურამ აბრამიშვილი 739 წლით ათარიღებს (აბრამიშვილი 1977: 14-15; აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 89-90). მიღებული თარიღი შეესაბამება როგორც ვარაზ-ბაკურის გარდაცვალებიდან (711 წელი) ოცდამეცხრე წელს, ასევე პიჯრით 121 წელსაც, რომელიც თანამედროვე კალენდარზე დაანგარიშებით 738 წლის დეკემბერს იწყება და 739 წლის დეკემბერში მთავრდება. აღნიშნული წარწერიდან არ ჩანს, რომ სტეფანოზი ფლობდა რაიმე ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულს, თუმცა იმპერატორი ვარდანის მიერ სტეფანოზისთვის ქართლის მმართველობის დამტკიცება მის ახლო ურთიერთობაზე უნდა მიუთითებდეს ბიზანტიის იმპერიასთან, მისი მმართველობის დასაწყისში მაინც. ატენის სიონის ერთ-ერთ გრაფიტში აღნიშნულია:

*„ქ. ესე მე დ(ა)ვწერე იოანემან. ვარდან კაისარ მისცა [გვირგვინი? და სტეფანოზ] ნე(რ)სესა ძე, დარი ღ(მრ)თისად შერ(აც)ხეს და ვარაზ მ----[სტეფან]ოზ მამფალსა და წაღმართ(ცა) ცნეს დ(ა)მყარება მისი. ვინც წაიკითხოს] ლოცვას(ა) მომი[კ]ს[ენე], ამენ“* (აბრამიშვილი 1984: 164).

ამ წარწერის შინაარსი, გურამ აბრამიშვილის მიხედვით, ის არის, რომ ბიზანტიის კეისარი, ვარდან ფილიპიკოსი, ერთ-ერთ ქართველ დიდებულს გვირგვინს გადასცემს. გვირგვინის გადაცემის მოტივი თავად ავტორის მიერ არის აღდგენილი, რაც. ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული კორექტურისგან. წარწერის მიხედვით, სტეფანოზი, როგორც „დარი ღმრთისად შერ(აც)ხეს“ ერისმთავრად. ის, რომ წარწერაში მოხსენიებული პიროვნება რომლის სახელის ბოლო ორი ასობგერა „ოზ“ „სტეფან-ოზ“-ის აღმნიშვნელია, მტკიცდება ატენის სიონის ზემოხსენებული ფრესკული წარწერით.

სტეფანოზის გარდაცვალების დროს გააკეთებულ წარწერაში (739 წელი) მისი ბიზანტიური ტიტულატურის გარეშე მოხსენიება მიუთითებს, რომ სტეფანოზი მმართველობის ბოლოს არცერთ მათგანს არ ფლობდა.

## ადარნერსე II ქართლის ერისმთავარი

ადარნერსე ქართლის ერისმთავრის შესახებ ცნობები უაღრესად მწირია, ვიცით მხოლოდ ის, რომ ის ატარებდა კურაპალატის ტიტულს და იყო ნერსე II-ის მამა. ამ ინფორმაციას ვიგებთ იოანე საბანის ძის „აბო ტფილელის წამების“ ტექსტიდან, სადაც ნათქვამია:

*„ნერსე ძე ადარნერსე კურაპალატისა და ერის მთავრისა“.* (ქართული პროზა..., I 1982 :125; ჯავახიშვილი 1965: 81)

ინფორმაცია მოკლეა და მისი მიხედვით იმის გარკვევა, თუ როდის და რა ვითარებაში მიიღო მან კურაპალატობა, ადვილი არ არის. ერთი რამ ფაქტია, რომ ქართლის საერისმთავროში ერთადერთი კურაპალატი მისივე ერისმთავრობის პერიოდში თავად ადარნერსე უნდა ყოფილიყო. სხვა ქართული საისტორიო ტექსტები მის შესახებ ინფორმაციას არ იძლევიან. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და სუმბატ დავითის ძის ტექსტებში ადარნერსე კურაპალატის შესახებ ცნობები დაცული არ არის. ისინი ასახელებენ მის ძეს ნერსეს, მაგრამ არ წერენ არაფერს მისი მამის შესახებ.

*„გარაზ-ბაკურ აჲაჲ პატრიკიოზი, რომელმან გარბანელნი მოაქცინა თ, და მერმე ნერსე [ი], და ძენი მისნი: ფილიპე ია, სტეფანოზ იბ, ადრნესე ივ, გუარამ იდ, და ბაკურენი ძე ბაღდადისი იე; და ძენი ადრნესესნი: სტეფანოზ ივ, და აშოტ კურაპალატი იზ, და გუარამ [იზ]. დიდნი ერისთავნი ესთენ იყენეს“* აბულაძე 1963: 97).

## ნერსე II ქართლის ერისმთავარი

ადარნასე კურაპალატის შემდეგ ქართლის ერისმთავარი ნერსე II ხდება. ნერსე VIII საუკუნის 60-70-იან წლებში ერისმთავრობდა. ის იყო გრიგოლ ხანძთელის აღმზდელი და მისი ახლო ნათესავი. იოანე საბანის ძის გადმოცემით ნერსეს მეუღლე გრიგოლის მამიდაა. გრიგოლის შესახებ ვკითხულობთ:

*„ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა და მართლმორწმუნეთა მამადედათაჲ და სახლსა შინა სამეუფოსა დიდისა ნერსე ერისთავისასა აღზრდილ იყო ხელითა კეთილად მსახურისა დედოფლისა – ნერსეს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“* (აბულაძე 1963: 249).

ნერსეს შესახებ ცნობები დაცულია, ასევე მოქცევაი ქართლისაში და სუმბატ დავითის ქესთანაც, თუმცა არცერთი მათგანი არ გვაწვდის ცნობებს მისი ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ (ალექსიძე 2007: 20; მეტრეველი 2008: 362).

ნერსეს შემდეგ მთავრობდნენ ადარნარსე, ფილიპე და სტეფანოზი (ალექსიძე 2001: 311-315), თუმცა არცერთი მათგანის ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ არ ვხვდებით რაიმე ხელშესახებ ინფორმაციას. არ არის გამორიცხული, რომ არაბების გაგლენის შედეგად ქართლის ერისმთავართა სახლს შეეწყვიტა ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მიღება.

### კურაპალატის ტიტული ქართველთა სამეფოში

ქართველთა სამეფოს ჩამოყალიბება ბაგრატიონთა გვარის სახელმწიფო მოღვაწის, აშოტ I დიდი კურაპალატის (786-826 წწ.), სახელს უკავშირდება. აშოტი ჯერ ქართლის ერისმთავარი ყოფილა. მას თბილისი და ბარდავი ჰქონდა ჩაბარებული (ყაუხჩიშვილი 1955: 376; მეტრეველი 2008: 363). ბუნებრივია, აშოტი ქართლისა და არანის ტერიტორიის დიდ ნაწილს მართავდა, რაც არაბების მიერ უნდა ყოფილიყო სანქცირებული. მოგვიანებით არაბების დამარცხებასთან ერთად ბიზანტიასთან ომში და სახალიფოს დასუსტების პირობებში აშოტი არაბებს აუჯანყდა. არაბების წინააღმდეგ აჯანყება ბიზანტიის მოკავშირეობის გარეშე წარმოუდგენელი იყო. უკვე აშოტის მამას, ადარნასეს ბაგრატიონს, სამფლობელოები ბიზანტიის იმპერიის ჩრდოლო-აღმოსავლეთ საზღვართან ჰქონდა. ეს კი, ბუნებრივია, ბიზანტიის მესვეურთა თანხმობასაც გულისხმობდა აღნიშნული ტერიტორიის კონტროლის საქმეში. აშოტს მამის მიერ კონსოლიდირებულმა საერისთავომ მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. საერთოდ VII-VIII საუკუნეების საქართველოში რამდენიმე საერისთავო იყო შექმნილი, რომლებიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ. საქართველოში კი ამ დროს სამი სუპერძალა იბრძოდა გაგლენის მოპოვებისთვის, მათ შორის იყვნენ: ბიზანტიის იმპერია, არაბთა სახალიფო, ხაზართა ხაკანატი. ყველა ამ ზესახელმწიფოს პოლიტიკა ექსპანსიონისტურ ხასიათს ატარებდა და რეგიონის მასშტაბით ჰეგემონობის დამყარებას ისახავდა მიზნად. აღნიშნული იმპერიების ინტერესები, ყველაზე მძაფრად საქართველოს ტერიტორიაზე იკვეთებოდა.

სამ ზესახელმწიფოს შორის ყველაზე გავლენიანი არაბთა სახალიფო იყო. შესაბამისად, საქართველოში არსებული პოლიტიკური ერთეულების დიდი ნაწილი ხალიფას უზენაესობას სცნობდა. აშოტის და სხვა ადგილობრივი კავკასიელი მმართველების მიზანი არაბეთის ბატონობის დამხობა იყო. არაბეთში მიმდინარე სოციალურმა დაპირისპირებამ და ბაბექის აჯანყებამ აშოტს ხელი გაუხსნა აჯანყების დასაწყებად. წამოწყებაში მნიშვნელოვანი ადგილი ბიზანტიის პოლიტიკურ და მორალურ მხარდაჭერას ჰქონდა. მიუხედავად გარკვეული წარმატებისა და ბიზანტიის მხარდაჭერისა, აშოტის კამპანია წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა, ის ბოლომდე იბრძვის ქართლისთვის, ხოლო პოლიტიკურ ცენტრად გარეშე მტრებისგან შედარებით უფრო დაცულ ადარნასე ბაგრატიონის სამფლობელოებს ირჩევს. ადარნასეს სამფლობელოები „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით შემდეგია:

*„სიცოცხლესავე ჯუანშურისსა იცვალა ადარნასე ბაგრატონიანმან ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა, ნივალისა, ასისფორისა, არტანისა და ქუემოღსა ტაოღსაჲ, და ციხეთაგანცა, რომელნი ჰქონდეს შვილისშვილთა ვახტანგ მეფისათა. და წარვიდა ადარნასე კლარჯეთად და მუნ მოკუდა“* (ყაუხჩიშვილი 1955: 252; მეტრეველი 2008: 255).

ამდენად, ჯერ კიდევ აშოტის მამის, ადარნასეს, დროს კლარჯეთი ბაგრატიონების პოლიტიკურ ცენტრად იქცა საქართველოში. ქართული წყაროების ჩვენებით, სწორედ არაბთა ბატონობის წინააღმდეგ გამოსვლისთვის იღებს აშოტი ბიზანტიის იმპერატორისგან კურაპალატის ტიტულს. „მატიანე ქართლისაჲში“ ვკითხულობთ:

*„ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა. რამეთუ მათვე უამთა შესრულ იყო მასლამა საბერძნეთად, და შეიქცა მოუძღურებული და განწბილებული. მაშინ ბერძენთა მეფემან მოუბოძა კურაპალატობაჲ აშოტს. და მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი. და განდიდნა აშოტ კურაპალატი“* (ყაუხჩიშვილი 1955: 252; მეტრეველი 2008: 255).

როგორც საიტორიო წყაროდან ჩანს, აშოტს კურაპალატობა არაბების წინააღმდეგ ბრძოლის გამო მიუღია. სხვა ქრონოლოგიური მითითებები, რის დანახვასაც ცდილობდნენ სხვა მკვლევარები, იქ არ ჩანს. კურაპალატის ტიტულით იხსენიებს მას სუმბატ დავითის ძეც, თუმცა არ აღწერს იმას, თუ რა ვითარებაში



და რა მიზეზით დაეუფლა აშოტი კურაპალატობას. სამაგიეროდ, სუმბატი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელმწიფება აშოტ I კურაპალატმა სწორედ ბიზანტიის იმპერატორის ნებით დაიმკვიდრა:

*„და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა კელმწიფებაჲ მისი ნებითა ბერძენთა მეფისაჲთა“* (ყაუხჩიშვილი 1955: 376; მეტრეველი 2008: 363).

ამგვარად, ქართული წყაროების ცალსახა ჩვენებით კურაპალატობა და ხელმწიფება, ანუ დამოუკიდებელი მმართველობის უფლება აშოტს ბიზანტიის იმპერატორისგან მიუღია. აშოტ I კურაპალატის სახელს უკავშირდება ქალაქი არტანუჯის დაარსება და მისი გადგაქალაქება. ეს ყველაფერი იძლევა იმის საფუძველს, რომ სწორედ იგი მივიჩნით ახალი ქვეყნის – ქართველთა სამეფოს დამაარსებლად. როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაში არის გარკვეული, კურაპალატის ტიტული აშოტმა 813 წელს მიიღო იმპერატორ ლეონ III არმენიელის განკარგულებით.

აშოტის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღება რომ ვასალურ დამოკიდებულებას გულისხმობდა, ეს მოსაზრება არ არის ახალი (ბადრიძე 1965: 221). ამ მოსაზრებასთან ერთად შოთა ბადრიძე თვლიდა, რომ კურაპალატობის მიღებით აშოტი თავის ძველ ტიტულს – ერისთავს – ახლით ანაცვლებს, რაც გულისხმობდა არა ერისთავის ან მისი სახეცვლილი ფორმის ერისმთავრის გამოყენებას უმაღლესი პოლიტიკური უფლების აღმნიშვნელ ტერმინად, არამედ კურაპალატის. ბადრიძე წერს:

*„წყაროები, რომელთა გააზრება სწორედაა შესაძლებელი მმართველობის მეორე პერიოდიდან მხოლოდ კურაპალატის პატივით იცნობენ აშოტ დიდს. ამიტომაც ბუნებრივია, წამოიჭრას ვარაუდი, რომ ბიზანტიასთან ვასალურ პირობაზე მოქცევის დროიდან კურაპალატობამ შთანთქა ერისთავის სახელი. პირველმა მთლიანად შესცვალა მეორე“* (ბადრიძე 1965: 221).

შოთა ბადრიძე არ ჯერდება იმის აღნიშვნას, რომ კურაპალატმა ერისთავის ფუნქცია გადაფარა და იქვე აღნიშნავს, რომ კურაპალატსაც უნდა შეეცვალა თავისი შინაარსი (ბადრიძე 1965: 221). ამაში მკვლევარი იმას გულისხმობს, რომ კურაპალატობა უკვე, როგორც უმაღლესი პოლიტიკური უფლების აღმნიშვნელი სახელი, მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე. აღნიშნული თვალსაზრისის

გასამყარებლად შოთა ბადრიძეს სუმბატ დავითის ძის შემდეგი პასაჟი აქვს მოშველიებული:

*„ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა 7 ვ, და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს“* (ბადრიძე 1965: 222; ყაუხჩიშვილი 1955: 378; მეტრეველი: 366).

მოტანილ წყაროში არსად ჩანს, თუ ვინ დაამტკიცა დავით I (876-881 წწ.) ბაგრატის ძე კურაპალატად. ხოლო იმისთვის, რომ მსგავსი ვარაუდი საფუძვლიანად ჩაითვალოს, მკვლევარს ესაჭიროება სულ მცირე ერთი პარალელის მოყვანა მაინც, როდესაც კურაპალატის ტიტულს ანიჭებენ საქართველოში ბიზანტიის ყველანაირი ჩარევის გარეშე. მსგავსი პარალელი კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საერთოდ არ არსებობს. უფრო მეტიც, თუ გადავხედავთ ქართული წყაროების მონაცემებს, მაგალითად, დავით III კურაპალატის შესახებ, ვერ შევხვდებით ცნობას, თუ ვინ და როდის გადასცა მას ბიზანტიური ტიტული (კურაპალატი). მაშინ, როდესაც ბიზანტიურ საისტორიო წყაროში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბარდა ფოკას აჯანყების შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II დიდმა დავითის წინააღმდეგ გაილაშქრა და აიძულა, დამორჩილებოდა, ხოლო მისი სამფლობელოები სამემკვიდრეოდ დაემტკიცებინა იმპერატორისთვის. იმპერატორმა წყალობის ნიშნად დავითს კურაპალატის ტიტული უბოძა. აღნიშნულ მოვლენას, იაჰია ანტიოქიელის მიხედვით, ადგილი 989 წელს ჰქონდა და არა დავითის დაბადებისთანავე (Степаненко 1982: 72-77), როგორც ეს შეიძლება მკითხველს მოეჩვენოს ქართული წყაროებიდან. აშოტის კურაპალატობაზე ანალოგიური ცნობა მოგვეპოვება, ოღონდ უკვე ქართულ წყაროში, სადაც გარკვევით არის მითითებული, რომ მან კურაპალატობა ბიზანტიის იმპერატორისგან (ბერძენთა მეფე) მიიღო. (ყაუხჩიშვილი 1955: 252; მეტრეველი: 255). აშოტის მიერ (813 წელი) და დავითის მიერ (989 წელი) კურაპალატის ტიტულის მიღება იმპერატორის სპეციალური განკარგულების მიხედვით, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქართველთა სამეფოში მთელი IX-X საუკუნეების განმავლობაში კურაპალატის ტიტულის გაცემა მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის პრივილეგია იყო და ის მემკვიდრეობით არასდროს გადაიცემოდა. მსგავსი ვითარებაა თუნდაც მანამდე და მის შემდეგაც, ვიდრე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულატურა არსებობს საქართველოში XI საუკუნის ჩათვლით.

ეს რაც შეეხება კურაპალატის ფუნქციის შეცვლას, რის შესახებაც ბუნებრივია, არ ვიზიარებთ შოთა ბადრიძის მოსაზრებას. უფრო მეტიც, ვერ გავიზიარებთ მის მოსაზრებას, თითქოს აშოტის დროს კურაპალატის ტიტულმა ერისთავის სახელო ჩაანაცვლა. ჩვენი აზრით, კურაპალატმა კი არ ჩაანაცვლა ერისთავის სახელო, არამედ ისინი არსებობდნენ ერთმანეთის პარალელურად. ერისთავი შესაძლოა ყოფილიყო კურაპალატი თუ შესაბამის ტიტულს გასცემდა იმპერატორი კონკრეტულ ფეოდალზე, რომელსაც ერისთავის სახელო ჰქონდა მიღებული.

რაც შეეხება დიდი ერისთავობის ანუ ერისმთავრობის დამცრობას, ეს ფაქტი ძველი, უმაღლესი პოლიტიკური უფლებების აღმნიშვნელი ტერმინის, „მეფის“ აღდგენასთან უნდა იყოს კავშირში. ამ მოვლენას აშოტ I კურაპალატის მმართველობის დროს ჰქონდა ადგილი. აშოტი იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მეფედ იწოდა ერისმთავართა (ე.ი. ერისთავთა) შორის,<sup>4</sup> ხოლო ხელმწიფების, ანუ დამოუკიდებელი მმართველობის ლეგიტიმაცია, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიის იმპერატორისგან მიიღო. სუმბატთან მითითებული თარიღის გათვალისწინებით, ტიტული „ქართველთა მეფე“ 888 წელს შემოიღეს. ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ ქართველთა მეფის ტიტული ჰაერიდან იქნა მოტანილი ან ყველანაირი წინასწარი ნიადაგის შექმნის გარეშე მოხდა ამ ტიტულის დამკვიდრება. ადარნასეს ქართველთა მეფედ კურთხევას უკვე ჰქონდა შემზადებული ნიადაგი აშოტის მიერ მეფის ტიტულის მიღებით, უბრალოდ წყაროში არ ჩანს, თუ რა კონკრეტული ტერიტორიის მეფედ მოიაზრებდა თავს აშოტ I კურაპალატი, მაგრამ ის, რომ აშოტ კურაპალატი მეფედ იწოდება ამას რიგი ქართული წყაროები უდავოდ ადასტურებენ (მეტრეველი 2008: 255). რეალურად აშოტი მესხეთსა და შიდა ქართლში მეფობს, ხოლო ოფიციალურად კი მისი „მეფობა“ ქართლის მეფობას უნდა გულისხმობდეს. სავარაუდოდ, აშოტი თავს ჯუანშერის ლეგიტიმურ მემკვიდრედ თვლიდა, რასაც მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობა იმის შესახებ, რომ ჯუანშერ არჩილის ძის სიკვდილის შემდეგ (787 წელს) მის ადგილზე აშოტი გახდა ერისმთავარი (ვაუხნიშვილი 1973: 127-128). ეს ყველაფერი გარკვეული სახეცვლილი ფორმით

---

<sup>4</sup> სხვა იმ ეპოქიდან უნდა ყოფილიყო ლეონ II, რომელიც ქუთაისში მეფედ კურთხევამდე აფხაზეთის ერისთავია, ხოლო ეგრისში იოანე არჩილის ძის გარდაცვალების შემდეგ მეფედ იქნა გამოცხადებული, როგორც არჩილის სახლის ერთადერთი ლეგიტიმური მემკვიდრე.

გაფორმდა 888 წელს როდესაც ადარნასე ოფიციალურად იწოდა „ქართველთა მეფედ“ (მეტრეველი 2008: 366). ნაწილი ისტორიკოსებისა თვლის, რომ ამ აქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 895, 897 ან 899 წელს (ბადრიძე 1965: 223-224), თუმცა ამაზე ამჯერად არ შევჩერდებით.

როგორც ისტორიოგრაფიაში არის გაზიარებული, კურაპალატის ტიტულის მფლობელები ბიზანტიის იმპერატორის სიმპატიითა და აღიარებით სარგებლობდნენ ქართველთა სამეფოში. სწორედ კურაპალატის ტიტულის მფლობელს თვლიდა ბიზანტიის იმპერატორი „ქართველთა სამეფოში“ ყველაზე უპირატესად სხვა მმართველებისგან განსხვავებით. ითვლება, რომ კურაპალატის ტიტულის გაცემით იმპერატორები უპირისპირდებიან ადგილობრივ იერარქიულ სისტემას, რომლის სათავეშიც „ქართველთა მეფე“ მოიაზრება. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები, რომელშიც იგი ქართველებს „კურაპალატის იბერებად“ (οἱ Ἰβηρῆς Ἰγους οἱ τῶν Κουραπυλάτου) მოიხსენიებს (ყაუხჩიშვილი 1952: 255). აღნიშნული კარგად ეხმაურება ბიზანტიის პოლიტიკას ქართველთა სამეფოს მისამართით, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურად ბიზანტიის იმპერატორს მისივე ხელდასმული კურაპალატი მიაჩნია. ტიტული „კურაპალატი“ ბიზანტიის მესვეურთათვის გახდა ერთგვარი საშუალება, არამხოლოდ გამოეკვეთათ საკუთარი ფავორიტი ქართველი ხელმწიფეების რიგიდან, არამედ ხშირ შემთხვევაში გაექლიერებინათ, აღეხეებინათ საკუთარი მომხრეები და ამით გარკვეული დაპირისპირება შეეტანათ ქართველთა სამეფოს მმართველ წრეში. ეს ტენდენცია შეამჩნიეს ქართული მატრიანების ავტორებმაც. მაშასადამე ბიზანტიის ეს პოლიტიკური ხრიკები კარგად იყო ცნობილი საქართველოში, რასაც, ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში ღია და შეუნიღბავი ხასიათი ჰქონდა. სუმბატ დავითის ძე წერს:

*„და მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი – გურგენს მაგისტროსობად და ბაგრატს კურაპალატობად, რადთამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამაძენი ესე, და ამით ღონითა იძმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული მისი ზაკუთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა“* (ყაუხჩიშვილი 1955: 382; მეტრეველი 2008: 370).

ამრიგად, დავით III კურაპალატის გარდაცვალების (1000 წელი) შემდეგ მომხდარი ბიზანტია-საქართველოს კონფლიქტის დროს იმპერატორი, ბასილ II დიდი, აშკარად ცდილობდა უთანხმოება ჩამოეგდო მამა-შვილს შორის. მისმა მცდელობამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ გაამართლა. გურგენი, ისტორიკოსის შეფასებით „მართალი“, ანუ სამართლიანი კაცი იყო და უსამართლობა შვილის მიმართ არ ჩაუდენია. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ კურაპალატის ტიტულის გამოყენება გარკვეული პოლიტიკური უთანხმოების ჩამოგდების მიზნით 1000 წლამდეც უნდა მომხდარიყო, რასაც გურგენის და ბაგრატის შემთხვევისგან განსხვავებით ბიზანტიისთვის სასურველი შედეგი უნდა მოეტანა. გურგენის გადაწყვეტილება, არ გაესაჩივრებინა იმპერატორის ბრძანება, შვილის პატივისცემით იყო განპირობებული, რასაც, ბუნებრივია, ნაკლებად გაუწევდა ანგარიშს გურგენის ადგილზე მყოფი სხვა პიროვნება. ის, რომ ისტორიკოსის აღშფოთება გამოიწვია ბასილის გადაწყვეტილებამ, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რანგით უფრო მაღალი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული ეძლეოდა ასაკით უფროსებს და არა მეტი გავლენისა თუ ტიტულის მქონეებებს. 1000 წლისთვის ბაგრატი „აფხაზთა მეფის“, ხოლო გურგენი „ქართველთა მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. ამდენად, მათი სტატუსი თანასწორია. მაგრამ გურგენი მამაა და ასაკით უფროსი. შესაბამისად, უხუცესობის პრინციპით გვარში ის არის მეთაური და იწოდება კიდევ „მეფეთ მეფედ“. სწორედ ამ ფაქტის გამო მემატთანე თვლის, რომ ბასილი იმპერატორმა „იმაცუა“ და კურაპალატობა უხუცესობის უგულვებელყოფით გადასცა ბაგრატს.

იმისვის, რომ უფრო ნათელი გახდეს კურაპალატის ტიტულის მნიშვნელობა, ფუნქცია და პოლიტიკური დატვირთვა, რაც მას ეძლეოდა, უმჯობესია, თვალი გადავაგლოთ მისი გაცემის ინტენსივობას საქართველოში.

აშოტ I დიდის გარდაცვალების შემდეგ პირველი, ვინც ეს ტიტული მიიღო, იყო მისი შუათანა ძე – ბაგრატი. ის კურაპალატი მამის გარდაცვალებისთანავე, 826 წელს, გამხდარა. გიორგი მერჩულე თავის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ შემდეგნაირად აღწერს აღნიშნულ სიტუაციას:

*„მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან, ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ კელმწიფებისაჲ*

*ზეგარდამო. და ძმანი მისნი, ყოველნი კეთილნი და დიდებულნი კელმწიფენი, - ადარნერსე უხუცესი, და გვარამ მრწემი, - მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნეს საღმრთოესა ძმობისა სიყვარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს ივინი“ (აბულაძე 1963: 272).*

გიორგი მერჩულეს მიხედვით, ბაგრატის კურაპალატად დამტკიცება და მისთვის ქართველთა სამეფოს მართვის ჩაბარება ძმების ნებასთან და ბიზანტიის იმპერატორის ბრძანებასთან არის დაკავშირებული. როგორც წყაროდან ჩანს, ძმების ინიციატივით იმპერატორს ტიტული ბაგრატისთვის გადაუცია. ქართული ისტორიოგრაფია ამ გადაწყვეტილებას ბიზანტიის იმპერატორის სიმპატიას უკავშირებს. თავად გიორგი მერჩულე ოდნავ ქვემოთ საკუთარ ახსნას გეთავაზობს ბაგრატის დაწინაურებასთან დაკავშირებით. იგი წერს:

*„ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა, და სიქველითა და ყოვლითა ღმრთის-მსახურებისა სიხარულითა“ (აბულაძე 1963: 272).*

ამდენად, ბაგრატის გამეფება და კურაპალატის ტიტულის გადაცემა მისივე პიროვნული ღირსებებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ არჩევანში ბიზანტიის იმპერატორის როლის უგულვებელყოფაც არ იქნება სამართლიანი, ვინაიდან ბაგრატმა სწორედ „*ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა (ბიზანტიის იმპერატორი – ლ. თ.) მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვალად აშოტ კურაპალატისა“*. აღნიშნული გარკვეულწილად ბიზანტიის პირველი სერიოზული ძალის დემონსტრირებად შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც უხუცესობის პრინციპის უგულვებელყოფით, მაგრამ ადგილობრივი ფეოდალების ინტერესების გათვალისწინებით, უპირატესობა შეათანა ძმას მიენიჭა და არა უფროსს. ბაგრატი კურაპალატად ბიზანტიის იმპერატორ მიხაელ II ამორიელს (820-829 წწ.) უნდა დაემტკიცებინა. თუ მივიღებთ მხედველობაში აშოტის მკვლევლობის მეორე თარიღს, რომელიც სუმბატ დავითის ძის დათარიღების ალტერნატივაა, ეს მოვლენა იმპერატორ თეოფილეს (829-842 წწ.) უნდა დაგუკავშიროთ.

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ძმები იძულებულები არიან არაბებს ხარკი უხადონ (მეტრეველი 2008: 365), მათი პრობიზანტიური პოლიტიკური კურსი ეჭვს არ იწვევს. ქართველთა სამეფო ბიზანტიის მოკავშირეა, თუმცა, სავარაუდოდ, იმავე ბიზანტიასთან შეთანხმებით ხარკს არაბებს უხდის, რათა უზრუნველყოს სტაბილურობა ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულში.

გადასახადები, უნდა ვივარაუდოდ, რომ თავად ქართველების მიერ იკრიფებოდა. ბაგრატის (826-876 წწ.) მმართველობის ბოლოს ქართველები არაბებს არც ხარკს უხდიან და არც სხვა რამეში ემორჩილებიან, რაც უდავოდ ბაგრატის პოლიტიკის დამსახურებაა. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებდა ბალანსს ბიზანტიასა და არაბეთის სახალიფოს შორის. მან საბოლოოდ შეძლო ახლადშექმნილი ქვეყნა დაემკვიდრებინა პოლიტიკურ არენაზე და საგარეო პოლიტიკას გარკვეულწილად დამოუკიდებლად აწარმოებდა. ბაგრატი კურაპალატის ტიტულს სიკვდილამდე ინარჩუნებს (მეტრეველი 2008: 365-6), თუმცა მისივე მმართველობის დროს ჩნდება ახალი ბიზანტიური საკარისკაცი ტიტულები, რომლითაც იწოდებიან სხვა ბაგრატიონი ხელმწიფეები. ბაგრატის დროს ასეთი ტიტული იმპერატორისგან მიიღო ადარნასეს ვაჟმა, სუმბატ არტანუჯელმა, რომელიც ანთიპატოს-პატრიკოსად იწოდა (მეტრეველი 2008: 365). გამორიცხული არ არის, რომ ბიზანტიის იმპერატორისგან ბაგრატიონთა გვარის სხვა წევრებსაც მიეღო გარკვეული სენატორული პატივი, თუმცა წყაროები არ გვაწვდიან დეტალურ ინფორმაციას მათ შესახებ. ბაგრატ I სიკვდილამდე (876 წელი) ინარჩუნებს ქართველ მეფე-მთავრებს შორის უმაღლეს კურაპალატის ტიტულს.

ქართველთა სამეფოს შემდეგი მონარქი დავით I (876-881 წწ.), იმავე სუმბატ დავითის ძის ცნობით, მამის გარდაცვალებისთანავე ხდება კურაპალატი, მემატინე ვერს:

*„ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა 7 6, და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს“* (მეტრეველი 2008: 366).

მართალია, დავითს სუმბატ დავითის ძე „ქართველთა მეფის“ ტიტულით არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი მეფობა ეჭვს არ იწვევს ისევე, როგორც კურაპალატობის მიღება 876 წელს, როდესაც მამამისი ბაგრატ I გარდაიცვალა. კურაპალატის ტიტული მაკედონელთა დინასტიის პირველ იმპერატორს, ბასილ I-ს (867-886 წწ.), უნდა გადაეცა ქართველი მეფისთვის. დავითი ტიტულს ცხოვრების ბოლომდე ინარჩუნებს. ის 881 წელს მისმა ბიძაშვილმა, ნასრ გუარამის ძემ, მოკლა. ნასრას მიზანს მეფობის და კურაპალატობის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა, რაც მან ვერ მოახერხა (მეტრეველი 2008: 366).

დავითის მკვლელობის (881 წელი) შემდეგ ხდება კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა. კურაპალატის ტიტული მიიღო არა დავითის შვილმა ადარნასემ, არამედ დავითის სხვა ძმიშვილმა გურგენ ადარნასეს ძემ. გურგენს კურაპალატობა იმავე ბიზანტიის იმპერატორის ბასილ I-ის ბრძანებით გადასცეს. აღსანიშნავია ისიც, რომ კურაპალატობას გურგენი მხოლოდ ნასრას დამარცხების შემდეგ იღებს. ეს უკანასკნელი დევნილის სახით კონსტანტინოპოლს აფარებს თავს. სუმბატი წერს:

*„დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს; და მოიკლა იგი კელითა მამის ძმისწულისა თვისისა, ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ ა, სუფევასა შინა გუარამისსა. ხოლო გუარამ მამფალი, მამის ძმად მისი, მამად ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისადთა; და დაუტევა ამან დავით მოკლულმან ძე მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ჰასაკითა, ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლეს და იყო მუნ მრავალ წელ. და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ, ძე ადარნასესი, კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისად“* (მეტრეველი 2008: 366).

საინტერესოა ბიზანტიის ხელისუფლების მოტივი, თუ რატომ გადასცა კურაპალატობა გურგენ ადარნასეს ძეს და არა ნასრ გუარამის ძეს, ან კიდევ ადარნასე დავითის ძეს?! ადარნასე, როგორც მემატთანე გვამცნობს „*მოუწიფებელ ჰასაკითა*“ იყო (მეტრეველი 2008: 366), ხოლო ნასრა, მიუხედავად დავითის მკვლელობისა, აშკარად დამარცხდა და გაიქცა. ნასრას დამარცხებასა და მის წინააღმდეგ შექმნილ კოალიციას, ბუნებრივია, გურგენი ედგა სათავეში, რამაც განაპირობა, ბიზანტიის იმპერატორის არჩევანი. აშკარაა, რომ გურგენი იმ დროისთვის ყველაზე გავლენიანი ფეოდალი იყო ბაგრატიონთა სახლში.

ნასრა, როგორც აღვნიშნეთ ბიზანტიაში გარბის, კერძოდ დედაქალაქ კონსტანტინოპოლში. ნასრას ცხოვრება „სამეუფეო ქალაქში“, რომ დიდი ხანი გაგრძელდა, ამას მემატთანე ხაზგასმით აღნიშნავს, სუმბატი წერს:

*„ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლეს და იყო მუნ მრავალ წელ“* (მეტრეველი 2008: 366).

ნასრას ვიზიტი და კონსტანტინოპოლში ყოფნა ბიზანტიის ხელისუფლებასთან იყო შეთანხმებული. ბიზანტიის იმპერატორი გავლენიანი ქართველი ფეოდალებისთვის თავშესაფრის მიცემით ცდილობდა გარკვეული



გაგლენა მოეხდინა ქართველთა სამეფოზე, ხოლო მისი მესვეურების ურჩობის შემთხვევაში ახერხებდა ასეთი ფეოდალების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. არ არის ცნობილი, მიიღო თუ არა ნასრმა რაიმე საკარისკაცო ტიტული იმპერატორისგან. ნასრა, როგორც ცნობილია, წამოვიდა ბიზანტიიდან და აფხაზთა მეფის დახმარებით სცადა, დაუფლებოდა ტახტს, მაგრამ დამარცხდა და მოკლეს. ეს მოხდა 888 წელს ასპინძასთან ბრძოლაში. გამარჯვება ადარნასე დავითის ძესა და მისი ბაბუის ძმიშვილს, გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატს, დარჩათ (მეტრეველი 2008: 366).

ადარნასე „ქართველთა მეფედ“ ეკურთხა. აღნიშნული სწორედ ნასრ გუარამის ძის დაღუპვისა და 888 წელს მომხდარი ასპინძის ბრძოლის შემდეგ ხდება. ამას, როგორც მართებული შეფასება მიეცა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ანტიბიზანტიური ღონისძიების სახე უნდა ჰქონოდა (ბადრიძე 1965). ქართველების გადაწყვეტილებით გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გვარში და სახელმწიფოში პირველი „ქართველთა მეფის“ ტიტულის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ადარნასეს მეფედ ხელდასმა, ერთის მხრივ, სომხეთში მომხდარმა აშოტ I-ის მეფედ კურთხევამ განაპირობა (885 წელი), ხოლო, მეორე მხრივ, კი უკვე არსებულმა ტრადიციამ, რომ ადარნასეს მამა (დავით I) და ბაბუა (ბაგრატ I) გვარის მეთაურები და ტიტულ „მეფის“ მფლობელები იყვნენ.

ნასრას სამფლობელოების გადანაწილებას და გვარში პირველობისთვის ბრძოლას უნდა გამოეწვია ახალი კონფლიქტი ბაგრატიონებს შორის. ამჯერად ერთმანეთს ადარნასე ქართველთა მეფე და გურგენ კურაპალატი დაუპირისპირდნენ. ბრძოლა 891 წელს სოფელ მგლინავთან მოხდა. ადარნასემ გაიმარჯვა, ხოლო ტყვედ ჩავარდნილი გურგენი ბრძოლაში მიყენებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა (ყაუხჩიშვილი 1955: 379; მეტრეველი 2008: 367). როგორც ჩანს, გურგენი კურაპალატი 881-891 წლებში ყოფილა.

მას შემდეგ, რაც გურგენი მოკლეს, სუმბატ დავითის ძესთან თითქოს არ ჩანს, ვინ მიიღო კურაპალატობა. სუმბატი საერთოდ არ საუბრობს ადარნასე ქართველთა მეფის მიერ კურაპალატობის მიღებაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას არც მიუღია არანაირი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მაშინ, როდესაც ეს ტიტული რეგულარულად გაიცემოდა 813 წლიდან მოყოლებული ბაგრატიონთა გვარში. თუმცა როგორც ბიზანტიურ წყაროში ჩანს, ადარნასეს ჰქონდა მიღებული

კურაპალატობა, რომელიც მისთვის ბიზანტიის იმპერატორ ლეონ VI ბრძენს (886-912 წწ.) გადაუცია. კონსტანტინე პორფიროგენეტი მამის ამ გადაწყვეტილების შესახებ აღნიშნავს:

*„სხენებულმა დავითმა, სპანდიატის ძმამ, შვა ბავრავტი, ბავრავტმა შვა ძე აშოტი, აშოტმა შვა ადარნასე, რომელსაც კურაპალატობა ებოძა რომაელთა ქრისტესმოყვარე ბასილევს ლეონისგან“* (ყაუხჩიშვილი 1952: 259).

ზუსტად როდის მიიღო ადარნასემ კურაპალატობა კონსტანტინე პორფიროგენეტთან არ ჩანს. სამაგიეროდ, აღნიშნულის უკეთესად დანახვა შეიძლება ადიშის ოთხთავის 897 წელს შესრულებული ანდერძიდან. ანდერძის მიხედვით, ადარნასე 897 წელს უკვე კურაპალატად იწოდება, ანდერძში ვკითხულობთ:

*„ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნისა სახრებასა ოთხთავსა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა, სალოცველად ყოვლისა ამას კრებულისათის და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა ჯორციელად სალოცველად მეფეთა ჩუენთა: ღთივდიდებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღმრთივ ბოძთა (!) ნაშობთა მათთა დავით ერისთავისა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს. და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს“* (ბადრიძე 1965: 223; შანიძე 1945: 014-015; სარჯველაძე 2003: 7).

ანდერძის მიხედვით, ადარნასე 897 წელს უკვე კურაპალატია, რაც იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული ტიტული ოდნავ ადრე ბიზანტიის იმპერატორმა, ლეონ VI ბრძენმა, სწორედ მას უბოძა, ამით მისი უზენაესობა ქართველთა სამეფოში ოფიციალურად აღიარა. ეს ფაქტი 891 წელს უნდა მომხდარიყო. ბიზანტიის იმპერია აღნიშნული ტიტულის გაცემას, როგორც წესი არ აყოვნებდა, შესაბამისად, ადარნასე კურაპალატად გურგენის სიკვდილის წელს – 891 წელს – უნდა გამხდარიყო. ადარნასე გარდაცვალებამდე ინარჩუნებს კურაპალატობას. ის თეოფანე უამთააღმწერელის გამგრძელების ქრონიკაში 922 წელს კონსტანტინოპოლში ვიზიტისას სწორედ ამ ტიტულით იხსენიება.

*„თებერვლის თვის ოცში, მეათე ინდიქტიონში, გარდაიცვალა რომანოზის (რომანოზ I ლეკაპენოსი – ლ. თ.) მეუღლე თეოდორა და ნეშთი გადასვენებულ იქნა თვით რომანოზ ბასილევსის სახლში, რომელიც მის მიერ მონასტრად იქნა გადაკეთებული. იმავე თვეში გვირგვინი დაიდგა სოფიომ ბასილევს ქრისტეფორეს*

მეუღლემ. იმ ხანებში ქალაქში (ე.ი. კონსტანტინოპოლში) იყო იბერიელი კურაპალატი, და მან რომ გაიარა შუა მოედანზე, ბრწყინვალედ მორთულზე, დიდის პატივით და დიდებით შეხვდნენ მას; იგი წმ. სოფიას ტაძარშიც შეიყვანეს, რომ ეხილა თავისი თვალთ მისი სილამაზე, სიდიადე და ძვირფასი მორთულობა. ეს ტაძარი ბრწყინვალედ მორთეს, ოქროსქსოვილი ფარჩებით და ყოველგვარი მორთულობით მოფინეს და ისე შეიყვანეს შიგ კურაპალატი. ამან კი, ტაძრის საკვირველი სანახაობით და მისი სიდიადით განცვიფრებულმა და მისი ძვირფასი მორთულობით ზომაზე მეტად გააკვირვებულმა თქვა – ჭეშმარიტად ღვთის ბინა ყოფილა ეს წმინდა ადგილიო, და კვლავ თავის ქვეყანაში გაემგზავრა“ (ყაუხჩიშვილი 1952: 329-333).

ადარნასე ერთი წლის შემდეგ, 923 წელს, გარდაიცვალა, სამშობლოში დაბრუნებიდან ახლო პერიოდში. მან ოთხი ვაჟი დატოვა: დავითი, აშოტი, ბაგრატ და სუმბატი. ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე მათ საიმპერიო ტიტულატურას საინტერესოდ გადმოგვცემს:

„გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისაჲ, ქრონიკონსა რ მ გ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თვისისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 380; მეტრეველი 2008: 368).

სუმბატ დავითის ძის ცნობაში ის ჩანს, რომ ადარნასეს შემდეგ კურაპალატობა მიიღო არა უფროსმა ძმამ – დავით ქართველთა მეფემ, არამედ მეორემ ძმამ – აშოტმა. ფაქტია, ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია ბოლომდე სტაბილიური არ არის. მიმდინარე პროცესების შესახებ და კურაპალატობის მნიშვნელობის შესახებ ძვირფასი ცნობების შემცველია კონსტანტინე პორფიროგენეთის ნაწარმოები „იმპერიის მმართველობის შესახებ“. მასში ნათლად ისახება ბაგრატიონთა სახლის წევრებს შორის არსებული დაპირისპირება. კონსტანტინე წერს:

„ნეტარხსენებულმა ბასილევსმა, უფალმა რომანოზმა გავზავნა კონსტანტი, პატრიკიოსი და ნაოსნობის დრუნგარი, რომელიც მაშინ პროტოსპათარი და მანკლავიტი იყო, და მისცა მას მაგისტროსის სამოსი, რათა მას გურგენ იბერი (საუბარია გურგენ ერისთავთ ერისთავზე – ლ. თ.) მაგისტროსად აღეზევებინა,

როცა კონსტანტიმ, პატრიკოსმა და ნაოსნობის დრუნგარმა, ნიკომედიამდე მიაღწია, მოვიდა მონაზონი ავაპი კიმენელი, რომელიც იმ დროს წმინდა ქალაქში (იერუსალიმში – ლ. თ.) ყოფილა სალოცავად; მას იბერიასზე გამოუვლია და ადრანუჯის (არტანუჯი – ლ. თ.) ციხეში მისულა. აშოტ პატრიკოსს კი რომელსაც კისკასიც ეწოდებოდა, მტრული ურთიერთობა ჰქონდა თავის სიძესთან, გურგენტან, და უთქვამს ავაპი მონაზონისთვის: «გაფიცებ ღმერთსა და პატიოსანი და ცხოვლისმყოფელი ჯვრის ძალას მიხვიდე ქალაქში (კონსტანტინოპოლში – ლ. თ.) და უთხრა ბასილევს (რომანოზ I ლეკაპენოსი – ლ. თ.), გამოვ ზავნოს ვინმე და ჩაიბაროს ჩემი ციხე და ჰქონდეს ის თავის ძალაუფლებაში» (ყაუხჩიშვილი 1952: 280-281).

აშოტ კისკასის თხოვნას ბიზანტიის იმპერატორი მალევე გამოეხმაურა. ის ავალებს კონსტანტი პატრიკოსსა და დრუნგაროს, წავიდეს და ხალდიის თემების არმიის გამოყენებით დაიკავოს არტანუჯი. კონსტანტიმ ბრძანება შეასრულა, მაგრამ ის თავისივე მემორებთან ერთად დავით ქართველთა მეფემ დაატყვევა. კონსტანტიმ მოახერხა ქართველების მოტყუება, რომ ვითომ მხოლოდ გურგენტანის მაგისტროსობის გადასაცემად მიდიოდა და სხვა არაფერი. საბოლოოდ, მივიდა და გადასცა გურგენტანს მაგისტროსობა. ამ უკანასკნელს, როგორც აღმოჩნდა, დიდი საჩუქრები გაუგზავნია იმპერატორისთვის, რომ კურაპალატის ან მაგისტროსის ტიტული მიეღო. აქვე კონსტანტინე იმასაც წერს, რომ თურმე ადარნასეს ოთხივე ვაჟს დიდი შიში ჰქონდა, გურგენტანს კურაპალატობა არ მიეღო, რასაც ისინი დიდად ეწინააღმდეგებოდნენ (ყაუხჩიშვილი 1952: 281-283). კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

*„გურგენტან პირველი (კარის) კაცი ვაგზავნა ბასილევსთან დიდძალი საჩუქრებით და სთხოვდა მას კურაპალატობას ან მაგისტროსობას, ოთხივე ძმამ, ესე იგი ადარნასე კურაპალატის შვილებმა ეჭვი აიღეს, რომ კონსტანტი იქ იმისთვის მიდის, რომ გურგენი გააკურაპალატოსო“* (ყაუხჩიშვილი 1952: 283).

საფიქრებელია, რომ გურგენი სწორედ კურაპალატობას თხოულობდა და არა მაგისტროსობას. წინააღმდეგ შემთხვევაში ძმების შიში უსაფუძვლო უნდა ყოფილიყო. იმპერატორმა რომანოზმა გურგენტანს მხოლოდ მაგისტროსობა აკმარა, ხოლო მას შემდეგ, რაც მისმა ხალხმა არტანუჯის ციხე მიიღო აშოტ კისკასისგან, ის, როგორც ჩანს, მზად იყო აშოტისთვის მფარველობა გაეწია. ეს უკანასკნელი

დაპირისპირებული ყოფილა არა მხოლოდ მის სიძესთან, გურგენ ერისთავთ-ერისთავთან და მაგისტროსთან, არამედ ადარნასეს შვილებთანაც. ამდენად, აშოტ კისკასს, როგორც სუსტი პოზიციების მქონებელს, ბიზანტიის ჯარი სჭირდებოდა თავისი გავლენის გასამყარებლად. საბოლოოდ, გურგენ მაგისტროსი და დავით ქართველთა მეფე გაერთიანდნენ. წერილის მეშვეობით შეუთვალეს იმპერატორს, რომ თუ იგი არტანუჯის ციხეს არ დათმობდა, ისინი არაბების მხარეზე გადავიდოდნენ და ამ გზით აიძულეს იმპერატორი, ჯარი გამოეყვანა ციხიდან (ყაუხჩიშვილი 1952: 283-286). ამის შემდეგ ხდება საინტერესო ფაქტი. იმპერატორი გასცემს ბრძანებას, არამხოლოდ გამოეყვანონ ჯარები არტანუჯის ციხიდან, არამედ წამოეყვანონ დავით ქართველთა მეფის ძმა, აშოტი, კონსტანტინოპოლში, რათა მოხდეს მისი კურაპალატის ხარისხში აღზევება. კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

*„კონსტანტი პროტოსპატარმა და მანკლავიტმაც მიიღო ბრძანება (იმპერატორ რომანოზისგან – ლ. თ.), ლანძღა-გინებისა და მუქარის შემცველი: «ვინ გიბრძანა შენ მაგის ჩადენა? ახლავუე გამოდი ციხიდან; წამოიყვანე აშოტი, გარდაცვლილი ადარნასე კურაპალატის ძე, და მოიყვანე აქ, რათა ჩვენ მას მისი მამის პატივი, კურაპალატობა ვუბოძოთო» ... წამოიყვანა აშოტი, ძე ადარნასე კურაპალატისა, და მოიყვანა ის ქალაქში; და მას ბასილევსისგან ებოძა კურაპალატობა“ (ყაუხჩიშვილი 1952: 287).*

ამდენად, როგორც წყაროში ჩანს, სწორედ აღნიშნული კონფლიქტის ბოლოს გადაწყვიტა იმპერატორმა კურაპალატობა მიეცა არა დავით ქართველთა მეფისთვის, რომელსაც თვით იმპერატორი კონსტანტინე დიდ დავითს უწოდებს მისი უპირატესობის აღსანიშნავად, არამედ აშოტისთვის, რომელიც უფროსი ძმისგან განსხვავებით ნაკლებად აქტიურია ბიზანტიის წინააღმდეგ. აშკარაა, რომ ამ ღონისძიებით იმპერატორს ძმებს შორის შუღლის ჩამოღება ჰქონდა განზრახული, რადგან მათ საერთო კოორდინაციას მთელი ამ დაძაბულობის მანძილზე კარგად ამჩნევდა. დავით ქართველთა მეფე, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტთან ჩანს, მაგისტროსის ტიტულს ფლობს, რომელსაც ის ან ადარნასეს გარდაცვალებამდე ფლობდა და ანდა იმავე 923 წლის ახლო ხანებში უნდა მიეღო იმპერატორისგან. ამ შემთხვევაში არსებითად მნიშვნელოვანი ისაა, რომ კურაპალატის ტიტულს, რომელსაც აშკარად მნიშვნელოვანი წონა აქვს

ქართველთა სამეფოს იერარქიაში და ბიზანტიის ფაგორიტის მაჩვენებელია, იღებს ის პიროვნება, რომელზედაც იმპერატორი ყველაზე მეტ იმედს ამყარებს სამომავლოდ. ძნელია ზუსტად იმის თქმა, რამდენად მოახერხა იმპერატორმა ძმებს შორის უნდობლობის ჩამოგდება. წყაროებში ეს ნათლად არ ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მაინც მოხერხდა, რადგან დავითის გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც კურაპალატობა არ აღირსეს, ქართველთა მეფის ტიტულის მფლობელი კარგავს გვარში მეთაურობას. ბუნდოვანია ამ ტიტულის მფლობელის დაფიქსიცებაც. ქართველთა სამეფოს მეთაურად კი სწორედ აშოტ II კურაპალატი მოსჩანს, რომელიც კურაპალატის პატივს 923-954 წლებში ატარებდა.

დავით II ქართველთა მეფე და მაგისტროსი (923-937 წწ.) მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა სამეფოში უმაღლესი ხელისუფალია, იძულებულია, შეეგუოს ასაკით უმცროსი ძმის აშოტის შედარებით მაღალ პატივს – კურაპალატობას. დავითი, 923 წლიდანვე იყოფს მაგისტროსის ტიტულს გურგენ ერისთავთ-ერისთავთან, რომელიც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ასევე იღებს მაგისტროსობას რომანოზ იმპერატორისგან. დავითის შემდეგ, უკვე მისი მესამე ძმის, ბაგრატ მაგისტროსის მოხსენიება ქართველთა მეფედ იშხანის ერთ-ერთ ფრესკულ წარწერაში, აჩენს საფუძვლიან ეჭვს იმის თაობაზე, რომ დავითმა მემკვიდრეობა დაუტოვა, არა მის მეორე ძმას – აშოტს, არამედ, მესამეს – ბაგრატს. თუ ჩვენი მსჯელობა მართებულია, გამოდის, რომ დაპირისპირებას დავითსა და აშოტს შორის 937 წლამდე უნდა ჰქონოდა ადგილი.

ძმების დაპირისპირების კუთხით საინტერესოდ გვეჩვენება 934 წლით დათარიღებული წარწერა (ქრონიკონით რ მ ი დ, რაც ნოდარ შოშიაშვილის გამოთვლით უდრის: რ [100], მ [40], ი [10], დ [4] – ამ რიცხვების ჯამის, ანუ  $154+780=934$ ). წარწერის ავტორი უცნობი „კურაპალატის“ უზენაეს მეფობას უსმევს ხაზს და ვინმე ბაგრატის „უფლობაზე“ საუბრობს. ოქრობაგეთის ეკლესიის (ისტორიული შავშეთი, თანამდროვე თურქეთის რესპუბლიკა) ქვაჯვრის წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

*„ქ. ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრთისაძთ)ა აღვ(ა)შ(ე)ნეთ წ(მინდ)ა ეკ(ლე)ს(ი)ა ჩ(უენ), მამალ(ად)სა ძ(ეთ) ქ(რონი)კო(ნ)სა /რმიდ/, მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა კ(ურა)პ(ალა)ტ(ი)ს(ა)სა, უფლ(ე)ბ(ა)სა (უნდა იყოს „უფლ(ო)ბ(ა)სა“ – ღ. თ.) ბ(ა)გრ(ა)ტ(ი)სა, მ(ა)შ(ა)ს(ახლის)ობ(ა)სა მარკ(ო)ზ(ი)საჲ ძმ(ი)სა მაკ(ა)რ(ი)სა.*

*მწერალ(ი) და მკ(ი)თ«ი»ხვ(ელ)ი და მწ(ირვე)ლი ღ(მერთმა)ნ შ(ე)იწყ(აღლ)ენ“*  
(შოშიაშვილი 1984: 307-308).

ეპიგრაფიკული წარწერის მიხედვით, ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფალი ის პირია, რომელიც კურაპალატის ტიტულს ატარებს, ხოლო კონკრეტული სამფლობელო, სადაც წარწერა შესრულდა – ბაგრატის. მისი მფლობელობის აღმნიშვნელად ტერმინი „უფალია“ ნახმარი. ბაგრატის წარმომადგენელი და ადმინისტრაციული მოხელე, ვინმე მაკარის ძმა მამასახლისის სახელოს მფლობელი მარკოზია. თუ ნოდარ შოშიაშვილის მიერ შემოთავაზებულ თარიღს გავითვალისწინებთ (934 წელი), გამოდის, რომ წარწერა შესრულდა აშოტ II კურაპალატობის (923-954 წწ.) დროს, ხოლო უფალი ბაგრატი ამ შემთხვევაში მისი ძმა უნდა იყოს, ადარნასე კურაპალატისა და ქართველთა მეფის მესამე შვილი. ბაგრატი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, მხოლოდ 937 წელს იღებს მაგისტროსობას და იმავე წელს ქართველთა მეფობას. ამდენად, ბაგრატის 934 წელს ტიტულის გარეშე მოხსენიება სრულიად ლოგიკურია. აქვე დავძენთ იმასაც, რომ სხვა ბაგრატი 934 წლისთვის ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა გვარში არ გვევლინება.

ამგვარად, წარწერის მიხედვით, მისი ავტორი „ქართველთა სამეფოს“ უმაღლეს მმართველად, „კურაპალატს“ ასახელებს, რომელიც მითითებული თარიღის გათვალისწინებით აშოტ II კურაპალატია. ეს კი იმას მიუთითებს, რომ დავით II ქართველთა მეფე თავის ცხოვრებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით არ ყოფილა აღიარებული უზენაეს მმართველად. ყოველ შემთხვევაში, მას აშოტი ეცილებოდა, სავარაუდოდ კურაპალატის ტიტულის ფლობის საბაბით.

დავითისა და აშოტის მაგალითზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულების სხვადასხვა პიროვნების ხელში გადასვლამ გარკვეული დისონანსი გამოიწვია ქართველთა სამეფოს იერარქიულ წყობაში. მანამდე, ეს ორი ტიტული მხოლოდ ერთი პიროვნების ხელში იყო მოქცეული, რაც უთანხმოების აღბათობას მნიშვნელოვნად ამცირებდა.

დავით ქართველთა მეფე და მაგისტროსი უშვილძიროდ გარდაიცვალა 937 წელს, ხოლო მისი კუთვნილი ბიზანტიური ტიტული იმპერატორმა რომანოზმა ბაგრატს გადასცა. მართალია, წყაროში პირდაპირი მითითება არ გვაქვს იმის შესახებ, თუ როდის მოხდა ბაგრატისთვის მაგისტროსის პატივის მინიჭება, სამაგიეროდ, კოსტანტინე პორფიროგენეტთან ჩანს, რომ მას დავითი ფლობდა,

ხოლო სუმბატ დავითის ძესთან კი უკვე არა დავითი, არამედ ბაგრატი დასახელებული მაგისტროსის პატივით (ყაუხჩიშვილი 1952: 285-286; მეტრეველი 2008: 368). ეს ყველაფერი კი იმას მიუთითებს, რომ დავით II-ის მემკვიდრეობა მისი გარდაცვალების შემდეგ ბაგრატს დარჩა მაგისტროსისა და ქართველთა მეფის ტიტულების ჩათვლით.

ამრიგად, დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ მის მემკვიდრეობას მესამე ძმა, ბაგრატი ეუფლება და არა აშოტი. ბაგრატი უნდა გამხდარიყო ქართველთა მეფეც. მისი პრეტენზიები გვარში პირველობაზე აშკარაა და შესაძლოა, რეალურადაც მივიჩნიოთ. თუმცა აღნიშნულს ეწინააღმდეგება გიორგი მერჩულეს ცნობა, რომლის მიხედვით, 951 წელს, როდესაც მან დაამთავრა თავისი ნაშრომის – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – წერა, საქართველოს მეფე-მთავრებს შორის უპირატესად აშოტს იხსენიებს. გიორგი მერჩულე წერს:

*„ხოლო იყო გარდაცვალება ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოც და ერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორება ესე მისი შემდგომად ოთხმეოც და ათისა წლისა, დასაბამითგან გარდასრულთა წელთა ექუს ათას ხუთას ორმეოც და მეათოთხმეტესა წელსა, იერუსალჴმს პატრიაქობასა აგათონისსა, მცხეთას კათალიკოზობასა მიქელისსა, ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა, ერისთავთა-ერისთეობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსესსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთეობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა. ქრისტემან დიდებად უოხჴნოდ მათ ყოველთა მიაწიჴენ!“* (აბულაძე 1963: 316).

ამგვარად, გიორგი მერჩულეს მიხედვით, ქართველთა შორის უპირველესი აშოტ II კურაპალატი, ადარნასე II ქართველთა მეფისა და კურაპალატის ძეა. ხოლო სხვა მთავრები უხუცესობის პრინციპის მიხედვით არიან დასახელებული. ბაგრატი ამ დროისთვის გარდაცვლილია (გარდ. 945 წელს), ხოლო მისი შვილი ადარნასე მაგისტროსი (შემდგომ კურაპალატი), ბიძების აშოტ კურაპალატის და სუმბატ ერისთავთ ერისთავის (მოგვიანებით კურაპალატი) შემდეგ არის დასახელებული უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებით.



ბაგრატ მაგისტროსი განსხვავებით მისი მამის, ადარნასე ქართველთა მეფისგან, ამ უკანასკნელის ტიტულით არ არის მოხსენიებული. ხომ ნიშნავს ეს იმას, რომ ბაგრატი არასდროს ყოფილა ქართველთა მეფე?! ამ ფაქტს კიდევ უფრო ამყარებს ის გარემოება, რომ ბაგრატის ძე ადარნასე არასდროს წოდებულა ქართველთა მეფედ, რასაც ვერ ვიტყვით ადარნასეს უმცროსი ბიძის, სუმბატის შვილზე – ბაგრატ II რეგუენზე. როგორც არ უნდა იყოს ეჭვის შეტანა იმაში, რომ აშოტი გვარში უხუცესია, თუნდაც ქართველთა მეფის ტიტულის გარეშე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ეს ტიტული ან საერთოდ არ მოქმედებს 937-954 წლებში, ანდაც მისი მფლობელი იმდენად სუსტია, რომ აშოტ კურაპალატს ემორჩილება.

ამდენად, აშოტ II კურაპალატი ქართველთა სამეფოს განაგებს, თუმცა ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა. რეალურად სამეფო კოლეგიური მართვის სისტემის საფუძველზე რამდენიმე ბაგრატიონის მიერ იმართებოდა, ხოლო სათავეში ერთი პიროვნება, გვარის მეთაური იდგა. აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მისი ტიტული უმცროსმა ძმამ, სუმბატმა, მიიღო 954 წელს. სუმბატი ქართველთა სამეფოს მეთაური გახდა, მაგრამ არ ჩანს ჰქონდა თუ არა ქართველთა მეფის ტიტული. ეს უკანასკნელი მისი გარდაცვალების შემდეგ მის ვაჟს, ბაგრატ II რეგუენს მიანიჭეს. სუმბატ დავითის ძესთან ვკითხულობთ:

*„და შემდგომად აშოტ კურაპალატისა ძმაჲ მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისაჲ, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ ო ლ, და დაუტვენა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი“* (ყაუხჩიშვილი 1955: 381; მეტრეველი 2008: 368-369).

სუმბატი კურაპალატად ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტს (913-919, 944-959 წწ.) უნდა დაედგინა. იმპერატორი თავის ნაშრომში სუმბატ კურაპალატს გაკვრით იხსენიებს კიდევ, როდესაც დავით II ქართველთა მეფის მიერ კონსტანს პატრიკიოსის შეპყრობაზე საუბრობს. იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტთან ვკითხულობთ:

*„იგი (კონსტანსი – ლ. თ.) შეიპყრო ნეტარხენებულმა დავითმა (დავით II ქართველთა მეფე – ლ. თ.), ახლანდელი კურაპალატის (ივულისხმება სუმბატ კურაპალატი – ლ. თ.) ძმამ და აშოტის ძმამ“* (ყაუხჩიშვილი 1952: 282).

ამდენად, როგორც კონსტანტინესთან ჩანს, დავითი ძმა აშოტისა და კიდევ ერთი უსახელო კურაპალატი, რომელიც იმპერატორის ცნობით კურაპალატი იყო იმ დროს, როდესაც ის საკუთარ ნაშრომს წერდა. ბუნებრივია, დავითისა და აშოტის კიდევ ერთი ძმა და ისიც კურაპალატის ტიტულის მქონე, მხოლოდ სუმბატი შეიძლება იყოს.

სუმბატი, რომელიც აშოტის გარდაცვალების შემდეგ, 954 წელს იღებს კურაპალატის ტიტულს, ამავე ტიტულით იწოდება გარდაცვალების დროსაც – 958 წელს. ამდენად, მას აღნიშნული ტიტული 954-958 წლებში უტარებია. ამავე პერიოდში სუმბატ კურაპალატი უნდა ყოფილიყო ბაგრატიონთა სახლის მეთაურიც.

958 წელს ქართველთა სამეფოს სათავეში ბაგრატ II რეგუენი ჩაუდგა, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეფედ, მამის (სუმბატ კურაპალატი) გარდაცვალების შემდეგ დაადგინეს – „*ბაგრატ ერისთავთერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი*“. როგორც საისტორიო წყაროში ვხედავთ, მანამდე ბაგრატს ერისთავთ-ერისთავის ტიტული უტარებია, თუმცა თუ რა ტიტული მიანიჭა მას ბიზანტიის იმპერატორმა, არ ჩანს. სამაგიეროდ, კურაპალატობა, სავარაუდოდ, უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებით მის ბიძაშვილს, ადარნასე ბაგრატის ძეს, გადაეცა. სუმბატ დავითის ძე გადმოგვცემს:

*„გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისაჲ, ქრონიკონსა რ დ ე, თუესა მარტსა, და დაუტევა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი იქმნა“* (მეტრეველი 2008: 368).

ისტორიკოსთან კარგად ჩანს, რომ ადარნასე მამის გარდაცვალების შემდეგ (945 წელი) მაგისტროსის ტიტულით, ხოლო ბიძების გარდაცვალების მერე კი კურაპალატის ტიტულით იწოდება. ადარნასეს ბიძა – სუმბატ კურაპალატი – 958 წელს მოკვდა, ამდენად ადარნასე ბაგრატის ძეს კურაპალატობა ამავე წელს მიენიჭა. ორივე შემთხვევაში დონატორი იმპერატორი კონსტანტინე VII პორფიროგენეტი უნდა ყოფილიყო. ადარნასე კურაპალატი ამ ტიტულით იწოდება ოშკის ტაძრის წარწერებშიც. მემპტიანეს, სუმბატ დავითის ძის, ცნობით, ის 961 წელს გარდაიცვალა მას მერე, რაც შვილების გადაწყვეტილებით მონაზვნად აღკვეცეს:

*„გარდაცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისაჲ, ქრონიკონსა რკა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩუთა“* (მეტრეველი 2008: 369).

აქედან გამომდინარე, ადარნასე ამ ტიტულით 958-961 წლებში იწოდება. ადარნასეს კურაპალატის პატივი კონსტანტინე VII პორფიროგენეტმა გადასცა. იმპერატორის მოტივი, ერთი მხრივ, როგორც ვთქვით, უხუცესობის პრინციპის გათვალისწინებაა: ადარნასეს მამა – ბაგრატი, ხომ ბაგრატ რეგუენის მამა – სუმბატზე, უფროსია ასაკით; მეორე მხრივ, ქართველთა სამეფოს ბაგრატიონების გაყოფილ შტოების იმიერ და ამიერ ტაოს ბაგრატიონებს შორის განხეთქილების შეტანა უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმიერტაოს შტო, რომლის ფუძემდებელიც ბაგრატ ადარნასე ქართველთა მეფის ძეა, შედარებით უფრო კოორდინირებულად მოქმედებდა ბიზანტიის იმპერიასთან და მეტ სამხედრო დახმარებას გზავნიდა იმპერატორის აღმოსავლურ კამპანიებში. ადარნასე კურაპალატის დროს რომ პოლიტიკური სიტუაცია უაღრესად დაიძაბა, ამას ისიც ადასტურებს, რომ მისმა შვილებმა, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა და დავითმა (შემდგომში კურაპალატი და მეფეთ მეფე) მამა აიძულეს ბერად შემდგარიყო, ხოლო იმიერტაოს მმართველობა ძმების ხელში აღმოჩნდა. ბიზანტიის ხელისუფლებამ შვილების ამ ძალადობრივ აქტს იმით უპასუხა, რომ კურაპალატის ტიტული ბაგრატ II რეგუენის, ქართველთა მეფის, უმცროს ძმას, ადარნასე სუმბატ კურაპალატის ძეს, გადასცა.

ადარნასე კურაპალატის ტიტულს გარდაცვალებამდე, ანუ 983 წლამდე ფლობს. კურაპალატობა ამ დროს ამირტაოს ბაგრატიონების ხელშია, თუმცა მის მფლობელი არა სახლის უფროსი ბაგრატი, არამედ მისი უმცროსი ძმა, ადარნასე იყო. ქართველთა მეფისა და კურაპალატის ტიტულების ერთ სახელში არსებობა ბაგრატიონთა ამიერტაოს შტოს დაწინაურებას გულისხმობდა.

იმიერტაოს შტოში ბაგრატ ერისთავთ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ (966 წელი) (მეტრეველი 2008: 369) ძალაუფლება ხელში მთლიანად დავით ადარნასეს ძემ აიღო, რომელიც იმპერიისგან თავდაპირველად მაგისტროსის საიმპერიო ტიტულს ფლობს, ხოლო მოგვიანებით კურაპალატობას იღებს. დავითის აქტიურმა საგარეო პოლიტიკამ იმიერტაოს ბაგრატიონები არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის რეგიონის მასშტაბით წამყვან ძალად

აქცია, რომელიც ყველაზე აქტიურად იბრძოდა მუსლიმების წინააღმდეგ ქრისტეს სარწმუნოების დასაცავად. როგორც ოშკის ტაძრის ეპიგრაფიკული წარწერებიდან ირკვევა დავითს მაგისტროსის ტიტული 966-973 წლებს შორის მიუღია (სილოგავა 2006: ოშკი, გვ. 88-99). მაგისტროსობას ის ნიკიფორე ფოკას (963-969 წწ.) ან იოანე ციმისხის (969-976 წწ.) იმპერატორობის პერიოდში იღებს, ხოლო იაჰია ანტიოქიელის ცნობის მიხედვით კი 989 წელს მას ბასილ II დიდი კურაპალატის ტიტულს გადასცემს (Степаненко 1982: 72-77). ეს მოვლენა ბუნებრივია, იმაზე მიუთითებს, რომ ამიერტაოს შტომ კურაპალატობა დაკარგა იმიერტაოს ბაგრატიონთა შტოს სასარგებლოდ.

ადარნასე სუმბატის ძის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც კურაპალატია 961-983 წლებში, კურაპალატის ტიტული, ფაქტობრივად, ვაკანტური ჩანს. თუ ვინ ფლობდა მას 983-989 წლებში ჩვენ არ ვიცით. ნარატიული წყაროების პირდაპირი ჩვენებით ქართველთა სამეფოში დავითი აღნიშნულ ტიტულს 989 წელს იღებს. თუმცა სხვა წყაროების მონაცემებით, უკვე X საუკუნის 70-იან წლებში ის თითქოს კურაპალატის ტიტულის მქონეა. ვარაუდობენ, რომ მას კურაპალატობა 979 წელს ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ გაწეული დახმარებისთვის უნდა მიეღო ბიზანტიის იმპერატორისგან, ხოლო შემდეგ უნდა დაეკარგა და ხელახლა მიეღო 989 წელს. მიუხედავად იმისა, რომ დავითი კურაპალატად იწოდება 989 წლამდელი ამბების მსვლელობისას, არსად, არცერთ წყაროში არ არის პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ მან იმპერატორისგან ტიტული 989 წლამდე მიიღო. არ გვაქვს ცნობა ტიტულის ჩამორთმევის შესახებაც. დავითის 989 წლამდე მომხდარ მოვლენებში კურაპალატად მოხსენიება კი უფრო იმის მანიშნებელია, რომ გვიანდელი (989-1000 წწ.) ვითარება, როდესაც დავითი კურაპალატი იყო, საისტორიო წყაროებს ავტომატურად გადააქვთ ძველ პერიოდზე.

X საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტიტული – „მეფეთ მეფე“. პირველი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ამ ტიტულით სწორედ დავითი იწოდება. მეფეთ მეფის ტიტული ჯერ კიდევ სომხეთში გაჩნდა, როდესაც აშოტ I-მა 885 წელს არაბეთის ხალიფას მხარდაჭერით შაჰან შაჰად გამოაცხადა თავი. სომხეთი ისწრაფობა რეგიონში პირველობა მოეპოვებინა, რაც აშკარად გამოჩნდა აშოტის ძის სუმბატ ტიერზიკალის, საგარეო პოლიტიკაში.

სწორედ სომხეთის წამყვანი პოზიციის ჩანაცვლებას ისახავდა მიზნად დავითის მიერ ახალი ტიტულის მიღება. ხოლო კურაპალატად მისი აღიარება იმის ხაზგასმა იყო, რომ ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანულ სამყაროში სწორედ ის უნდა ყოფილიყო წამყვანი პოლიტიკური მოთამაშე. ამის საუკეთესო დასტურია დავითის კიდევ ერთი ახალი ტიტული „კურაპალატი ყოვლისა აღმოსავლეთისა“.

ყველაფერი ეს კარგად უდგება ახალი ტიტულის „მეფეთ მეფის“ შემოღებას. ბიზანტიის პოლიტიკურ აღიარებად 979 წელს ბასილ II-ის მიერ გადაცემული „ზემონი ქვეყანანი“ არის მიჩნეული. გარკვეული ტერიტორიების სიცოცხლეში მართვის უფლებით გადაცემა დავითს დიდ გასაქანს აძლევდა, ფართოდ ემოქმედა ბიზანტიის გავლენის სფეროში.

დავით III კურაპალატი შეიძლება ითქვას, რომ ქართველთა სამეფოს უკანასკნელი მმართველი იყო, რომელიც კურაპალატის პატივში ასრულებს მოღვაწეობას. სწორედ დავითი ხდება პირველი, ვინც ქართველთა შორის პრეტენზიას აცხადებს ბიზანტიის აღმოსავლეთით არსებულ ქრისტიანულ სამყაროში პირველობაზე. ამან ყველაფერმა გამოხატულება მის ტიტულში „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატში“ ჰპოვა. დავითის ეს, მართლაც რომ, ორიგინალური ტიტული დაფიქსირებულია იოანე ოქროპირის და ეფრემ სირინის „ქადაგებანის“ ქართული თარგმანის ანდერძ-მინაწერებში. თავად თარგმანი 977 წელს არის შესრულებული, სადაც დავითი მეფედ და მაგისტროსად იხსენიება:

*„იესო ქრისტე, ყოველთა სუფევათა მფლობელო, ადიდე შენ მიერ დიდებული მეფე ჩვენი დავით მაგისტროსი“.* (ქორდანი 2004: 107-8).

იმავე ხელნაწერის სხვა ანდერძში, რომელიც, ბუნებრივია, მოგვიანებით არის შესრულებული დავითი უკვე „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“ არის წოდებული:

*„სალოცველად და სადიდებლად პირველად ძლიერისა და ღვთის მსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა დავითისათვის ... რამეთუ მართლ-მადიდებლობისა თვალი არს და მსგავსად შემოქმედისა თვისისა სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებლად იქცევის“* (ქორდანი 2004: 108).

ცნობაში მრავალი საგულისხმო ფაქტი ფიქსირდება, მათ შორის ისეთი ეპითეტები, რომლებიც პირველად სწორედ დავით კურაპალატის დროს უნდა

გაჩენილიყო ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ასეთებია: „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“, „ძლიერი“, „მართლმადიდებლობისა თვალი“. მოგვიანებით ყველა ეს საპატო ეპითეტი თუ ტიტულები, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართველ მეფეთა საპატო ტიტულატურაში. დავით III კურაპალატი იყო უკანასკნელი ქართველთა სამეფოს მმართველებს შორის, რომელიც კურაპალატის ტიტულს დაეუფლა. ის გარდაიცვალა 1000 წელს, ხოლო მისი სიკვდილის მიზეზები დღემდე ბურუსით არის მოცული.

დავითის სიკვდილის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა თავისი კუთვნილი სამფლობელოები იძულებით დადებული ანდერძის თანახმად თავად მიიტაცა, ხოლო ქართველთა მეფე გურგენსა და მის შვილს ბაგრატ აფხაზთა მეფეს მაგისტროსისა და კურაპალატის ტიტულები უბოძა.

### **კურაპალატის ტიტული ერთიანი საქართველოს სამეფოში**

დავით III კურაპალატის სიკვდილის შემდეგ სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. ბიზანტიის ხელისუფლებამ ბაგრატიონთა კუთვნილი იმიერტაოს შემოერთებით საქართველოს ბაგრატიონ მესვეურებთან მრავალწლიან კონფლიქტს დაუდო საფუძველი. კონფლიქტური სიტუაცია თითქმის მთელი XI საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა და მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანა ტაო-კლარჯეთის მდიდარ მხარეს.

ბიზანტიის შემადგენლობაში შეიქმნა იბერიის თემი, რომლის სათავეში ბიზანტიელი სტრატეგოსები და კატეპანები ჩააყენეს. მოგვიანებით იბერიის თემის ტერიტორიები გაიზარდა და დავით III კურაპალატის სამფლობელოებს გასცდა. მას სხვა ქართული ტერიტორიაც შემოუერთდა, შემდეგ დაემატა სომხური სამეფო-სამთავროების შემოერთებული მხარეები. უკვე XI საუკუნის შუა წლებისთვის რამდენიმე თემის ერთობით შეიქმნა ერთიანი თავდაცვითი სისტემა იბერიის თემის ირგვლივ, რომელიც ბიზანტიის არმიას 50 000 მეომრით ავსებდა.

ბუნებრივია, იბერიის დიდი თემი არ შედგებოდა მხოლოდ ქართველებისგან. მასში ქართული ეთნიკური ჯგუფის გარდა, წარმოდგენილი იყო სომხები, ასევე ბერძნები, რომლებიც სტრატეგატების სახით იბერიის თემის ტერიტორიაზე იყვნენ ჩასახლებულნი. აღმოსავლეთის თემებს შორის იბერიის თემმა ადრევე დაიკავა

წამყვანი პოზიცია, რაც, ერთი მხრივ მისი ძლიერი სამხედრო პოტენციალით, ხოლო, მეორე მხრივ კი სტრატეგიული მდებარეობით იყო განპირობებული.

იბერიის თემის დამცრობა ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.), სახელს უკავშირდება, რომელმაც სახლმწიფო ბიუჯეტის შევსების მიზნით იბერიის თემების არმია დაშალა და სამხედროების დიდი ნაწილი თავისუფალი მეთემეებიდან გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებად აქცია. მათვე შეუწყდათ საიმპერიო დოტაციების გაცემაც. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეარყია ბიზანტიის იმპერიის ძლევამოსილება აღმოსავლეთის საზღვარზე.

იბერიის თემების შესუსტებით გაჩნდა ახალი თავდაცვითი არმიის შექმნის აუცილებლობა, ასევე ახალი ალიანსების საჭიროება. ამ კუთხით ერთიანი საქართველოს სამეფოს ბიზანტიასთან დაახლოება იმპერიის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა. ძველი კურაპალატის ტიტული უკვე აღარ პასუხობდა საქართველოს მეფეთა გაზრდილ პოლიტიკურ ამბიციებს. ამდენად, მათ იმპერატორის ოჯახის წევრების კუთვნილი ნოველისიმოსის, სევასტოსისა და კესაროსის ტიტულები ურიგდებოდათ. ხოლო კურაპალატის ტიტული საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც აღმოსავლეთის მრავალ წამყვან პოლიტიკურ ფიგურას მიენიჭა.

იბერიის თემის დაშლა და ბიზანტიის სამხედრო დასუსტება ერთბაშად არ მომხდარა, XI საუკუნის პირველ ნახევარში იმპერატორები ქართველ მეფეებს მაქსიმუმ კურაპალატის ტიტულს ანიჭებდნენ. ტიტულატურის მიხედვით ითვლებოდა, რომ სწორედ ისინი იყვნენ „ყოველი აღმოსავლეთის კურაპალატები“. ამდენად, ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანულ სამეფო-სამთავროების მმართველებს შორის იმპერატორთან ყველაზე ახლოს მდგომი პირი საქართველოს მონარქი იყო.

ბაგრატ III აფხაზთა მეფისთვის კურაპალატის პატივის გადაცემა, ერთი მხრივ მისი პოლიტიკური აღიარებაა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი და მამამისის, გურგენ მეფეთა მეფის, დაპირისპირების მცდელობა იყო. გურგენი, სუმბატ დავითის ძის განცხადებით, არ მოტყუვდა და შვილის მიმართ არანაირი პრეტენზია არ გამოუცხადებია.

გურგენი, რომელიც მეფეთა მეფის ტიტულის მიღებით იერარქიაში ბაგრატზე მაღლა იდგა, უფრო გაბედულ მოქმედებას იწყებს და იმიერტაოს შემოერთების

მიზნით ქმედით ნაბიჯებს დგამს. ამან ბიზანტიის იმპერატორი აიძულა, გარკვეული ტერიტორიები გადაეცა მისთვის. გურგენის გარდაცვალების (1008 წელი) შემდეგ ბაგრატის ოფიციალურად იწოდა „აფხაზთა და ქართველთა მეფედ და კურაპალატად“, ხოლო გურგენის სიკვდილამდე ის თავს „აფხაზთა მეფედ და ქართველთა კურაპალატად“ თვლიდა. ამით ხაზი ესმეოდა იმას, რომ „ქართველთა მეფე“ სწორედ გურგენი იყო, როგორც იერარქიაში მაღალ საფეხურზე მყოფი პოლიტიკური ფიგურა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის „აფხაზთა და ქართველთა“ მეფე 1008 წელს ხდება შეიძლება ითქვას, რომ უკვე 1000 წელს, როდესაც გარდაიცვალა დავით III კურაპალატი, ხოლო გურგენი და ბაგრატის თავიანთ კუთვნილ ტიტულებს იღებენ, საქართველო de facto გაერთიანებულია, ხოლო de jure გაერთიანება ოდნავ მოგვიანებით ხდება, გურგენის გარდაცვალების შემდეგ.

ორი პოლიტიკური ორგანიზმის – აფხაზთა სამეფოს (დასავლეთ საქართველო) და ქართველთა სამეფოს (სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო) ერთობამ საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ სამეფოს, სადაც თანდათანობით სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულებიც შევიდა. ჰერეთისა და კახეთის შემოერთებით საქართველოს მეფის ტიტულატურას „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის ტიტულებთან ერთად – „რანთა“ და „კახთა“ დაემატა.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ (1014 წელი) კურაპალატი მისი შვილი, გიორგი I, ხდება (ბერძენიშვილი 1964: 28; კოპალიანი 1972: 171-176). მანგლისის ეკლესიის წარწერა, რომელიც დღეისთვის დაკარგულად ითვლება შემდეგი შინაარსისაა:

*„მ(ე)ფ(ო)ბ(ა)სა ღ(მრ)თ(ი)ვდ(ა)მე(არებულ)ისა გ(იორგი)ი ყ(ოე)ლისა ა/ღ/მოსა/ვლეთისა კურაპალატისა და თვთმპყრობლისა (?“ (ბერძენიშვილი 1964: 28).*

წარწერაში აღწერილი პოლიტიკური კონიუქტურა აბსოლუტურად შეესაბამება გიორგი I-ის დროის ვითარებას, ზედმეტია მხოლოდ თვთმპყრობლის ტიტულის დაფიქსირება, რომლის წაკითხვა ისედაც სათუო იყო და ამის გამო ნიკო ბერძენიშვილს კითხვის ნიშნით აღუნიშნავს. ვინაიდან წარწერა დაკარგულია ძნელია იმის ვარაუდი თუ რა ტერმინი ფიქსირდება ტექსტის ბოლოში. ტერმინი „თვთმპყრობლი“ ვფიქრობთ, რომ ჯერ არ უნდა გამოჩენილიყო ქართველ მეფეთა პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში. აღნიშნული ტიტული ქართული სამეფო სიგელების



მიხედვით არ ფიქსირდება დავით აღმაშენებელამდე და როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ოფიციალურად პირველად დავითის დროს გამოჩნდა.

საინტერესოა, როდის მიიღო გიორგი I-მა „ყოველი აღმოსავლეთის კურაპალატობა“. ეს მომენტი ნარატიულ წყაროებში არ ჩანს. ერთი მხრივ, რაც უდავოა, არის ის, რომ უკვე გამეფებისას (1014 წელი) გიორგის დაძაბული ურთიერთობა აქვს ბასილი იმპერატორთან, რომელიც მას ბაგრატ III-ის მიერ მიღებულ ტერიტორიებს სთხოვს დავით III კურაპალატის სამფლობელოებიდან. გიორგი უარს ამბობს და იწყება სამხედრო კონფლიქტი, რომელიც 1014-1016 წლებში ხდება. 1014 წელს თავიდან ქართველებმა ბიზანტიის მიერ გამოგზავნილი ჯარი დაამარცხეს (Bedrosian 1985: 7; C. Holmes: 482); მოგვიანებით დაახლოებით 1015 წელს კი ბიზანტიის კუთვნილი ტერიტორია დაიკავეს მანისკერტის ჩათვლით (ბუაჩიძე 1997: 40-44); 1016 წელს ბიზანტია საქართველოს წინააღმდეგ ფლოტს გზავნის, რომელიც, საბოლოოდ, ხერსონსში მომხდარი აჯანყების ჩასახიზობად გამოიყენეს. ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც ბასილი ბულგარელებთან ომით არის დაკავებული. ბულგარელებთან ბრძოლაში გარდატეხა 1023 წელს ხდება, რის შემდეგაც იმპერატორმა საქართველოსთვისაც მოიცადა. 1020-1023 წლებში განახლებული ბრძოლა საქართველოს მარცხით დამთავრდა. გიორგი იძულებული გახდა, მარცხი ეღიარებინა და დათმობაზე წასულიყო.

ამ ყველაფერის ფონზე გადაჭრით იმის თქმა, იყო თუ როდის შეეძლო გიორგის რაიმე ბიზანტიური ტიტულის მიღება შეუძლებელია. აკაკი შანიძისა და ნიკო ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული, ზემოხსენებული ეპიგრაფიკული წარწერის მიხედვით ის კურაპალატად 1023 წელს ჩანს. თუმცა დღეს ეს წარწერა წარხოცილია და მისი გადამოწმება არ ხერხდება, მაგრამ თუ 1023 წელს ვივარაუდებთ წარწერის შექმნის თარიღად გამოდის, რომ გიორგი ამ წლისთვის კურაპალატია და თუ მან ეს პატივი არ მიიღო 1023 წლის ზავით თანახმად გვრჩება ის, რომ გამოვთქვათ ვარაუდი კურაპალატის ტიტულის გამეფების დროს მიღების შესახებ. ამდენად, ზავის პირობების თანახმად გიორგი იძულებულია სცნოს თავი დამარცხებულად, დაუბრუნოს ბიზანტიის დაკავებული ტერიტორიები და მძევლად გაუგზავნოს მცორეწლოვანი შვილი ბაგრატი, რომელსაც მაგისტროსის ტიტული უბოძეს (ყაუხჩიშვილი 1963: 48). თავად გიორგი, როგორც ვხედავთ, კურაპალატობას იღებს გამეფების დროს, 1014 წელს.

ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) შემთხვევაში კი ის 1029/30 წლამდე მაგისტროსის ტიტულს ატარებს, ხოლო ბიზანტიასთან დადებული ზავის შემდეგ 1029/30 წელს კი – კურაპალატის ხარისხს. ბენეფიციარი ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ III არგიროსია (1028-1034 წწ.).

ბაგრატის კურაპალატის ხარისხში აღზევება, მისი დედის – მარიამ არწრუნის – დიპლომატიურმა ვოიაჟმა განაპირობა კონსტანტინოპოლში. შედეგად დაიდო ზავი, ხოლო ზავის ერთ-ერთ პირობად კურაპალატის ტიტულის გადაცემა და მეფე ბაგრატისა და იმპერატორის ძმიშვილის, ელენე არგიროსის, ქორწილის პირობების შეთანხმება იყო. კურაპალატის ტიტული რჩება წარმყვან ტიტულად, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორები იმეტებდნენ საქართველოს მბრძანებელთა სასარგებლოდ. სიტუაცია მალევე შეიცვალა, რაც აღმოსავლეთში თურქ-სელჩუკების მომძლავრებასთან იყო დაკავშირებული.

თურქების საფრთხემ აიძულა ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინე IX მონომახი (1042-1055 წწ.), უფრო მოწყალე თვალთ შეეხედა საქართველოს მეფის სტატუსისათვის და უკვე 1048 წელს, როდესაც ლიპარიტ ბაღვაში დაატყვევეს თურქ-სელჩუკებმა, ბაგრატს ნოველისიმოსობა გადაეცა. ამას სულ მალე მოჰყვა სევასტოსობაც. ეს ორივე ტიტული იმპერატორის ოჯახის წევრების საპატიო ტიტულებს წარმოადგენდა, რაც ქართველთა მეფის მნიშვნელოვანი დაფასება იყო ბიზანტიის მბრძანებლისგან. ნოველისიმოსის ტიტულის პარალელურად დაახლოებით 1048 წელს კურაპალატობა უბოძეს ბაგრატ IV-ის ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეს – გიორგის. აღნიშნული ფაქტი ცნობილი ავლარის ეკლესიის წარწერიდან ხდება, რომელიც 1050 წლით თარიღდება. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ტიტული გიორგის მანამდე უნდა მიეღო. ლიპარიტის დატყვევების შემდეგ, როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა მისი სახით ძლიერი მოკავშირე დაკარგა, იგი ურთიერთობის ურთიერთობის გადასინჯვა მოახდინოს საქართველოს მეფესთან, წარწერა ასე იკითხება:

*„სა[დიდებ]ლ(ა)დ მ(ე)ფ(ე)თ(ა) ჩ(უ)ენთა ბ(ა)გრ(ა)ტ ნ(ოველი)სიმ(ოსი)სა და ძისა მ(ა)თისა ვ(იორგი)ი კ(უ)რ(აპალატი)სა“* (გაგოშიძე 2004: 50).

გიორგი კურაპალატად მამის, ბაგრატის, გარდაცვალებამდე იწოდებოდა. 1052 წელს გიორგის მეფედ აკურთხებენ ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით, რომელიც მანამდე მაგისტროსის ტიტულს ატარებდა, „ქართლის ცხოვრების“

სომხური თარგმანის მიხედვით (XII ს. შუა წწ.) კი, კურაპალატის ტიტულით არის მოხსენიებული. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ლიპარიტის სტატუსი მოქმედი მეფის პოლიტიკურ სტატუსს გაუთანაბრა. ეს უპრეცედენტო მოვლენა იყო ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობებში. „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში მოხსენიებული ლიპარიტ ბაღვაშის კურაპალატობა სრულიად რეალურად გვეჩვენება. აქ გასათვალისწინებელია, ბაგრატის 1051/2 წელს კონსტანტინოპოლში გაქცევა რის შემდეგაც ლიპარიტი, ფაქტობრივად, საქართველოს ბატონ-პატრონი გახდა. იგივე ლიპარიტი მეურვეობს მეფედ დადგენილ გიორგის, ბაგრატის ძეს, რაც მას საშუალებას აძლევს ქვეყანა საკუთარი ნება-სურვილით მართოს.

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ბიზანტიის მმართველები გაითვალისწინებდნენ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და ლიპარიტს კურაპალატობას გადასცემდნენ. საფიქრებელია, რომ ეს იმავე 1051/2 წელს უნდა მომხდარიყო. ამით, იმპერატორმა, ის საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ფიგურებს შორის ყველაზე აღზევებულ ადამიანად გამოაცხადა (ბაგრატ IV ნოველისიმოსი ამ დროს კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა). იგივე ტიტულის მფლობელი და საქართველოს ფორმალური მეფე გიორგი იყო, რომელზე მზრუნველობა ლიპარიტს და მის მამიდას, გურანდუხტს, ჰქონდათ აღებული. სიტუაცია შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიპარიტის ბატონობა 1055 წელს დაამხეს მეფე ბაგრატის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მესხმა ფეოდალებმა სულა კალმახელის მეთაურობით (მეტრეველი 2008: 287).

ლიპარიტის ტიტულებიდან მნიშვნელოვანია მისი „ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღვრად“ მოხსენიება, იქვე არის დამოწმებული კიდევ ერთი ტიტული „პროტატოსი“ (სილოგავა 2000: 243). აღნიშნული წარწერა თარიღდება 1052 წლით. მისი „ყოვლისა აღმოსავლეთისა წინამძღვრად“ მოხსენიება არ არის უჩვეული, ვინაიდან ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში მოღვაწე მრავალი მოხელე იწოდებოდა ამავე ტიტულით. სხვა საქმეა თუ რა მიმართებაშია საქართველოსა და ბიზანტიაში გავრცელებული „ყოვლისა აღმოსავლეთის“ ტიტულის მფლობელის პოლიტიკური სტატუსი. ამჯერად ამ საკითხს არ შევეხებით.

რაც შეეხება „პროტატოს“ ტიტულს, ვფიქრობ, რომ გარკვეულ კორექტურას საჭიროებს მისი წაკითხვა. უნდა იყოს პროტ(ოსტრ)ატის ტიტული დაქარაგმებული

და არა „პროტატი“. ვინაიდან ტიტული „პროტატი“, როგორც ასეთი ოფიციალური ტიტული ან თანამდებობა ბიზანტიის იმპერიაში რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია არ ფიქსირდება. წყაროში კი აშკარად ბიზანტიური ტიტული ჩანს. ანალოგიად გამოდგება სხვა ქართველი დიდებულის მოხსენიება პროტოსტრაპორად – ეს იყო ერისთავი ივანე ვარდანის ძე, საქართველოს მეჭურტლეთუხუცესი (ახალაშვილი 1987: 32), რომელიც XII საუკუნის ეპიგრაფიკულ ძეგლში იხსენიება აღნიშნული ტიტულით. ვინაიდან ეს ორივე საკითხი სცილდება მოცემულ თავში დასმულ პრობლემატიკას მათ მეტი დაწვრილებით აღარ განვიხილავთ.

ლიპარიტი კურაპალატის ტიტულს მცირე ხნის განმავლობაში ატარებდა. ხოლო გიორგი, იმავე ტიტულის მფლობელია, 1048-1072 წლებში, სანამ მამის, ბაგრატის, გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ერთპიროვნული მმართველობა არ ჩაიგდო ხელში და თავისივე სიძისგან, იმპერატორ მიხაელ VII დუკასგან (1071-1078 წწ.) ნოველისიმოსის ტიტული არ მიიღო ახალი საკარისკაცო პატივის სახით.

კურაპალატის ტიტული დაბადებისთანავე მიანიჭეს მეფე გიორგი II-ის ვაჟს, დავითს, რომელიც ამ ტიტულით 1073 წელს იწოდება მამის ერთ-ერთ სიგელში. სიგელის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ტექსტი შემდეგია:

*„ქ. მე, გიორგი ბაგრატუნისძე, ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა მეფემან, ძემან სულკურთხეულისა მეფისა ბაგრატისძეან ... გულს-გუიდეინა ღმერთმან, სამლოცველოდ მეფობისა ჩემისა და ძისა ჩემისა დავით კურაპალატისა და მოსახსენიებლად სულთა პირველთა მეფეთა მამათა ჩემთასა, გაგუიახლებიან სიგელნი მამისა და პაპთა ჩემთანი“* (ენუქიძემ, სილოგავამ, შოშიაშვილი 1984: 46).

გიორგი II-ის გაცემულ სამეფო სიგელში დავითი კურაპალატად იხსენიება. იგი მამასთან ერთად საბუთის განახლების თანამონაწილეა. სიგელი 1073 წელს არის შედგენილი, ანუ იმ წელს როდესაც დავითი დაიბადა (ენუქიძემ, სილოგავამ, შოშიაშვილი 1984: 46; ჯავახიშვილი 1965: 193). მცირეწლოვანი უფლისწული ტახტის მემკვიდრის დაბადების აღსანიშნავად კურაპალატის ტიტულში აღაზევეს. ინიციატივა, როგორც ჩანს იმპერატორ მიხაელ VII დუკასა და მისი მეუღლის მართა-მარიამ ბაგრატიონისგან მოდიოდა, რომელიც ჩვილი უფლისწულის მამიდა იყო. მოგვიანებით დავითი სევასტოსი ხდება, რასაც ადგილი ჰქონდა 1083 წელს მისი თანამოსაყდრედ კურთხევის შემდეგ.

ამგვარად, დავითი იყო საქართველოს სამეფო ოჯახის ბოლო წევრი, რომელიც ამ ტიტულს დაეუფლა. ეს იყო ტიტული, რომელიც ქართულ პოლიტიკურ რეალობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა VI საუკუნის მეორე ნახევრიდან XI საუკუნის ბოლომდე.

XI საუკუნეში ერთიანი საქართველოს სამეფოს გარდა, კურაპალატის ტიტულს ატარებდნენ კახეთ-ჰერეთის მეფეებიც ასეთები იყვნენ XI საუკუნის პირველ ნახევარში კვირიკე III დიდი (1014-1037 წწ.) და ოდნავ მოგვიანებით აღსართან I (1058-1084 წწ.). კურაპალატად იწოდება ტაშირ-ძორაკერტის მეფე კვირიკე II (1048-1089 წწ.), რომელსაც ამ ტიტულს XI საუკუნის მეორე ნახევარში ატარებს (ვრცადად იხ.: ქუთათელაძე 2001: 127-128).

### თავი III

## ნოველისიმოსის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

ბიზანტიური საკარისკაციო ტიტულების შესწავლა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ჩვენ არცთუ დიდი ხნის წინ დამოუკიდებელ ნაშრომში ვცადეთ, რომელიც სევასტოსის ტიტულს შეეხებოდა (თავადე 2011: 154-187). სევასტოსის ტიტული მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ერთის მხრივ საიმპერატორო ტიტულატურას წარმოადგენდა, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც მოგვიანებით მოხდა, ერთ-ერთ რიგით სენატორულ ტიტულად დაემცრო. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნოველისიმოსის ტიტულის შემთხვევაშიც. სტატია, შესაბამისად, აღნიშნული ტიტულის ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩენას და დამკვიდრებას, ასევე მის გენეზისსა და ტრასფორმაციას შეეხება რომისა და ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმისთვის, რომ უფრო ნათელი გახდეს აღნიშნული პატივის შინაარსი და მნიშვნელობა, თხრობას სწორედ ტიტულის გენეზისით დავიწყებთ რომაულ/ბიზანტიურ პოლიტიკურ რეალობაში.

### ნოველისიმოსის გენეზისი და ოფიციალურ ტიტულად ჩამოყალიბება

ბერძნული ნოველისიმოსის (*Νοβελίσσιμος*) ლათინური ექვივალენტია „*Nobilissimus*“. ის უკვე მესამე საუკუნიდან ჩანს, როგორც საიმპერატორო ტიტული (ODB 3 1991: 1489). აღნიშნული ლათინური ტერმინი (*Nobilissimus*) კი, რომელმაც ბერძნულ ნოველისიმოსს დაუდო საფუძველი, ნიშნავს უდიდებულესს და იხმარებოდა როგორც რომის იმპერატორისა და მისი ოფიციალური მემკვიდრის, კეისრის, ოფიციალურ ტიტულად.

*Nobilissimus Caesar*-ის ტიტულით, პირველად შეიმკო რომის იმპერატორის, - სეპტიმუს სევერუსის (193-211 წწ.), უმცროსი ვაჟი პუბლიუს სეპტიმუს გეტა 198 წელს. მოგვიანებით გეტა თანაიმპერატორის რანგში აღევდა და ოფიციალურად იწოდება იმპერატორ-ავგუსტუსად (*Imperator-Augustus*) (Mitthof 1993: 98).

ბერძნულენოვან ტექსტებში, სანამ ლათინური „*Nobilissimus*“-ის ტრანსლიტერაცია მოხდებოდა, ნოველისიმოსის აღსანიშნავად სხვადასხვა ბერძნული შესატყვისი გამოიყენებოდა. იმპერატორის მემკვიდრეები მთელ რიგ ლათინურ წარწერებში

Nobilissimus Caesar-ის ეპითეტით მოიხსენებიან, ხოლო ბერძნულ ტექსტებში ἱεράτατος Καῖσαρ ან Ἐπιφανέστατος Καῖσαρ არის ნახმარი (Mitthof 1993: 98-102).

ბიზანტიელი მემკვიდრე ზოსიმეს მიხედვით, იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა (306-337 წწ.) ნოველისიმოსის ეპითეტი ოფიციალური ტიტულის რანგში აიყვანა და თავისი ოჯახის წევრებს უბოძა (ODB 3 1991: 1489-1490). მეტი სიცხადისთვის მოვიხმეთ ნაწყვეტი ზოსიმეს ტექსტიდან:

*„იყვნენ სხვებიც მათ მსგავსად, რომლებმაც მიიღეს წილი ხელისუფლებაში; [მათ შორის] დაღმადიუსი, ვინც კონსტანტინემ (რომის იმპერატორი – ლ. თ.) გახადა კეისარი, კონსტანციუსი მისი ძმა და ჰანიბალიანუსი. ყველა მათგანი ატარებდა ოქროთი მორთულ ძოწისფერ მოსახამს და იყვნენ აყვანილნი - ნობელისიმატის რანგში კონსტანტინეს მიერ იმის გათვალისწინებით, რომ იყვნენ მისი ოჯახის წევრები... კონსტანტინემ მართლაც პირველად შემოიღო ეს წესი და გამოსცა კანონი, რომ ყველა ნობელისიმატს უნდა ჰქონოდა უპირატესობა სახელმწიფოს პრეფექტებზე“ (Ridley 1982: II, 39, 2).*

ამდენად, ნოველისიმოსი იმპერატორ კონსტანტინე დიდიდან მოყოლებული საპატიო ეპითეტოდან ოფიციალურ ტიტულად გადაიქცა. იგი კეისრის შემდეგ ყველაზე საპატიო ტიტულად ითვლებოდა მთელს იმპერიაში. ამავე ტიტულს ატარებდა მომავალი იმპერატორი, იუსტინიანე დიდი, მისი ბიძის, იუსტინე I-ის (518-527 წწ.) მმართველობის დროს. იუსტინიანე I დიდის (527-565 წწ.) ხანაში ის აღარ იყო ხმარებაში, თუმცა არ გაუქმებულა და მოგვიანებით იმპერატორ ჰერაკლეს (610-641 წწ.) ვაჟი, მარტინოსი, და კონსტანტინე V-ის (741-775 წწ.) ძე, ნიკიტა, ეუფლებიან - აღნიშნულ პატივს (ODB 3 1991: 1490).

IX-X საუკუნეების რამდენიმე ბიზანტიურ ტაქტიკონში დაცულია ცნობები ბიზანტიური სენატორული თუ ადმინისტრაციული ტიტულების და სახელოების შესახებ. მათ შორის ნოველისიმოსს, როგორც წესი, წამყვანი ადგილი უკავია.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – ფილოთეოსის „კლემენტოლოგიონია“ (დარბაზობა ან დარბაზობის წესი) – შედგენილია 899 წელს იმპერატორ ლეონ VI ბრძენის (886-912 წწ.) მმართველობის დროს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ნოველისიმოსის ტიტულის მქონე პირი დარბაზობის დროს კო-

ნსტანტინოპოლის პატრიარქისა და კეისრის შემდეგ ყველაზე ახლოს იკავებს ადგილს იმპერატორთან (Oikonomides 1972: 134-137).

ფილოთეოსის ნაშრომის გარდა, ანალოგიური ვითარება არის აღწერილი სხვა ტაქტიკონებშიც. საერთო ჯამში, ამ ეპოქის ოთხი ტაქტიკონის მიხედვით (ფილოთეოსის „კლექტოროლოგიონის“ ჩათვლით), რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ნიკოლას ოიკონომიდისს. ნოველისიმოსის მდგომარეობა 842/3-971/975 წლებში უცვლელია (Oikonomides 1972: 46-47, 134-137, 244-245, 262-263).

იმავე ეპოქის ტექსტები აღწერენ, თუ როგორ ხდებოდა კონკრეტული საიმპერატორო ოჯახის წევრის ნოველისიმოსის ხარისხში აყვანა. თეოფანე უამთა-აღმწერელის თანახმად, ნოველისიმოსად კურთხევის ცერემონიალი კეისრების მსგავსი იყო. ჯონ ბაგნელ ბიურის აზრით, მემატთანე არასწორია, როდესაც მსგავსებას ხედავს აღნიშნული ტიტულების გადაცემის ცერემონიალში. თეოფანეს მიხედვით ნოველისიმოსად კურთხევისას ტიტულის მფლობელს სტეფანოსს (στέφανος) ადგამდნენ თავზე, ხოლო ტანზე ხლამიდას (χλαμύς) აცვამდნენ. კონსტანტინე პორფიროგენეტის „De Ceremoniis Aulae Byzantinae“-ში კი ძოწისფერი ხლამიდის ნაცვლად, რაც კეისრის ატრიბუტი იყო, ნოველისიმოსს მოსავენენ ალისფერი - (κόκκινος) მოსასხამით. ფილოთეოსის „კლექტოროლოგიონის“ მიხედვით ნოველისიმოსის ინსიგნიას შეადგენდა: ქიტონი, რომელსაც უწოდებდნენ ხრისოთეტოსს (χρυσόθετος) და ხლამიდა (χλαμύς), ასევე სარტყელი (ζώνη) (Bury 1911: 35). ყველა ამ ძალაუფლების ნიშანს ნოველისიმოსი თავად იმპერატორისგან იღებდა.

ნოველისიმოსის ტიტული XI საუკუნის შუა წლებამდე მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებს ენიჭებოდათ (ODB 3 1991: 1490). ერთ-ერთი უკანასკნელი, რომელმაც ეს ტიტული მიიღო, იყო მიხაელ V კალაფატის (1041-1042 წწ.) ბიძა კონსტანტინე. ის აღნიშნულ ტიტულს, ძმიშვილის იმპერატორად - შედგომისთანავე – 1041 წელს –დაეუფლა (Sewter 1966: V, 8-10).<sup>5</sup>

უკვე XI საუკუნის ბოლოსთვის ნოველისიმოსის ტიტული ეძლეოდათ ბიზანტიის იმპერიის მთავარსარდლებს. იმპერატორის ოჯახის წევრების გამოკლებით, ერთ-ერთი პირველი, ვისაც ნოველისიმოსის ტიტული უბოძეს იყო ალექსი

<sup>5</sup> Michael Psellus. Chronographia. Trans E.R.A Sewter. Yale University Press. 1953, V, 8-10 (მიხაელ ფსელოსის ტექსტის შემთხვევაში ვუთითებთ თავსა და პარაგრაფს).



კომნენოსი (მომავალი იმპერატორი). 1074 წელს ნოველისიმოსობა მიანიჭეს რობერტ გისკარდს. ხოლო XII საუკუნისთვის მის საფუძველზე შეიქმნა ისეთი ტიტულები, - როგორცაა პროტონოველისიმოსი და პროტონოველისიმოსიპერტატოსი (ODB 3 1991: 1490).

1118 წლის შემდეგ ნოველისიმოსის ტიტული იმდენად დაემცრო, რომ უმაღლესი კატეგორიის ტიტულებში უკვე აღარ ერთიანდება. (Каждан 1974: 109). ფრანც დოლგერის ვარაუდით, ნოველისიმოსის ტიტული არსებობდა პალეოლოგოსების ეპოქამდე, რის მერეც გაქრა ბიზანტიის პოლიტიკური რეალობიდან (ODB 3 1991: 1490).

#### ბაგრატ IV

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში პირველი, რომელმაც ნოველისიმოსის ტიტული მიიღო, იყო ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). როგორც ცნობილია, ბაგრატი ნოველისიმოსის ტიტულის მიღებამდე ატარებდა მაგისტროსისა და კურაპალატის ტიტულებს (სტეფნაძე 1976: 159), ხოლო ნოველისიმოსობა ბიზანტიის იმპერატორისგან მისი მმართველობის შუა ხანებში მიიღო. ბოლოს იგი სევასტოსის ტიტულს ეუფლება (თავაძე 2011: 168-172, 178-180). „მატიანე ქართლისაის“ უცნობი ავტორის ცნობით, ბაგრატი მისი მეფობის პერიოდში შემდეგ ტიტულებს დაეუფლა:

*„ესე ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს“* (ყაუხჩიშვილი 1955: 316; მეტრეველი 2008: 297).

ყველა ამ ტიტულის გარდა, ის ფლობდა მაგისტროსის ღირსებასაც, რომელიც მას გამეფებამდე მიანიჭეს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მემატიანე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მიღებას საგანგებოდ გამოყოფს ბაგრატ IV-ის პიროვნების და მისი მეფობის შეფასებისას. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო XI საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აღნიშნული ტიტულატურა.

ბაგრატს ნოველისიმოსის ტიტული ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე IX მონომახმა (1042-1055 წწ.) უბოძა. იმ დროისთვის კონსტანტინე მონომახის წინამორბედი იმპერატორის, მიხაელ V კალაფატის (1041-1042 წწ.) დროს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ნოველისიმოსად იმპერატორის ბიძა, კონსტანტინე, იწოდებოდა,

ხოლო თავად მონომახის მმართველობის დასაწყისში აღნიშნული თანამდებობა - ვაკანტურია. უფრო მეტიც, იმავე პერიოდის არცერთ წყაროში არ ფიქსირდება კეისრის ტიტულის მქონე პიროვნებაც კი. კონსტანტინე მონომახის დროისთვის უკანასკნელი კეისარი თავად იმპერატორი მიხაელ V კალაფატი იყო. მიხაელ - კალაფატს კეისრობა მიანიჭეს იმპერატორ მიხაელ IV პაფლაგონიელის (1034-1041 - წწ.) მმართველობის დროს, როდესაც იგი ამ აქტით იმპერიის ტახტის მემკვიდრედ - გამოაცხადეს (Sewter 1966: IV 22-23).

ამდენად, კონსტანტინე IX მონომახის ზეობის დასაწყისისთვის უმაღლესი რანგის ტიტულები, კეისარი და ნოველისიმოსი ვაკანტური რჩება. სევასტოსი ჯერ ისევ იმპერატორის საპატიო ეპითეტია (Oikonomides 1980/1).

ბაგრატ IV-ის ნოველისიმოსად მოიხსენიება სხვადასხვა სახის რამდენიმე წყაროში გვხვდება, მათ შორისაა: საისტორიო თხზულება, ანდერძ-მინაწერეები, ეპიგრაფიკული ძეგლები და ნუმიზმატიკის ნიმუშები. თავისი მნიშვნელობით ყველას აღემატება ახლად მიკვლეული ე.წ. ავლარის ნასოფლარის ეკლესიის ეპიგრაფიკული წარწერა თრიალეთიდან (გაგოშიძე 2004: 48-53). წარწერა ყველაზე ადრეული თარიღიანი ძეგლია, რომელშიც ბაგრატი ნოველისიმოსად არის წოდებული. ეპიგრაფიკის ჩვენთვის საინტერესო ტექსტი ასე იკითხება:

*„ს[აღიღებ]ლ(ა)დ მ(ე)ფ(ე)თ(ა) ჩ(უ)ენთა ბ(ა)გრ(ა)ტ ნ(ოველი)სიმ(ოსი)სა და ძისა მ(ა)თისა გ(იორგი) კ(უ)რ(აპლატი)სა და სალხინე(ბე)ლ(ა)დ ს(უ)ლ(ი)ს(ა) გ(?)..ა და მშ(ო)ბ(ე)ლთა ჩ(ე)მთათ(უ)ს მა..სათას.. ლპტენმ(?)ბსხთლდ.. დ(მერთმა)ნ წყალ(ო)ბა ყვ(ენ) მ(ა)თთ(უ)სცა ე. ყ(ოვე)ლთა ლ(ო)ცვა ყვ(ა)ვ(ი)თ ქ(ორო)ნ(ი)კ(ო)ნი იყო: სო (1050 წელი – ლ. თ.)“ (გაგოშიძე 2004: 50).*

ამგვარად, 1050 წლისთვის ბაგრატი უკვე ნოველისიმოსია. ეს ტიტული, როგორც ამას წარწერის გამომცემელი გიორგი გაგოშიძე არკვევს, ბაგრატს IV-ს 1046-1050 წლებს შორის უნდა მიეღო. იგივე ავტორი იქვე კიდევ უფრო ვიწრო თარიღს გვთავაზობს (1048-1050 წწ.) და ბაგრატის მიერ ნოველისიმოსობის მიღებას თურქ-სელჩუკების მიერ ლიპარიტ IV ბაღვაშის დატყვევებას უკავშირებს, როდესაც *„ბიზანტიის იმპერატორის მოკავშირე თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ძალაუვნებურად ბაგრატ IV გახდა“* (გაგოშიძე 2004: 50-52). ჩვენთვის სრულიად მისაღებია გიორგი გაგოშიძის მოსაზრება – კონსტანტინე მონომახმა ნოველის-

იმოსის ტიტულის გაცემით აღმოსავლეთში მოკავშირის შენარჩუნება სცადა, მაშინ როდესაც ლიპარიტ ბაღვაშის სახით მთავარი მოკავშირე უკვე დაკარგული ჰყავდა. ამდენად, დაახლოებით 1048 წელს ბაგრატ კურაპალატის შემდეგ ნოველისიმოსის პატივში აღზევდა, ხოლო მისი ტახტის მემკვიდრე გიორგი კი კურაპალატის ტიტულს ეუფლება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოველისიმოსობა 1048 წლისთვის მნიშვნელოვანი ტიტულია. ბაგრატის მიერ მისი მიღება იმის დადასტურებაა, რომ ბიზანტიის იმპერატორი ქართველ მონარქს იმპერატორის უახლოეს გარემოცვაში - მოიაზრებდა და სხვა იმპერიებში მოსახლე დიდებულებს შორის მას უპირატეს - მდგომარეობას ანიჭებდა.

ლიპარიტ ბაღვაშის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, თუმცა არ შეცვლილა ბაგრატის პოლიტიკური სტატუსი. ლიპარიტისგან შევიწროვებული მეფე იძულებული გახდა შემწეობისთვის ბიზანტიის იმპერატორისათვის მიემართა და კონსტანტინოპოლში გამგზავრებულიყო, სადაც სამი წელი დაჰყო. ბაგრატს, როგორც სენატის უმაღლესი რანგის წევრს, დარბაზობის დროს იმპერატორის ოჯახის შემდეგ - ყველაზე საპატიო ადგილი უნდა სჭეროდა. ის იმპერატორთან დაახლოებულ პირად მოიაზრებოდა. მისი ახლო ურთიერთობა კონსტანტინე IX მონომახთან კარგად ჩანს გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. აღნიშნული ტექსტის მიხედვით, ბაგრატი დახმარებას უწევს ათონის მთაზე მცხოვრებ ქართველ მამებს, მიიღონ შეღავათები ბიზანტიის იმპერატორისგან. ეს შეეხება როგორც როგის - მიღებას, ასევე სახელმწიფო გადასახადების შემცირებას. იმავე ბაგრატის წყალობით გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობა ცნობილი ხდება იმპერატორ კონსტანტინე მონომახისთვისაც. (ქართული პროზა... 1: 453). ბიზანტიის უმაღლეს ხელისუფალთან ურთიერთობა იქ მოღვაწე ქართველი საერო თუ სასულიერო პირებისთვის მნიშვნელოვანი წარმატება იყო, ხოლო ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნა პოლიტიკური მხარდაჭერის კუთხით სასარგებლო აღმოჩნდა (კლდიაშვილი 2009; სამუშია 2011: 125-153).

ბაგრატ IV-ის საიმპერიო ტიტული, ნოველისიმოსი დასტურდება 1057/8 წლის მღვიმის ლავრისადმი დაწერილ სიგელში. საბუთი თავად ბაგრატის მიერ იქნა გაცემული, სადაც მეფე ლავრას ათავისუფლებს „*ე(ოე)ლისა შესავლისა და*

გამოსა[ვა]ლისაგან“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 35-38). აღნიშნულ სიგელში ბაგრატ მეფე ყოველი აღმოსავლეთის ნოველისიმოსად არის მოხსენიებული:

*„ქ. კ(ი)რ(იელეისო)ნ! ესე ვითა, ადიდენ ღ(მერთმა)ნ, ძლიერსა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და ყ(ოვ)ლისა აღმოსავლეთისა ნოველისიმოსსა დაუწერია და ბორცუისჯუარი სალოცველად მეფობისა მათისა და შეილთა მათათ(ვ)ს მღ(უიმი)ისა მონასტრისადა შეუწირავს“ (ენუქიძე, სილოგავა, შოშიაშვილი 1984: 37).*

ამრიგად, ბაგრატ მეფის მიერ ნოველისიმოსის ტიტულის ფლობა დაახლოებით 1048-1058 წლებში დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს. ავლარის ნასოფლარის ეკლესიის წარწერა და მღვიმის ლავრისადმი გაცემული საბუთი ამის კარგი ილუსტრაციაა, მითუმეტეს, რომ ორივე მათგანს დართული აქვს შესაბამისი თარიღი, ამიტომ ბაგრატის მიერ ნოველისიმოსის პატივის ფლობის ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა მნიშვნელოვნად ადვილდება.

ზემოთ მოხმობილი წყაროების გარდა, ბაგრატ IV ნოველისიმოსია ნუმიზმატიკური მასალების მიხედვითაც. მისივე მოჭრილ ვერცხლის ფულზე ის ნოველისიმოსის პატივითაა სახელდებული. მონეტის აღწერილობა შემდეგი სახისაა:

*შუბლი – ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდი ადვია. თავს ირგვლივ განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰავია თეოტიკოს – წმინდა ღვთისმშობელი.*

*ზურგი – მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, განლაგებულია ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში, ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული სამსტრიქონიანი წარწერა: „და ნოველისიმოსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 190-191).*

აღნიშნული მონეტები, ბაგრატ IV-ის მიერ ნოველისიმოსის ტიტულის ფლობის ქრონოლოგიური ჩარჩოდან გამომდინარე XI საუკუნის 50-იანი წლებით თარიღდება, უფრო კონკრეტულად კი 1055/6-1060 წლებით (დუნდუა, დუნდუა 2006: 191).

მნიშვნელოვანია ასევე ალავერდის სახარების მინაწერები, რომელიც XI საუკუნით თარიღდება. მისი ერთ-ერთი გამომცემელი, თედო ჟორდანია, მას

დაახლოებით 1051 წლით ათარიღებს. ერთ-ერთ მინაწერში ბაგრატი ნოველისიმოსად არის წოდებული. ანდერძ-მინაწერი ასე იკითხება:

*„დაიწერა კალიპოსს, ლავრასა წმინა ღმრთის მშობლისასა, მეფობასა კონსტანტი მონომახისასა, ანტიოქიას პატრიარქობასა პეტრესსა და ბაგრატის აფხაზთა მეფის ნოველისიმოსისა სამეფოს ყოფასა. ღოცვა ყავთ მიქელ და გიორგისთჳს... ქორნიკონი იყო“ (?) (ქორდნია 2004: 203).*

როგორც წარწერიდან ჩანს, ალავერდის სახარება დაწერილი ყოფილა კალიპოს ღვთისმშობლის ლავრაში მაშინ, როდესაც მეფე ბაგრატი ბიზანტიაში იმყოფებოდა (*სამეფოს ყოფასა*), ხოლო ანტიოქიის პატრიარქი იმ დროს პეტრე III (1052 წლის ივნისი – 1056 წლის აგვისტო) ყოფილა; (Православная II 2001: 529) ბიზანტიის იმპერატორი კი – კონსტანტინე IX მონომახი (12 ივნისი, 1042 – 11 იანვარი, 1055) (Sear 1996: 355). ამგვარად, ბაგრატი დაახლოებით 1052 წლის ივნისს და 1055 წლის იანვარს შორის კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა, რაც ემთხვევა კიდევ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას ბაგრატის 1051-1054 ან 1052-1055 წლებში ბიზანტიაში ცხოვრების შესახებ (ბერძნიშვილი 1978: 46-47; ქორდნია 2004: 198-199; სამუშია 2011: 125-153). მოგვიანებით ალავერდის ოთხთავის გადაწერის ქრონოლოგია უფრო დაზუსტდა. გამოვლინდა მისი გადაწერის ზუსტი თარიღი 1054 წელი, რაც კარგად უდგება კონსტანტინე IX მონომახისა და პეტრე III-ის ერობლივი მოღვაწეობის ხანას. (თვალთვაძე 2009: 132).

ნოველისიმოსის ტიტულს ბაგრატი 1060 წლამდე ინარჩუნებს. ბიზანტიის იმპერატორების, კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.), თეოდორას (1055-1056 წწ.), მიხაელ VI სტავრაციუსის (1056-1057 წწ.) და ისაკ I კომნენოსის (1057-1059 წწ.) მმართველობის დროს ამ ტიტულს ბაგრატი უცვლელად ინარჩუნებს. კონსტანტინე X დუკა იმპერატორი 1059 წლის 25 დეკემბერს გახდა. სწორედ მისი იმპერატორობის პირველ წელს იცვლება ბაგრატის პოლიტიკური სტატუსი, რაც მისთვის ახალი რანგის, სევასტოსის ტიტულის, მინიჭებით გამოიხატა.

ბაგრატ IV-ის ორი საიმპერატორო ტიტულით აღზევება, რომლებიც მანამდე მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორის ოჯახის წევრებს ჰქონდათ, მისი როლისა და მნიშვნელობის მაჩვენებელია ბიზანტიის თანამეგობრობის მასშტაბით. მსგავსი პატივისა და ღირსების მქონე მონარქი ამავე თანამეგობრობაში ქართულ

პოლიტიკურ ელიტას მანამდე არ ჰყოლია. ბაგრატის მსგავსად ნოველისიმოსის ტიტული მიანიჭეს მის უფროს ძეს, გიორგი II-საც.

## გიორგი II

ბაგრატ IV გარდაიცვალა 1072 წლის 24 ნოემბერს. საქართველოს სამეფოს ტახტი მისმა ძემ, გიორგი II ბაგრატიონმა, დაიკავა. მეფობის ერთპიროვნულად მიღების შემდეგ მილოცვის ნიშნად ბიზანტიის იმპერატორი მას ნოველისიმოსის ტიტულს ანიჭებს. გიორგი ნოველისიმოსად ნუმისმატიკურ მასალებში იწოდება. როგორც ევგენი პახომოვი აღნიშნავს, მის მიერ ნოველისიმოსისა და სევასტოსის ტიტულების მიღება არცერთ წყაროში არ იყო მითითებული. თუმცა ის, რომ გიორგი ამ ტიტულებს ატარებდა, დასტურდება მისივე მონეტების აღწერილობის მიხედვით (ПaxoMoB 1970: 61). დადასტურებულია გიორგი II-ის 100-ზე მეტი მონეტა. ქართული წარწერების მიხედვით ეს მონეტები სამ დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის. ამათგან პირველს, განეკუთვნება ჩვენთვის საინტერესო მონეტები ნოველისიმოსის ტიტულის მოხსენიებით. აქვე ვიძლევი ამ ტიპის მონეტების აღწერილობას გიორგი დუნდუასა და თედო დუნდუას ნაშრომის მიხედვით:

*„შუბლი – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლახერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰავია თეოტიკოს, წმინდა ღვთისმშობელი“.*

*ზურგი – შერწყმულ წერტილოვან რკალის შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი – „ქრისტე, ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამსტრიქონად: „და ნოველისიმოსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 193).*

მამის, ბაგრატის, მსგავსად გიორგი II ცხოვრების პერიოდში რამდენიმე ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულის მფლობელი გახდა. პირველი ამ ტიტულებს შორის კურაპალატის საკარისკაცო ტიტული იყო, ხოლო მომდევნო, როგორც აღინიშნა, ნოველისიმოსის მაღალი საიმპერიო ღირსება. სხვა ტიტულებიდან, ბაგრატის მსგავსად, გიორგისაც ჰქონდა მიღებული სევასტოსის ტიტული. კეისრის ტიტულს კი მამა-შვილს შორის მხოლოდ გიორგი ფლობდა.

როგორც უკვე დავინახეთ, ნოველისიმოსის ტიტულის დათმობით მან კომპენსაციის სახით იმთავითვე მიიღო სევასტოსის ტიტული, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ სწრაფად დაეუფლა კიდევ ერთ საიმპერიო პატივს, კეისრის ტიტულს, რომელიც იმ დროს ყველაზე მაღალ საიმპერიო ტიტულად ითვლებოდა ბიზანტიის იმპერიაში. ეს ხდება იქამდე, ვიდრე ალექსი I კომნენოსმა 1081 წელს არ შემოიღო ახალი, სევასტოკრატორის, ტიტული (ამის შესახებ, იხ.: მომდევნო თავი). როგორც ზემოთ დავინახეთ, დაახლოებით ოთხ წელიწადში გიორგიმ სამი უმაღლესი საიმპერიო ტიტული გამოიცვალა, რომლებიც სხვადასხვა დროს თვით იმპერატორის ან მისი ოჯახის წევრების ოფიციალური ტიტულებს შეადგენდნენ. რას შეიძლება დაეუკავშიროთ გიორგი II-ს მიერ ასეთი სწრაფი ცვლა ბიზანტიური საიმპერიო ტიტულებისა? ეს ყველაფერი ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ცვლილებას უკავშირდება, რაც საგარეო და საშინაო ფაქტორებით იყო ნაკარნახევი.

### საგარეო და საშინაო ფაქტორების გავლენა

#### ბიზანტიის აღმოსავლურ პოლიტიკაზე

ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური კურსის ცვლილება მისი გართულებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგი იყო. თურქ-სელჩუკების მომძლავრებამ ბიზანტიის აღმოსავლურ პოლიტიკაში სერიოზული ძვრები გამოიწვია. 1071 წლის 26 აგვისტოს მანისკერტის (მანციკერტი) ბრძოლაში იმპერატორ რომანოზ IV დიოგენეს მარცხმა სულთან ალფ-არსლანთან ბრძოლაში ბიზანტიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა (Treadgold 1997, 603-611; Ostrogorsky 1957: 304-305; ).

მანისკერტის ბრძოლა იყო არა იმდენად სამხედრო კატასტროფა, რამდენადაც დიდი პოლიტიკური კრიზისის დასაწყისი, რისი ნიშნებიც იმპერიაში დიდი ხანია, რაც გამოკვეთილი იყო. (Vryonis 1971: 70-80) კრიზისის გამწვავებას ალფ-არსლანის ჭკვიანურმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. მან ტყვეობიდან გაათავისუფლა დატყვევებული იმპერატორი რომანოზ დიოგენე და ამით იმპერიის შიგნით არეულობის ინსპირირება მოახდინა. სტეპანენკოს სამართლიანი შენიშვნით, მანიცკერტის ბრძოლა ბიზანტიის იმპერიისთვის არ ყოფილა იმდენად დიდი კატასტროფა, რამდენადაც 1071-1072 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომი,

რომელმაც ხელი შეუწყო სხვა კონფლიქტების წარმოშობას (Степаненко 1988: 29) სამოქალაქო ომმა და დაპირისპირებამ ბიზანტიის არისტოკრატის შიგნით შვაახალი კონფლიქტები და გამოწვევები (Angold 1997: 116-117). ამათგან ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იყო როსელ დე ბალიონის გამოსვლა, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა კაბადოკიის პროვინციებს. ამას დაერთო იმპერატორის წინააღმდეგ გამოსვლები, პაჭანიკების თავდასხმები, ბულგარელების აჯანყება, აღმოსავლეთში აღზევებული დიდებულების თვითნებობები, სადაც მთლიანად დაიკარგა ცენტრის კონტროლი (მაგ.: კრეტაში, კვიპროსზე, ხალდიაში, ანტიოქიაში, კილიკიაში და სხვა) (Vryonis 1971: 106-108; Angold 1997: 307-310). ყველაფერ ამას თუ დაუმატებთ თურქ-სელჩუკთა გაუთავებელ თავდასხმებს (Vryonis 1971: 103-113) ნათელი გახდება, რომ იმპერია კრიზისის მწვევე ფაზაში შევიდა. 1071 წლისთვის ბიზანტია ჯერ კიდევ აკონტროლებდა დაახლოებით იმ ტერიტორიას, რომელიც ბასილ II დიდის დროს მემკვიდრეობით ერგო. უფრო მეტიც, ჩრდილო-აღმოსავლეთით მისი საზღვრები გაზდილიც იყო, სამაგიეროდ სამხრეთ-აღმოსავლეთით – შემცირებულია, რაც სურათს მნიშვნელოვნად არ ცვლის. ათი წლის შემდეგ, 1081 წელს, ცენტრალურ ხელისუფლებას იმდენად აქვს დაკარგული კონტროლი მის აღმოსავლურ სამფლობელოებზე, რომ ცენტრის გავლენის მიღმა იყო დარჩენილი თითქმის ყველაფერი, რაც ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდა ათი წლის წინ. თურქები გასულები არიან როგორც ხმელთაშუა, ასევე შავ ზღვაზე და ეგეოსის ზღვაზე. აღექსი კომნენოსის იმპერატორად კურთხევისას ბიზანტიის ხელისუფლება მხოლოდ მარმარილოს ზღვის სანაპირო ზოლს აკონტროლებდა. ის, რაც ძველი ბიზანტიელი დიდებულების მმართველობის ქვეშ დარჩა, ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს მიღმა იყო დარჩენილი, მას დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი ტოპარხები მართავდნენ (Vryonis 1971: 114; ბაგაური 2011: 198-214).

სწორედ საშინაო და საგარეო ფაქტორები ხდება საბაბი იმისა, რომ მეტი ავანსი გაეცათ აღმოსავლეთის მოკავშირე ქვეყნებზე. ამ კუთხით გამორჩეული ადგილი საქართველოს სამეფოს ეკავა, რომელიც ბიზანტიის მთავარ მოკავშირედ განიხილებოდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ფარცხისის ბრძოლაში



(1075 წელი) თურქ-სელჩუკთა არმიის დამარცხებამ ეს აზრი უფრო გაამყარა (მეტრეველი, სამუშაო 2003: 72-82).

გრიგოლ ბაკურიანის ძის საქართველოში ჩამოსვლის დროს, 1076 წელს, ქალაქ ბანაში გრიგოლსა და მეფე გიორგის შორის დაიდო ზავი. ამ ზავის ძალით დავით III-ის სამფლობელოები გიორგი II-ს დაუმტკიცეს, მასვე გადაეცა ბიზანტიის მიერ 1064 წელს შემოერთებული ქალაქი კარი, მთელი ვანანდის სამეფოს ჩათვლით. როგორც სამართლიანად ფიქრობენ, იმავე მოვლენასთან დაკავშირებით გიორგის დაუმტკიცეს კეისრობაც (მეტრეველი, სამუშაო 2003: 83-96; დუნდუა, დუნდუა 2006: 266).

ამ ზავის შემდეგ მოგვარდა ის ტერიტორიული დავაც, რაც საქართველოს და ბიზანტიას შორის თითქმის მთელი XI საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა.

როგორც ვხედავთ, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება იძულებული ხდება მეტი პრივილეგიები უბოძოს საქართველოს მმართველ ელიტას, დაუთმოს სადავო ტერიტორიები და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეულწილად ხელი შეუწყოს მის შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას იმისთვის, რომ აღმოსავლეთში ღირსეული მოკავშირე ჰყავდეს თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა 1080 წელს საქართველოში ე.წ. „დიდი თურქობა“ დაიწყო, რასაც ქვეყანამ ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია. მეფე იძულებული გახდა სამი წლის უსარგებლო ბრძოლის შემდეგ თავი დამარცხებულად ეცნო და ხარკის გადახდა ეკისრა (მეტრეველი, სამუშაო 2003: 97-117).

### **ნიანია ერისთავთ-ერისთავი**

ბიზანტიის იმპერატორთა ოჯახის წევრების კვალდაკვალ საქართველოს სამეფო ოჯახი არ ყოფილა ერთადერთი, რომლის წარმომადგენლებზეც გაიცა ნოველისიმოსის პატივი. ის, როგორც ქვემოთ ვიხილავთ, საქართველოს დიდებულზე იქნა გაცემული. ამ ფაქტთან გარკვეულ კავშირში უნდა იყოს მეფე გიორგის მიერ ნოველისიმოსის ტიტულის დათმობა უფრო მაღალი, სევასტოსის, პატივის სასარგებლოდ. სევასტოსის პატივის მიღება ლოგიკურად 1073-1076 წლებს შორის უნდა განისაზღვროს, მაგრამ ზუსტად როდის?! სწორედ ამ და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში გვეხმარება ნიანია ერისთავთ-ერისთავის

წარწერა, შესრულებული ნიკორწმინდის ტაძრის ჩრდილოეთ მკლავის იატაკის ქვის ფილაზე. ეპიგრაფიკული წარწერა შემდეგი შინაარსისაა:

*„[წმინდა]ო ნ(ი)კ(ოლო)ზ მღვდეთ[მ]თა[ვ]ა[რო], [მ]ეო[ხ] ექმენ [და მფ(არვე)ლ წ(ინაშე) ღ(მრ)თისა ნ(ი)ან(ი)ას, ე(რისთავთა) ე(რისთავ)[სა და ნ]ო(ვე)ე[ლისიმოსს]“*  
(სილოგავა 1980: 101).

როგორც ნიკორწმინდის წარწერიდან ჩანს, ნიანია ნოველისიმოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მფლობელია. აღნიშნული ტიტული კი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში მხოლოდ მეფეებს ეძლეოდათ და ისიც საკმაოდ იშვიათად. ნოველისიმოსებად, როგორც დავინახეთ, იწოდნენ მეფეები, ბაგრატ IV და გიორგი II. ამდენად, ნიანია ერისთავთ ერისთავის მიერ ნოველისიმოსის ტიტულის მიღება რაღაც განსაკუთრებული მოვლენით უნდა ყოფილიყო განპირობებული (ბახტაძე 2003: 227-228, 233).

ვინაიდან ნოველისიმოსის პატივი ჯერ სამპერატორო ტიტული იყო, ხოლო შემდეგ კი მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებზე გაიცემოდა, მისი მნიშვნელობა და სტატუსი ბიზანტიის იმპერიაში საგულისხმო ჩანს. პირველი, ვინც ბიზანტიის თანამეგობრობაში აღნიშნული ტიტული მიიღო და არ წარმოადგენდა იმპერატორის ოჯახის წევრს, იყო ბაგრატ IV საქართველოს მეფე. მან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნოველისიმოსობა დაახლოებით 1048 წელს მიიღო იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახისგან, ხოლო დათმო 1060 წელს შედარებით მაღალი სევასტოსის ტიტულის სასარგებლოდ. ამგვარად, 1048 წელი არის ერთგვარი *terminus post quem* პერიოდი, როდესაც ბიზანტიის საზღვრებს გარეთ პირველად გაჩნდა ეს ტიტული და ისიც საქართველოს მონარქზე. იგი, ბუნებრივია, იმთავითვე რიგით ქართველ ფეოდალზე არ გავრცელდებოდა. უფრო მეტიც, როგორც ზემოთ გავარკვიეთ, 1072 წელს აღნიშნულ პატივს გიორგი II ბაგრატის ძე ეუფლება, რომელიც მანამდე კურაპალატის ხარისხში იყო აყვანილი ვიდრე 1072 წლამდე. ნოველისიმოსის ტიტულის გაცემა რიგით ქართველ ფეოდალზე და ისიც მეფის (ბაგრატ IV ან გიორგი II) პარალელურად ნაკლებად სარწმუნოდ მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე, ნოველისიმოსობა ბიზანტიის იმპერატორს 1072 წლის შემდეგ უნდა გაეცა, ხოლო როგორც ზემოთ მოხმობილი ლაპიდარული წარწერიდან ჩანს, მისი მიმღები კონკრეტული ქართველი ფეოდალი ერისთავთ ერისთავი ნიანია ყოფილა.

ვინ იყო ნიანია ერისთავთ-ერისთავი და რა პოლიტიკური ნიადაგი ჰქონდა მის მიერ ნოველისიმოსობის მიღებას? სწორედ ამ პრობლემის განხილვას დაეთმობა ჩვენი კვლევის მომდევნო მონაკვეთი.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლება მაღალ საკარისკაცო ტიტულებს გასცემდა მხოლოდ წარმატებულ, დაწინაურებულ და დიდგვაროვან პოლიტიკურ მოღვაწეებზე. თუ X საუკუნემდე მათ შორის ბაგრატიონთა გვარის წევრები სჭარბობდნენ, უკვე XI საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიურ საიმპერიო-საკარისკაცო ტიტულების მფლობელებად სხვა წარჩინებული გვარის წარმომადგენელი ქართველი დიდებულებიც გვხვდება. მათ შორის იყვნენ ბაღვაშები, კახეთის სამეფო დინასტიის წევრები, ბიზანტიაში თორნიკოსებად წოდებული ჩორდვანელები და ა.შ. ზემოთ ხსენებულ სიას უნდა დავამატოთ ასევე ქუაბულისძეებიც, ვინაიდან, როგორც ვფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო ნიკორწმინდის ტაძრის წარწერაში მოხსენიებული ნიანია ერისთავთ-ერისთავი „მატიანე ქართლისაჲში“ დაფიქსირებული ნიანია ქუაბულისძე უნდა იყოს. ნიანია ქუაბულისძის მიერ ნოველისიმოსობის მიღებას მყარი პოლიტიკური ნიადაგი უნდა ჰქონოდა.

ჩვენი ვარაუდით, მსგავსი პოლიტიკური ამინდი შეიქმნა 1073 წლის ზაფხულში, როდესაც სამმა ძლიერმა ფეოდალმა, ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაშმა, ვარდან სვანეთის ერისთავმა და ნიანია ქუაბულისძემ, მეფე გიორგი II-ს „აუშალეს ქვეყანაჲ“, ამათგან სწორედ ნიანია ქუაბულისძემ შეძლო და სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი დაიკავა გარკვეული ხნით. ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრთან ერთად, ნიანიას სამეფო ქონებაც ჩაუარდა ხელში (მეტრეველი 2008: 297). ეს იყო სერიოზული პოლიტიკური მოვლენა, უდიდესი წარმატება, რაც ფეოდალებმა მიაღწიეს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამგვარი რამ ბაღვაშებმაც კი ვერ მოახერხეს სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

კონფლიქტის დარეგულირებას მეფის დამთმობმა პოლიტიკამ შეუწყო ხელი. გიორგის ბრძანებით ივანე ბაღვაშმა ლორწობანის ციხე მიიღო, მისმა მოკავშირე კახეთის მეფე აღსართანმა – ქალაქი რუსთავი, ვარდანმა – ასალანას ციხე, ხოლო ნიანია ქუაბულისძემ კი თმოგვის ციხე „და სხვანი საქონელნი რჩეულნი“.

(მეტრეველი 2008: 297) საინტერესოა, რას გულისხმობს მემატინე ამ ბოლო ფრაზაში? ყველაზე საგულისხმო ჩანს, თუ მასში გარკვეულ მატერიალურ სარგებელსა და მამულს ვიგულისხმებთ, რისი გაცემაც მეფის პრეროგატივა იყო. ისტორიკოსი არ აკონკრეტებს, თუ რა მიწებზე და ქონებაზეა აქ საუბარი, მაგრამ ის, რომ აჯანყებულების მეთაურთაგან „საქონელნი რჩეულნი“ სწორედ ნიანიამ მიიღო, ამის ხაზგასმა მას არ დავიწყებია. ნიანია ქუაბულისძე სხვა გადამდგარი ფეოდალებისგან გარკვეული ნიშნით გამოარჩიეს და მეტი პატივი უბოძეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ქუთაისის დაკავება უნდა ყოფილიყო, ხოლო სხვა მიზეზი მომავალში მისი ლოიალობის უზრუნველყოფა და მოკავშირე ფეოდალთა შორის განხეთქილების ჩამოგდება. მართლაც, მოგვიანებით აჯანყებულთა ერთ-ერთი მოთავე და ალბათ მთავარი ინიციატორი – ივანე ბაღვაში კვლავ განდგა, ამჯერად ძველი მოკავშირეების გარეშე. ივანე ადვილად დაამარცხეს, მეფის პოლიტიკამ ტრიუმფი განიცადა (მეტრეველი 2008: 297).

ბიზანტიის როლი 1073 წლის ზაფხულის შიდაკონფლიქტში არატრადიციული მიდგომით უნდა ყოფილიყო გამორჩეული. თუ ადრე ბიზანტიის ხელისუფლება ყველანაირად უმაგრებდა ზურგს საქართველოს მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალებს, ამჯერად მას კონფლიქტის დარეგულირებისთვის უნდა შეეწყო ხელი. ამას, ერთი მხრივ, ბიზანტიის დედოფლის როლი განაპირობებდა. მართა ბაგრატიონი გიორგი II-ის დეიძლი და გახლდათ, რომელიც, როგორც ისტორიოგრაფიაშია შენიშნული, მძლავრად ლობირებდა საქართველოს სამეფო კარს კონსტანტინოპოლში (ნოდია 1978). ამასთან, ბიზანტიის ხელისუფლება, რომელიც მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა თურქ-სელჩუკებთან, არ იყო დაინტერესებული მისი პოტენციური მოკავშირის, საქართველოს სამეფოს, დასუსტებით. ამდენად, ვფიქრობთ, რომ გიორგი მეფესა და ამბოხებული ფეოდალებს შორის დაზავების შედეგად ბიზანტიის იმპერატორმა აჯანყების ერთ-ერთ მოთავეს და ლიდერს, ნიანია ქუაბულისძეს ნოველისიმოსის ტიტული უბოძა. „მატიანე ქართლისაჲს“ ანონიმის ცნობა, ნიანიას მიერ „და სხვანი საქონელნი რჩეულნი“ მიღების შესახებ შეიძლება ამ კუთხითაც გავიგოთ. შესაძლოა, ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლების ან სულაც გიორგი მეფის ინიციატივით კონფლიქტის დარეგულირების მიზნით იმპერატორმა ნიანია ქუაბულისძეს,

ნოველისიმოსობა გადასცა, ხოლო მეფე გიორგის, რომელიც იმ დროისთვის ფლობდა ზემოსხენებულ პატივს, უფრო მაღალი, სევასტოსის ტიტული მიანიჭეს.

ამდენად, ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მეფე გიორგიმ სევასტოსობა 1073 წელს მიიღო. იმავე წელს ნოველისიმოსი გახდა ამ დროისთვის ფრიად აღზევებული ფეოდალი – ნიანია ქვაბულისძე. გიორგის მიერ კეისრის ტიტულის მიღებას თუ 1076 წლით განვსაზღვრავთ, გამოდის, რომ გიორგი II-ს სევასტოსის ტიტული 1073-1076 წლებში უტარებია.

### **ნოველისიმოსის პრივილეგიების, ფინანსური მხარის, ფუნქციის და რაობის შესახებ**

ნოველისიმოსის ტიტული IV-XI საუკუნეების ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტიტული იყო. მისი მფლობელები კონსტანტინე დიდის დროს გასაკუთრებულ პრივილეგიებს ეუფლებიან და იმპერატორთან ერთად იმპერიის მართვაში იღებენ მონაწილეობას. ნოველისიმატი, რომელშიც ამ ტიტულის მფლობელები ერთიანდებოდნენ იმპერიის მმართველობაში თანამონაწილედ გვევლინება. თუმცა განსხვავებით იმპერატორ დიოკლეტიანეს რეფორმებისგან ნოველისიმატის წევრებს არ მიეცათ უფლება, გამხდარიყვნენ ავგუსტუსები (სევასტოსი) და კეისრები (კესარი), არამედ სჯერდებოდნენ იმპერატორის ქვეშევდომობას.

დიოკლეტიანეს ტეტრარხია სხვა მხრივაც განსხვავდებოდა ნოველისიმატის სისტემისგან თუ ტეტრარხიის პირობებში იმპერია ორ ნაწილად იყო გაყოფილი (ხოლო თითოეული მათგანი, ასევე ორად იყოფოდა), ნოველისიმატის პირობებში იმპერატორის ძალაუფლება მთელს იმპერიაზე ვრცელდებოდა. ნოველისიმოსებს პირობითად ჰქონდათ ჩაბარებული გარკვეული სამფლობელოები, თუმცა რეალურად ისინი კონსტანტინოპოლში (ახალი რომი) იმყოფებოდნენ და იმპერატორს ეხმარებოდნენ ქვეყნის მართვაში. ერთ-ერთი მათგანი, კონსტანტინეს სიძე, და ამასთან ძმიშვილი – ფლავიუს ჰანიბალიანუსი „მეფეთ მეფედ და პონტოს ხალხის“ მმართველად იქნა დადგენილი (Dundua 2007: 1-8), ფიქრობენ, რომ კონსტანტინე დიდი მას სპარსეთის ტახტზე უპირებდა დასმას. ჰანიბალიანუსის სახელით მოიჭრა

მონეტებიც. პონტოსთან ერთად მას რომაელთა მფლობელობაში მყოფი ლაზიკის ტერიტორიის მმართველობაც ევალებოდა (Dundua 2007).

ამდენად, ნოველისიმოსის ფუნქცია თავიდანვე საკმაოდ მაღალი იყო და იმპერატორის თანაშემწეობას გულისხმობდა სახელმწიფო საქმეებში. მას პრეტორიანელთა პრეფექტზეც მეტი უფლება ჰქონდა (Ridley 1982: II, 39, 2). კონსტანტინე დიდის მიერ დამკვიდრებული ტრადიცია შენარჩუნდა და მოგვიანებით მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრები იწოდებოდნენ ნოველისიმოსებად. ისინი შეიძლება ყოფილიყვნენ იმპერატორის ძმები, შვილები, ბიძაშვილები ან იმპერატორის ტახტის მემკვიდრეები. მათ ყველას იმპერიის მმართველობაში მონაწილეობა ევალებოდათ. ასე გრძელდებოდა XI საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც იმპერატორ მიხაელ V კალაფატის ბიძა, კონსტანტინე, გახდა ერთ-ერთი უკანასკნელი, სერიოზული გავლენის მქონე ნოველისიმოსი ბიზანტიის იმპერიაში. კონსტანტინეს დაღუპვის შემდეგ (1042 წელი) ნოველისიმოსის ტიტული მიიღო საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ, ეს მოვლენა დაახლოებით 1048 წელს მოხდა. ეს არის, პირველი შემთხვევა, როდესაც ნოველისიმოსობა იმპერატორის ოჯახის გარეთ გადაეცა არარომაელს, და ამასთან უცხო ქვეყნის მმართველს. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის მესვეურები გასცემდნენ ნოველისიმოსის ტიტულზე შედარებით მაღალ, კეისრის ტიტულს, უცხო ქვეყნის მმართველებზე (მაგალითად, ბულგარეთის მეფეებზე) საქართველოს შემთხვევაში, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საიმპერატორო ოჯახის კუთვნილი ტიტული საქართველოს მეფეს გადაეცა. ბუნებრივია, ბაგრატის ნოველისიმოსობა არ გულისხმობდა მის იმპერატორის სტატუსში ამადლებას, არც მასთან გათანაბრებას. ეს ფაქტი, ერთი მხრივ, დიდი დაფასების, ხოლო სხვა მხრივ კი, ბიზანტიის იმპერიაში ყველაზე საპატიო პოზიციის დაკავების მანიშნებელია.

კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) დროს ბაგრატ IV-ის გარდა, ნოველისიმოსის რანგის საპატიო საიმპერიო ტიტული მთელს ბიზანტიის თანამეგობრობაში არავის ეკავა, მხოლოდ, იმპერატორ მიხაელ VI ვრინგას (1056-1057 წწ.) დროს შესთავაზეს, მომავალ იმპერატორს, ისაკ კომნენოსს დაეკავებინა კეისრობა. თუმცა, მალე ისაკი კომნენოსი თავად გახდა ბიზანტიის იმპერატორი.

ნოველისიმოსის ტიტული დაემცრო, როგორც ჩანს მას მერე, რაც ბაგრატ IV-მ ახალი, სევასტოსის ტიტული მიიღო, უკვე მომდევნო იმპერატორის კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) დროს, 1060 წელს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სწორედ კონსტანტინე X დუკას პერიოდიდან იწყება მისი გაცემა ბიზანტიელ არისტოკრატებზე.

ნოველისიმოსის ტიტულის მქონე არისტოკრატების რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ ამავე ტიტულზე დაყრდნობით შეიქმნა ახალი – პროტონოველისიმოსის – ტიტული, რაც ნოველისიმოსთა შორის უპირველესს ნიშნავს.

ამდენად, ნოველისიმოსების მომრავლებასთან ერთად ჩნდება მათ შორის რანგით მაღალი ტიტული, რომელიც იმავე ტიტულის ბაზაზე იქმნება. თავდაპირველად პროტონოველისიმოსის ტიტულის მქონე პიროვნება ერთი უნდა ყოფილიყო. ბუნებრივია, მისი პოზიცია ბიზანტიის იმპერიაში საკმაოდ მაღალი გახლდათ. მიუხედავად, ნოველისიმოსთა შორის გარკვეული იერარქიის შემოდებისა, ეს ტიტული რჩებოდა უმაღლესი რანგის საიმპერიო ტიტულად ბიზანტიის იმპერიაში.

### **ტატულ ბაკურიანი და ასპიეტ ბაკურიანი**

პროტონოველისიმოსის ტიტული ბიზანტიის იმპერიაში XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება. კიდევ უფრო ვიწრო ქრონოლოგიური თარიღი 1060 წლის მომდევნო ხანებია, როდესაც იმპერიის ტახტზე კონსტანტინე X დუკა დამკვიდრდა (1059 წლის დეკემბერი) და საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ ნოველისიმოსზე უფრო უპირატესი – სევასტოსის – ტიტული მიიღო.

ამრიგად, ნოველისიმოსობა უფრო ფართოდ გაიცემოდა. იმ პირებს შორის, რომლებმაც ამ ეპოქაში ნოველისიმოსის ტიტული მიიღეს იყვნენ კომნენოსთა არისტოკრატული ოჯახის წევრები, კერძოდ, ძმები ისაკ და ალექსი კომნენოსები. ამათაგან უმცროსმა ძმამ, ალექსი კომნენოსმა (მომავალი ბიზანტიის იმპერატორი) ეს ტიტული 1078 წელს ნიკიფორე ვრიენოსის აჯანყების ჩახშობის შემდეგ მიიღო, ხოლო იმავე წელს ბასილაკესის აჯანყების ჩახშობის შემდეგ – სევასტოსის ტიტული.

ნოველისიმოსის ტიტული 1074 წელს გადაეცა რობერტ გისკარდს, ნორმანდიელ მთავარს, რომელიც აპულიისა და კალაბრიის ჰერცოგი იყო და დამოუკიდებლად მმართველობდა სამხრეთ იტალიაში (ODB 3 1991: 1490). მსგავსი პრეცედენტები XI საუკუნის მიწურულს საკმაოდ მომრავლდა. ალექსი კომნენოსის მიერ განხორციელებულმა საიმპერიო ტიტულატურის რეფორმამ კი უკვე ახალი ტიტულები გააჩინა. მათ შორის უნდა ყოფილიყო პროტონოველისიმოსის, ანუ ნოველისიმოსთა შორის უპირველესის.

არისტოკრატთა შორის ერთ-ერთი პირველი, ვინც აღნიშნული ტიტულით ფიქსირდება, არის ბაკურიანთა გვარის ცნობილი წარმომადგენელი ტატულ ბაკურიანი, გრიგოლ ბაკურიანის ძის ნათესავი. ცნობილია მისი ბეჭედი, რომელზეც ის პროტონოველისიმოსად და არხონტთა არხონად იწოდება (Степаненко, Шандровская 2005: 178). ეს უკანასკნელი, რაც ქართული ერისთავთ-ერისთავისა და სომხური იშხანთ-იშხანის ბიზანტიური შესატყვისია.

ტატულ ბაკურიანისა და გრიგოლ ბაკურიანის ძის გარდა, სხვადასხვა წყაროებით ცნობილია XI-XII საუკუნეებში მოღვაწე სხვა ბაკურიანებიც, მათ შორის: გრიგოლ ბაკურიანის ძის ძმა, აბას მაგისტროსი ბაკურიანის ძე, პროედროსი მუსელ (მუშელ) ბაკურიანი, კურაპალატი ასპიეტ ბაკურიანი, რომელიც მოგვიანებით იღებს პროტონოველისიმოსის ტიტულს.

ტატულ ბაკურიანი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე ცნობილი პოლიტიკური ფიგურა იყო. ის იხსენიება როგორც ანა კომნენასთან, რომელიც მას გამორჩეულ სომეხ სარდლად მოიხსენიებს, ანუ ზუსტად იმავე ეთნიკური ნომენით, რომლითაც გრიგოლ ბაკურიანის ძეს (Dawes 1928: II, 4, 51). ის, რომ ეს მოსაზრება მცდარია, სავსებით მართებულად არის გარკვეული (თუმცა დასავლეთისა და რუსეთის ბიზანტინოლოგთა გარკვეულ წრეებში დღემდე მყარად ითვლებიან ბაკურიანები სომხურ ან სომხურ-ქალკედონური წარმომავლობისა და ეთნიკურობის მქონე ისტორიულ პირებად).

ასპიეტი, ანა კომნენას „ალექსიადაში“, ასევე სომხური წარმოშობის დიდებულად იწოდება (Dawes 1928: XII, 2, გვ. 302-303). უკვე რიგ საბეჭდავებზე იწოდება, როგორც კურაპალატი, ასევე პროტონოველისიმოსი. (Степаненко, Шандровская 2005: 173-174). იმავე ბეჭდებზე მითითებულია მისი გვარი – ბაკურიანი,



რაც პირდაპირ მიუთითებს მის ქართველურ წარმოშობასა და გრიგოლ ბაკურიანის ძესთან ნათესაურ კავშირზე. ასპეტი დაწინაურებული იყო იმპერატორ ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) კარზე. მსგავსად ასპეტისა პროტონოველისიმოსად იწოდება ტატულ ბაკურიანიც. სფრაგისტიკის ნიმუშების მიხედვით ის პროტონოველისიმოსი და არხნტოა არხონია. პროტონოველისიმოსის ტიტული, მას ისევე როგორც ასპეტს, ალექსის რეფორმების შემდეგ უნდა მიეღო, როგორც სტეპანენკო და შანდროვსკაია აღნიშნავენ, XI ს. 80-იანი წლების ბოლოსკენ (Степаненко, Шандровская 2005: 174). თუმცა როგორც ჩვენ სევასტოსის ტიტულის შესახებ ქვემოთ საუბრისას დავინახავთ რეფორმა ალექსიმ მმართველობის დასაწყისშივე გაატარა. ამდენად, ეს პროტონოველისიმოსის ტიტულის გაჩენაც 1081 წლიდან არის სავარაუდებელი და არა შედარებით გვიანი პერიოდიდან.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტატულ და ასპიეტ ბაკურიანების მოღვაწეობის პერიოდი ემთხვევა ერთმანეთს და თავსდება XI-XII საუკუნეების მიჯნაზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ბაკურიანის ძეთა მესამე თაობის წარმომადგენლები უნდა იყვნენ, ამ შემთხვევაში პირველი თაობა თავად ბაკურიანი და მისი თანამოსაკეებია, ხოლო მეორე თაობა ბაკურიანის შვილები: გრიგოლი და აბაზ ბაკურიანები.

ტატულ ბაკურიანის ახლო ნათესაურ კავშირს გრიგილ და აბაზ ბაკურიანებთან ისიც უჩვენებს, რომ მისი ერთ-ერთი ბეჭედი სწორედ პეტრიწონის (ბაჩკოვო) მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა (Степаненко, Шандровская 2005: 179). ეს კი პირდაპირი საბუთია იმის სამტკიცებლად, რომ ტატული ერთ-ერთი ძმის ვაჟი გახდათ. როგორც წყაროებიდან ჩანს, ტატულ ბაკურიანი ბიზანტიის იმპერატორის მიერ იყო დანიშნული მარაშის მმართველად, სავარაუდოდ, როგორც თემის დუქსი ან სტრატეგოსი. მარაშის მეთაურობა ტატულის ხელშია მხოლოდ მცირე პერიოდის განმავლობაში 1099-1104 წლებში. მოგვიანებით ის იძულებული ხდება ქალაქი დაუთმოს უოსელინს, ედესის მომავალ გრაფსა და ჯვაროსანთა გამომჩენილ წინამძღოლს.

ტატულის საიმპერიო ტიტულებს რაც შეეხება, პეტრიწონის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბეჭედზე ის ნოველისიმოსად არის მოხსენიებული. თუმცა რატომღაც წარწერაში გამომცემლები ტიტულს აღადგენენ, როგორც „პროტონოველისიმოსს“

(Jordanov... 2005: 118-119; Степаненко, Шандровская 2005: 179), რასაც თვით წარწერის წაკითხვა არ ეთანხმება. სხვა საქმეა რომ იგივე ტატული იწოდება პროტონოველისიმოსად უკვე სხვა ბეჭდებზე, რომელიც ზაკოსის კოლექციაში იყო დაცული, ხოლო მას მერე, რაც ისინი ლონდონის აუქციონზე გაყიდეს მათ სხვა მფლობელი გამოუჩნდა. ერთ-ერთ ასეთ ბეჭედზე, უკვე გარკვევით წერია მისი ტიტული – პროტონოველისიმოსი.

ამგვარად, ტატულმა ჯერ ნოველისიმოსის ტიტული მიიღო, ხოლო მოგვიანებით კი პროტონოველისიმოსის და ერთ-ერთი პირველი გახდა, ვინც მას ატარებდა ბიზანტიის იმპერიაში. სტეპანენკოსა და შანდროვსკაიას აზრით, ტატულ ბაკურიანმა ნოველისიმოსის ტიტული მიიღო 1104 წლის შემდეგ, როდესაც დაბრუნდა მცირე აზიიდან კონსტანტინოპოლში. მათი აზრით, სწორედ ამის შემდეგ იღებს მონაწილეობას მათივე გვარის მიერ დაარსებულ პეტრიწონის მონასტრის მმართველობაში.

ჩვენის მხრივ უნდა დავძინოთ, რომ წყაროებში არ ჩანს, თუ როდის იწყებს ტატულ ბაკურიანი პეტრიწონის მონასტერზე ზრუნვას – მცირე აზიაში სამსახურის დროს თუ იქიდან წამოსვლის შემდეგ. ვფიქრობთ, რომ მისი გვარისა და წარმოშობის გათვალისწინებით ის არც არასოდეს მოწყვეტილა პეტრიწონს და მის შემოგარენში მდებარე ბაკურიანის ძეგლის კუთვნილ მამულებს.

ამდენად, სტეპანენკოსა და შანდროვსკაიას აღნიშნული მოსაზრება, მხოლოდ ჰიპოთეზაა და ამასთან ნაკლებად გასაზიარებელი. ზუსტად ისევე, როგორც ამავე ავტორების მიერ გამოთქმული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ბაკურიანებს XII საუკუნისთვის თითქოს ჯერ არ ჰქონდათ დავიწყებული მათი სომხური წარმომავლობა (Степаненко, Шандровская 2005: 189).<sup>6</sup> აქ რუსი ავტორები გულისხმობენ არშაკიდობას, სპარსული წარმოშობის გვარს, რომლის წევრებიც გამეფდნენ სომხეთში და იწოდნენ არშაკუნიანებად. ანა კომენოსი ერთ-ერთ ბაკურიანს, კერძოდ, ასპიეტს პირდაპირ ასახელებს არშაკიდთა ჩამომავლად, ანა წერს:

---

<sup>6</sup>რუსი ავტორები შენიშნავენ: “вероятные претензии Пакурианов на происхождение от Аршакидов свидетельствуют об еще не забытом армянском происхождении рода” (Степаненко, Шандровская 2005: 189).

„მისი ბრწყინვალე წარმოშობა და მისი სახელის დიდება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ასპიეტს (ბაკურიანს, ბეჭდების მიხედვით – ლ. თ.) მიეღო ეს თანამდებობა. რამეთუ მას ეკავა ყველაზე მაღალი თანამდებობა არშაკიდთა შორის და იყო იგი შობილი სამეფო სისხლით. და ამ მიზეზის გამო დანიშნა ის მამახიმმა (ალექსი I კომნენოსი – ლ. თ.) ყოველი აღმოსავლეთის სტრატოპედარხად და მიუბოძა მას ძალიან მაღალი პატივები (საუბარია საიმპერიო ტიტულებზე დაკონკრეტების გარეშე – ლ. თ.), განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაამტკიცა თავისი სიმამაცე“. (Dawes 1928: XII, 2, გვ. 304).

აღნიშნულ წყაროში ჩანს, რომ ანა კომნენოსის ინფორმაცია ასპიეტ ბაკურიანის არშაკიდობის შესახებ გვარში არსებულ ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს, რომელსაც ასპიეტის სახლიშილები ამაყად უსვამენ ხაზს. ბაკურიანების მიერ არშაკიდობის წინა პლანზე წამოწევა კი სხვა არაფერია, თუ არა ერთი კონკრეტული გვარის მიერ საკუთარი წარმოშობის განდიდება. მსგავსი მაგალითები ფეოდალური ქვეყნების წარჩინებული გვარიშილების საყოველთაოდ გავრცელებული პრაქტიკა იყო, რითიც ისინი საკუთარი მფლობელობის და პოზიციის ლეგიტიმაციას ახდენდნენ. ბაკურიანების არშაკიდობა შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ან რომელიმე სომხური არშაკიდული წარმოშობის გვართან ნათესაური ურთიერთობით, ანდა კიდევ უბრალო გადმოცემით, რომელსაც არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

როგორც არ უნდა იყოს, ასპიეტიცა და მისი გვარის წევრებიც არშაკიდობას იჩემებდნენ არა მათი სომხური წარმომავლობის აღსანიშნავად, როგორც ამას არასწორად მიუთითებენ რუსი ავტორები, არამედ მათივე გვარის სპარსეთის სამეფო დინასტიასთან დასაკავშირებლად. ისტორიული თვალსაზრისით, ირანის პოლიტიკური შესაძლებლობები და პრეტენზიები გაცილებით ფართო იყო, ვიდრე რომელიმე კავკასიური სამეფო-სამთავროს მისწრაფებები. ამდენად, ირანული, არშაკიდული წარმოშობა ბაკურიანებს მათივე გამორჩევა მიზნით სჭირდებოდათ.

ბაკურიანთა გვარის წევრებისთვის არშაკიდობა მათი ერთგვარი სავიზიტო ბარათია, როგორც სამეფოს წარმომავლობაზე პრეტენზიის მქონე გვარისა რათა საკუთარი ადგილი დაემკვიდრებინა ბიზანტიის არისტოკრატიაში, ხოლო მათი ეთნიკური კუთვნილება მათივე მოღვაწეობიდან და იდენტიფიკაციიდან

გამომდინარე აშკარად ქართულია. თვით სომეხი მემატიანე, მათე ურჰაეცი გრიგოლს ბაკურიანის ძეს ქართველ მთავრად მოიხსენიებს (Matthew of Edessa 1993: 103). ეს სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მისი ქართული წარმოშობის სინამდვილე ვამტკიცოთ, რომ არაფერი ვთქვათ გრიგოლის თვითიდენტიფიკაციაზე. სწორედ ამ გვარის წევრებია ასპიეტ ბაკურიანი და ტატულ ბაკურიანი.

ასპიეტი, როგორც ანა კომნენა აღნიშნავს, იმპერატორისგან მაღალი თანამდებობებით და ტიტულებით ყოფილა განებივრებული, რაც ყოველი აღმოსავლეთის სტრატოპედარხის თანამდებობის მინიჭებით გამოხატა. მაღალ საიმპერიო პატივებში, რომელშიც ასპიეტი აღზევდა, კურაპალატობა და პროტონოველისიმოსობა უნდა იგულისხმებოდეს.

ტატულ ბაკურიანი, თუ სფრაგისტიკის ნიმუშებს გავადევნებთ თვალს, ჯერ ნოველისიმოსია და მხოლოდ შემდეგ პროტონოველისიმოსი. ხოლო მისივე ბეჭდებზე ამ უკანასკნელი ტიტულის აღდგენის მცდელობა, ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს მართებული. მას შეეძლო ჯერ ერთი, ხოლო შემდეგ კი მეორე ტიტული მიეღო, მისივე დამსახურებისა და მაღალი წარმომავლობის შესაბამისად.

ამრიგად, საქართველოში მოღვაწე მაღალი რანგის პოლიტიკური პირების გარდა, სახეზეა კიდევ ორი ამჯერად საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი დიდებული, რომელებიც ასევე ატარებდნენ პროტონოველისიმოსისა და ნოველისიმოსის მაღალ ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულებს. ბიზანტიური ტიტულების მიღების ინტენსივობისა და ხარისხის მიხედვით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაკურიანთა გვარი ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული არისტოკრატიული გვარი იყო XI-XII საუკუნეების აღმოსავლეთ რომის იმპერიაში.

## თავი IV

### სევასტოსის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

ბიზანტიაში ერთ-ერთი საიმპერატორო ტიტული სევასტოსი (Σεβαστός) იყო. სევასტოსი წარმოადგენდა ლათინური ავგუსტუსის ბერძნულ შესატყვისს. აღნიშნული ტიტული, მოგვიანებით საკარისკაცო ტიტული გადაიქცა, შესაბამისად მისი პოლიტიკური წონა დაეცა. აღნიშნულ სტატიაში ჩვენ სწორედ ტიტულ სევასტოსის დამკვიდრების, ფუნქციისა და ქრონოლოგიის საკითხებს შევეხებით შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში.<sup>7</sup>

სევასტოსი ავგუსტუსის ბერძნული შესატყვისი გახლდათ. ბერძნულად ის გაბრწყინებულს, აღზევებულს ნიშნავს და I-II სს. ბერძნულენოვან ტექსტებში ლათინურ ტერმინ ავგუსტუსს აღნიშნავდა (ODB 3 1991: 1862).

### სევასტე

ქალი, რომელიც აღნიშნული პატივით სარგებლობდა, სევასტედ (Σεβαστή) იწოდებოდა. მათ შორის იყვნენ იმპერატორის მეუღლეები და ისინიც, ვინც იმპერატორის ოფიციალური ცოლები არ იყვნენ, მაგრამ პატივით თითქმის გათანაბრებულები იყვნენ დედოფალთან. ასეთი ქალი ითვლებოდა მონარქის *de facto*

<sup>7</sup> აღნიშნული პრობლემის დამუშავება სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩვენ ჯერ კიდევ 2005 წელს თსუ-ს პროფ. თედო დუნდუამ შემოგვთავაზა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი, სევასტოსის ტიტულის ფუნქციური რაობის შესახებ შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. თ. დუნდუამ ეს პრობლემა წამოჭრა 1999 წელს, ათენში მიმდინარე კონფერენციაზე – „ხმელთაშუაზღვისპირეთი და კავკასია“, ამჟამად უკვე განსვენებულ მკვლევართან ნიკოლას ოიკონომიდისთან. გამოითქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ ტიტული სევასტოსი საქართველოში დამკვიდრების დროს (1060 წელს) მეფე ბაგრატ IV-ს შეიძლებოდა მიეღო არა როგორც საკარისკაცო ტიტული, არამედ როგორც საპატიო საიმპერატორო ტიტული. ნიკოლას ოიკონომიდისის შრომებიდან ბიზანტიური ტიტულატურის შესახებ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ნაშრომები: N. Oikonomides. Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle. Paris, 1972; მისივე. L'évolution de l'organisation administrative de l'empire byzantin au XI<sup>e</sup> siècle (1025-1118). Travaux et Mémoires. 6. 1976, გვ. 125-152; იხ. ასევე ელისავეტ ზახარიადუს რედაქციით გამოსული მისი სტატიების რამდენიმე კრებული, მათ შორის: N. Oikonomides. Social and Economic Life in Byzantium. Ed. by E. Zachariadou. Aldershot. 2004; N. Oikonomides. Society, Culture and Politics in Byzantium. Ed. by E. Zachariadou. Aldershot. 2005. ქართული მასალებიდან XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულატურის შესახებ ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი შრომები: ჯ. სტეფანაძე. XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. ძსკი. თბ. 1976, გვ. 156-165; დ. მუსხელიშვილი. დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა. დავით აღმაშენებელი – სტატიების კრებული. თბ. 1990, გვ. 66-83.

ცოლად და ატარებდა სევასტეს ტიტულს.<sup>8</sup>

პირველი მათ შორის, ვინც ოფიციალურად არ იყო ბიზანტიის დედოფალი, მაგრამ სევასტეს ტიტული მიენიჭა, გახლდათ, იმპერატორ რომანოზ III არგიროსის (1028-1034 წწ.) ყოფილი მეუღლე ელენა (Garland 2002: 137). ელენამ დიდი სამსახური გაუწია თავის მეუღლეს. იგი ქმარს გაეყარა და მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად იმისთვის, რომ მეუღლე გადაერჩინა პატივის აყრისა და დაბრმავებისგან.<sup>9</sup> მადლიერმა რომანოზმა, რომელსაც არასდროს ჰყვარებია ძალით თავსმოსხვეული ახალი მეუღლე – დედოფალი ზოია, ყოფილი კანონიერი ცოლი, ელენა, გარდაცვალებისას დიდი პატივით დაკრძალა და საიმპერატორო – სევასტეს – ღირსებით შეამკო (Sola 1916: 149-153).

სევასტედ იწოდებოდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) საყვარელი მარია სკლერინა,<sup>10</sup> რომელიც იმპერატორის მმართველობის დასაწყისში მისი *de facto* ცოლის ფუნქციას ასრულებდა. დედოფალი ზოიას თანხმობით მარიას ნება დართეს ეცხოვრა დედაქალაქში და იმპერატორის კარზე დიდი პრივილეგიით ესარგებლა (Treadgold 1997: 591-592).<sup>11</sup> მარია სკლერინა 1044 (ან 1045) წელს გარდაიცვალა (Angold 1997: 68; Oikonomides 1980/1: 240). ის იყო მეორე მათ შორის, ვინც აღნიშნული ტიტული მიიღო მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ბიზანტიის დედოფლად არ იწოდებოდა.

მესამე ქალბატონი, ვინც ასევე იწოდებოდა სევასტედ ოფიციალურ მიღებებსა და ცერემონიებზე, გახლდათ კონსტანტინე მონომახის რიგით მეორე ოფიციალური საყვარელი, რომელსაც მიხაელ ფსელოსი ახალგაზრდა ალან გოგონად მოიხსენიებს. ქალწული იმპერატორის კარზე მძევლად იყო მოყვანილი ალანიიდან. მიხაელ ფსელოსი წერს:

---

<sup>8</sup> აღნიშნული ტიტულის შესახებ იხილეთ შემდეგი ნაშრომები: N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod. DOP. Vol. 34/35. 1980/1981, გვ. 239-241; L. Stiernon. Notes de titulature et de prosopographie byzantines: sébaste et gambros. REB 23. 1965, გვ. 222-242.

<sup>9</sup> ეს იყო მომაკვდავი იმპერატორის, კონსტანტინე VIII-ს, ბრძანება გაეყოლა მეუღლეს და ცოლად მისი ქალიშვილი მოეყვანა. მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა რომანოზი უზრუნველყოფილი იმპერატორის ტიტულით. სხვა შემთხვევაში რომანოზს მძიმე სასჯელი ელოდა.

<sup>10</sup> ODB. Vol. 3, გვ. 1862; ნიკოლას ოიკონომიდისის მსჯელობით, ეს ტიტული საგანგებოდ შეიქმნა კონსტანტინე IX მონომახის მიერ 1042 წლის ახლო ხანებში მისი საყვარლისთვის – მარია სკლერინასთვის, რაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, არ არის მართებული. იხ.: N. Oikonomides. St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod, გვ. 240.

<sup>11</sup> W. Treadgold. A History of the Byzantine State and Society. Stanford University Press. 1997, გვ. 591-592.

„გოგონა იყო ქალიშვილი იქაური (ალანის – ლ.თ.) ხელმწიფისა (βασιλεύσωντος). ის არ იყო განსაკუთრებული სილამაზით გამორჩეული და ცოტა მოხონელი ეძიებდა მის ხელს ქორწილისათვის. მხოლოდ ორი ატრიბუტი გააჩნდა, რაც აძლევდა მას განსაკუთრებულ შარმს – მისი კანის სითეთრე და მისი ძალიან მშვენიერი თვალების ბრწყინვალება. თუმცა მას მერე, რაც იმპერატორი ერთხელ მოექცა მისი გავლენის ქვეშ, მიაგლო ყველა დანარჩენი მისი საყვარლები. ის ცხოვრობდა მხოლოდ ამ გოგოსთან და მას უძღვნიდა მის უმძაფრეს ლტოლვას“ (Sewter 1953: VI 151).

მიხაელ ფსელოსი აქვე დასძენს, რომ ალანთა სამეფო არ იყო რაიმეთი გამორჩეული. მას არ გააჩნდა რაიმე სახის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე, სამაგიეროდ, რეგულარულად აგზავნიდა მძევლებს და ამით გამოხატავდა ლოიალობას ბიზანტიის იმპერიისადმი. ფსელოსი ამით ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს არ ჰქონია რაიმე პოლიტიკური დაინტერესება იმ ინტიმური ურთიერთობიდან, რომელიც მას აკავშირებდა ალან პრინცესასთან. ამის შემდეგ ის წერს, რომ გოგო იყო ქალიშვილი იქაური ხელმწიფისა (Sewter 1953: VI 151).

იმპერატორისა და ალანი ქალწულის ურთიერთობაზე ბევრი არაფერია ცნობილი, მათი ურთიერთობა კონსტანტინე IX-ს გარდაცვალებამდე – 1055 წლის იანვრამდე გაგრძელდა (Sewter 1953: VI 155). ურთიერთობის დასაწყისის შესახებ მხოლოდ ის ვიცით, რომ დედოფალ ზოიას სიცოცხლეში კონსტანტინე საიდუმლოდ ინახავდა ამ ინფორმაციას, ხოლო მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (1050 წლის ივნისი) ის ღიად იწყებს საყვარელთან ურთიერთობას და ახლად მოწყობილ საიმპერატორო მოსასვენებელში გადაჰყავს ეს უკანასკნელი, თითქოს ის მართლაც მისი ცოლი ყოფილიყო (Sewter 1953: VI 152). მიხაელ ფსელოსის შენიშვნით, ორი ძირითადი მიზეზი არსებობდა, რამაც რეალურად ხელი შეუშალა იმპერატორს ცოლად მოეყვანა მისი საყვარელი. ერთი ის, რომ ეკლესია არ დართავდა მას უფლებას მეოთხედ მოეყვანა ცოლი, ხოლო სხვა მხრივ ჯერ კიდევ ავგუსტად წოდებული დედოფალი თეოდორა წინააღმდეგი იყო ამგვარი გარიგების (Sewter 1953: VI 152-153).<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, კონსტანტინემ, ფსელოსის განც-

<sup>12</sup> Michael Psellus. Chronographia, VI, 152-153.

ხადებით, ყველა საიმპერიო პარტიით შეამკო თავისი სატროფო, მასვე მიუჩინეს საიმპერიო დაცვა. იმავე ალანი ქალბატონის საპატიოდ, მის სამშობლოში იგზავნებოდა უზარმაზარი ქონება, ოქროულობა და ძვირფასი ნივთები. ყველაფერი ეს, მიხედავად ფსელოსის თქმით, ძალიან ძვირად უჯდებოდა იმპერიას:

*„კონსტანტინემ ნება დართო მას გაეზიარებინა მასთან ერთად მისი (საიმპერატორო - ლ. თ.) ტიტული და უწოდა მას სევასტე (σεβαστή - ლათ. ავგუსტა) პირველად ისტორიაში ალანიის მიწა აღივსო ძვირფასი ნივთებით, რომლებიც მოდიოდა ჩვენი რომიდან (იგულისხმება ბიზანტია - ლ. თ.) ეს მამწუხრებდა მე, რადგან ვხედავდი ყველა ჩვენს სიმდიდრეს, რომელიც ამგვარად იქნა განიავებული და მე საშინელი ტკივილით ვარ შეპყრობილი დღეს ამაზე ფიქრით, რამეთუ არავინ აღიღებს რომაელებს ან უყვარს მისი ქვეყანა იმაზე მეტად, ვიდრე მე. მე ჯერ კიდევ მრცხვენია ჩემი ბატონისა და იმპერატორის გამო. გოგოს მამისგან ალანიიდან წელიწადში ორჯერ და სამჯერ იგზავნებოდა ელჩობა ამ ავგუსტა (სევასტე - ლ. თ.) გოგოსთან და კონსტანტინე წარადგენდა მას მათთვის (როგორც გამოფენას სცენაზე), გამოაცხადებდა, რომ ის იყო მისი მეუღლე და იმპერატრიცა (დელოფალი - ლ. თ.) და, ფაქტობრივად, მას ყველა ამ პარტიით მოიხსენიებდა. ის თავადაც გადასცემდა მათ (ელჩებს - ლ. თ.) გარკვეულ საჩუქრებს და მის მშვენიერ „ცოლს“ აძლევდა იმის უფლებას, გადაეცა მათთვის - ძღვენი“ (Sewter 1953: VI 153-154).*

კონსტანტინე IX მონომახის საყვარლის შესახებ არსებული ინფორმაცია ჩვენთვის ორი ძირითადი მიმართულებით არის საინტერესო:

1) გვიჩვენებს სევასტეს ტიტულის რაობას, მის გარდაქმნასა და ფუნქციის ცვალებადობას ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2) აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება კავკასიას და ქართულ პოლიტიკურ რეალობას. ამასთან, არსებობს სერიოზული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ალანიაში უნდა იგულისხმებოდეს, არა უშუალოდ ალან-ოსეთის სამეფო, არამედ საქართველო (Garland 2002: 165; Garland, Rapp 2006: 98; Toumanoff 1990: 135).<sup>13</sup>

<sup>13</sup> ლ. გარლანდისა და კ. თუმანოვის მსგავსი აზრი სხვა ისტორიკოსებსაც გააჩნიათ. ასეთი ეჭვის საბაბი ბიზანტიური წყაროების ბუნდოვანი ინფორმაციებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული ძირითადად ეხმაურება იმ ცნობებს, რომელიც კავკასიას შეეხება, რასაც XI-XII სს-ის ბიზანტიელი ავტორები მაინცდამაინც კარგად არ იცნობენ. ამასთან, ბიზანტიელი ავტორები აბაზგებს, იბერებს და ალანებს ერთი წარმოშობის ხალხად წარმოადგენენ. ამდენად, მათი ერთმანეთში არევა არ უნდა



კირილ თუმანოვის აზრით, „ალან“ პრინცესაში უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს სამეფო ოჯახის წევრი, ბაგრატ IV-ის ნახევარ-ძმის უფლისწულ დემეტრეს ასული ირინე, რომელიც მოგვიანებით ისაკ კომნენოსის (იმპერატორ ალექსი I-ის უფროსი ძმა) მეუღლე გახდა (Toumanoff 1990: 135). თუმანოვის მოსაზრება სამართლიანად არ გაიზიარეს ლინდა გარლანდმა და სტივენ რაპმა. მათი აზრით, ირინე, რომელმაც შვიდი შვილი გააჩინა ისაკ კომნენოსისგან, რომელთა შორის ერთ-ერთი 1096 წელს დაიბადა, ასაკის გათვალისწინებით ვერ იქნებოდა იმპერატორ კონსტანტინე IX-ის საყვარელი (Garland, Rapp 2006: 103). კონსტანტინეს საყვარელი, 1050 წლისთვის საკმაოდ ზდასრული უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ იმპერატორის სრულფასოვანი პარტნიორი გამხდარიყო. ეს ფაქტი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ მას შვილი გაეჩინა. უფრო მეტიც, ირინე უნდა იყოს არა მართას ბიძაშვილი მამის მხრიდან (უფლისწულ დემეტრეს ასული, როგორც ამას კირილ თუმანოვი წერს) ან მისი დვიძლი და, როგორც ანა კომნენას „ალექსიადას“ უცხოენოვანი მთარგმნელები და კომენტატორები მიუთითებენ, არამედ მისი ბიძაშვილი დედის მხრიდან (Dawes 1928: 44; Любарский 1965: 95; ყაუხჩიშვილი 1966: 48-49).

მიხაელ ფსელოსის და სხვა ავტორთა ცნობები მართა (ბერძ. მარია) დედოფლისა და კონსტანტინეს IX მონომახის საყვარლის წარმოშობის შესახებ ბევრ კითხვას ბადებს და რომ არა ქართული წყაროების ცნობები მართას შესახებ, დღემდე საკამათო იქნებოდა მისი ეთნიკური წარმომავლობა. ზუსტად ისე, როგორც საკამათოა სევასტედ წოდებული ალანი პრინცესას ეროვნული კუთვნილება.

საინტერესოა, ვინ არის ბიზანტიელ ავტორებთან მოხსენიებული ალანი სევასტე?! მიხაელ ფსელოსის ინფორმაციას შედარებით მოკლედ იმეორებს იოანე ზონარა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის მას ერთ-ერთი ალანი მმართველის ქალიშვილად მოიხსენიებს (Алемань 2003: 299-300). ზონარას მიხედვით, ის შეიძლება, მართლაც ერთ-ერთი რიგითი ალანი მმართველის (ἀρχηγετοῦντες) ქალიშვილად მოგვეჩვენოს, თუმცა უპირატესობა მაინც ფსელოსის ცნობას ენიჭება. მიხაელ ფსელოსის ინფორმაცია უფრო ვრცელი და დეტალურია. გარდა ამისა, იოანე ზონარას ტექსტი მთლიანად მიხაელ ფსელოსის „ქრონოგრაფიას“ ეყრდნობა.

---

გაგვიკვირდეს. იხ.: იოანე ცეცე. გეორგია VII. ტექსტები ქართული თარგმანით გამოცემა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ. 1967, გვ. 22-23.

ყველაფერ ამასთან ერთად, მიხედავად ფსელოსი ამბების უშუალო თვითმხილველი და იმპერატორთან დაახლოებული პირი იყო, ეს მაშინ, როდესაც იოანე ზონარას კონსტანტინე მონომახთან არანაირი შეხება არ ჰქონია.

მიხედვით ფსელოსის მიხედვით, ალანი სევასტე, ალანთა მბრძანებლის შვილია, რომელსაც ის საკმაოდ აღმატებულად ხელმწიფის (βασιλεύοντος) ტიტულით მოიხსენიებს. მიუხედავად ამისა, ფსელოსის განცხადებით, ალანთა სამეფოს არ გააჩნია განსაკუთრებული პრესტიჟი და არც რაიმეთი ყოფილა გამორჩეული; მისი თქმით, ამ ქვეყნის მესვეურები ბიზანტიის საიმპერატორო კარს სხვადასხვა ფორმით უდასტურებდა ლოიალობას (Sewter 1953: VI, 151) (ამის ერთ-ერთი გამოხატულება უნდა ყოფილიყო მეფის ქალიშვილის მძევლად გაგზავნა). სწორედ ამ ცნობაზე დაყრდნობით ლინდა გარლანდი და სტივენ რაპი არ გამორიცხავენ, რომ მართა ბაგრატიონის ბუნდოვანი მოხსენიება ძველი და მდიდარი ოჯახის წარმომადგენლად და მისი მშობლიური ქვეყნის მიჩქმალვა მიხედავად ფსელოსის ტექსტში ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული,<sup>14</sup> ამას თუ იმასაც დაემატებოდა, რომ მართა/მარია ბიზანტიურ წყაროებში, როგორც წესი, ალანად მოიხსენიება, თითქოს იმისკენ გვიბიძგებს, რომ კონსტანტინე IX მონომახის სევასტეს ტიტულით სახელდებული საყვარელი მართლაც საქართველოს მეფის შვილად გამოვაცხადოთ. თუმცა აქვე ჩნდება არაერთი წინააღმდეგობა, კერძოდ, 1050-1055 წლებში, როდესაც კონსტანტინე IX მონომახი ღიად და დაუფარავად იწყებს მის საყვარელთან ურთიერთობას, საქართველოში ბაგრატ IV მეფობს. ამასთან, სწორედ 1051-1054 წლებში ბაგრატი კონსტანტინოპოლში იმყოფება იმპერატორის კარზე, რაც, ფაქტობრივად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ბაგრატს თავისი ქალიშვილისთვის წელიწადში ორი-სამჯერ ელჩობა გაეგზავნა საქართველოდან.<sup>15</sup>

სხვა მსჯელობით, ალანი სევასტე შეიძლება იყოს ალან-ოსეთის მეფის დორდოლე დიდის (1030-იან – 1070-იანი წწ.) ასული, ვინაიდან XI საუკუნის 50-იან

<sup>14</sup> L. Garland, S. Rapp. Mart'a-Maria 'of Alania'. თავი: Maria 'the Alan'. <http://www.roman-emperors.org/maryal.htm> (2011წ. 5 მარტი).

<sup>15</sup> ბაგრატ IV-ის სახელეული მეტ-ნაკლებად შესწავლილია ქართულ ისტორიოგრაფიაში. დადგენილია, რომ მას ჰყავდა სამი და, რომელთაგან ორი ადრე გარდაიცვალა, ხოლო მესამე – გურანდუხტი, ბაგრატის კონსტანტინოპოლში ყოფნის დროს ახალგაზრდა უფლისწულის, გიორგის, რეგენტი იყო. რაც შეეხება ქალიშვილებს, მეფეს უნდა ჰყოლოდა ორი ქალიშვილი მართა და მარია (ამ უკანასკნელს ხშირად ბიზანტიის დედოფალ მართასთან აიგივებენ), იხ.: რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003, გვ. 26-44.

წლებში ალან-ოსეთის მეფე სწორედ ის არის.<sup>16</sup> თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დორღოლელის ასული ირინა 1071 წელს მიათხოვეს ისაკ კომნენოსს და მასთან 1096 წელს კიდევ ერთი შვილი გააჩინა (იხ. ზემოთ), ნაკლებ სარწმუნოა, რომ ღვიძლ დებს შორის ასეთი ასაკობრივი სხვაობა ყოფილიყო. თუმცა დორღოლელის ბოლომდე გამორიცხვა, მიხაელ ფსელოსთან და იოანე ზონარასთან ცალხასად მითითებული ეთნონიმის – ალანის – გათვალისწინებით, ცოტა საფრთხილოა. ფსელოსთან კონსტანტინეს ფავორიტი სწორედ ალანია და არა იბერი ან აბაზგი. ამ უკანასკნელს ის საერთოდ არ ახსენებს, რაც დამატებით საფუძველს იძლევა იმისა, რომ მის ტექსტში ალანისა და აბაზგის აღრევა არ გამოირიცხოს.

ამჯერად უკვე ბოლო ჰიპოთეზა კვლევის ობიექტთან დაკავშირებით<sup>17</sup> უკავშირდება ლიპარიტ IV ბაღვაშს, რომელიც XI საუკუნის 50-იანი წლების პირველ ნახევარში ქართლისა და მესხეთის მბრძანებელი იყო (ქსე...ნ 1983: 247). მას თითქმის მთელი ქვეყნის გამგებლობა ჩაუვარდა ხელში. „მატიანე ქართლისას“ ერთი საინტერესო ცნობის მიხედვით, ლიპარიტი თურქ-სელჩუკთა (ხუარასანის) სულთნის და ბიზანტიის (საბერძნეთის) იმპერატორის „მოყუარედ“ გამხდარა:

*„და იყო მოყუარედ მისა ხუარასანს დოღღუბევ სულთანი და საბერძნეთს ბერძენთა მეფე“* (მეტრეველი 2008: 304).

ცნობა თავისთავად ძალიან საინტერესოა, ავტორი ლიპარიტის საერთაშორისო არენაზე მიღწეულ წარმატებებს უსვამს ხაზს.<sup>18</sup> ანონიმ ავტორს ლიპარიტის ახლო დამოკიდებულების შესახებ ბიზანტიის იმპერიასთან, მანამდეც არაერთხელ აქვს გამახვილებული ყურადღება. ამდენად, ლიპარიტისა და ბიზანტიის იმპერატორის „მოყვრობაში“ თითქმის არაფერია ორიგინალური. მასში შეიძლება არა ოჯახური, არამედ უბრალოდ მეგობრობა, მოკავშირეობა იგულისხმებოდეს. მაგრამ თუ გა-

<sup>16</sup> XI საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებში კახეთის მეფე კვირიკემ მოკლა ოსეთის მეფე ურდურგის მერეც ოსეთში დორღოლელი მეფობს. ხოლო მისი სიძის ბაგრატის IV-ის მეფობის ბოლოს დორღოლელი ჯერ კიდევ ცოცხალია, იხ.: მათიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 297, 313-314.

<sup>17</sup> აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (თუ არ ჩავთვლით კ. თუმანოვის ვერსიას, რომელიც არ არის გაზიარებული), ეს არის ერთ-ერთი პირველი მცდელობა, შესწავლილ იქნას კონსტანტინე IX მონომახის მეორე ფავორიტის ვინაობის საკითხი, რაც ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული გარკვეული ლაფსუსებისგან.

<sup>18</sup> ლიპარიტ ბაღვაშის ურთიერთობის შესახებ ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებთან იხ.: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქდ. ტ. 5. თბ. 1998, გვ. 314-336.

ვითვალისწინებთ მიხაელ ფსელოსის ცნობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ანიავებდა კონსტანტინე IX მონომახი ალანი სევასტეს სასარგებლოდ იმპერიის უზარმაზარ ქონებას, ასევე „მატიანე ქართლისას“ უცნობი ავტორის ცნობას, რომ ლიპარიტს შემწეობას „ბერძენთა მეფისა განძი და ლაშქარი“ უწევდაო (მეტრეველი 2008: 298:300),<sup>19</sup> ნათელი გახდება, თუ რა დანახარჯების გაღება უწევდა იმპერატორს ლიპარიტთან „მოყვრობის“ სანაცვლოდ.<sup>20</sup> ჩვენ ფრთხილი ვარაუდის სახით ვუშვებთ იმის შესაძლებლობას, რომ კონსტანტინე მონომახის არაოფიციალური ცოლი, რომელიც სევასტეს საიმპერატორო ტიტულს ატარებდა, სწორედ ლიპარიტ IV დიდის ქალიშვილი ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ ლიპარიტს ერთგულების სანაცვლოდ ბიზანტიაში მძევალს მოთხოვდნენ, ხოლო მისი ქალიშვილის იმპერატორთან დაახლოებით მას ბიზანტიის მხარდაჭერა დიდი ხნით ექნებოდა გარანტირებული. ნიშანდობლივია, ისიც რომ ლიპარიტ ბაღვაშმა ბიზანტიის მხარდაჭერა სწორედ მაშინ დაკარგა, როდესაც იმპერატორი კონსტანტინე IX მონომახი გარდაიცვალა (სამუშია 1997: 249).

ვინც არ უნდა ყოფილიყო ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე IX მონომახის ფავორიტი, სევასტეს ტიტულით სახელდებული ქალბატონი, მისი როლი საქართველოს და მისი მახლობელი ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ შეიძლება უგულებელვყოთ. მიხაელ ფსელოსის ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ კონსტანტინეს ფავორიტი ქალის მამა, „ალანთა“ ხელმწიფე, უდავოდ იმპერატორის სტრატეგიულ მოკავშირედ განიხილება, ვისთან მოკავშირეობის და მოყვრობის სანაცვლოდ მან არც ფული, არც სიმდიდრე და არც საიმპერატორო ტიტული არ დაიშურა. ყველაფერი ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ მამის ელჩებთან თავისი „ცოლი“ შესაბამისი პატივით და ღირსებით წარმდგარიყო (Sewter 1966: VI, 153-154).

ამგვარად, აუცილებელია იმის ხაზგასმაც, რომ სევასტეს ტიტული, მიუხედავად მისი საიმპერატორო ღირსებისა, ეწოდებოდა არამხოლოდ ოფიციალურ

<sup>19</sup> ამ პროცესს კონსტანტინე მონომახის დროს სისტემატური სახე ჰქონდა მიღებული.

<sup>20</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია არაბი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, თუ რამდენი დაუჯდა ბიზანტიის იმპერატორს ლიპარიტის გათავისუფლება სელჩუკთა ტყვეობიდან. სახელდება ისეთი ციფრი როგორცაა 200 000 დინარი და არანაკლები ღირებულების სხვა მატერიალური სარგებელი, რაც სულთანმა თორღულ-ბეგმა მიიღო ლიპარიტ ბაღვაშის სანაცვლოდ, იხ.: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 334-335.

მეუღლეს, არამედ იმპერატორთან დაახლოებულ ვიწრო წრეს, რომელსაც უდაოდ გააჩნდათ ამბიციები წოდებულებს იმპერატორის მეუღლეებად და ოფიციალურად გაეზიარებინათ საიმპერატორო ტახტი. საიმპერატორო პორფირით შემოსვის წარუმატებელ მცდელობის შემდეგ, იმპერატორის ფავორიტ მაღალი ტიტულის ქალებს უფლება მიეცათ გამხდარიყვნენ საიმპერატორო ტიტულის მფლობელები. ასევე მიეცათ უფლება, ესარგებლათ საიმპერიო დაცვით და ხშირ შემთხვევებში საზეიმო თუ ოფიციალურ ცერემონიებზე იმპერატორის მეუღლის როლშიც კი ახერხებდნენ გამოსვლას. ეს ყველაფერი მოგვიანებით გახდა იმის წინაპირობა, რომ სევასტოსი/სევასტეს (ლათ. კორესპოდენციით ავგუსტუსი/ავგუსტა) ტიტული ოფიციალურად დაემცრო და მის საფუძველზე ახალი რეფორმირებული ტიტულები აღმოცენდა.

აქვე უნდა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისაკ I კომნენოსმა (1057-1059 წწ.) მას მერე, რაც კონსტანტინოპოლში იმპერატორად კურთხევა მოახერხა, ოფიციალურად იწოდა სევასტოსად, ხოლო მისი მეუღლე ავგუსტად და სევასტედ გამოაცხადა. ნიკოლას ოიკონომიდისის შენიშვნით, ეს ფაქტი ამ ტერმინის საიმპერიო კონოტაციის ნათელი მაჩვენებელია (Oikonomides 1980/1: 240). ამდენად, მიუხედავად რიგი გადახვევებისა, 1057 წლისთვის სევასტოსი/სევასტე საიმპერიო ტიტულია.

### ტიტულატურის რეფორმაცია

ცნობილი ისტორიკოსის, ანა კომნენას, განმარტებით, სევასტოსის ტიტულით აღექსი I კომნენოსამდე (1081-1118 წწ.) მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ:

*„მამაჩემი (იგულისხმება იმპერატორი აღექსი, ანა კომნენას მშობელი – ლ. თ.) იყო გამომგონებელი ყველა ახალი საპატიო ტიტულისა, რომელთა ნაწილი სახელოების შერწყმის შედეგად შეიქმნა. ამის შესახებ მიეუთითე ზემოთ. ხოლო სხვა ტიტულებმა ახალი გამოყენება ჰპოვეს. მაგალითად, ტიტულები პანიპერსევასტოსი და სევასტოკრატორი ტიპური მაგალითია იმისა, რაც სახელოების შერწყმის შედეგად შეიქმნა, მაგრამ ტიტულ სევასტოსს, როგორც მე ვატყობ, მან ახალი შესატყვისი მოუძებნა. რადგან ძველი დროიდან მოყოლებული ეპითეტი სევასტოსი ენიჭებოდათ მხოლოდ იმპერატორებს. ტიტული სევასტოსი განკუთვნილი იყო მხოლოდ მათთვის და მამა იყო პირველი, რომელმაც ის*

რამდენიმე რანგით დაბლა დასწია“ (Dawes 1928: 78-79; Любарский 1965: 122-123).

როგორც აღნიშნული წყაროდან ირკვევა, იმპერატორმა ალექსიმ მოახდინა ტიტულატურის რეფორმაცია. იქმნება ახალი სისტემა დამყარებული სევასტოსის ტიტულზე (Dawes 1928: 78-80; Любарский 1965: 122-123; Magdalino 1996: 147-148). სევასტოსისა და ავტოკრატორის შერწყმის შედეგად შეიქმნა სრულიად ახალი, სევასტოკრატორის ტიტული, რომელიც მიენიჭა იმპერატორ ალექსი I-ის უფროს ძმას, ისაკს. ამ ტიტულმა ის იმპერატორის შემდეგ, მეორე პირად აქცია ბიზანტიაში. ანა კომნენას თქმით, სევასტოკრატორი ისაკი, მეორე იმპერატორის პატივში აღზევდა. ის ე.წ. უმცროს იმპერატორად იქცა ბიზანტიის იმპერიაში. ტიტულმა კეისარმა იერარქიაში მესამე საფეხურზე გადაინაცვლა (Dawes 1928: 78; Любарский 1965: 122-123). ხოლო ტიტულები სევასტოსი და პანიპერსევასტოსი იმპერატორის ნათესავებსა და მასთან დაახლოებულ პირებს ეძლეოდათ. ალექსის კიდევ ერთმა ძმამ – ნიკიფორემ, პროტოსევასტოსის ტიტული მიიღო (Dawes 1928: 78-79; Любарский 1965: 122-123). სევასტოსის ტიტულზე დაყრდნობით შექმნილ რანგებს ალექსანდრე კაუღანი პირველი საფეხურის სენატორულ ტიტულებში აერთიანებს, რომელსაც ალექსი I-ის დროინდელი უმაღლესი არისტოკრატია იღებდა (Каждан 1974: 109). ამდენად, ბიზანტიის თანამეგობრობის იერარქიულმა დაყოფამ შემდეგი სახე მიიღო:

1. ავტოკრატორი ანუ ბასილევსი
2. სევასტოკრატორი
3. კეისარი
4. პანიპერსევასტოსი
5. პროტოსევასტოსი
6. სევასტოსი

ანა კომნენა მამის ამ რეფორმას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად ანა კომნენას განცხადებისა, თითქოს სევასტოსებად ალექსი I კომნენოსამდე მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენო, არ შეესაბამება სიმართლეს. სევასტოსის ტიტული, სანამ ალექსი კომნენოსი იმპერატორი გახდებოდა, თავად ალექსიმაც მიიღო, ამ ცნობას იმავე ანა კომნენასთან ვხვდებით:

„როგორც ჭილღო ყველაფერი ამისთვის იმპერატორისგან მან (ე. ი. ალექსი კომნენოსმა, დიდმა დომესტიკოსმა, სანამ იმპერატორი გახდებოდა – ლ. თ.) მიიღო ტიტული სევასტოსისა და იწოდებოდა სევასტოსად საზოგადოებრივ შეკრებებზე“<sup>21</sup>

იმპერატორთან ყველაზე დაახლოებული ისტორიკოსის, ანა კომნენას, ნაშრომში ურთიერთგამომრიცხავი ცნობების გაჩენა შეიძლება იმას უკავშირდებოდეს, რომ ავტორი სწორედ ალექსის თვლიდა პირველ მოხელედ, რომელმაც სევასტოსობა მიიღო, როგორც დამცრობილი ტიტული. სევასტოსის ტიტული იყო ის ტიტული, რომლითაც ალექსი კომნენოსი იწოდებოდა იმპერატორად კურთხევამდე (1081 წლის 4 აპრილამდე). უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი იმპერატორად კურთხევის შემდეგაც ალექსიმ დროებით შეინარჩუნა სევასტოსობა, როგორც ძველი საპატიო ტიტული, რის შემდეგაც იმავე ტიტულზე დაყრდნობით შექმნა ახალი იერარქია ტიტულატურისა, რომელიც საგანგებოდ გაიცემოდა მხოლოდ იმპერატორის ოჯახის წევრებზე და მასთან დაახლოებულ პირებზე. სხვა შემთხვევაში ჩვენ ვერ ავხსნით მისივე ქალიშვილის, ანა კომნენას, ხაზგასმულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სწორედ იმპერატორი ალექსი „იყო პირველი, რომელმაც ის (სევასტოსის ტიტული – ლ. თ.) რამდენიმე რანგით დაბლა დასწია“.

რაც შეეხება თარიღს, რეფორმაცია ალექსის მმართველობის დასაწყისში უნდა მომხდარიყო, მისი ტახტზე ასვლის ახლო ხანებში, შესაძლოა, 1081 წელსაც. ანა კომნენას ცნობით, ალექსიმ, იმპერატორად კურთხევის შემდეგ ტახტის მეორე პრეტენდენტს, ნიკიფორე მელისენეს კეისრის ტიტული უბოძა. ხოლო იმისთვის, რომ მისი უფროსი ძმა ისაკი შედარებით მაღალ რანგში აეყვანა, იმთავითვე შექმნა სევასტოკრატორის ტიტული. ამას მოჰყვა სხვა ტიტულების გაჩენაც (Dawes 1928: 78-79; Любарский 1965: 122-123). ამდენად, ანა კომნენას მიხედვით, ტიტულატურის რეფორმაცია ალექსი I-ის იმპერატორობის პირველივე წლით უნდა დათარიღდეს.

<sup>21</sup> Dawes 1928: 26; Любарский 1965: 62-74. სევასტოსობა ალექსიმ მიიღო მას შემდეგ, რაც იმპერატორის ნიკიფორე ბოტანიატეს ბრძანებით ჩაახშო ჯერ ნიკიფორე ბრიენოსის აჯანყება (1077-1078 წლების მიჯნა), ხოლო შემდეგ კი ბასილაკესის გამოსვლა, იმპერატორის წინააღმდეგ. მიხაელ ატალიატეს ცნობით, ბასილაკესის აჯანყების ჩახშობის დროს (1078 წლის ზაფხული) ალექსი უკვე სევასტოსია, ამდენად, ეს ტიტული მას დაახ. 1078 წლის პირველ ნახევარში უნდა მიეღო, იხ.: Любарский 1965: 74, სქ. 112; იქვე, წიგნის ბოლოს, იხ. 1042-1155 წლების ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიური ტაბულა.

## ბაგრატ IV

ბიზანტიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი, მიხაელ ანგოლდი, შენიშნავს, რომ ალექსის იმპერატორად კურთხევამდე (1081) სევასტოსის ტიტული იშვიათად თუ ვინმეს ეძლეოდაო (Angold 1997: 128). სწორედ ეს იშვიათი გამონაკლისი იყო ბაგრატ IV (1027-1072 წწ.). ბაგრატს სევასტოსობა 1060 წელს უბოძეს,<sup>22</sup> რომელიც, მისი ვერცხლის მონეტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასევე ატარებდა სევასტოსის მაღალ საიმპერიო ტიტულს. აქვე ვიძლევი ამ ტიპის მონეტების აღწერილობას გიორგი დუნდუას და თედო დუნდუას ნაშრომის მიხედვით:

*„შუბლი – ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ვლავერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, რომელსაც თავზე შარავანდი ადგია. თავს ირგვლივ განლაგებულია ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰავია თეოტიკოს – წმინდა ღვთისმშობელი.*

*ზურგი – მონეტის კიდეებზე, წერტილოვანი რკალის შიგნით, განლაგებულია ქართული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე“. ცენტრში ასევე წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული სამსტრიქონიანი წარწერა: „და სევასტოსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 190-191).*

აღნიშნული სამონეტო ემისია თარიღდება 1060-1072 წწ. გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ბაგრატ IV-მ სევასტოსის ტიტული ბიზანტიის ხელისუფლებისგან თურქ-სელჩუკების თავდასხმის საშიშროებასთან დაკავშირებით მიიღო (დუნდუა, დუნდუა 2006: 191).

მონეტების გარდა ბაგრატი სევასტოსად იწოდება რამდენიმე ეპიგრაფიკულ წარწერაშიც. მათ შორის მნიშვნელოვანია გრიგოლ თარხუნის ძის საამშენებლო წარწერა ატენის სიონში. იქ ბაგრატი შემდგენაირად მოიხსენიება:

*„ქ. სახელითა ღვთისათა, მე გრიგოლ-მან მირიანის ემა-მან თარხნის ძისა-მან, ატენის ციხისთავმან, ავაგენ ატენს სახლნი ქულბაქი მას ჟამსა ოდეს, ადიდენ ღმერთმან, ძლიერ-მან მეფეთა მეფე-მან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩემსა, სევესა ზუარსა შიდა ქალაქის აშენება გაუმარჯვა ღმერთ-მან და ბედ-მან მეფეთ მეფობისა მათისა-მან. ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი სალოცველად ჰგიანმცა უკუნისამდე ძრიელი მეფეთა მეფე[მ]*

<sup>22</sup> ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულის მიღების მიზეზისა და თარიღის შესახებ იხ.: Lang 1957: 140-145; Дундуа 2009: 20-21; Р Кебуладзе 1977: 104-105; სტეფნაძე 1976: 159-160; ჯავახიშვილ 1965: 151.



ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი“ (ბაქრაძე 1959: 72).

მირიან თარხუნის ძის ყმის, გრიგოლ ციხისთავის, წარწერაში მეფე ბაგრატ სევასტოსის პარალელურად მისი ვაჟი გიორგი კურაპალატის ტიტულით იხსენიება, რაც მამა-შვილის მიერ აღნიშნული ტიტულების თანადროულ ფლობაზე მიუთითებს. ითვლება, რომ მამა-შვილმა ტიტულები ერთდროულად მიიღო, რაც ბაგრატ მეფის მიერ არა სევასტოსის, არამედ ნოველისიმოსის ტიტულის მიღების პერიოდში უნდა მომხდარიყო (Lang 1959: 140-1145).<sup>23</sup> ანალოგიად მამა-შვილი მეფეების – გურგენის და ბაგრატ III-ის – მიერ მაგისტროსისა და კურაპალატის ტიტულის თანადროულად მიღება შეგვიძლია მივიჩნიოთ (Дундуа 2009: 20-21).<sup>24</sup>

ბაგრატის კონსტანტინოპოლში გამგზავრება 1051 (ან 1052) წლით თარიღდება. ამგვარად, მამა-შვილს ნოველისიმოსისა და კურაპალატის ტიტულები თითქოს ამავე დროს უნდა მიეღო (სამუშია 1997: 242-249). თუმცა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ბოლო დროს გამოვლენილი სოფელ ავლარში მდებარე მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიის წარწერა, რომელიც 1050 წლით არის დათარიღებული და სადაც მეფე ბაგრატი ნოველისიმოსად არის წოდებული.<sup>25</sup> გიორგი გაგოშიძის აზრით, ბაგრატის ნოველისიმოსის პატივში აღზევება ბიზანტიის იმპერიის მთავარი მოკავშირის, ლიპარიტ IV ბაღვაშის, დატყვევების შემდეგ 1048 წელს უნდა მომხდარიყო. იმპერიის ხელისუფლება უფროსოდა საქართველოს სახით ძლიერი მოკავშირის დაკარგვას, რაც მას მნიშვნელოვან პრობლემებს შეუქმნიდა აღმოსავლეთში მიმდინარე თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. იმპერატორის მოკავშირე სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულ ომში ძალაუვნებურად ბაგრატ IV გახდა (გაგოშიძე 2004: 51-52).

ბაგრატ IV-სა და გიორგის მიერ სევასტოსისა და კურაპალატის ტიტულების თანადროულ ფლობას კიდევ ერთ ეპიგრაფიკულ ძეგლში, ატენის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წარწერაში, ვაფიქსირებთ:

<sup>23</sup> D. M. Lang. Notes on Caucasian Numismatics, გვ. 140-145; Т. Г. Дундуа. Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник, გვ. 20-21.

<sup>24</sup> გურგენის და ბაგრატის მიერ ბიზანტიის იმპერატორისგან აღნიშნული ტიტულების მინიჭების ცნობა დაცულია ბაგრატონთა სამეფო გვარის მემკვიდრეთან. იხ.: (არახაშია 1990: 52).

<sup>25</sup> ნოველისიმოსობის მიღების ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად 1046 წელი შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ წელს შესრულებულ სავანის წარწერაში ბაგრატი ჯერ ისევ კურაპალატად იწოდება. ამდენად, ნოველისიმოსის ტიტულის მიღების ფართო ქრონოლოგიური რკალი 1046-1050 წლებია, იხ.: (გაგოშიძე 2004: 50).

„*ქ. წმინდა გიორგი აღიღე მეფეთა მეფე ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი...ი დაოკტკბე თუა[ლთაი]? თნი და მეფეთა მირიან თარხუნის ძესა ტანუტრობასა მათსა*“ (ბაქრაძე 1959: 74).

ბაგრატი მირიან თარხუნის ძის კიდევ ერთ ლაპიდარულ წარწერაში იხსენიება სევასტოსად. ეს არის ბარმაქსიზის ხიდში გამოყენებულ ქვის წარწერა. ამ წარწერის ზემოთხსენებული ძეგლებისგან განსხვავებს ის, რომ მასში არ ვხვდებით მისი ძის გიორგის სახელს. წარწერა ასე იკითხება:

„*სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხუნის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ, წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისაჲ, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, საგარეოს (?) შინ[ა] ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ*“ (ბაქრაძე 1959: 76).<sup>26</sup>

არცერთ ზემოხსენებულ წარწერას არ უზის თარიღი, ისინი ბაგრატის სევასტოსობის პერიოდით, ანუ დაახ. 1060-1072 წლებით თარიღდება. ერთადერთი კულაღისის წარწერაში აქვს მას დასმული თარიღი – 1060 წელი. ბაგრატ IV იქ იხსენიება როგორც „აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი“. ამავე წარწერაში, მსგავსად ატენის სიონისა და ატენის წმინდა გიორგის ეკლესიების წარწერებისა იხსენიება გიორგი კურაპალატიც (ბაქრაძე 1959: 72-74; აბრამიშვილი, ალექსიძე 1989: 46). ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

„*იესო ქრისტე, აღიღე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი, შეეწიენ, დაუტკბენ თავი, კეთილ ექმენ კპატოს თეოდოსეს ძესა, რომელთათვის განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია, ქორონიკონი იყო სა*“ (ცისკარიშვილი 1959: 39-40).

ბაგრატი IV სევასტოსის ტიტულით იხსენიება კონსტანტინოპოლში მდებარე რომანას ქართული მონასტრის ოთხთავის ანდერძში. აღნიშნული ანდერძი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მეფის ძე გიორგი კურაპალატის ტიტულით იწოდება. იქვეა მითითებული თარიღიც, რომელიც სახარების გადაწერის დროს, 1070 წელს, უჩვენებს. ანდერძი გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეების სიძესა და კახეთ-ჰერეთის მეფის აღსართანის ძმას, არკადიპოლის მთავარს, აბაზს, ეკუთვნის (კლდიაშვილი 2009: 321-323, 331-333). მეტი თვალსაჩინოებისთვის მოვიხმოთ ნაწყვეტი

<sup>26</sup> წარწერიანი ქვა მოგვიანებით უნდა იყოს ხიდში ჩასმული, რასაც მიუთითებს კიდევ მისი ტექსტი. ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ის მოტანილი უნდა იყოს მეზობელი სოფლიდან, კერძოდ, გუნიაყალადან, სადაც უნდა ყოფილიყო კათედრალური ტაძარი (ბაქრაძე 1959: 76).

აღნიშნული ანდერძიდან, რომლის ავტორია აბაზის სულიერი მოძღვარი, თეოდორე გარეჯელი:

*„ესე ღაუწურე და განვასრულე სანახებსა კოსტანტინეპოლისსა, სოკასტერსა რომანისსა, საკელსა წ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თისმშ(ობე)ლისსა, რ(ომე)ლსა მეგეთონა ეწოდების, მეფობასა ბერძენთა ზ(ედ)ა დეოგენესის(ა)სა, და აფხაზთა და ქართველთა ზ(ედ)ა – ბაგრატ სევასტოსის და გ(იორგ)ი კურაპალატისა, ძისა მისისსა, და კახთა და რანთა ზ(ედ)ა – ხსართანან კურაპალატისა და ძმათა მისთა. ხ(ოლო) ეს ხსართანან ჭაბუკ იყო წლისა ოცდათერთმეტისაჲ, და სამნი ძმანი მისნი ფაღლაჲ, კ(კრიკ)ე, რელისავ თვითოეული თვითო წელიწდითა ურთიერთარს უძრწამე. ხ(ოლო) ესე საყუარელი ს(უ)ლ(ი)სა ჩემისაჲ აბაზ, სულიერი შვილი ჩემი, უძრწამესი იყო ძმათა თვსთა და ჭაბუკი იყო წლისაჲ ვ(ითა)რ კზ, და მთავრობდა არკადიპოლის“ (კლდიაშვილი 2009: 322-323).*

როგორც ანდერძის თარიღიდან ვარკვევთ, ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) სევასტოსის ტიტული თითქმის ცხოვრების ბოლომდე უტარებია, ხოლო უფლისწული გიორგი 1070 წლისათვის ჯერ კიდევ კურაპალატის პატივშია.

## გიორგი II

მოგვიანებით ბაგრატ IV-ის გარდა, სევასტოსის ტიტულს ატარებდა მისი ვაჟი გიორგი II (1072-1089 წწ.). მეფე გიორგი II, სევასტოსობის გარდა, იწოდებოდა კურაპალატად, ნოველისიმოსად და კეისრად. ახალგაზრდა მონარქი ჯერ კიდევ მამის, ბაგრატ IV-ის, ბიზანტიაში გამგზავრების შემდეგ იყო კურთხეული საქართველოს მეფედ რუისის ტაძარში. მისი კურთხევა დიდი ფეოდალის ლიპარიტ IV ბაღვაშის პატრონაჟის ქვეშ მოხდა:

*„ვიდრელა იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვა ლიპარიტ ძე ბაგრატიისი, გიორგი, მეფედ, რათა მოსცეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქვეყანისათა. მოიყვანეს საყდარსა რუისისასა და აკურთხეს მეფედ. და მოიყვანეს მზრდელად მისი ლიპარიტ და პატრონად და ბაგრატიისი გუარანდუხტ დედოფალრ“ (მეტრეველი 2008: 304).*

მიიჩნეოდა, რომ, ლიპარიტის მიერ გიორგის მეფედ მოყვანას ბიზანტიის ხელისუფლების რეაქციაც უნდა მოჰყოლოდა, კერძოდ, საუბარია მისთვის კურაპალატის ტიტულის წყალობაზე. გამოდის, რომ ეს ტიტული გიორგიმ 1051/2

წელს მიიღო, როდესაც ის რუსში მეფედ აკურთხეს (მეტრეველი, სამუშია 2003: 58-61). თუმცა ავლარის ეკლესიის წარწერაში (1050 წელი) მეფე ბაგრატ ნოველისიმოსის პარალელურად უფლისწული გიორგი კურაპალატის ტიტულით იხსენიება. ბაგრატისა და გიორგის მიერ აღნიშნული ტიტულების მიღება ლიპარიტ IV ბაღვაშის დატყვევების თარიღთან – 1048 წელთან – უნდა იყოს დაკავშირებული (რაც ზემოთ უკვე მივუთითეთ).<sup>27</sup> ამდენად, გიორგი დაახლოებით 1048 წლიდან უკვე კურაპალატია და ამ ტიტულს ატარებს იმ დროსაც, როდესაც ის რუსში მეფედ აკურთხეს დიდი ფეოდალის ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით.

ამის შემდეგ გიორგი ნოველისიმოსის ტიტულს იღებს. ეს ტიტული, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი II-მ მისი სამეფო ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით 1072 წელს მიიღო (Пахомов 1970: 61).

ნოველისიმოსად გიორგი გამეფების შემდეგ არის მოხსენიებული, მისივე პირველი ემისიის მონეტებზე. იმავე ლითონის საფასზე, გიორგი იწოდება სევასტოსად. მეფე გიორგი II-ის ჩვენთვის საინტერესო მონეტა შემდეგი სახისაა:

*„შუბლი – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლახერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შიგნით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰავია თეოტიკოს, წმინდა ღვთისმშობელი“.*

*ზურგი – შერწყმული წერტილოვანი რკალის შიგნით ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: „ქრისტე, აღიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამსტრიქონად: „და სევასტოსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 193).*

სევასტოსის შემდეგ გიორგიმ მიიღო კეისრის ტიტული, ამ პატივით ის იხსენიება არამარტო მის მონეტებზე, არამედ რუს-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიც (1104 წელი) (დოლიძე 1970: 125). ზუსტი თარიღი გიორგის მიერ სევასტოსისა და კეისრის ტიტულების მიღებისა არ არის ცნობილი.<sup>28</sup>

<sup>27</sup> გ. გაგოშიძე. ბაგრატ IV ნოველისიმოსი, გვ. 50-52. ვრცლად ლიპარიტ ბაღვაშის დატყვევების თარიღთან დაკავშირებით. იხ: გ. ჯაფარიძე. ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში, გვ. 315-325.

<sup>28</sup> თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ქრონიკების მიხედვით გიორგი 1081 წელს უკვე კეისარია (ჟორდანიას 2004: 228-229). ეს ტიტული, მან მიიღო ან 1076 წელს, როდესაც ბანაში ზავი დაიდო საქართველოსა და ბიზანტიის მესვეურებს შორის, ანდა 1078 წელს ნიკიფორე III ბოტანიატეს

#### დავით IV

ალექსი I კომნენოსის რეფორმაციის შემდეგ (XI ს. დასაწყისი) დავით IV აღმაშენებელი ჯერ სევასტოსის, ხოლო მოგვიანებით პანიპესევესტოსის ტიტულს ეუფლება (ჟორდანიას 2004: 229-236; Dundua 1999: 18. ტაბ. X 23-24, XI 24ა).

აღნიშნული ვითარება კარგად არის ასახული ქართული ნუმიზმატიკის ძეგლებში. მონეტების გარდა, დავითი სევასტოსად იწოდება რამდენიმე ანდერძ-მინაწერშიც. მათი ნაწილი გამოქვეყნებულია თედო ჟორდანიას მიერ თავის „ქრონიკებში“. ამათგან ერთ-ერთი, რომელშიც დავითი სევასტოსის პატივით არის წოდებული, დათარიღებულია 1085 წლით. ანდერძის ტექსტი ამგვარია:

*„ღ(მრ)თივ-გკირგკინოსანთა მეფეთა ჩ(უე)ნთა – გ(იორგ)ი მეფეთა მეფისა და კესაროსისა და ძისა მ(ა)თისა ღ(ავით) მეფისა სევასტოსისა; საუკუნო-მცა არს კეთილი საკსენებელი მეფობისა მ(ა)თისაძ“.*<sup>29</sup>

მორიგი ანდერძ-მინაწერი დაცულია იოანე ოქროპირის ნაშრომის „თარგმანებად მათეს სახარებისად“ კოლოფონში. მიუხედავად იმისა, რომ მას თარიღი არ უზის, მისი დათარიღება დაახ. XI ს-ის 80-იანი 90-იანი წლებით შეიძლება. ტექსტი შემდეგი შინაარსისაა:

*„სადიდებლად და სალოცველად ღმრთივ გკირგკინოსანთა მეფეთა ჩუენთა სულთა განათლებულისა კურთხეულისა დედოფლისა მარიამისა და ძმისა მათისა ვიორგი მეფეთა-მეფისა და კესაროსისა. და ძისა მათისა დავით მეფისა და სევასტოსისა, და სანატრელისა დედისა მათისა ელენე დედოფლისა“* (ჟორდანიას 2004: 232; ქსა 1948: 306).

ამდენად, დავითი XI საუკუნის 80-იან წლებში სევასტოსის ტიტულს ატარებს. ვ. სილოგავა თვლის, რომ გიორგი მეფეს დავითი თანამოსაყდრედ 1083 წელს უნდა ეკურთხებინა, ანუ მაშინ, როდესაც თავად გაემგზავრა მალიქ-შაჰის კარზე „დიდი

---

იმპერატორად კურთხევისას. „ქართული ნუმიზმატიკის“ (2006 წელი) ავტორების აზრით, გიორგი II-ს კეისრის ტიტული აღმოსავლეთი მხარეების შემომტკიცების შემდეგ უნდა მიეღო, გრიგოლ ბაკურიანის ძესთან გაფორმებული ზავის შესაბამისად (დუნდუა, დუნდუა. 2006: 266). აღნიშნული ზავის დადება უახლესი ისტორიოგრაფიული გამოკვლევების მიხედვით 1076 წელს ხდება, ქალაქ ბანაში (მეტრეველი, სამუშია 2003: 87-93). ამდენად, თუ გიორგის მიერ კეისრობის მიღების თარიღად 1076 წელს (ან 1078 წელი, არაუგვიანეს 1081 წლისა) განვსაზღვრავთ, უფრო ადვილდება მისი სევასტოსობის მიღების ქრონოლოგიური ჩარჩოს დადგენა. აღნიშნული ნიანია ქვაბულისძის მიერ ნოველისიმოსის პატივის მიღების თანადროული მოვლენა უნდა იყოს, რასაც პარალელურად მოჰყვა გიორგის აღზევა სევასტოსად. ჩვენი აზრით, ნიანის ნოველისიმოსობა ქუთაისის აღების შემდეგ (1073 წელი) უნდა მიეღო.

<sup>29</sup> ქრონიკები, გვ. 232; ქსა. H კოლექცია. ტომი III. შედგენილი ქრ. შარაშიძის მიერ. თბ. 1948, გვ. 306.

თურქობის“ შესაჩერებლად და სელჩუკებთან ზავის დასადებად. აქედან გამომდინარე, სევასტოსის ტიტულის მიღება ჰიპოთეტურად 1083 წლით უნდა განისაზღვროს.<sup>30</sup> ამავე ტიტულს ატარებს ის 1089 წელს, როდესაც ხდება მისი პირველი გამოსვების მონეტების მოჭრა. აქვე იხილეთ ამ ტიპის მონეტების აღწერილობა:

*„შუბლი – წერტილოვანი რკალში ჩასმული ვლავერნის ღვთისმშობლის გამოსახულება წელზევით, თავზე შარავანდით. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ უნდა იყოს შემოკლებული ბერძნული ლეგენდა, რომელიც ასე იშიფრება: მეტერ თეუ, ანუ დედა ღვთისა.*

*ზურგი – მონეტები დაზიანებულია, წრიული, ქართული ასომთავრული წარწერიდან იკითხება მხოლოდ ნაწილი: ე/დ/თ აფხ/. ცენტრის ლეგენდიდან – და სევასტოსი. რეკონსტრუქციის შემდეგ მივიღებთ: ქე-ადე-დთ-აფხ-თ-მეფე, ქრისტე ადიდე დავით აფხაზთა მეფე და – სევასტოსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 194-195).*

ამდენად, დავითი XI საუკუნის 80-იან წლებში სევასტოსის ტიტულს ატარებს, ხოლო თუ ზემოსხენებულ ჰიპოთეზას გავიზიარებთ, აღნიშნული პატივი მას 1083 წელს მიუღია. 1089 წლის სამონეტო ემისიის მიხედვით, დავითი იმავე ტიტულს ატარებს, ხოლო მოგვიანებით, სავარაუდოდ, მონეტაზე<sup>31</sup> და დანამდვილებით მისი და გიორგი მეფის მოსხენიებით შექმნილ ერთ-ერთ ანდერძ-მინაწერში ის პანიპერ-სევასტოსად იწოდება.<sup>32</sup>

საინტერესოა, თუ როდის მიიღო დავითმა პანიპერსევასტოსობა?! აღნიშნული ჩვენ დაგვეხმარება გავერკვეთ იმაში, თუ როდის დათმო მან სევასტოსობა შედარებით უფრო მაღალი სენატორული ტიტულის – პანიპერსევასტოსის – სასარგებლოდ. ჩვენი ვარაუდით, დავითს პანიპერსევასტოსობა 1094 წელს უნდა

<sup>30</sup> სილოგავა 2004: 251-252. ვალერი სილოგავა დავითის პირველი ემისიის მონეტებს მისი თანამოსაყდრეობის ხანით 1083/5-1089 წლებით ათარიღებს, რაც არ არის გაზიარებული ნუმიზმატიკის დარგის სპეციალისტების მიერ, მათი უმრავლესობა ამ მონეტებს 1089 წლის მომდევნო პერიოდით ათარიღებენ, იხ.: დუნდუა, დუნდუა: 195; კაპანაძე 1969: 65-68; Dundua 2000: 390-391; Lang 1959: 143-145.

<sup>31</sup> დავითის მიერ, სავარაუდოდ, პანიპერსევასტოსის ტიტულით მოჭრილი მონეტების შესახებ იხ.: Lang 1959: 144. დევიდ მარშალ ლენგის ამ მოსაზრების საწინააღმდეგო თვალსაზრისისათვის, იხ.: დუნდუა, დუნდუა 2006: 195.

<sup>32</sup> ჟორდანიას 2004: 236. თედო ჟორდანიას თვლის, რომ ანდერძი, დავითი პანიპერსევასტოსად იხსენიება, შედგენილია 1089-1091 წლებში, თუმცა საამისო მყარი არგუმენტები მას არ მოაქვს. ამდენად, ჟორდანიასეულ დათარიღებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ.

მიელო,<sup>33</sup> ანუ მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დაამარცხა და პატივი აჰყარა ლიპარიტ V ბაღვაშს. ორწლიანი პატიმრობის შემდეგ 1096 წელს ლიპარიტი ბიზანტიაში გაასახლეს, სადაც მოგვიანებით აღესრულა.<sup>34</sup> პანიპერსევასტოსობის გაცემა, ერთი მხრივ ბაღვაშების დამარცხებით, ხოლო, მეორე მხრივ, მართა ბაგრატიონისა და მისი ვაჟის კონსტანტინე პორფიროგენეტის ტახტიდან ჩამოშორების საკომპენსაციოდ უნდა გაეკეთებინა ბიზანტიის იმპერატორ ალექსი I კომნენოსს.<sup>35</sup> ბაღვაშების დამარცხებით ბიზანტიის იმპერიამ საქართველოში ძლიერი, პოტენციური მოკავშირე დაკარგა. ვინაიდან მართას დამცრობასა და მისი ვაჟისთვის საიმპერატორო ტიტულის აყრას შეეძლო საქართველოს ხელისუფლებასთან პოლიტიკური დაპირისპირების გამოწვევა, გართულების თავიდან აცილების მიზნით, იმპერატორმა დავითს საკარისკაცო ტიტული აუმაღლა. ამან, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ურთიერთობის ნორმალიზაციას, რადგან იმავე ლიპარიტ V ბაღვაშს დავითი სწორედ ბიზანტიაში უშვებს გადასახლებაში (1096 წელი) (მეტრეველი 1986: 78; ყაუხჩიშვილი 1955: 325). აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს 1096 წლისთვის ჯერ ისევ ესაჭიროება ბიზანტიის პოლიტიკური მხარდაჭერა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსი I ტიტულატურის რეფორმაციის შემდეგ სევასტოსისა და მასზე დაფუძნებულ ტიტულებს მხოლოდ ნათესავებზე და უახლოეს პირებზე გაცემდა. დავითი ამ შემთხვევაში იმპერატორ ალექსის *de jure* დედის მართა (მარია) ბაგრატიონის ძმისშვილი იყო.<sup>36</sup> აქედან გამომდინარე, ის კომნენოსების ნათესავად ითვლებოდა და, შესაბამისად, არც არის გასაკვირი, რომ

<sup>33</sup> ზურაბ პაპასკირი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სწორედ 1094 წელს მომხდარი მართა ბაგრატიონის დამცრობა უნდა გამხდარიყო საბაბი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების უარყოფისა, რაც დავითმა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენა. იხ.: З. В. Папаскири. От Давида до Давида: Из истории международных отношений Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Тб. 2001, გვ. 104-106.

<sup>34</sup> ლიპარიტ V ბაღვაშის განდგომის და დამარცხების შესახებ იხ.: ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტომი I. რედ. ს. ყაუხჩიშვილი. თბ. 1955, გვ. 325; მეტრეველი 1986: 77-78; ბახტაძე 2003: 180-181.

<sup>35</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტისთვის საიმპერატორო პატივის ჩამორთმევის და მართა ბაგრატიონის შეთქმულებაში მონაწილეობის საბაბით, კონსტანტინოპოლიდან გასახლების შესახებ, იხილეთ შემდეგი ლიტერატურა: ი. ნოღია. მარიამ დედოფალი XI ს. მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თსუშ არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა. ტომი 183. თბ. 1978, გვ. 151; M. Mullett. The "Disgrace" of the Ex-Basilissa Maria. *Byzantinoslavica* 45. 1984, გვ. 202-211.

<sup>36</sup> მართას მიერ ალექსის *de jure* შვილად აყვანის შესახებ იხ.: მიქაბერიძე 1997: 129; ნოღია 1978: 148; ყაუხჩიშვილი 1963: 313.

მან ჯერ სევასტოსის, ხოლო შემდეგ პანიპერსევასტოსის ტიტული მიიღო. თუმცა მოგვიანებით მეფემ უარი თქვა ამ ტიტულებზე და თავი ავტოკრატორად გამოაცხადა.<sup>37</sup>

### სევასტოსის ტიტულის ფუნქცია, ფინანსური მხარე და პრივილეგიები

დავებრუნდეთ ზემოთ დასმულ დილემას – თუ რა სახით მიიღო ბაგრატ IV-მ სევასტოსის ტიტული?! დაზუსტებით ამ პრობლემის გადაჭრა რთულია, თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ მისმა ვაჟმა, გიორგიმ, ჯერ სევასტოსობა მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ კეისრობა. ეს კარგად აჩვენებს კეისრის, როგორც იმპერატორის შემდეგ მეორე პირის (სანამ სევასტოკრატოსობა იქნა შემოდებული) უპირატესობას სევასტოსთან მიმართებაში. ეს რაც შეეხება გიორგი II-ის მმართველობის პერიოდს; განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე ბაგრატის მეფობის დროს, რადგან ბაგრატს არ მიუღია კეისრის ტიტული და მან მმართველობა სევასტოსის პატივით დაასრულა.

აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის მეფობის ხანაში ქართულ მონეტებზე შენარჩუნებულია ბიზანტიური ვლადკერნის ღვთისმშობლის ტიპის მონეტების ემისია. ამ ტიპის მონეტათა გამოშვების დასასრული დავით აღმაშენებლის მონეტების მესამე ემისიის მიმოქცევაში შემოსვლას უკავშირდება. ვლადკერნის ტიპის მონეტების გაქრობა ბიზანტიის გავლენის შესუსტების ნიშანია. დავითის მესამე ემისიის მონეტათა შუბლზე საქართველოს მონარქი ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად იმოსება და ატარებს დაახლოებით იმავე საიმპერატორო რეგალიებს, რასაც თავად ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I საკუთარ საფასზე (Dundua 2000: 391; Dundua 2000 : 391; დუნდუა 2006: 195-196). ბაგრატ IV-ის მონეტაზე კი მონარქის გამოსახულებას საერთოდ ვერ ვხვდებით. ავერსზე ქართველი მონარქის ნაცვლად ვლადკერნის ღვთისმშობელია აღბეჭდილი, რომელიც, მართალია, საერთო ქრისტიანულ ხატს განასახიერებს, მაგრამ ამასთან ერთად ბიზანტიური ატრიბუციით არის წარმოდგენილი (Dundua 2000:

<sup>37</sup> დავითი თვითმპყრობლად 1104 წელს შედგენილ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში იწოდება, რაც ბუნებრივია მიუთითებს ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების ჩამოშორებაზე – ის უკვე საიმპერატორო ტიტულის მატარებელია. დავითი ავტოკრატორად იმავე წელს უნდა გამოცხადებულიყო, თუმცა ვინაიდან ეს სცილდება სტატიის ძირითად თემატიკას, ამ საკითხს მეტი სიღრმადით არ შევეხებით.



389; Пахомов 1970: 58-60).

ეს ყველაფერი კარგად უჩვენებს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთ-დამოკიდებულების ხარისხს, რომელიც ბოლომდე პარიტეტულ ურთიერთობაზე არ არის აგებული. უფრო მეტიც, განსხვავებით ბიზანტიის იმპერატორისგან, ქართველი მონარქი არ ან ვერ ათავსებს ავტოპორტრეტს საკუთარ ვალუტაზე.<sup>38</sup>

ბიზანტიაში, მისი რომაული წარსულიდან მოყოლებული, ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში არსებობდა ტრადიცია, იმპერატორთა ბიუსტის მონეტებზე გამოსახვისა. თუ ქართულ საფასზე ვლადკერნის ღვთისმშობლის გამოსახულება უბრალო კომპილაციას წარმოადგენდა, ლოგიკურია, დავსვათ კითხვა: რატომ არ გადმოიდეს ქართველებმა ბაგრატ IV-ის დროს ბიზანტიური გამოცდილება საერო ხელისუფალთა მონეტაზე გამოსახვისა?! პრობლემაც ისაა, რომ ვლადკერნის ტიპის მონეტები არ წარმოადგენდა უბრალო კომპილაციას, ეს ბიზანტიის პოლიტიკური გავლენის აშკარა დადასტურებაა. საქართველოს სუვერენიტეტის ხარისხი, მიუხედავად მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისა,<sup>39</sup> ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალი იყო იმისთვის, რომ მას კონკურენცია გაეწია ბიზანტიისთვის. ამდენად, საფიქრებელია, რომ მეფე ბაგრატმა სევასტოსობა მიიღო არა როგორც იმპერატორის ეკვივალენტი, არამედ როგორც რანგით მასზე დაბალი ტიტული.

ამგვარად, ტიტულმა სევასტოსმა 1060 წლისთვის დაკარგა თავისი საიმპერატორო პატივი და უმაღლესი რანგის საკარისკაცო ტიტულად იქცა. სევასტოსობის დაქვეითება საკარისკაცო ტიტულების გაცემის განახლებას უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც იმპერატორად კურთხევის შემდეგ კონსტანტინე X დუკამ (1059-1067) დაიწყო. ამ ღონისძიებით იმპერატორმა ადგილობრივი დიდებულების ამბიციების დაკმაყოფილება და მათი ფინანსური უზრუნველყოფა შეძლო.<sup>40</sup>

<sup>38</sup> ეს შეეხება შუა საუკუნეების ყველა ადგილობრივ სამონეტო ტიპს დავით IV აღმაშენებლის ჩვენთვის ცნობილ მესამე ემისიის მონეტებამდე (სწორედ ამ მონეტაზე დაიტანეს პირველად ქართველი მონარქის ავტოპორტრეტი), რომელიც სულ ორი ეგზემპლარის სახით არის მოღწეული. ამათგან მეორე ცალი სულ ახლახანს იქნა გამოვლენილი. იხ.: დუნდუა 2006: 194-204.

<sup>39</sup> ამას თავად ბიზანტიაშიც აღიარებენ. ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, ნიკიფორე ვრიენოსი, საქართველოს მეფეს დამოუკიდებელ მმართველს უწოდებს, იხ.: Никифор Вриений 1858: 51-52; კოპალიანი 1969: 286.

<sup>40</sup> კონსტანტინე X დუკა არ იყო პირველი ამ წამოწყებაში, მის მმართველობამდე იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი კონსტანტინე IX მონომახის დროსაც. რაც შეეხება კონსტანტინე დუკას, მის პერიოდში ყველაფერმა ამან სისტემატური სახე მიიღო და ფინანსური შემოსავლის წყაროდ იქცა.

იმპერატორის მიერ სევასტოსსა და სხვა სენატორულ ტიტულებზე გაიცემოდა ყოველწლიური წყალობა, რომელსაც ბერძნულად როგა (ρογα) ეწოდებოდა. ეს იყო ტიტულატურის გარკვეული კაპიტალიზაციის მექანიზმი, რომელსაც მუდმივად შემოჰქონდა გარკვეული შემოსავალი თითოეულ ტიტულზე. მაგალითად, ერთ-ერთ ყველაზე დაბალ სენატორულ ხინზე – პროტოსპათარზე – გათვალისწინებული იყო როგა (წყალობა, ხელფასი) 72 ნომისმის ოდენობით, სხვა თანამდებობებზე აღნიშნული თანხა უფრო მაღალი იყო (Скабаланович 1884: 161). როგას გაცემა ხდებოდა წელიწადში ერთხელ აღდგომის წინა კვირას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იმპერატორი სააღდგომოდ დელაქალაქში არ იმყოფებოდა, როგა გაიცემოდა უფრო ადრე (Скабаланович 1884: 161-162).

950 წლის 24 მარტს, ბზობის კვირას, კრემონის არქიეპისკოპოსი დაესწრო ყოველწლიური წყალობების გაცემის ოფიციალურ ცერემონიალს და მისი გარკვეული აღწერაც დაგვიტოვა. მისი თქმით, ცერემონიალი იმართებოდა დიდი სასახლის მთავარ დარბაზში, სადაც ცხრამეტი მაგიდა იყო გაშლილი ცერემონიის 228 სტუმრისთვის. მთავარი მაგიდა გაწყობილი იყო ოქროს მონეტებითა და ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილებით, რის შემდეგაც სენატორები რიგ-რიგობით იღებდნენ მათთვის კუთვნილ ყოველწლიურ როგას (Oikonomides 1997: 200-201). სენატორებზე და მთლიანად ბიუროკრატიაზე გაცემული თანხები უზარმაზარი იყო. იმპერატორ თეოფილეს დროს (842 წელი) ბიუროკრატის სახელფასო ფონდი იმპერიის მთლიანი დანახარჯების 16-17%-ს შეადგენდა, რაც საერთო ჯამში დაახ. ნახევარ მილიონ ნომისმას შეადგენდა. კონსტანტინე VII პორფიროგენეტის დროს ეს იყო 15% – 600 000 ნომისმა, ხოლო ბასილ II დიდის დროს (1025 წლისთვის) 13,5% – 800 000 ნომისმას უდრიდა. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მთლიანი ხარჯები 5 895 000 ნომისმას შეადგენდა, ხოლო სრული რეზერვები 14 400 000 ნომისმას უტოლდებოდა (Treadgold 1997: 575-577). ეს ყველაფერი უორენ ტრედგოლდის გათვლით, იმპერატორ ბასილს საშუალებას აძლევდა შეენახა დაახ. 250 000 კაციანი არმია (Treadgold 1995: 84-85).

---

სენატორული ტიტულების გაყიდვა თვით სავაჭრო გილდიის წევრებზეც კი დაიწყო, რამაც ძველი ტიტულები, ფაქტობრივად გააუფასურა. მიხაელ ფსელოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, კონსტანტინე დუკამ, თითქმის, მოსპო ტრადიციული განსხვავება სენატორსა და უბრალო მოქალაქეს შორის, რისი შედეგიც, მიხაელ ანგოლდის შეფასებით, იმპერატორის ავტორიტეტის შესუსტება და დელაქალაქზე კონტროლის დაცემა გახდა. იხ.: Angold 1997: 95-96.

კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) დროს ბიუროკრატიის ხარჯები მისი წინამორბედისგან (ისაკ I კომნენოსი) განსხვავებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. იმპერატორი ხედავდა რა, თუ როგორ გაანაწილებდა ისაკ კომნენოსის რეფორმებმა, რომელიც ბიუჯეტის გაზრდაზე იყო ორიენტირებული, კონსტანტინოპოლის არისტოკრატია, მათი გულის მოგებას შეეცადა. ამის შედეგად, გაიბერა ბიუროკრატიის ხარჯები, აღდგა ძველი ტიტულები, მათ მფლობელებს კი განუახლდათ და გაეზარდა, ხელფასები (Treadgold 1997: 600). დაახლოებით მსგავსს მოვლენებს ჰქონდა ადგილი კონსტანტინე IX მონომახის (1042-1055 წწ.) დროსაც. იმპერიას ესაჭიროებოდა ფინანსები. თანამდებობებით ვაჭრობის გარდა, ცვლილებები შეეხო არმიასაც. აქედან გამომდინარე, კონსტანტინე მონომახმა მთლიანად დაშალა ე.წ. იბერიის თემის 50 000 კაციანი არმია (Treadgold 1995: 81-83)<sup>41</sup> და ისინი რეგულარული სამხედრო შენაერთებიდან გადასახადის გადამხდელ მოქალაქეებად გადააქცია. ეს მნიშვნელოვანი დარტყმა იყო მცირე აზიის ბიზანტიური სამფლობელოებისათვის. მათ მაგიერ ხელისუფლებამ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის რაზმების მოწვევა დაიწყო (Treadgold 1995: 81-83; Vriouhis 1971: 74-75).

აღმოსავლეთში ახალი სახის თავდაცვის სისტემის საჭიროება გაჩნდა. დაქირავებულებს იმპერია უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში იყენებდა. ბაგრატზე 1060 წელს სევასტოსის ტიტულის გაცემა და გარკვეული სამხედრო ფუნქციის დელეგირება,<sup>42</sup> ასევე კახეთ-ჰერეთის დიდი ნაწილის შემოერთება ყოველივე ამის ლოგიკური გაგრძელებაა.<sup>43</sup> ბიზანტიისთვის „იბერიული არმიის“ დაშლის პირობებში საქართველოს მოკავშირეობა აღმოსავლეთში სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო. სევასტოსობის სახით განხორციელებული გარკვეული ფინანსური ღონისძიებები იმპერიის პოლიტიკას პასუხობდა. ბაგრატის სევასტოსობა ბიზანტიას გაცილებით იაფი უჯდებოდა, ვიდრე 50 000-იანი არმიის სახელმწიფოს

<sup>41</sup> იბერიის თემი აერთიანებდა არა მხოლოდ დავით III კურაპალატის სამფლობელოებს, არამედ სომხურ და მთელ რიგ ელინიზირებულ თემებსაც, იხ.: W. Treadgold, *Byzantium and Its Army*, გვ. 81-83.

<sup>42</sup> ალექსანდრე კაჟდანის შენიშვნით, პროტონოველისიმოსი და ნოველისიმოსის ტიტულები მხოლოდ მაღალი რანგის მთავარსარდლებს ეძლეოდათ ბიზანტიაში, აქვე უნდა აღნიშნოს ისიც, რომ ალექსი კომნენოსმა სევასტოსის ტიტული ნოველისიმოსობის შემდეგ, სწორედ სამხედრო სამსახურში ყოფნისთვის მიიღო, იხ.: Каждан 1974: 106; Любарский 1965: 74.

<sup>43</sup> კახეთ-ჰერეთის შემოერთების პროცესი თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ჩაშალა იხ.: ყაუხჩიშვილი 1955: 306-309; ჯავახიშვილი 1965: 150-151.

კმაყოფაზე ყოფნა.

ამდენად, სევასტოსობა ქართველ მეფეებს ეძლეოდათ არა, როგორც საიმპერატორო პატივი, არამედ როგორც საიმპერიო საკარისკაცო ტიტული. უმაღლესი სამხედრო ფუნქციის გარდა, ის თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილს იკავებდა (კეისრის შემდეგ) ბიზანტიის სენატში. სევასტოსობა უმაღლესი რიგის სენატორულ ტიტულებში ერთიანდება როგორც ალექსი კომნენოსამდე, ასევე მისი მმართველობის პერიოდში. მხოლოდ ალექსის შემდეგ (1118 წლიდან) კარგავს იგი ძველ დიდებას და მეორე რიგის ტიტულებში გადაინაცვლებს (Скабаланович 1886: 162). ქალების შემთხვევაში უმაღლეს ტიტულად იმპერატორის კარზე სევასტე მიიხნეოდა (Скабаланович 1886: 162). აღნიშნული პატივი ალანთა მეფის ქალიშვილს გადაეცა, რომელსაც ის ატარებდა დაახ. 1050-1055 წლებში.

სენატის სხვა წევრების მსგავსად სევასტოსები ბიზანტიის იმპერატორისგან მნიშვნელოვან ფინანსურ დოტაციას იღებდნენ, რაც მათ ვალდებულებას ზრდიდა „უნივერსალური სამყაროს“ იმპერატორის წინაშე. სევასტოსის ტიტულით იწოდებოდა საქართველოს სამი მონარქი:

1. ბაგრატ IV 1060-1072 წლებში.
2. გიორგი II 1073-1076 წლებში.
3. დავით IV 1083-1094 წლებში.

## თავი V

### კეისრის ტიტული ქართულ პოლიტიკურ რეალობაში

ლათინური ტიტული “Caesar”-ი (ბერძნულად – Καίσαρ) საქართველოში სიტყვა „კეისარი“-ს ფორმით დამკვიდრდა, რომელიც ყოველთვის იმპერატორის აღსანიშნავად იხმარებოდა, ხოლო ამავე ტიტულიდან ნაწარმოები ტერმინი „კესაროსი“ ბიზანტიურ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულს აღნიშნავდა. ვინაიდან საქართველოში თავდაპირველად დამკვიდრდა ტერმინი „კეისარი“, ჩვენც ნაშრომში ძირითადად ამ უკანასკნელს გამოვიყენებთ.

თავიდანვე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ „კეისარი“ და „კესაროსი“ ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ორ დამოუკიდებელ ცნებად დამკვიდრდა. ეს მაშინ, როდესაც თავად რომის/ბიზანტიის იმპერიაში ის ყოველთვის ერთი ტერმინი იყო. ამრიგად, კეისრის ტიტული, რომაულ სამყაროში ჩნდება, ხოლო მისი საქართველოში გაჩენა გარკვეულ პოლიტიკურ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული, რაც უდავოდ მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და საქართველოში არსებული ინსტიტუციების შესასწავლად.

#### კეისარი რომის/ბიზანტიის იმპერიაში

ტიტული „კეისარი“ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ცნობილმა რომაელმა სახელმწიფო მოღვაწემ, გაიუს იულიუს კეისარმა (ძვ. წ. 100-44 წწ.), ეს კოგნომენი საკუთარ საგვარეულო სახელად მყარად დაამკვიდრა. პლინიუს უფროსის ცნობით, კოგნომენი „კეისარი“ წარმოდგება იულიუს კეისრის წინაპრისგან, რომელიც საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადა, რამაც საფუძველი დაუდო მის ზედწოდებასა და ზოგადად ტერმინ „კეისარს“ (წარმოდგება ლათინური ზმნის caedere, caes-ისგან, რაც აღნიშნავს კვეთას) (Rackham 1942: 537). არსებობს სხვა ვერსიებიც აღნიშნული ტერმინის წარმოშობის შესახებ, თუმცა ყველაზე რეალური სწორედ ეს უკანასკნელია.

კეისრებად თავიდან მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ. კეისარი გაიუს იულიუს კეისრის კოგნომენი იყო, რომელიც მემკვიდრეობით მისმა შვილობილმა და

მემკვიდრემ, გაიუს იულიუს კეისარ ავგუსტუსმა, იგივე ოქტავიანემ, მიიღო (Cambridge Ancient History..., 1992; Cambridge Ancient History..., 1996; Cambridge Ancient History..., 2006; Braund 1985).

ოქტავიანეს შემდეგ ორივე ტიტულს, ავგუსტუსსა და კეისარს, ატარებდა იულიუს-კლავდიუსების ოჯახის რომის ყველა იმპერატორი ნერონის (54-68 წწ.) ჩათვლით (Braund 1985: 24-31, 44-46, 78, 81, 171-173). ნერონის შემდეგ კეისრის ტიტული იმპერატორის, ანუ ავგუსტუსის პარალელურად იმპერიის ტახტის მემკვიდრეებს ეძლეოდათ. მას შემდეგ კეისარი ოფიციალურ ტიტულად გადაიქცა, რომელიც, ტრადიციულად, ტახტის მემკვიდრეების პრივილეგია გახდა (Mattingly, Sydenham 1936: 314-323).<sup>44</sup>

იმპერატორები ხშირ შემთხვევაში ტახტზე ასვლისთანავე ანიჭებდნენ მათ მიერ არჩეულ მემკვიდრეებს აღნიშნულ ტიტულს, რითაც მემკვიდრეობის ლეგიტიმაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტას ცდილობდნენ (Mitthof 1993: 97). საბოლოოდ, რომის იმპერიაში კეისრის ტიტულის მფლობელი ორი პიროვნება იყო: ავგუსტუსი, რომელიც იწოდებოდა იმპერატორ-კეისრად და მისი მემკვიდრე, რომელიც ატარებდა ნობელისიმუს-კეისრის ტიტულს (Seaby 1982: 1).

სიტუაცია ოდნავ შეიცვალა იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305 წწ.) მმართველობის შემდეგ, როდესაც კეისრის საიმპერიო პატივი ავგუსტუსის უმცროსი თანამმართველის რანგში იქნა აყვანილი. ცოტა ხანში ორი ასეთი კეისარი ჩნდება ორი ავგუსტუსის, ანუ იმპერატორის პარალელურად (Leadbetter 2009: 48).

დიოკლეტიანე იმპერატორმა რომის იმპერია, ფაქტობრივად, ორად გაყო: დიდწილად ელინიზირებული აღმოსავლეთის მმართველობა თავად ჩაიბარა, ხოლო ლათინური დასავლეთი თავის შვილობილსა და მემკვიდრეს, მაქსიმიანეს, ჩააბარა. (Treadgold 1997: 14). სულ მალე მაქსიმიანეს სტატუსი კიდევ უფრო ამაღლდა და მას იმპერიის უმაღლესი პატივი, ავგუსტუსობა, გადაეცა. ამიერიდან იმპერიაში ორი თანასწორუფლებიანი ავგუსტუსი იყო. ფორმალურად დიოკლეტიანე ინარჩუნებდა იმპერიაში პირველობას, თუმცა რეალურად ერთიან იმპერიაში ორი

<sup>44</sup> ასე მაგალითად, პუბლიუს სეპტიმუს გეტა მხოლოდ კეისრად იწოდება, ხოლო მას მერე, რაც 209 წელს თანაიმპერატორად გამოაცხადეს, ის უკვე ავგუსტუსია, იხ.: Mattingly 1936: 314-323.

ადმინისტრაციული სისტემა მოქმედებდა, რომელსაც ორი სხვადასხვა იმპერატორი ედგა სათავეში. ორივე ავგუსტუსმა თანამმართველად ორი კეისარი აიყვანა: დიოკლეტიანემ – გალერიუსი, ხოლო მაქსიმიანემ – კონსტანტიუს ხლორუსი (Treadgold 1997: 14).

ამგვარად, იმპერიაში ოთხთა მმართველობა, ანუ ტეტრარხია დამყარდა. ეს ყველაფერი 293 წელს მოხდა ორი იმპერატორის შეთანხმებული გადაწყვეტილებით. 305 წელს იმპერატორები ასევე შეთანხმებულად გადადგნენ, რითიც მათი ადგილი კეისრებმა, გალერიუსმა და კონსტანტიუს ხლორუსმა, დაიკავეს (Leadbetter 2009: 2). ახლა უკვე ამ უკანასკნელებმა აიყვანეს თანამმართველად თავ-თავიანთი კეისრები. ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ იმპერატორმა კონსტანტინე I დიდმა ბოლო არ მოუღო დიოკლეტიანეს პერიოდში დაწესებულ ტეტრარხიას (Cambridge Ancient History ..., 2006: 90 ; Jones ...1-2 1964).

კონსტანტინე I დიდმა უარი თქვა სხვასთან გაეყო თავისი ძალაუფლება, ამდენად, კეისარებმა დაკარგეს იმპერატორობის პატივი. სამაგიეროდ, ისინი ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ და მნიშვნელობით იმპერატორის შემდეგ ყველაზე დაწინაურებულ არისტოკრატებად ითვლებოდნენ ქვეყანაში. უფრო მეტიც, კეისრის ტიტულის მქონე მამაკაცი ითვლებოდა იმპერიის ტახტის მემკვიდრედ, ოღონდ იმპერატორობის პატივის გარეშე.

ბიზანტიის იმპერიაში კეისრის ტიტული ნაკლებად გაიცემოდა. თეოდოსი I დიდის (378-395 წწ.) მმართველობიდან მოყოლებული პრაქტიკაში იმპერატორის მიერ საკუთარი შვილების თანაიმპერატორად გამოცხადება დამკვიდრდა, ამდენად, კეისრის ტიტულის იშვიათი გაცემა არ უნდა გაგვიკვირდეს (Bury 1911: 36).

იმპერატორმა ლეონ I-მა 473 წელს ეს ტიტული გადასცა თავის მემკვიდრესა და შვილიშვილს, ლეონ II-ს, რომელიც მოგვიანებით იმპერატორი გახდა, ოღონდ მცირე ხნით. იუსტინე II-მ (565-578 წწ.) კეისრის ტიტული თავის მომავალ მემკვიდრეს ტიბერიუსს, გადასცა, რომელმაც ეს ტიტული 574 წელს მიიღო. ოთხი წლის შემდეგ ტიბერიუს II (578-582 წწ.) ბიზანტიის იმპერატორი ხდება (Treadgold 1997: 223-225). 582 წლისთვის მან კეისრის რანგში ორი ბიზანტიელი არისტოკრატი, მავრიკე და გერმანიუსი, აიყვანა, თითოეულ მათგანს ცოლად იმპერატორის

ქალიშვილები შერთეს. ტიბერიუსს ჩაფიქრებული ჰქონდა იმპერიის ორად გაყოფა, როგორც ეს 395 წელს გააკეთა იმპერატორმა თეოდოსიმ, თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრა და მემკვიდრედ მხოლოდ მავრიკე გამოაცხადა. ამდენად, მომავალი იმპერატორი კეისრის ტიტულის მქონე მავრიკე გახდა (Treadgold 1997: 226-227). კეისრის ტიტულს დაეუფლა მავრიკეს უფროსი ვაჟი და მემკვიდრე თეოდოსიც, მოგვიანებით ის მამის თანაიმპერატორიც გახდა (Martindale 1992: 1293), თუმცა იმპერატორობა არ დასცალდა და მამასთან და ძმებთან ერთად 602 წელს მომავალი იმპერატორის, ფოკას, ბრძანებით სიცოცხლეს გამოასალმეს (Treadgold 1997: 393-395).

მოგვიანებით კეისრის ტიტული გაიცემოდა იმპერატორის უმცროს ვაჟიშვილებზე, ასე მოხდა იმპერატორების, პერაკლესა (610-641 წწ.) და კონსტანტინე V კოპრონიმუსის (741-775), შემთხვევაში (Bury 1911: 36). იმპერატორმა თეოფილემ (829-842 წწ.) კეისრობა გადასცა თავის სიძეს, ალექსი მოსელს, თუმცა მალევე დააპატიმრა და პატივი აჰყარა შეთქმულების საბაბით (Treadgold 1997: 440-442). იმპერატორმა მიხაელ III ლოთმა (842-867 წწ.) ეს ტიტული ბიძამისს, ბარდას, გადასცა, ხოლო ნიკიფორე II ფოკამ (963-969 წწ.) მამამისს, ბარდა ფოკას (ODB 1 1991: 363; Bury 1911: 36). აქედან არცერთი გამხდარა ბიზანტიის იმპერატორი, თუმცა ყველანი ბიზანტიის იმპერატორის ოჯახის ახლო წევრები იყვნენ. ამის შემდეგ კეისრის ტიტული მიანიჭეს მიხეილ IV პაფლაგონიელის დიშვილს, მიხაელ კალაფატს, რომელიც იმავე 1041 წელს, ბიძის გადაცვალების შემდეგ, იმპერატორი გახდა (Sewter 1966: 21-28; ODB 2 1991: 1366). 1057 წელს იგივე ტიტული შესთავაზეს ისაკ კომნენოსს, რომელიც იმპერატორ მიხაელ VI სტრატოტიკოსის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა. ისაკმა ტიტულზე უარი თქვა და მალევე წარმატებით დაიკავა დედაქალაქი, ხოლო თავად იმპერატორად ეკურთხა (Sewter 1966: VII, 19, 40). ისაკის მემკვიდრემ, კონსტანტინე X დუკამ (1059-1067 წწ.), ტახტზე ასვლისთანავე კეისრად თავისი ძმა, იოანე დუკა, დანიშნა, რომელიც ამ ტიტულით ცხოვრების ბოლომდე იწოდებოდა (Sewter 1966: VIII, 26; Dawes 1928: book II-III). თუმცა მას მერე, რაც იოანე დუკა 1074 წელს დამარცხდა როსელ ბალიოლთან ბრძოლაში და ტყვედ ჩავარდა, იძულებული გახდა, დაჰყოლოდა როსელის ბრძანებას და თავი იმპერატორად გამოაცხადა. რეალურად, კეისარი იოანე დუკა ავანტიურისტი



ნორმანი დიდებულის, როსელის, ხელში ბრმა იარაღად იქცა. როსელის დამარცხების შემდეგ იოანეს ძმიშვილმა, იმპერატორმა მიხაელ VII დუკამ (1071-1078 წწ.), ის თურქების ტყვეობიდან გამოისყიდა და პირობა დაადებინა, უარი ეთქვა იმპერატორობის პრეტენზიაზე. კეისარი იოანე დუკა ბერად აღიკვეცა (Angold 1987: 116-117). მიუხედავად იმისა, რომ იოანე ბერად იყო შემდგარი, ისტორიკოსი ანა კომნენა მას ძველი პატივით მოიხსენიებს. 1074 წლიდან იოანე რეალურად იგი აღარ ასრულებდა კეისარი მოვალეობას. ამ უფლებაში, იოანე დუკა მხოლოდ 1081 წელს აღდგა, როდესაც თავის სიძეს, ალექსი I კომნენოსს, ტახტის დაუფლებაში დაეხმარა (Angold 1987: 125-127). სწორედ 1074 წლის შემდეგ იღებს კეისრის ტიტულს საქართველოს მონარქი გიორგი II (1072-1089 წწ.), რომელიც ამ პატივში, სავარაუდოდ, იმპერატორმა მიხაელ VII დუკამ აიყვანა.

### გიორგი II ბაგრატიონი

ქართული წყაროები ტიტულ „კეისარს“ ორი მნიშვნელობით ხმარობდნენ. „კეისრად“ როგორც წესი, ბიზანტიის იმპერატორები იწოდებიან,<sup>45</sup> ხოლო მეორე ტერმინი „კესაროსი“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულის მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

საქართველოს ერთადერთი მონარქი, რომელმაც ეს ტიტული ბიზანტიის იმპერატორისგან მიიღო, იყო გიორგი II (1072-1089 წწ.). გიორგის კეისრის პატივი ბიზანტიის იმპერატორისგან დაახლოებით 1074-1081 წლებში მიენიჭა და ამავე პერიოდშია მოჭრილი მისი „კესაროსის“ ტიტულიანი მონეტებიც, რომელიც სავარაუდოდ იჭედა ქვეყნის დედაქალაქ ქუთაისში. მონეტის აღწერილობა შემდეგია:

*„შუბლი – წერტილოვან რკალში ჩასმული ვლაქერნის წმინდა ღვთისმშობლის წელზევითი გამოსახულება, თავზე შარავანდით. შარავანდის შივნივით ოთხი წერტილისგან შემდგარი სამი ვარდულია ჩასმული. გამოსახულების გვერდებზე ორმწკრივად ძლიერ დამახინჯებული ბერძნული ზედწერილი: ჰე ჰავია თეოტიკოს – წმინდა ღვთისმშობელი.*

<sup>45</sup> რიგ შემთხვევებში ქართველი მეფეებიც, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ.

ზურგი – შერწყმული წერტილოვანი რკალის შიგნით ქართული ასომთავრულით შესრულებულია ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე გიორგი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“. ცენტრში, სამსტრიქონად: „და კესაროსი“ (დუნდუა, დუნდუა 2006: 193, ტაბ. VIII, № 53) (დუნდუა, დუნდუა 2006: 193, ტაბ. VIII, № 53).

გიორგის აღნიშნული ემისია განხორციელდა მას შემდეგ, რაც მან მეფობის დასაწყისში ნოველისიმოსისა და სევასტოსის წარწერიანი მონეტები მოჭრა. ამ გამოშვების ყველა მონეტის ატრიბუცია იდენტურია, განსხვავებულია მხოლოდ ბიზანტიური საიმპერიო ტიტული, რომელიც მასზე არის დატანილი. ყველაფერი ეს იმის მანიშნებელია, რომ გიორგი ერთმანეთის მიყოლებით ატარებდა აღნიშნულ ტიტულებს. ამათგან ბოლოს სწორედ კეისარობა/კესაროსობა მიიღო, როგორც ყველაზე მაღალი რანგის საიმპერიო პატივი.

კეისარი/კესაროსის ტიტულით გიორგი ქართულ ანდერძ-მინაწერებშიც იწოდება. შემორჩენილია რამდენიმე კოლოფონი მათ შორის ორი თარიღიანია, ხოლო დამარჩენები კი უთარიღო (გიორგის სტატუსის შესახებ, იხ.: ანთელავა 1988: 97-116; სამუშია 2012 : 8-17).<sup>46</sup>

თედო ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ქრონიკების მიხედვით, გიორგი 1081 წელს უკვე კეისარი/კესაროსად იწოდება (ჟორდანიას 2004: 228-229). ეს არის ყველაზე ადრეული თარიღიანი კოლოფონი, რომელითაც ირკვევა, რომ გიორგის კეისარი/კესაროსი 1081 წლამდე გამხდარა. აღნიშნული ცნობა, თედო ჟორდანიას, ალექსანდრე ცაგარელის მიერ მოპოვებული, ტყავის ყდაში მოქცეული, მეტაფრასული კრებულის თარგმანიდან ამოუწერია. ანდერძ-მინაწერის შინაარსი საინტერესოდ გვეჩვენება:

*„ითარგმნა უაუე ესე მეტაფრასტი ქალაქსა შინა სამეუფოსა კოსტანტინეპოლსა, მონასტერსა შ(ინ)ა ყ(ოვლა)დ შუენიერისა ტრიანფლიუს დედისა დ(მრ)თისასა, უღირსისა მიერ თეოფილედსა ხუცეს მონაზონისა, მათვე ჯელითა მიერ გაინუსხა დასაბამითგან წელთა ექუსი ათას ხუთას ოთხმოც-და-მეცხრესა, ინდიქტიონსა ოთხსა ბერძნულად; მეფობასა აღმოსავლეთს გიორგი კესაროსისა,*

<sup>46</sup> გიორგი II-ის ხანის ქართველ მეფეთა პოლიტიკური სტატუსის შესახებ იხ.: ი. ანთელავა. ქართული საისტორიო მასალა გიორგი II-ის სტატუსის შესახებ. XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ. 1988, გვ. 97-116; ჯ. სამუშია. დავით აღმაშენებელი: სტატუსი 1083-1089 წლები. ჟურნ. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სპეციალური დამატება. თბ. 2012, გვ. 8-17.

ბაგრატის ძისა, რომლისა ბრძანებით ვიწყე თარგმნად წიგნთა ეკლესიურისაგან ქართულად, ხოლო საბერძნეთს დედოფლობასა მართა, მისივე გიორგის დისასა და მეფობასა ნიკიფორე ბოტინატისა და ალექსი კომნინისა, მას ჟამსა ოდეს ბაგრატის ასული მარიაჲ დედოფალი აღმოსავლეთით კონსტანტინეპოლეს შემოვიდა“ (ქორდანიას 2004: 228-229).

როგორც ვხედავთ, თარგმანი გიორგი ხუცესმონაზონს შეუსრულებია საქართველოს მეფის გიორგი მეორის, ბრძანებით, რომელიც კეისარი/კესაროსად იწოდებოდა. გიორგის ტიტულებს შორის მნიშვნელოვანია მისი აღმოსავლეთის მეფედ მოხსენიება, ამ შემთხვევაში იგი ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანული სამყაროს მმართველად მოიაზრება. ხოლო კეისარი/კესაროსის ტიტული ბუნებრივია, მისთვის იმპერატორის წყალობაა.

„ყოველი აღმოსავლეთის მეფის“ ტიტული, რომელიც ბიზანტიურ წოდებისთან ერთობლიობაში არის წარმოდგენილი დავით III კურაპალატის დროიდან მკვიდრდება ქართულ პოლიტიკურ სივრცეში (ბადრიძე 1974: 79-89; კოპალიანი 1972). ამდენად, გიორგი ხუცესმონაზონი ანდერძში სწორედ გიორგი მეორის აღმოსავლეთში მეფობასა და მის კეისრობას/კესარობას უსვამს ხაზს, რაც, ბუნებრივია, იმის მანიშნებელია, რომ 1081 წლისთვის გიორგი მეფე „ყოველისა აღმოსავლეთის კესაროსის“ ტიტულს მფლობელია. მოგვიანებით, რუის-ურბნისის კრების ანდერძის მიხედვით, კი საპატიო წოდებას „ყოველისა დასავალისა“ ანუ ყოველი დასავლეთის კეისრის წოდებასაც უმატებს. თუ როდის უჩნდება, ამაზე პრეტენზია გიორგის, ეს წყაროებიდან არ ჩანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ყოველისა აღმოსავალისა და დასავალისა“ კეისრობა აქ, შესაძლოა, სრულიად საქართველოსა ან სრულიად აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროს აღნიშნავდეს, რადგან 1081 წლის ანდერძის მიხედვით, იგი მხოლოდ აღმოსავლეთის კეისარი/კესაროსია, ხოლო 1081 წლის შემდეგ, როდესაც ის პოლიტიკურ წარუმატებლობებს განიცდის, ძნელი წარმოსადგენია, რომ მას საკუთარი პრეტენზიები გაეზარდა.

აღნიშნული ანდერძ-მინაწერი ყველაზე ადრეული პერიოდით დათარიღებული ძეგლია, რომელშიც გიორგი კეისრად იწოდება. სხვა უფრო ადრეული ხანის მასალა ჩვენ ხელთ არ გვაქვს. სხვა ანდერძ-მინაწერების მიხედვით დასტურდება, რომ გიორგის კეისრის ტიტული 1085 წელს და 1089 წლის შემდეგ უტარებია.

როგორც ვარკვევთ, სევასტოსობა გიორგიმ 1073 წელს მიიღო, რაც საშუალებას იძლევა ოდნავ შევამოკლოთ კეისრობის მიღების ქრონოლოგიური ჩარჩო და ის 1074-1081 წლებს შორის განვსაზღვროთ.

ის თუ როდის მიიღო გიორგიმ კეისრის ტიტული მეტნ-ნაკლებად გარკვეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამისთვის ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა მიხაელ VII-ის იმპერატორობის დროს შეიქმნა. ბანაში ზავი დაიდო, რომლის საფუძველზეც გრიგოლ ბაკურიანის ძემ იმპერატორის ბრძანებით გიორგი მეფეს იბერიის თემის დიდი ნაწილი და აღმოსავლეთის რიგი ტერიტორიები გადასცა კარის ქვეყნის ჩათვლით. დავით აღმაშენებლის შემატყუანე წერს:

*„წარვიდა მეფე გიორგი მამულსა თვისსა ტაოს და მოვიდა ბანას; მუნ მოვიდა წინაშე მათსა ზორავარი აღმოსავალისაჲ გრიგოლ ბაკურიანის ძე, რომელსა ჰქონდეს ოლთისნი და კარნუ-ქალაქი და კარი, და დიდად იამხანაგ[ეს] და განისუენეს. და მოსცა გიორგი მეფესა კარის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანაჲ; ხოლო მეფემან დაუტევნა კარს აზნაურნი შავშნი და წარმოვიდა შინა“* (მეტრეველი 2008: 301).

წყაროში არ დასტურდება, მიიღო თუ არა გიორგიმ რაიმე ბიზანტიური ტიტული იმპერატორისგან. უფრო მეტიც, ისე ჩანს, თითქოს ოლთისის, კარის და მიმდგომი ქვეყნების გადაცემა, მხოლოდ გრიგოლ ბაკურიანის ძის ინიციატივა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გრიგოლის ეს ნაბიჯი იმპერატორის მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი, ხოლო, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის მიღებული, აღმოსავლეთში არსებული ბიზანტიური სამფლობელოების გარდა იმპერატორს გიორგი მეორისთვის კეისრის ტიტულიც უნდა ებოძებინა (დუნდუა, დუნდუა 2006: 87-93). ვინაიდან ბანაში დადებული ზავი, ბოლო გამოკვლევების მიხედვით, 1076 წელს გაფორმდა (მეტრეველი, სამუშია 2003: 87-93), გიორგის მიერ კეისრობის მიღებაც, ამავე წლით უნდა განვსაზღვროთ.

გიორგი II გახდა საქართველოში მოღვაწე პირველი და უკანასკნელი პოლიტიკური ფიგურა, რომელმაც კეისრის ოფიციალური ტიტული მიიღო ბიზანტიის იმპერატორისგან. უფრო მეტიც, მისი გარდაცვალების შემდეგ საერთოდ არ დასტურდება ბიზანტიის იმპერატორების მიერ საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების გაცემა საქართველოში მოღვაწე ფეოდალებზე. ეს უკანასკნელი იმის მანიშნებელია, რომ დავით IV აღმაშენებელმა, რომელიც 1104 წელს, უკვე

თვითმპყრობლად იხსენიებს თავს, ხელი შეუწყო მათი გაცემის შეწყვეტას საქართველოს სამეფოში. გიორგი, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელია, რომელიც ბიზანტიის იმპერიის სენატორულ პატივს ცხოვრების ბოლომდე ატარებდა. ის კეისრის საიმპერიო ტიტულით 1076-1112 წლებში იწოდებოდა (დოლიძე 1970: 125-126).

აღნიშნულს ადასტურებს 1104 წლის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მოსახსენიებელი, სადაც ის სწორედ კეისრად არის წოდებული. მოსახსენიებლის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე იკითხება:

*„კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცვეულისა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წელნი“* (დოლიძე 1970: 125).

რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერის“ მოსახსენიებლის მიხედვით, გიორგი „ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსია“. მსგავსი სახის ფორმულა პირველად გვხვდება ქართულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში, აქამდე ქართველი მეფეები „ყოვლისა აღმოსავლეთის“ მპყრობელის (იგულისხმება კურაპალატი, ნოველისიმოსი და ა.შ.) ეპითეტით მოიხსენიებდნენ თავს. ამ ფორმულას არ ვხვდებით არც გიორგის მიერ გაცემულ სიგელზე, რომელიც მეფობის დასაწყისშია შედგენილი (ენუქიძემ, სილოგავამ, შოშიაშვილი 1984: 46-49). როგორც აღვნიშნეთ, გიორგი კეისრად იხსენიება მის დროს მოჭრილ ვერცხლის საფასზეც. მონეტის ავერსზე ვლადიმერის ღვთისმშობელია გამოსახული. ეს არის ამ ტიპის მონეტების ერთ-ერთი ბოლო ემისია.

### **კეისრის ტიტული გიორგი II ბაგრატიონის დროის ბიზანტიაში**

გიორგი II-ის გარდა, მისივე სიცოცხლეში კეისრის ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის სხვა წარჩინებულებიც. მაგალითად, კეისარი იოანე დუკა, იმპერატორ მისაელ VII დუკას ბიძა (Dawes 1928: I, XII, 31), ასევე ნიკიფორე მელისენე, რომელმაც ეს ტიტული ალექსი I კომნენოსის ტახტზე ასვლის შემდეგ, 1081 წელს, მიიღო (Dawes 1928: II, VIII, 62). ალექსი I კომნენოსმა ნიკიფორე მელისენეს, რომელიც ნიკიფორე ბოტანიატეს წინააღმდეგ აჯანყდა, მშვიდობის სანაცვლოდ

კეისარი ტიტული და ტერიტორია შესთავაზა თესალიაში (Dawes 1928: II, VIII, 62).<sup>47</sup> კეისრის ტიტულს ატარებდა, ასევე, ანა კომნენას ქმარი, ნიკიფორე ვრიენოსი (Dawes 1928: pref. 2-3).

კეისრის ტიტული იოანე დუკას შემდეგ ნიკიფორე მელისენეს უნდა მიეღო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – ნიკიფორე ვრიენოსს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ტიტულით იოანე დუკა მისი ბერად აღკვეცის შემდეგაც იხსენიება. 1081 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ალექსი კომნენოსი ღიად იწყებს მოქმედებას ხელისუფლების უზურპაციის მიზნით იოანე კეისრად იხსენიება. ამ შემთხვევაში იოანე დუკა ალექსის ერთ-ერთი უმთავრესი მოკავშირი იყო, რომლსაც მაინცდამაინც დიდი კმაყოფილება არ გამოუხატავს სიძის ამ წამოწყების მიმართ, ანა კომნენა წერს:

*„ის (ალექსი I კომნენოსი – ლ. თ.) გაემართა კეისარის (იოანე დუკა – ლ. თ.) კარავში გამთენიისას და უამბო მას თავისი განზრახვის შესახებ და სთხოვა გაპყლოდა მას დაცული კედლებისა და მათი მცველების (რომლებიც შერჩეულნი იყვნენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებისგან) დასაზვერად, ასევე იძის განსასაზღვრად, თუ როგორ შეძლებდნენ ისინი ქალაქის დაუფლებას. კეისარი შეაშფოთა ამ შემოთავაზებამ, რადგან მას ის-ის იყო დაედო აღთქმა მონასტრული ცხოვრების წესის შესახებ და, ბუნებრივია, უარს ამბობდა მისულიყო კედლებთან ახლოს, რათა არ გამხდარიყო საგუშავგოებთან და კედლებთან მდგარი ხალხის დასაცინი“ (Dawes 1928: II, VIII, 62).*

მოგვიანებით ირკვევა, რომ ალექსი კომნენოსს იოანე მცველების მოსყიდვის მიზნით უნდოდა გამოეყენებინა, ხოლო იოანე დუკა მას შემდეგ ივიწყებს თავის სასულიერო ცხოვრებას, რაც საკუთარი ოჯახის ინტერესებს საფრთხე ემუქრება (Angold 1987: 127).

საბოლოოდ, ალექს კომნენოსი იკავებს კონსტანტინოპოლს და იმპერატორი ხდება, ხოლო ირინა დუკაინა, იოანე დუკას შვილიშვილი, ინარჩუნებს დედოფლობას და კანონიერი ქმრის გვერდით იკავებს ადგილს (Angold 1987: 126-127).

<sup>47</sup> Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 62. ალექსიმ, როდესაც ნიკიფორე მელისენოსს შესთავაზა კეისაროსობა, იოანე დუკა მისი სურვილისამებრ ბერად იყო აღკვეცილი და სამონასტრო ცხოვრებას მისდევდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ისტორიკოსი ანა კომნენა მას, მაინც კეისაროსად მოიხსენიებს (იხ.: Anna Comnena. The Alexiad, book II, VIII, გვ. 63).

მიუხედავად იმისა, რომ იოანე დუკა ბერად არის შემდგარი 1081 წლის მარტისთვის, ანა კომნენას „ალექსიადაში“ მაინც კეისრის პატივით იხსენიება. უნდა ვიფიქროთ, რომ ფორმალურად იოანე ინარჩუნებს ამ ტიტულს, თუმცა ირინას გადედოფლების შემდეგ კვლავ ჩამოსცილდა პოლიტიკას და თავის სამფლობელოებს დაუბრუნდა თრაკიაში (Angold 1987: 127; Polemis 1985).<sup>48</sup>

ამდენად, მეფე გიორგი II ბაგრატიონის გარდა, კეისრის ტიტულს ბიზანტიაში ორი პიროვნება, იოანე დუკა, იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067 წწ.) ძმა და ნიკიფორე მელისენოსი ფლობდნენ, ხოლო ამათ შემდეგ ამავე ტიტულს იღებს კეისარ ალექსი კომნენისის სიძე – ნიკიფორე ვრიენოსი.

### ზაქარია და ივანე მხარგრძელები

კეისარი/კესაროსის ტიტულით საქართველოში მხოლოდ მეფე გიორგი II არ იხსენიება, ამავე ტიტულს, სომხური წყაროების მიხედვით, ატარებდნენ ზაქარია და ივანე მხარგრძელები. ერთ-ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი (ჰიშატაკარანი) შემდეგ ცნობას გვაწვდის:

*„სახელოვანი ერისთავთ-ერისთავი (იშხანთ-იშხანი – ლ. თ.) პატრონი ხაერასი, ძე ამირ სარგისისა... იყო დედის ძმა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა აფხაზთა კესაროსების, კეთილმსახურ, ღმრთივგანდიდებულ დიდი ზაქარიასი და ივანესი“* (აბდალაძე 2005: 56).

სომხურ ანდერძ-მინაწერში კეისარი/კესაროსის ტიტული „კესაროსაცის“ ფორმით არის დაფიქსირებული.<sup>49</sup> ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ სომხეთშიც მსგავსად ქართულისა გამოყოფდნენ ტერმინ „კესაროსს“, მისი ორიგინალი ფორმისგან – „კეისარსგან“.

ზაქარია და ივანე მხარგრძელები, როგორც ცნობილია თამარ მეფის (1184-1210 წწ.) დროს დაწინაურდნენ, ისინი ფლობდნენ სომხურ მიწებს, ასევე ტერიტორიებს ქვემო ქართლში. მხარგრძელების გაძლიერებას განსაკუთრებით ხელი მათმა სამხედრო აქტივობამ შეუწყო. ამის შედეგად, სხვადასხვა დროს ისინი ეუფლებიან ათაბაგის, ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის და

<sup>48</sup> Angold 1997: 127. ვრცლად დუკების დინასტიისა და იოანე დუკას მოღვაწეობის შესახებ იხილეთ: Polemis 1985.

<sup>49</sup> სომხურ ტექსტთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისათვის მადლობას ვუხდით ისტორიის დოქტორს ქეთევან ქუთათელაძეს.

მსახურთუხუცესის სახელოებს. ზაქარია თავის სამფლობელოებში შაჰანშაჰადაც იწოდება, რაც ხაზს უსვამს მის მიერ ქალაქ ანისისა და სომხეთის ცენტრალური პროვინციის მფლობელობას (დარჩიაშვილი 2010: 110-115, 145).<sup>50</sup> ეს სამფლობელოები ადრე სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო მოქცეული, მოგვიანებით, დიდი ბრძოლების შემდეგ, ისინი საქართველოს სამეფომ შეიერთა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები III 1979: 263-274).

ზაქარიას და ივანეს გავლენა საქართველოში მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც ისინი საქართველოს მეფის კარზე სხვა ფეოდალებზე მეტად დაწინაურდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი რჩებოდა მეფის კარზე de jure პირველ მოხელედ, რეალურად მისი ადგილი თამარის მეფობის მიწურულს მხარგრძელებმა დაიკავეს (ანთელავა 1983: 136-138).

სხვა საქმეა, რამდენად რეალურია ზაქარია და ივანე მხარგრძელების მიერ კეისარი/კესაროსის პატივის ოფიციალური მიღება. ამ ტიტულს ბიზანტიის იმპერატორი უკვე აღარ გასცემდა საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ფეოდალებზე. ერთადერთი, ვისაც შეეძლო ეს ტიტული გაეცა მხარგრძელებზე, იყო თავად საქართველოს თვითმპყრობელი.

საქართველოს მონარქი თვითმპყრობლად დავით IV აღმაშენებლის დროიდან იწოდება, ამდენად, ამ დროიდან მოყოლებული ბიზანტია წყვეტს საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების გაცემას აღმოსავლეთში. კეისრებად ამ შემთხვევაში მხარგრძელების სასარგებლოდ, საქართველოს მეფეს (თამარს ან გიორგი IV ლაშას) შეეძლო გაეცა, თუმცა შემოიღო თუ არა მეფემ საქართველოს სამეფო კარზე ეს ტიტული, საისტორიო წყაროებში არ ჩანს. არ ჩანს არც ის, თუ რა ფუნქცია-მოვალეობები უნდა ჰქონოდა დაკისრებული ამ ტიტულის მფლობელს.

ჩვენი აზრით, სომხურ წყაროებში მოხსენიებული კეისარი/კესაროსის ტიტული ზაქარიას და ივანეს საპატიო ტიტულის სახით უნდა ჰქონოდათ მიღებული, რაც არ გამოხატავდა მათ ოფიციალურ მდგომარეობას ქვეყანაში. მაგალითად, იმავე ხანაში ანგელოსების ბიზანტიაში ტიტული კეისარი კვლავ ერთ-ერთ უმაღლეს ტიტულად რჩება. ამ ტიტულს ჯერ ლათინი რანიერ-იონანე

<sup>50</sup> შანშე დარჩიაშვილის აზრით, აღნიშნული ტიტული ზაქარია მხარგრძელს ფორმალურად ჰქონდა მიღებული და ის არ ატარებდა რაიმე პოლიტიკურ დატვირთვას, იხ.: შ. დარჩიაშვილი. ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან: სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში. თბ. 2010, გვ. 145, 110-115.



მონტფერატი ფლობდა, ხოლო შემდეგ კი მისი ძმა კონრად მონტფერატი. ეს უკანასკნელი იმპერატორ ისაკ II ანგელოსის (1185-1195 წწ.) სიძე და უახლოესი თანამებრძოლი იყო და თავი ალექსი ვრანას აჯანყების ჩახშობისას გამოიჩინა (ODB I 1991: 495).

ამდენად, ზაქარია და ივანე მხარგრძელების კუთვნილი ტიტული „კესაროსი“ საპატიო ეპითეტი უნდა ყოფილიყო და არა ოფიციალური ტიტული. შესაძლოა, ეს პასაჟი სომეხი პანეგირიკის მიერ მხარგრძელების სოციალური მდგომარეობის ხაზგასმა უფრო იყო, ვიდრე რაიმე სახის ოფიციალური ტიტული. ყოველ შემთხვევისთვის, საქართველოში, ქართული წყაროების მიხედვით, ჯერ ჯერობით არ დასტურდება ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების შემოღება ადგილობრივი მმართველების მიერ.

მნიშვნელოვანია აღმოსავლური წყაროების მონაცემები საქართველოს ამირსპასალარის ტიტულთან დაკავშირებით. მაგალი თოდუას მიერ თარგმნილ სპარსულ ენაზე შესრულებულ კრებულში, რომელიც 1219 წელს არის გადაწერილი, დაცულია ინფორმაცია აფხალ ალ-დინ ბადილ ხაყან შარვანის (1120/6-1199 წწ.) (მოკლედ მის შესახებ, იხ.: ქსე XI 1987: 416) წერილებიდან. მასში საქართველოს ამირსპასალარის მიმართვის ფორმა არის წარმოდგენილი, სადაც ეს უკანასკნელი კეისარი/კესაროსად იწოდება:

*„მაღალი საკრებულოს; დიდი ამირ-სპასალარის; უდიდესი მბრძანებლის... კეისართა მძლეველის... ქრისტიანთა ლაშქრის წინამძღოლის; [ქრისტეს] მოწაფეთა გვირგვინის; ამირათა თვითმპყრობელის; აბხაზისა და შაქის ფალავნის; არმანისა და რუმის მარზბანის; ალანისა და რუსის სარდლის, უდიდესი კეისაროსის სიცოცხლე სრულქმნილი იღბლით მარადი იყოს მისი მოციქულების კრებულის სახელით“.* (თოდუა 1979: 27)

აღსანიშნავია, რომ ამირსპასალარის მიმართვის ტექსტში კეისრის ტიტული ორი განსხვავებული ფორმით არის წარმოდგენილი, დასაწყისში როგორც „აღ-კადასირა“ (მხოლ. „კადასარ“), ხოლო ბოლოში კი, როგორც „კეისარუს“.<sup>51</sup> თუ პირველ შემთხვევაში კეისრის არაბულიდან სპარსულში შესული ფორმა გვაქვს დაფიქსირებული, მეორე შემთხვევაში კეისრის ტიტულის ბერძნული ფორმით

51 სპარსულ ტექსტთან დაკავშირებით კონსულტაციისთვის მადლობას ვუხდით ფოლოლოგიის დოქტორს დარეჯან გარდავაძეს.

არაბულსა და სპარსულში შესულ ტერმინს ვაფიქსირებთ, რომელიც პირველისგან განსხვავებული მნიშვნელობით არის წარმოდგენილი. ამდენად, აღმოსავლურმა წყაროებმა ქართული წყაროების მსგავსად, ტერმინი „კეისარი“ ორ განსხვავებულ სიტყვად აქციეს. ამათგან პირველი იხმარებოდა მეფეების საპატიო ეპითეტად, ხოლო მეორე ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მნიშვნელობით.

ამრიგად, სპარსული ტექსტის მთარგმნელმა, მაგალი თოდუამ ეს ორი ტერმინი ქართულ პოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრებულ „კეისრისა“ და „კესაროსის“ ტიტულებს დაუკავშირა და შესაბამისად თარგმნა კიდევც.

მაგალი თოდუას აზრით, მის მიერ თარგმნილ ტექსტებში დაცული ეპითეტები ოფიციალური მიმართვის დროს სავალდებულო თუ არა, სასურველი მაინც იყო, რომ წარმოთქმულიყო. ამგვარად, წერილებში დაცულ ტიტულებსა თუ ეპითეტებს გარკვეული ცერემონიული დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ არა ყოველთვის ოფიციალური. მ. თოდუა წერს: *„ამ მასალის შესწავლისას მაინც სიფრთხილე გემართებს, რადგან ნაწილი ამ ტიტულთაგან შეიძლება იყოს არა ოფიციალური ტიტული (ლაყაბ), არამედ უბრალო ეპითეტი (ვასტ)“* (თოდუა 1979: 33-34).

ამგვარად, სომხური და სპარსული წყაროების შეჯერების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ კეისარი/კესაროსის ტიტული საქართველოში გამოიყენებოდა, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ის XII-XIII სს. მიჯნაზე რაიმე სახის ოფიციალური ტიტული ყოფილიყო. მხარგრძელების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ეს ტიტული მათ არაოფიციალურ ტიტულს წარმოადგენდა.<sup>52</sup>(თოდუა 1979: 82) მიუხედავად აღნიშნული ტიტულის არაოფიციალური სახისა, ამავე წყაროების მიხედვით, მხარგრძელები საქართველოს მეფის კეისარი/კესაროსებია: *„ქართველთა და ყოველთა აფხაზთა კესაროსების...“*, ხოლო საქართველოს მონარქი კი მათი უზენაესი იმპერატორი.

ამდენად, ბიზანტიის მიერ ბოძებულ კეისარი/კესაროსის ტიტულს საქართველოში მხოლოდ გიორგი II ფლობდა ვიდრე გარდაცვალებამდე – 1076/8-1112 წლებში. კეისარი/კესაროსის არაოფიციალური ტიტულით შემკობილი არიან, ასევე ძმები ზაქარია და ივანე მხარგრძელები. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ კეისრის ტიტული საქართველოში არ იხმარებოდა, როგორც საიმპერატორო

<sup>52</sup> მ. თოდუა თვლის, რომ ხაყანის ზემოთმოყვანილი მიმართვის ტექსტი, შეიძლება რომელიმე მხარგრძელს ეკუთვნობეს. იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 82.

ტიტული და, მსგავსად სევასტოსისა, წარმოდგენდა რიგით საიმპერატორო საკარისკაცო ტიტულს.

### კეისრის კურთხევის ცერემონიალი, რეგალიები და პრივილეგიები

კეისრის ტიტულის სრული სახით წარმოდგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მის ფუნქციაზე, კურთხევის ცერემონიალსა თუ რეგალიების საკითხებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა. თავიდანვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კეისრად კურთხევა იმპერატორის კურთხევის ანალოგიით ხდებოდა. მასვე გადაეცემოდა ინვესტიტურა, რაც ძალაუფლების მინიჭებას გამოხატავდა. ინვესტიტურის გადაცემა და მასთან დაკავშირებული ცერემონიალი თითქმის ყველა ბიზანტიური ტიტულის მინიჭების სარიტუალო ნაწილი იყო.

კეისრის პატივში აყვანილი იმპერატორის ოჯახის წევრის სარიტუალო ცერემონია დაწვრილებით აქვს აღწერილი იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტს ნაშრომში „ცერემონიების შესახებ“ (De Cerimoniis Aulea Byzantinae), სადაც აღნიშნულ ცერემონიას და მასთან დაკავშირებულ წესებს ცალკე თავი აქვს მიძღვნილი (Reiske 1929: I, 43, 217-222; Bury 1907: 209-227; Bury 1907<sup>2</sup>: 417-439). იმავე კონსტანტინეს ტექსტში მოყვანილია ხოტბის-შესხმის მაგალითი, რომელიც კეისრად კურთხევის შემადგენელი ნაწილი იყო (Reiske 1929: I, 43, 222-223). როგორც ალექსანდრე კაუდანი აღნიშნავს, XI საუკუნემდე კეისრის ტიტული მხოლოდ იმპერატორის შვილებს ეძლეოდათ, გამონაკლის შემთხვევებად დასახელებული აქვს ბარდას არჩევა კეისრად მიხაელ III ლოთის დროს, ნიკიფორე II ფოკას მიერ მისი მამის, ბარდა ფოკას, კეისრად კურთხევა და ბულგარეთის ხანის, ტერველის, აყვანა ამავე პატივში, რაც სიგილოგრაფიული მასალებითაც დასტურდება (ODB I 1991: 363). სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, კეისრად ან შვილს აკურთხებდნენ ანდა ჯერ პოტენციური კანდიდატის შვილად აყვანა ხდებოდა, ხოლო შემდეგ კი მისი კეისრად კურთხევა. მიხაელ ფსელოსი მიხეილ IV პაფლაგონიელის (1034-1041 წწ.) მემკვიდრის შერჩევასთან დაკავშირებით გადმოგვცემს იმპერატორისა და მისი ძმის, იოანე ორფანოტროპოსის (იგივე იოანე საჭურისის) საუბარს:

*„[იოანე ორფანოტროპოსი მიმართავს იმპერატორს] ჩვენი ძმა (იმპერატორისა და იოანეს, კიდევ ერთი ძმა, სახელად ნიკიტა, რომელიც ამ დროისთვის*

გარდაცვლილია – ლ. თ.) რომ ცოცხალი ყოფილიყო, თქვენ მას მიანიჭებდით მეორე უმაღლეს ტიტულს ქვეყანაში – კეისრის სახელოს. მას მერე, რაც სიკვდილმა ის წაიყვანა ჩვენგან, აქ არის ჩვენი დისშვილი, მიხაელი (იგივე, მიხაელ V კალაფატი მომავალი იმპერატორი – ლ. თ.), რომელსაც მინდობილი აქვს შენი პირადი დაცვის ხელმძღვანელობა. რატომ არ გაეხადოთ ის კეისარი? ის უფრო გულმოდგინედ ჩადგება შენს სამსახურში ვიდრე ადრე... შენ იცი ბატონო, რომ ზოიას (დედოფალი ზოია, იმპერატორ კონსტანტინე VIII მაკედონელის უფროსი ქალიშვილი – ლ. თ.), რომელიც იმპერიის მემკვიდრეობას ფლობს, მთელი ერი უდიდეს თაყვანს სცემს იმიტომ, რომ ის არის ქალი და ტახტის მემკვიდრე. უფრო მეტიც, იყო რა ძალიან გულუხვი ფულის გაცემაში, მან (ზოიამ – ლ. თ.) ბოლომდე მოიგო ხალხის გულები. შესაბამისად, მე გირჩევ, რომ ჩვენ სწორედ იგი უნდა გაეხადოთ ჩვენი დისწულის დედად. თუ ის (ზოია – ლ. თ.) აიყვანს მას (მიხაელ კალაფატს – ლ. თ.) შეილად, ეს უფრო მომგებიანი იქნება და, ამასთან, უფრო დავიყოლებთ მას (ზოიას – ლ. თ.) მისი (მიხაელ კალაფატის) კეისრის ტიტულსა და პატივში აღზევებაზე“ (Sewter 1966: IV, 22).

პასაჟი საინტერესოა, ვინაიდან უჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო დაბალი წარმოშობის მქონე მიხაელ კალაფატის (Каждан 1974: 37, 61) აღზევება კეისრის რანგში, რაც მას გზას უხსნიდა, გამხდარიყო ბიზანტიის იმპერატორი. საბოლოოდ, დედოფალმა ზოიამ შეილად აიყვანა მიხაელი კალაფატი, რომელსაც იმთავითვე კეისრის პატივი მიუბოძეს, ხოლო ბიძის გარდაცვალების შემდეგ კი იმპერატორად აკურთხეს (Angold 1987: 56).

ამგვარად, საიმპერატორო ოჯახის მიერ კონკრეტული პირის შეილად აყვანა შესაძლოა კეისრად კურთხევის წინაპირობა გამხდარიყო. შეილად აყვანის გარეშე კეისრის პრეტენზიები საიმპერატორო ტახტზე მიზერული იყო (Скабланич 1884: 150). იმ შემთხვევაში, თუ კეისარი ისედაც იმპერატორის შვილი იყო, ასეთი ცერემონია, ბუნებრივია საჭირო აღარ იყო.

უშუალოდ კურთხევის ცერემონიალი კარგად აქვს აღწერილი ნიკოლაი სკაბლანოვიჩს. მისი შენიშვნით, კეისარს თავზე ადგამდნენ გვირგვინს, რომელიც ავტორის აზრით, დიადემას წააგავდა (Скабланич 1884: 150). რეალურად კი ეს იყო სტეფანოსი (στέφανος), ანუ გვირგვინი, რომელსაც რკალის ფორმა აქვს, ოღონდ

შუაში მოთავსებული ჯვრის გარეშე (Bury 1907: 22; Oikonomides 1972: 98-99; ჯავახიშვილი 1962: 31). გვირგვინით შემკობის გარდა, კეისრის პატივსაცემად აწყობდნენ საიმპერატორო პალატას, სადაც განლაგებული იყო საპატიო ყარაული (Скабаланович 1884: 150). ამის შემდეგ ინიშნებოდა კურთხევის დღე, რომელიც სრულდებოდა ეკლესიაში. აქ იმპერატორის ოჯახის წევრებთან ერთად თავს იყრიდნენ სამღვდულოება და სენატის წარმომადგენლები (Скабаланович 1884: 149).

კეისრის ინვესტიტურას თავად იმპერატორი გადასცემდა, გვირგვინითაც სწორედ ის მოსაგდა მომავალ კეისარს (Oikonomides 1972: 96-99). ამის შემდეგ ხდებოდა მისი კურთხევა და ბოლოს კითხულობდნენ ხოტბის ტექსტს, რომელიც სპეციალურად კეისარს კურთხევისათვის იყო განკუთვნილი (Reiske 1929: 222-225). კეისრის კურთხევა მნიშვნელოვან მსგავსებას აგლენს თავად იმპერატორის კურთხევის ცერემონიალთან, ფილოთეოსის ტრაქტატში პირდაპირ არის მითითებული, რომ კეისრის პატივი თავისი დიდებით იმპერატორის შესაბამისიაო (Oikonomides 1972: 96-99). ნიკოლას ოიკონომიდისის მიერ გამოქვეყნებული სხვა ბიზანტიური ტრაქტატების მიხედვით, კეისარი ყველგან იმპერატორის შემდეგ უმაღლეს ტიტულად არის მითითებული (Oikonomides 1972: 46-47, 242-243, 262-263).

კეისრის პატივი ბიზანტიაში თავისი დირსებით მეორე იყო XI საუკუნის მიწურულამდე. ეს მდგომარეობა მხოლოდ ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) მმართველობის პირველივე წელს შეიცვალა, როდესაც ალექსიმ ახალი სევასტოკრატორის ტიტული შემოიღო და მის უფროს ძმას, ისაკ კომნენოსს უწყალობა (Dawes 1928: III, IV, 78).

ნიკოლაი სკაბალანოვიჩის შენიშვნით, კეისრის ტიტულის მფლობელი ხშირად სამპერიო ჯარების მეთაურის თანამდებობასაც ითავსებდა. ამ აზრის გასამყარებლად მკვლევარი რამდენიმე მაგალითს იშველიებს ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრებიდან (Скабаланович 1884: 150-151). ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ კეისრის ტიტული, როგორც იმპერატორის შემდეგ ყველაზე საპატიო ტიტული მთელი ბიზანტიის თანამეგობრობის მასშტაბით, იყო არა მხოლოდ ჯარის მეთაურობის მოპოვების წინაპირობა, არამედ თვით იმპერატორის უფლება-მოვალეობის შესრულების რეალურ შანსსაც იძლეოდა კეისრის ტიტულის ფლობის პერიოდშივე. კეისარი რომ იმპერატორის მოვალეობას ასრულებდნენ,

თუნდაც ამ უკანასკნელთა უმწეო მდგომარეობის (ჯანმრთელობისა თუ სხვა მიზეზების გამო) გათვალისწინებით, მრავლისმეტყველია. ხშირ შემთხვევებში იმპერიის მართვა კეისრის ტიტულით საკმაოდ წარმატებითაც ხორციელდებოდა (Treadgold 1997: 223-227).

ამგვარად, ბიზანტიის იმპერიაში კეისრის ტიტულის მფლობელს არა მხოლოდ ჯარის გაძღოლა ევალებოდა იმპერატორის ბრძანების შესაბამისად, არამედ შეეძლო აქტიური მონაწილეობა მიეღო იმპერიის მმართველობაში და საჭიროების შემთხვევაში, თავადაც ემართა აღმოსავლეთ რომის იმპერია. კეისრის თანამდებობის თვალსაზრისით მეორე პირი იყო ბიზანტიის იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანამდებობა არ გულისხმობდა კონკრეტული, გაწერილი ფუნქციის შესრულებას, რის გამოც განეკუთვნებოდა საპატიო ტიტულების კატეგორიას. მიუხედავად ამისა, კეისრის მოვალეობა და იერარქიული მდგომარეობა იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მის მფლობელს აქტიური მონაწილეობა მიეღო იმპერიის მმართველობაში, ხოლო იშვიათად იმპერატორის ფუნქციაც შეეთავსებინა.

### ტერმინი „კეისარი“ ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით

მიუხედავად იმისა, რომ კეისარი დიდი ხანია, რაც არ ყოფილა იმპერატორების ოფიციალური ტიტული ქართულ საისტორიო წყაროებში, ამ ტერმინით მაინც ბიზანტიის იმპერატორები იხსენიებიან. როგორც სიმომ ჯანაშია შენიშნავს კეისრის პატივმა საქართველოში ბოლომდე შეინარჩუნა ძველი საიმპერატორო მნიშვნელობა (საქართველოს ისტორია... I 1946: 197; ანთელავა 1988: 103). ქართულ წყაროებში ყველაფერი ეს ნათლად იკვეთება. „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში ვკითხულობთ:

*„ხოლო ამათსა მეფობასა ვესპასიანოს, პრომთა კეისარმან, წარმოტყუენა იერუსალემი“* (მეტრეველი 2008: 57).

*„ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად, რომელსა ერქუა ბაღენდუხტ. და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი ზითვად, და მისწერა მის თანა წიგნი, რომელსა წერილ იყო ესრეთ: „ორმისდისაგან, ყოველთა მეფეთა მეფისა, ვახტანგის მიმართ, ვარანხუასრო-თანგისა, ათთა მეფეთა მეფისა ახოვანისა,“ და მოუწერა მან ბრძოლად კეისრისად, რამეთუ კეისარი განსრულ იყო ბრძოლად სპარსთა“* (მეტრეველი 2008: 171).

„კეისარმან მავრიკ მოსცა ასული ცოლად ქასრეს, და მოსცა სპად მისი და წარმოვ ზავნა ჩუბინს ზედა [და] იოტა ჩუბინი სპარსეთით“ (მეტრეველი 2008: 227).

„ხოლო შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა გამოჩნდა კაცი ერთი საბერძნეთს, თვისი მავრიკ კეისრისად, სახელით ჰერაკლე. ამან მოკლა ფოკას კეისარი და დაიპყრა საბერძნეთი“ (მეტრეველი 2008: 229).

ამგვარად, როგორც ვხედავთ ქართული საისტორიო ნარატივის მიხედვით, რომის იმპერატორები დიოკლეტიანემდე (284-305 წწ.) და რომის/ბიზანტიის მმართველები დიოკლეტიანეს შემდეგ კეისრებად იწოდებიან. ეს, უპირველეს ყოვლისა ეხება „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ პირველ ორ თხზულებას. ამ თხზულებების დათარიღება ბევრ კამათს იწვევს, თუმცა როგორც ფიქრობენ, ისინი ბაგრატიონთა მმართველობის პერიოდს არ უნდა განეკუთვნებოდეს.<sup>53</sup> სწორედ ამ ნაწარმოებების მიხედვით რომის/ბიზანტიის იმპერატორი „კეისარია“, ხოლო სპარსეთის მონარქი „ყოველთა მეფეთ მეფე“. ქართლის მონარქი „ათთა მეფეთ მეფედ“ ან უბრალოდ მეფედ არის წოდებული.<sup>54</sup> კეისრის ტიტულით ბიზანტიის მმართველების გამორჩევა ხდებოდა, შესაბამისად ისინი თავიანთი ძველი ოფიციალური ტიტულით იხსენიებიან. ქართველი მონარქი არ ცდილობს მასთან თავს გატოლებას, ის თითქოს უფრო სპარსული სამყაროს ნაწილად აღიქვამს საკუთარ თავს. თუმცა ეს მხოლოდ ინსტიტუციური მხარეა. უკვე ერისმთავრობის პერიოდიდან მოყოლებული კი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს იღებს და კიდევ უფრო მეტად ახდენს ინტეგრირებას ბიზანტიის თანამეგობრობაში.

მოგვიანებით სხვა ქართულ ტექსტებში ბიზანტიის იმპერატორების ტიტული „კეისარი“ ქრება და ისინი ქართული წყაროების მიხედვით „ბერძენთა მეფეებად“ მოიხსენიებიან (ყაუხჩიშვილი 1955: 273, 282, 284, 290, 303, 307, 335; ყაუხჩიშვილი

<sup>53</sup> უკანასკნელ ხანებში გამოსული წყაროთმცოდნეობითი ხასიათის ნაშრომები „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობისა და დათარიღების შესახებ ეკუთვნის ამერიკელ მკვლევარს სტივენ რაპს. მის შრომებში ფართოდ არის გათვალისწინებული ქართული თუ უცხოური ისტორიოგრაფიის მიღწევები. ვინაიდან ჩვენი ნაშრომი წყაროების ანალიზს არ ითვალისწინებს თვალსაჩინოებისთვის დავიმოწმებთ, მხოლოდ ს. რაპის ნაშრომებს, იხ.: S. H. Rapp Jr. *Studies in medieval Georgian historiography: early texts and Eurasian contexts*. Lovanii. 2003; ასევე, მისი სადოქტორო დისერტაცია, იხ.: S. H. Rapp Jr. *Imagining History at the crossroads: Persia, Byzantium, and the architects of written Georgian past. A dissertation submitted in partial fulfillment of PhD (History) in University of Michigan*. 1997. შესაბამისი ბიბლიოგრაფია იხილეთ იქვე.

<sup>54</sup> ტიტულების: „მეფე“, „დიდი მეფე“, „მეფეთ მეფე“ შესახებ იხ.: ნ. მიწიშვილი. „მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“ (სამეფო ტიტულების გენეზისის საკითხისათვის). ქართული დიპლომატიკა: წელიწადეული. ტომი 7. თბ. 2000, გვ. 546-554; *idem*. „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი (ქართლი და ირანი V ს. მეორე ნახევარში). ქართული დიპლომატიკა: წელიწადეული. ტომი 10. თბ. 2003, გვ. 408-420.

1959: 17, 22, 42, 142. შდრ.: მეტრეველი 2008). „მეფის“ ტიტულით იხსენიება ზოგადად ყველა სუვერენი, „მეფე“ ამ შემთხვევაში ხელმწიფის ბადალი ხდება<sup>55</sup> (ყაუხნიშვილი 1959: 38, 183).

ტიტული „კეისარი“ საქართველოს მეფეზეც ფიქსირდება. ამგვარად იწოდებიან საქართველოს მონარქები იმ პანეგირიკულ ტექსტებში, რომელიც განკუთვნილია მათ განსაზღვრებად. ერთ-ერთი პირველი, ვინც კეისრად არის დასახელებული, დავით IV აღმაშენებელია (1089-1125 წწ.). რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ (1104 წელი) ხოტბის შესხმაში დავითი შემდგენაირად მოიხსენიება:

*„შენ უფროდხად ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო!*

*რომელი ეგე ჰპეროვან ხარ, ვითარცა სამყაროდ ხილულისა სოფლისა შორის...*

*განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“* (დოლიძე 1970: 124-125).

აღსანიშნავია, რომ „ძეგლისწერის“ ტექსტში წარმოდგენილია დავით აღმაშენებლის ოცდაცამეტ ტაეპად დაყოფილი საპატიო ტიტულებისა და ეპითეტების მთელი კასკადი (დოლიძე 1970: 124-125). ყველა ამ ეპითეტის წარმოთქმა სავალდებულო უნდა ყოფილიყო ოფიციალური ცერემონიების დროს და სპეციალურად იყო შედგენილი მეფის განდიდების მიზნით. ეპითეტებში მრავალი მნიშვნელოვანი პასაჟის მოძიება შეიძლება. მათ შორის, დავითი რომის პირველი იმპერატორის, ავგუსტუსის მსგავსად, ხელისუფლების განმამტკიცებლად არის დასახელებული. ავგუსტუსმა ამ შემთხვევაში თავი რომის პირველ იმპერატორად გამოაცხადა, ხოლო დავით აღმაშენებელმა საქართველოს პირველ თვითმპყრობლად. აღნიშნული მოვლენა გახდა იმის წინაპირობა, რომ ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულები საქართველოში აღარ გაიცემოდა. ამიერიდან ქართველი მეფეები უკვე საპატიო საიმპერატორო ტიტულებით იხსენიებიან. დავითის თვითმპყრობლობა ბიზანტიის იმპერატორის ოფიციალური ტიტულის ავტოკრატორის ბადალია, ხოლო კეისრის ტიტული – ერთ-ერთი საპატიო ეპითეტი.

<sup>55</sup> მაგალითისთვის საკმარისია: „მეფე რუსთა“, „დურძუკთა მეფენი“, და ა.შ. იხ.: ქართლის ცხოვრება. II, გვ. 38, 183. იმას თუ რას წარმოადგენდა ტიტული „მეფე“, შუა საუკუნეების ქართულ ცნობიერებაში, სხვა დამოუკიდებელ ნაშრომში განვიხილავთ.



ბიზანტიური საიმპერატორი ტიტულებისა თუ ეპითეტების გამოყენებას საქართველოში სწორედ დავითის დროიდან მიეცა რეგულარული ხასიათი (ენუქიძემ, სილოგავამ, შოშიაშვილი 1984: 30, 32-33, 37, 46 შდრ. 71, 77, 100, 110, 167, 181, 183).

დავით IV აღმაშენებელი თვითმპყრობლად რუის-ურბნისის კრების მოსახსენიებელში იწოდება, რომელიც „ძეგლისწერას“ ბოლოში აქვს დართული (დოლიძე 1970: 126). ხოტბის ავტორი დავითს, ავეუსტუსის მსგავსად, კეისრად ასახელებს „შენ... ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის“, რაც, ბუნებრივია, ქართველი მეფის რომის გამოჩენილი იმპერატორების თანასწორად წარმოჩენის შესანიშნავი მაგალითია.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის შემდეგ შეგვიძლია ვისაუბროთ საქართველოს პოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრებულ ახალ ტენდენციაზე, ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულების გაჩენაზე, რამაც XII საუკუნის დასაწყისამდე მოქმედი ბიზანტიური საიმპერიო საკარისკაცო ტიტულატურა ჩაანაცვლა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ტიტული „კეისარი“.

დავით აღმაშენებლის გარდა, კეისრებად იხსენიებიან თამარი და დავით სოსლანი. ეს მიმართვა ეკუთვნის მათ მეხოტბეს – იოანე შავთელს, რომელიც აღნიშნულ ტერმინს, საკუთარ პანეგირიკული შინაარსის მქონე პოემა „აბდულმესიანში“ იყენებს. იოანე შავთელი წერს:

*„ხარკე ისარი! ხარ კეისარი,*

*სიმდიდრით ღალი ჯიმშედ-მფლობელი“* (35, 1) (ლოლაშვილი 1984: 128).

აღნიშნული პასაჟი ძალიან საინტერესოა. აქ იოანე შავთელის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი მცირე კორექტირებას საჭიროებს. ტექსტში „ხარკე ისარი“, უნდა ჩასწორდეს, როგორც „ხარკე ისა[ვ]რი“. ივანე ლოლაშვილის ფიქრობს, რომ აქ ისრის ამოქმედებაზე არის საუბარი; თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, სტროფში არე-მარის, ანუ რაღაც სივრცის დახარკვაზეა აქცენტი – „განხარკე ის არი ანუ არე“. „ისარის“ ორ დამოუკიდებელ სიტყვად დაყოფა არ გაიზიარა ივანე ლოლაშვილმა (ლოლაშვილი 1984: 197). ჩვენ ვიზიარებთ ლოლაშვილის ამ უკანასკნელ მოსაზრებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ტექსტში საუბარია არა ისრის მოზიდვაზე ან ამოქმედებაზე, რაც არ შეესაბამება 35-ე სტროფის პირველი სტრიქონის კონტექსტს ისევე, როგორც ამავე სტროფის მეორე სტრიქონისას,

რომელიც პირველის ერთგვარი გაგრძელებაა, არამედ აქ საუბარია კონკრეტული ტერიტორიის დახარკვის მოწოდებაზე, კერძოდ, ისავრიის, რომელიც ტექსტის დაწერის უამს (1204-1205/7წწ.)<sup>56</sup> ქართველთაგან დამარცხებულ რუმის სასულთნოს ეკუთვნოდა და ალეგორიულად რუმის სასულთნოს მნიშვნელობით არის ნახმარი.

„აბდულმესიანის“ დაწერის უამს რომ ისავრია რუმის სულთნის სამფლობელოა, ეს თამარის მემკვიდრეობა კარგად იცის. რუქნ ად-დინის სულეიმან შაჰი (1196-1204 წწ.) თავის სასულთნოში, საიდანაც იგი ჯარს აგროვებს, ისავრია ერთ-ერთი პირველია დასახელებული. თამარის ისტორიკოსი წერს:

*„წარავლინნა (რუქნ ად-დინმა – ლ. თ.) ყოველთა საზღვართა თუხთა, და იწყო მესობოტამიას, კალონეროთ, გალატიას, დანგრას, ანკურიას, ისავრიას, კაბადუკიას, დიდსა სომხითს, ბითუნიას და საზღვართა ფეხლადონისათა, და არა დაუტევა თუნიერ დედაკაცისა სოფელთა შინა მათთა, არამედ ყოველნი აამკედრნა“* (მეტრეველი 2008: 498).

თამარის იმავე ისტორიკოსთან ისავრია სხვა ადგილზეც იხსენიება. ამჯერად ისავრია უკვე საქართველოს მეფის თვალსაწიერშია მოქცეული და ქველმოქმედების მიზნით თამარ მეფე შესაწირის სახით ადგილობრივ ეკლესიამონასტრებს დიდძალ ქონებას უგზავნის. მემკვიდრე აღნიშნავს:

*„კერძოთა თრაკისათა და კოსტანტინეპოლის მონასტრებთა, რომანას და ყოველგან, კუალად ისავრიას, კურუსეთს და ყოველთა მათ სანახებთა შავისა მთისათა და კეპრისათა, – ესე ყოველნი აღავსნა ქველისსაქმითა“* (მეტრეველი 2008: 507).

ამრიგად, როგორც საისტორიო წყაროში ვკითხულობთ, ისავრია თამარ მეფის ხანაში საქართველოს მეფის თვალსაწიერში იყო მოქცეული. რაც შეეხება თავად ისავრიის მხარეს, იქ ძველი დროიდან მოყოლებული დაუმორჩილებელი მთიელები მოსახლეობდნენ, რომლებსაც ბიზანტიელები ბარბაროსებს უწოდებდნენ. ისავრიელები ხშირად მარადიურობდნენ და არბევდნენ მიმდებარე პროვინციებს, რის გამოც ეს მხარე იმპერატორების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო.

<sup>56</sup> იოანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 106-114. პოემის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ეფუძნება დავით სოსლანის გარდაცვალების თარიღს, რომელიც 1205-1207 წწ. შორის გარდაიცვალა. იხ.: ქრონიკები, გვ. 294-296; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია. № 1-2. თბ. 1974, გვ. 150-152.

აქედან იყო წარმოშობით იმპერატორი ზენონი (474-491 წწ.), ასევე გავრცელებული ლეგენდის მიხედვით ლეონ III ისავრიელი (717-741 წწ.) (ODB II 1991: 1014).

ამგვარად, ისავრია კეისრების – ბიზანტიის იმპერატორების – სამფლობელო იყო, შესაბამისად, „ხარკე ისა[ვ]რი! ხარ კეისარი“ კეისრის, ანუ დავით სოსლანის იურიდიული უფლების აღნიშვნაა, ფლობდეს ისავრიის ტერიტორიას, როგორც კეისარი. ამის შემდეგ აქცენტი მის სიმდიდრეზეა გაკეთებული, რათა ხაზი გაესვას „კეისრის“ მატერიალურ შესაძლებლობებს.

ამ შემთხვევაში კეისრად დავით სოსლანი უნდა იყოს მოხსენიებული.<sup>57</sup> ავტორი მას მოუწოდებს ისავრიის დახარკვისკენ, რამეთუ ის კეისარია და სიმდიდრით მსგავსი ჯიმშედ სპარსეთის მეფისა. აქვე საგულისხმოა ისავრიის საკითხის შედარება ქალაქ ლიმნიას აღებასთან, რომელიც 1204 წელს დაიკავეს ქართველებმა (მეტრეველი 2008: 507; ლოლაშვილი 1984: 84-86, 128, 193-194; სტეფნაძე 2000: 155-172). ბერძნული „ლიმნია“,<sup>58</sup> რომელიც ქართულ წყაროებში გადმოცემულია როგორც „ლიმონი“ (მეტრეველი 2008: 507), შავთელთან იხსენიება „ლიმონად“ – „თვით სულ იმონა კიდე ლიმონა“ (33, 1). ქალაქის სახელის ასეთი უმნიშვნელო ცვლილება მისი რითმაში ჩასმის მცდელობით უნდა აიხსნას. ანალოგიური შეიძლება ითქვას ისავრი/ისავრიაზე.

შავთელის ნაწარმოები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პანეგირიკული ხასიათისაა და მასში თამარი და დავითი მრავალი საიმპერატორო ღირსებით არიან შემკობილნი.

### ტიტული „კეისარი“ ქართველ მეფეთა აღმოსავლურ ტიტულატურაში

საქართველოს მეფეების კეისრად მოხსენიებას აღმოსავლურ წყაროებშიც ვხვდებით. აღმოსავლური საისტორიო ნარატივი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქართული წყაროების მსგავსად „კეისარსა“ და „კესაროსს“ ორ დამოუკიდებელ

<sup>57</sup> ივანე ლოლაშვილის აზრით, კეისრად თამარი იწოდება და მისი სიმდიდრე, სპარსთა ლეგენდარული მეფე ჯიმშედის მფლობელობას არის შედარებული (ივანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 196), თუმცა 30-ე სტროფიდან მოყოლებული, თუ კონტექსტს გავეყვებით, კეისრად, დავით სოსლანი უნდა იყოს შექმნილი და არა თამარი (იხ.: ივანე შავთელი. აბდულმესიანი, გვ. 127-128)

<sup>58</sup> ბიზანტიური ქალაქი ლიმნიას შესახებ იხილეთ: A. Breyr, D. Winfield. The Byzantine monumnets and topography of the Pontus. Vol. I. DORLC. Washington. 1996, გვ. 96-99.

ტერმინად წარმოგიდგენს. ამ მასალებში ქართველი მეფეები მხოლოდ „კეისრებად“ იწოდებიან.

ქართველ მეფე კეისარად იხსენიება მაგალი თოდუა მიერ გამოქვეყნებულ სპარსული წყაროების თარგმანში, სადაც, მთარგმნელის განმარტებით, ტიტულები „კესაროსი“ და „სტეფანოსი“ ბიზანტიის იმპერატორის ბოძებულია (თოდუა 1979: 35), თუმცა თავად თარგმანში „კესაროსის“ მაგიერ „კეისარია“ დასახელებული:

*„უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა... ქრისტეს მოწაფეთა გვირგვინისა; ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მპყრობელისა; აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა; ქრისტეს სარწმუნოების მცველისა; აბხაზის, შაქის, ალანის და რუმის მეფეთა მეფისა; მესიის თანაშემწისა“ (თოდუა 1979: 5).*

თარგმანიდან ჩანს, რომ წერილის უცნობი ავტორი ხმარობს არა „კესაროსის“, არამედ „კეისრის“ ტიტულს, რომელიც ამ შემთხვევაში იმპერატორის ბადალია. რაც შეეხება „სტეფანოსს“, ის არა ტიტულის, არამედ გვირგვინის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. სტეფანოსი (στέφανος), მოთვალულ-მომარგალიტებულ, ოქროს ბრტყელი რკალის ფორმის გვირგვინს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რკალის შუა ნაწილში სტეფანოსს ჯვარი დაუმატეს, ასეთ გვირგვინს სტემა (στέμμα) ეწოდა (ჯავახიშვილი 1962: 31). ტექსტში დასახელებული „აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოზი“ სწორედ გვირგვინოსანი მეფის მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ამაზე ისიც მიანიშნებს, რომ წინა, ორ ტაეპში მონარქის გვირგვინოსნობას ესმევა ხაზი.

აღსანიშნავია, გიორგი III-ის ერთ-ერთი მონეტა, რომელიც აღმოსავლური ატრიბუციით არის შემკობილი, თუმცა გვირგვინი, რომელიც მეფეს ადგას თავზე, ბიზანტიური საიმპერატორო სტემაა (στέμμα) (დუნდუა, დუნდუა 2006: 204, ტაბ. X, №№ 68, 69) და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვირგვინის, სტეფანოსის (στέφανος), განვითარების შემდგომი საფეხურია.

ქართველ მეფეთა აღმოსავლური ტიტულატურის შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანია ხაყან შარვანის მიერ მეფეთ მეფე გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) პანეგირიკული შესხმა. ხაყანი თავის წერილში აღსართან I შარვან-შაჰისადმი აღნიშნავს, რომ ამ წელს (კონკრეტული თარიღი მითითებული არ არის)

შარვანშაჰს ღმერთმა ორი, უდიდესი ბედნიერება არგუნა: ერთი, მისი ძის დაბადება (თოდუა 1979: 25, შენ.<sup>64, 132, 56, 74</sup>), ხოლო მეორე, კი, გიორგი მეფის ვიზიტი შარვანში (თოდუა 1979: 25, შენ.<sup>64, 132, 56, 74</sup>; საქართველოს ისტორიის ნარკვევები 1979: 277).<sup>59</sup> ხაყანი გიორგი მეფეს შემდეგნაირად იხსენებს:

*„ქრისტიანთა სულთნის; სულთანთა შემწის; კეისართა წინამდგომის; ძღვეამოსილი პტოლემეოსის; ირანის მეფეთა ნათესავის; ეპისკოპოსთა დამრიგებლის; აბსოლუტური კეისრის... (ალაჰიმც გაახანგრძლივებს მის მეფობასა და დიდებას!)“* (თოდუა 1979: 25).

გიორგი აბსოლუტურ კეისრად და კეისართა წინამდგომად არის დასახელებული. ამ შემთხვევაში ქართველი მონარქი სხვა კეისრებზე უპირატესად არის მიჩნეული. მართალია, ეს მხოლოდ პანეგირიკის პოზიციანაა, რაც არ შეიძლება ასახავდეს რეალობას, თუმცა, კავკასიის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მსგავსი მიდგომა, ქართველ მეფეთა უპირატესობის შესახებ სხვა ქრისტიან მონარქთა შორის, ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული კავკასიასა და ირანში (Бунятов 1980: 139), მათ შორის, შარვანშიც. გიორგი მესამე ხაყან შარვანის სხვა წერილებშიც კეისრად არის მოსხენიებული და შექცეული. ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი ასე იკითხება:

*„საწუთროს მეფეთა მეფის და აღზევებული კეისრის, საწუთროს აღექსანდრეს (ხანგძლივს ჰყოფს ალლაჰი სიდიდეს მისი საქმისას!) ... მარად იყოს დაფრქვეული ქვეყნის მპყრობელის; საწუთროს მეფეთა მეფის; ეპოქის აგუუსტოსის; უდიდესი კეისრისა და უგანათლებულესი ჰერაკლეს; უსრულყოფილესი პტოლემეოსის; უმართლმსაჯულესი ფილიპეს; სახელმწიფოს სიდიადის; მესიის მახვილის აღზევებულ სასახლესა და ღირსეულ სამეფო კარზე და ავი თვალი [მისი] ბედნიერების სრულქმნილებას ღმერთმა აცილოს!“* (თოდუა 1979: 16).

ამდენად, ხაყან შარვანის სახით საქართველოს მეფე გიორგი მესამეს მართლაც შესანიშნავი მეხოტბე ჰყავდა. მან ქართველ მეფეთა ტრადიციული ეპითეტების გათვალისწინებით მეფე უამრავი ძვირფასი ეპითეტით შეამკო. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ეპითეტების ერთი ნაწილი დავით აღმაშენებლის

<sup>59</sup> შარვანში გიორგის ჩასვლა 1173 წელს დასტურდება, შარვანშაჰ აღსართანის დასახმარებლად დარუბანდის ამირას წინააღმდეგ. წერილში შესაძლოა ამ ვიზიტზეა საუბარი. მაგალი თოდუასთან ვხვდებით მეორე თარიღსაც – 1158 წელს, იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 25, შენ. <sup>64, 132</sup> გვ. 56, 74; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III, გვ. 277.

ხოტბაშიც არის მოხსენიებული,<sup>60</sup> რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმას, რომ მისი ავტორი ხაყან შარვანი კი არ არის, არამედ ის მხოლოდ ინტერპრეტატორია. ამ საპატო ტიტულების მინიჭება ქართველი მონაქებისთვის გარკვეული ტრადიციის შედეგად იყო დადგენილი, რაც, ბუნებრივია დროთა განმავლობაში ივსებოდა და იხვეწებოდა.

კეისრის ტიტულით კიდევ ერთ სპარსულ წყაროში თამარისა (1184-1210 წწ.) და დავით სოსლანის ძე, გიორგი IV ლაშაც (1210-1222/3 წწ.) არის შემკობილი. მაგალი თოდუას თარგმანში ვკითხულობთ:<sup>61</sup>

*„უზენაესი ბრძანება უდიდესი მეფისა; აღზევებული ხელმწიფისა; უმოწყალესი კეისრისა; სახელგანთქმული დიდგვაროვნისა; ძლევამოსილი მართლმსაჯულისა; ქვეყნიერებისა და სახელმწიფოს სიდიადისა...“* (თოდუა 1979: 5).

აღნიშნული წერილი, მ. თოდუას აზრით, რუმის სულთან ეზზ ელ-დინ ქაი ქავეუსს (1210-1219 წწ.) უნდა ეკუთნოდეს (თოდუა 1979: 32-33). ტექსტში გიორგი IV ლაშა თითქმის ყველა იმ ტიტულით არის წოდებული, რომლებსაც იგი ატარებდა ცხოვრებაში. ეს ტიტულები არ იყო უშუალოდ ერთი მონარქის პრეროგატივა და ისინი დროთა განმავლობაში ემატებოდა ხოლმე ქართველ მეფეთა საპატო ტიტულატურას. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია „ქრისტეს სარწმუნოების მცველის“, „მესიის თანაშემწის“, „აბხაზის, შაქის, აღანისა და რუსის მეფეთა მეფის“ და სხვა ტიტულებს. გიორგის კეისრად მოხსენიება ასევე ერთ-ერთი საპატო ეპითეტი უნდა ყოფილიყო, რომელიც მსგავსად სხვა ტიტულებისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, მემკვიდრეობით არის მიღებული და, გარკვეულწილად, რეალური შინაარსის მატარებელია.

<sup>60</sup> ასე მაგალითად, შედარება საქართველოს მეფისა, ალექსანდრესთან და ავგუსტუს კეისართან რუს-ურბნისის ძეგლისწერაშიც გვაქვს დაფიქსირებული (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. III. თბ. 1970, გვ. გვ. 125), ხოლო „მესიის მახვილად“ მონეტებზე დიმიტრი I იწოდება (დ. კაპანაძე. ქართული ნუმიზმატიკა. თბ. 1969, გვ. 71). ყველაფერი ეს იმას მიუთითებს, რომ ყველა ეს ეპითეტი გიორგი მესამემდეგ აქტუალური იყო.

<sup>61</sup> როგორც მაგალი თოდუა წერს, მიუხედავად აღნიშნული წერილის სათაურისა, სადაც ადრესატად მეფე დავითია დასახელებული წერილი დავით სოსლანის ძეს – გიორგი IV ლაშას უნდა ეკუთნოდესო. აღნიშნულ დასკვნამდე მკვლევარი ტექსტის ანალიზის შედეგად მივიდა. იხ.: მ. თოდუა. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III, გვ. 31-33.

## თავი VI

### საქართველოს მეფეთა საიმპერატორო ტიტულატურა

ყველა ძირითადი ბიზანტიური საიმპერიო ტიტულის განხილვის შემდეგ, რომლებიც ფიქსირდება VI-XII საუკუნეების საქართველოში, აუცილებელია შევეხეთ „ბიზანტიური თანამეგობრობის“ შემდგომი ხანის საქართველოს მეფეთა ტიტულატურასაც, რომელიც ბიზანტიის ძლიერ გავლენას განიცდის. ქართული ქვეყნების მონარქები, როგორც ცნობილია, XII საუკუნის დასაწყისამდე მხოლოდ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებს იღებდნენ. ხშირ შემთხვევაში ეს ტიტულები ბიზანტიის იმპერატორის ოჯახის წევრების ოფიციალურ ტიტულებს წარმოადგენდა, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში თავად რომის/ბიზანტიის იმპერატორის ოფიციალური ტიტული იყო. მოგვიანებით აღნიშნული ტიტულების დიდი ნაწილი ნელ-ნელა ემცრობა და ჯერ იმპერატორის ოჯახის რიგით წევრზე, ხოლო შემდეგ კი უცხო ქვეყნის მმართველებზე გაიცემა. ყველაფერი ეს კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის იერარქიულ მდგომარეობაზე მიუთითებს ბიზანტიის თანამეგობრობაში, რომლის რიგით წევრებადაც შეგვიძლია განვიხილოთ ქართული ქვეყნების მმართველებიც.

ქართული პოლიტიკური ერთეულების ბიზანტიურ თანამეგობრობაში (სხვა სიტყვებით – რომანიის ოიკუმენე) გაერთიანება რამდენიმე ნიშნით იყო განპირობებული:

- 1) რომის/ბიზანტიის იმპერატორი აღიქმებოდა პირველი მართლმორწმუნე იმპერატორის, კონსტანტინე I დიდის მემკვიდრედ.
- 2) რომის/ბიზანტიის იმპერიის მიერ ქრისტიანობის გავრცელებაში შეტანილი უდიდესი წვლილის გამო, მისი იმპერატორი ითვლებოდა ყოველი საქრისტიანოს წინამძღოლად ამქვეყნიურ სამყაროში.
- 3) საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე მეფე-მთავრები ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდნენ სხვადასხვა სახის სვირ-ნიშანსა თუ ინსიგნიას. მათ ხშირ შემთხვევაში რელიგიური, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში საერო დატვირთვა ჰქონდათ.

- 4) ბიზანტიის იმპერიის უპირობო დიდების დამადასტურებელი იყო, ასევე, ის საერთაშორისო აღიარება, რომელიც იმპერიას წლების განმავლობაში ჰქონდა სხვადასხვა ქრისტიანული თუ არაქრისტიანული კონფესიის ქვეყნების მმართველებისაგან.
- 5) ბიზანტიის პოლიტიკური ექსპანსია ორ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა. ერთი იყო ქრისტიანობის დაცვა-დამკვიდრება, ხოლო მეორე – რომის იმპერიის მემკვიდრეობის აღდგენა-შენარჩუნება. ეს ორი სტრატეგიული მიმართულება იმპერიას საშუალებას აძლევდა სათავეში მოქცეოდა ყველა იმ ქრისტიანული ქვეყნების კოალიციას, რომლებიც მიმართული იყო რიგი ქრისტიანების დასაცავად. ანალოგიურ პოლიტიკურ ღონისძიებებს ჰქონდა ადგილი იმ ქვეყნების „დასაცავად“, რომლებიც ტრადიციული, რომაული „მეგობარი მოკავშირის“ პრინციპის გათვალისწინებით ბიზანტიის იმპერიის ვასალებად აცხადებდნენ თავს.
- 6) ქართველი მეფე-მთავრები რომის/ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობის დასადასტურებლად იღებდნენ სხვადასხვა რანგის ბიზანტიურ საიმპერიო ტიტულებს, რაც განსაზღვრავდა მათ ადგილს ქრისტიანულ სამყაროში თუ, ზოგადად, ბიზანტიის თანამეგობრობაში.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში ჩვენ სწორედ ეს უკანასკნელი გვაქვს განხილული – ტიტულატურა, რომელიც ბიზანტიური პოლიტიკური გავლენის აშკარა ინდიკატორია, ხოლო კონკრეტული ტიტული კი იერარქიულობის, პოლიტიკური დამოკიდებულებისა და სოციალური მდგომარეობის მანიშნებელია ბიზანტიის თანამეგობრობაში. უფრო მეტიც, ბიზანტიური ტიტულებს მოყვებოდა ფინანსური დოტაციები, ინსიგნიები, წყალობის სიგელები, იღებოდა საქორწინო გარიგებები, იკვებოდა პოლიტიკური ალიანსები და ა.შ.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ზემოხსენებული ვითარება ხშირ შემთხვევაში მომგებიანი იყო ქართული სამეფო-სამთავროების მმართველი წრეებისათვის. ბიზანტიასთან ალიანსი ქრისტიანული მრწამსის დაცვის, იდენტობის შენარჩუნების, ტერიტორიების დაბრუნებისა და კულტურული რენესანსის საშუალებას იძლეოდა.

ყველაფერთან ერთად, ბიზანტიური საიმპერიო ტიტულების მიღება ნიშნავდა არა მხოლოდ ფორმალურ ვასალობას, არამედ ვალდებულებასაც, რაც ქართველ



მეფე-მთავრებს ბიზანტიის იმპერატორის წინაშე ჰქონდათ აღებული. შეგვიძლია გამოვყოთ ნაწილი იმ ვალდებულებებისა, რომლებიც ტიტულის ბენეფიციარს არაფორმალურად ევალებოდა, რომ შეესრულებინა:

- 1) უპირველეს ყოვლისა, ეს იყო სამხედრო ალიანსი. როგორც ზემოთ ვიხილეთ, ყველა ძირითადი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული (ნოველისიმოსი, სევასტოსი, კეისარი), ხშირად სწორედ აქტიური სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაიცემოდა.
- 2) იმპერატორის უპირობო აღიარება ყოველი საქრისტიანოს მეთაურად და ლიდერად.
- 3) ბიზანტიის მმართველი წრეების მიერ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, რაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა.
- 4) გარკვეულ შემთხვევებში ხდებოდა ხარკის გადახდა, რომელიც, როგორც წესი, ადგილობრივი მოხელეების მიერ იკრიფებოდა იმპერიის სასარგებლოდ. თუმცა, აქვე ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ამ ვალდებულებას არ ჰქონია სისტემატური სახე. ქართული სამეფო-სამთავროები ბიზანტიურ თანამეგობრობაში ყოფნის დროს იშვიათად თუ კისრულობდნენ ფინანსურ ვალდებულებას აღმოსავლეთ რომის იმპერიის წინაშე.

ბიზანტიური საიმპერიო საკარისკაცო ტიტულების მიღება ქართველი მეფე-მთავრებისა და სხვა ფეოდალებისთვის იმპერატორისთვის საკუთარი ვასალური დამოკიდებულების ჩვენება იყო. მართალია, ეს ვასალური დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არ მოიაზრებდა მოხარკეობასა და სამხედრო-სავალდებულო ბეგარას, სამაგიეროდ გულისხმობდა ბიზანტიის იმპერატორის აღიარებას სრულიად ქრისტიანული სამყაროს ლიდერად.

მსგავსი პოლიტიკური ვითარება, როდესაც რიგი ქართული სამეფო-სამთავროებისა იძულებულია აღიაროს ბიზანტიის იმპერიის ლიდერობა, გრძელდებოდა XII საუკუნის დასაწყისამდე. მხოლოდ დავით IV აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) დროს ადგილი აქვს იმ საფუძვლიან ცვლილებებს, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ბიზანტიის ფორმალურ ვასალობაზე უარის თქმა და საქართველოს მეფის მიერ საკუთარი თავის თვითმპყრობლად ანუ ბერძნული კორესპოდენციით ავტოკრატორად გამოცხადება, რაც, როგორც სწორად არის

შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, ბიზანტიის იმპერატორთან თავის გათანაბრებას გულისხმობდა. უფრო მეტიც, დავით აღმაშენებლიდან დაწყებული ქართველი მეფეები საკუთარ თავს „ყოველი აღმოსავლეთს თვითმპყრობლებად (ავტოკრატორად)“ აცხადებენ. წარწერებში ფიქსირდება „ყოველი აღმოსავლეთის იმპერატორის (ბასილევსის)“ ტიტულიც. ყველაფერ ამას ადგილი დავით IV აღმაშენებლის დროს აქვს.

რამ განაპირობა ქართველი მეფის მიერ საკუთარი თავის ავტოკრატორად და იმპერატორად გამოცხადება? საინტერესოა, ჰქონდა თუ არა მსგავს პრეცედენტს ადგილი დავითის მეფობამდე ბიზანტიის თანამეგობრობაში?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ჩვენი ნაშრომის აღნიშნულ თავში შევეცდებით.

### დავით აღმაშენებელი

დავითი მცირეწლოვნობის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ ახალშობილი იყო, ბიზანტიის იმპერატორის კეთილი ნების შესაბამისად, კურაპალატის ტიტულს იღებს. ამ ტიტულს ის 1073-1083 წლებში ატარებს. ამავე პერიოდში მიღებული სხვა ტიტულების შესახებ ინფორმაციას ჩვენ არ ვფლობთ, ამდენად აღნიშნული დათარიღება ამ ეტაპზე სრულიად საფუძვლიანი გვეჩვენება. 1083-1094 წლებში, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ის სევასტოსის ტიტულს ფლობს, ამავე ტიტულს ატარებს ის 1089 წელსაც, როდესაც გიორგი II-მ მას სამეფო გვირგვინი დაადგა თავზე და მეფედ აკურთხა. ამ უკანასკნელ მოსაზრებას სევასტოსის ტიტულით მოჭრილი მონეტები გვიდასტურებს, რომლებიც გამეფების შემდეგ არის მოჭრილი. 1094 წლიდან, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, დავითი პანიპერსევასტოსის ტიტულს იღებს. ამ ტიტულს იგი დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, 1094-1104 წლებში უნდა ატარებდეს.

1104 წელს იგი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებზე უარს ამბობს და თავს თვითმპყრობლად, ანუ ავტოკრატორად აცხადებს. დავით აღმაშენებელი უკვე ბიზანტიის იმპერატორის მსგავსად საიმპერატორო ტიტულს ატარებს. მართალია, ქართული ტიტული „თვითმპყრობელი“ ბერძნული „ავტოკრატორის“ ბადალია, მაგრამ აქ მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ დავითი პოლიტიკურად

დამოუკიდებლად, ანუ სივრცის მეთაურად მიიხნევს თავს. ის „ყოველი აღმოსავლეთის თვითმპყრობელი,“ ანუ მფლობელია – ეს პოლიტიკური შინაარსის ფორმულა პირველად შემოდის ხმარებაში და დავით აღმაშენებლის დროს მკვიდრდება. მოგვიანებით, როგორც დავინახავთ, აღნიშული ფორმულა გასცდა საქართველოს საზღვრებს და XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან სწორედ ამ ტიტულით იხსენიებიან ტრაპიზონის იმპერატორებიც. ფორმულა პირველად 1104 წელს უნდა დამკვიდრებულიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ორი სხვადასხვა წყარო შეგვიძლია მოვიშველიოთ, რომლებიც 1104 წლის ამბებთან დაკავშირებით დავით IV აღმაშენებელს თვითმპყრობელს უწოდებს.

დავით აღმაშენებლის ანონიმი მემატიანე 1104 წლის კახეთ-ჰერეთის შემოერთებასთან დაკავშირებით დავითის შესახებ აღნიშნავს:

*„ესრეთ რა თვითმპყრობლობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხვნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“* (ყაუხჩიშვილი 1955: 329; მეტრეველი 2008: 311).

ამგვარად, მემატიანეს სიტყვით, დავით აღმაშენებელმა ჰერეთი და კახეთი, როგორც თვითმპყრობელმა ისე დაიპყრო. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ 1104 წელს დავითი უკვე თვითმპყრობელია? თუ, დავითის ისტორიკოსი, მას უბრალოდ განადიდებს და ბიზანტიის ავტოკრატორებს (ანუ თვითმპყრობლებს) ადარებს?

ამ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია, კიდევ ერთი წყაროს მოხმობა, რომელიც იმავე წლით თარიღდება, როდესაც მოხდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება. ეს არის რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ (დოლიძე 1970: 106-127; გაბიაშვილი 1978: 176-196). ძეგლისწერას დართული აქვს შესავალი, კანონთა ტექსტი, დავით მეფის ხოტბის-შესხმა და მოსახსენებელი. ამათგან დავით მეფის ხოტბის-შესხმა არსენ ბერის მიერ უნდა იყოს დაწერილი. არსენს ტექსტის დაწერა თავად რუის-ურბნისის კრების განჩინებით დაევალა:

*„რომელნი ესე აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან, რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრებად უბრძანე შენ“* (დოლიძე 1970: 125; გაბიაშვილი 1978: 194).

შესხმის ბოლოში არსენი წერს, რომ ტექსტი, რომელიც დაიწერა დავითის სადიდებლად, მეფეს, ძღვენად მიართვა თავად კრების მონაწილეებმა („რომელნი ესე აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა“), ხოლო თავად კრების მოწვევის ინიციატორად მეფე დავითია დასახელებული („რომელ მოსწრაფებით შემოკრება უბრძანე შენ“). კრების მოწვევის ინიციატორად, დავითი სათაურშიც არის დასახელებული (დოლიძე 1970: 106; გაბიაშვილი 1978: 176).

დავითის მოწვეული კრების მიერ შედგა რუის-ურბნისის „ბეგლისწერის“ მოსახსენიებელიც, რომელშიც დავით აღმაშენებლის ოფიციალური ტიტულატურა არის წარმოდგენილი. აქ ტრადიციული პოლიტიკური და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული შინაარსის მქონე ტიტულების გარდა, დასახელებულია ისეთი სახის ოფიციალური ტიტული, რომელსაც პირველად ვაფიქსირებთ ქართველი მეფის ტიტულატურაში. მოსახსენიებელში ვკიხულობთ:

*„დავით ღმრთის-მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი“* (დოლიძე 1970: 126; გაბიაშვილი 1978: 195).

ამგვარად, რუის-ურბნისის მოსახსენიებელში პირველად ვაფიქსირებთ ქართველი მონარქის ახალ ოფიციალურ ტიტულს, „თვითმპყრობელს“. ტრადიციული ბიზანტიური საიმპერიო-საკარისკაციო ტიტულები დავით აღმაშენებელზე ამიერიდან აღარ ფიქსირდება. თვითმპყრობელი ხომ ბიზანტიური საიმპერატორი ტიტულის, ავტოკრატორის, შესატყვისია (ODB 1 1991: 235), ამდენად, ქართველი მეფეც ბიზანტიის იმპერატორის სტატუსშია აყვანილი. თუმცა, ამის მიუხედავად, საკუთარი პოლიტიკური სტატუსის ხაზგასასმელად საქართველოს მეფე მაინც ბიზანტიური ტიტულის ქართულ შესატყვისს იყენებს.

ნიშნავს კი ეს იმას, რომ ქართველმა მონარქებმა უარი თქვეს ბიზანტიურ ტიტულებზე ზოგადად?

იმავე მოსახსენიებელში გიორგი II კეისრად (წყაროში „კესაროსი“) იწოდება. უფრო მეტიც, იქ გიორგი მეფეთა მეფედ არის წოდებული (დოლიძე 1970: 125; გაბიაშვილი 1978: 195). იერარქია თითქოს დაცულია, ანუ მამა, გიორგი II, მეფეთა მეფეა, ხოლო შვილი, დავით IV – მეფე. ანალოგიური სურათია მოცემული ანდერძ-მინაწერებშიც, რომლებშიც გიორგი და დავითი ერთად იხსენიებიან (ჯორდანიას 2004: 232, 234, 236). ამ კუთხით მნიშვნელოვანია სუმბატ დავითის ძის

ცნობა, რომელიც საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ისა და მისი მამის, გურგენ მეფეთ მეფის შესახებ წერს:

*„და ამას გურგენს ესუა ბაგრატ, დედით აფხაზთა მეფისა დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს, და ამისთვის გურგენს მეფეთმეფობა ეწოდა“* (მეტრეველი, 2008: 369).

სუმბატის მიხედვით, გურგენს მეფეთ მეფე სწორედ იმის გამო ეწოდა, რომ მისი შვილი მეფედ იწოდება. გიორგისა და დავითის შემთხვევაში მამა-შვილის გამოსარჩევად გიორგი მეფეთ მეფეა, ხოლო დავითი – მეფე. ამდენად, თუ სუმბატის ცნობას გავითვალისწინებთ, აქ თითქოს იერარქიულობასთან არ უნდა გვექონდეს საქმე, თუმცა ის ფაქტი, რომ მეფეთ მეფე მეფეზე გარკვეულ უპირატესობას გულისხმობს, ეს აშკარაა. ამასთან, გიორგი II რუის-ურბნისის „ძეგლისწერის“ მოსახსენიებელში პირველ რიგშია მოხსენიებული, შემდეგ მოდის მისი დის, ბიზანტიის ყოფილი დედოფლის, მართა ბაგრატიონის მოხსენიება, ხოლო ამის შემდეგ დავით აღმაშენებლის (დოლიძე 1970: 125-126). რიგითობაში, როგორც ვხედავთ, უხუცესობის, ანუ ასაკის პრინციპია დაცული.

სხვა შემთხვევებში დავითის უპირატესობა შეიმჩნევა. სწორედ ის არის დასახელებული კრების ინიციატორად „ძეგლისწერის“ სათაურში (დოლიძე, 1970: 106), ასევე შესავალში (დოლიძე, 1970: 113-114) და მასვე ეძღვნება ხოტბის-შესხმაც. (დოლიძე, 1970: 124-125). თუმცა ყველაზე მეტად დავითის უპირატესობა მაინც მის ტიტულში ვლინდება. მამისგან განსხვავებით, ის თვითმპყრობელია, ხოლო მამამისი, გიორგი II – კეისარი (ქართულად „კესაროსი“). ვინაიდან კეისრის ტიტული ბიზანტიის იმპერატორის, ანუ თვითმპყრობლის მიერ არის გაცემული, ბუნებრივია, გიორგი მასზე დამოკიდებულად განიხილება, ხოლო დავითი მსგავსი დამოკიდებულებისგან თავისუფალია.

ამდენად, დავითის სტატუსი მისივე თვითმპყრობლობიდან გამომდინარე, შედარებით მაღალია. მან, როგორც ჩანს, მართლაც აკრძალა სხვა თვითმპყრობლის (ბიზანტიის იმპერატორის) მიერ გაცემული ტიტულების მიღება საქართველოს ტერიტორიაზე, ტიტული უნდა შეენარჩუნებინა მხოლოდ მამამისს. 1104 წლის (დათარიღების შესახებ იხილეთ: მეტრეველი, 2002: 21-25) მდგომარეობით დავით აღმაშენებლის სრული ტიტული *„აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვითმპყრობელია“* (დოლიძე, 1970: 126).

ამდენად, დავით აღმაშენებელი 1104 წელს თვითმპყრობელია. სინას მთის ქართული ხატის ბერძნულ წარწერაში კი სრულიად აღმოსავლეთის ბასილევსად ანუ იმპერატორად იწოდება. წარწერა შემდეგი სახისაა:

*„ΠΙΣΤΟ[Σ] ΒΑΣΙΛ[ΕΥΣ] ΠΑΣ[ΗΣ] ΑΝΑΤΟΛ[ΕΣ] Ο ΠΑΓΚΡΑΤΟΝΙΑΝΟΣ – მორწმუნე ბასილევსი სრულიად აღმოსავლეთისა, პაგკრატონიანი (ბავრატონი – ლ. თ.)“*  
(კლდიაშვილი, 1989: 117-135).

სრულიად აღმოსავლეთის ბასილევსის, ანუ იმპერატორის, ტიტული კარგად უდგება დავითის ზემოხსენებულ თვითმპყრობლის ტიტულს. საქართველოს მეფე ბიზანტიის მმართველის ანალოგიით თავს ბასილევს/იმპერატორს და თვითმპყრობელს/ავტოკრატორს უწოდებს, ამასთან, იგი სწორედ ქართული მიწების თვითმპყრობელი და იმპერატორია. უფრო მეტიც, თუ ბიზანტიური პოლიტიკური ელიტა ნაკლებად უყადრებდა თავს სხვა ქვეყნის მმართველებს, ქართული შუა საუკუნეების პოლიტიკური აზროვნების მიხედვით, ქრისტიანულ სამყაროში ორი თვითმპყრობელი იყო. ერთი, რომელიც სრულიად აღმოსავლეთის მფლობელია, ხოლო მეორე კი სრულიად დასავლეთისა. ამ უკანასკნელად კი ბიზანტიის იმპერატორი იყო წარმოდგენილი. თამარის პირველი მემატიანე წერს:

*„მანოველ კეისრისა და ყოველისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა“*  
(მეტრეველი, 2008: 392).

ქართველი მემატიანის მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორი მანუელი (1143-1180 წწ.) საბერძნეთის, ანუ ბიზანტიისა და, ამასთან, ყოველი დასავლეთის მეფე და კეისარია. დასავლეთი ორიენტირი ამ შემთხვევაში საქართველოა, ხოლო აღმოსავლეთის მეფედ და კეისრად, ბუნებრივია, საქართველოს მმართველი განიხილება.

ამდენად, ქართული წყაროების მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორი ყოველი დასავლეთის კეისარი და იმპერატორია, ხოლო საქართველოს მონარქი – ყოველი აღმოსავლეთის თვითმპყრობელი და იმპერატორი.

ორი იმპერატორის მოტივი კიდევ უფრო ნათლად იკვეთება მოქვის ტაძრის ბერძნულ წარწერაში, რომელიც ამჟამად წაშლილია, ხოლო თავის დროზე საქართველოში ყოფნის დროს დააფიქსირა და ჩაიწერა იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქმა დოსითეოსმა. მის მიერ ჩაწერილი წარწერა შემდეგი სახისაა:

„*Ἰστορήθη ἐπὶ Ἀλεξίου βασιλεως τοῦ Κομνηνοῦ καὶ Δαυὶδ μεγάλου βασιλεως Ἀρχαζίας – მოხატა ბასილევსი ალექსი კომნენოსისა და დავით აფხაზეთის დიდი ბასილევსი დროს*“ (ყაუხიშვილი, 2009: 15).

წარწერაში არ არის გიორგი II-ის ხსენება. ამდენად, იგი მისი შემდგომი პერიოდით უნდა განისაზღვროს, ვიდრე ალექსი I კომნენოსის (1081-1118 წწ.) გარდაცვალებამდე. ეს მსჯელობა მას 1112-1118 წლებს შორის ათავსებს. წარწერა მნიშვნელოვანი იმით არის, რომ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის და საქართველოს მმართველები ერთნაირი სტატუსით სარგებლობდნენ. უფრო მეტიც, ტექსტის მიხედვით, დავითი დიდი ბასილევსია, ხოლო ალექსი – ბასილევსი. თუმცა ალექსი I კომნენოსი პირველია მოხსენიებული. ძნელია იმის შემოწმება, თუ კონკრეტულად რამდენად კარგად ამოიკითხა დოსითეოსმა ეს წარწერა, თუმცა ნაკლებად საეჭვოა ის, რომ მონარქთა სახელები და ტიტულები შეცდომით წაეკითხა, მითუმეტეს, რომ მათი ზეობის ხანა მართლაც ემთხვევა ერთმანეთს.

შემოსხენებული კარგად უჩვენებს იმ სახეცვლილ ტენდენციას, რაც საქართველოს მონარქის პოლიტიკურმა სტატუსმა შეიცვალა დავით IV აღმაშენებლის პერიოდში. დავითის მეფობის დასაწყისში თუ მისი მოხსენიება სევასტოსისა და პანიპერსევასტოსის ტიტულებით ხდებოდა, 1104 წლის შემდეგ ის უკვე ავტოკრატორი და ბასილევსია. დავითის ეს შეცვლილი სტატუსი კარგად არის ასახული რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერაში“, სადაც იგი, ერთი მხრივ, *აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა თვთმპყრობელია*“; ხოლო, მეორე მხრივ კი, დასახელებულია, როგორც *„განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღუსტოს კეისართა შორის*“ (დოლიძე, 1970: 125-126; გაბიაშვილი, 1978: 194).

უკანასკნელ პასაჟში გამოკვეთილია „ფლობის“, ანუ ხელმწიფების განდიდება, მის შედარებით უფრო მაღალ ხარისხში აყვანა. საგულისხმოა დავითის შედარება რომის პირველ იმპერატორ ავგუსტუსთან, რომელმაც რესპუბლიკა პრინციპატით შეცვალა და რომის იმპერიაში ერთპიროვნული მმართველობა დაამყარა. ბუნებრივია, ამგვარი შედარება გარკვეული პოლიტიკური ცვლილების მანიშნებელია. შესაძლებელია, ავგუსტუსთან შედარება უბრალო პანეგირიკულ პასაჟად მიგვეჩნია. მაგრამ რატომ მაინცდამაინც *„განმადიდებელ ფლობისა“*?

გვიქრობთ, რომ აქ საქმე პოლიტიკური სტატუსის ამადლებასთან უნდა გვეკონდეს, რაც, როგორც ზემოთ მივუთითეთ, დავითის ავტოკრატორ/თვითმპყრობლად გამოცხადებას მოჰყვა შედეგად.

საინტერესოა, თუ როდის გამოაცხადა დავითმა თავი ავტოკრატორ/თვითმპყრობლად? როგორც დავინახეთ, 1104 წელს, რუის-ურბნისის კრების დროს, ის უკვე თვითმპყრობლად იწოდება, იმავე წლის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიება იმავე ტიტულით ანონიმ ისტორიკოსთან. ამდენად, აღნიშნული 1104 წლისათვის უნდა მომხდარიყო.

დავით აღმაშენებლის სტატუსის ამადლების შესახებ საუბრისას, ალბათ, აუცილებლად არის გასათვალისწინებელი მისივე მეფობის დროს გამართული ნაჭარმაგევის დარბაზობა. ცნობა დაცულია დავითისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში, რომლის პირობითი სათაურია: „ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი...“. სწორედ ამ ლექსშია დაცული ცნობა დავითის მეფობის დროს გამართულ ნაჭარმაგევის დარბაზობაზე. აღნიშნული მოვლენის დათარიღება თუ შესწავლა პრაქტიკულად არ მომხდარა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ მის შესახებ არანაირ ცნობებს არ გვაწვდის დავითის უცნობი მემატრიანე.

ამდენად, ჩაითვალოს, რომ ცნობა ნაჭარმაგევში არსებული დარბაზობის შესახებ მხოლოდ ეპიტაფიის ავტორის სიყალბე და გადმოცემაა. ერთი ხანი ის თამარის შესახებ არსებულ ხალხური პოეზიის ნიმუშადაც კი ითვლებოდა, თუმცა მას მერე, რაც ე. თაყაიშვილმა აღმოაჩინა „ხელმწიფის კარის გარიგება“, რომელშიც პირდაპირ არის დასახელებული ეპიტაფიის ავტორი (არსენ იყალთოელი) და ადრესატი (დავით IV აღმაშენებელი), სიმართლე დადგინდა (ლოლაშვილი, 1978: 101, სქ. 95).

დავითის გარდაცვალების შემდეგ დაწერილი ეს ეპიტაფია (1125 წელი), რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის (ლოლაშვილი, 1978: 100-101) მნიშვნელოვანი წყაროა დავითის ეპოქის შესასწავლად. არსენ იყალთოელი მეფის კარზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სასულიერო მოღვაწე იყო. ატარებდა მოძღვართ-მოძღვარის ტიტულს და ითვლებოდა დავითის უახლოეს მრჩეველად და მის პირად მოძღვრად (ვრცლად არსენ იყალთოელის შესახებ იხილეთ: ლოლაშვილი, 1978: 41-104). არსენის მიერ შედგენილი ეპიტაფიის ნაწყვეტის ერთ-ერთი უძველესი ვერსია შემოგვინახა „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტმა



(დოლიძე, 1965: 89). ნაწყვეტის გარდა, იქ განხილულია ის პოლიტიკური ვითარება, რომელსაც, არსენის გადმოცემით, ადგილი ჰქონდა სამეფო რეზიდენციაში – ნაჭარმაგევში. სანამ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტს მოვიხმობდეთ, ვნახოთ თავად ეპიტაფიის ტექსტი. იგი შემდეგი სახისაა:

*„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა გარე გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწუ ამათსა მოქმედსა გულზედან კვლნი დამესხნეს“.* (ლოლაშვილი, 1978:

101).

ეპიტაფიის ტექსტში მოკლედ არის გადმოცემული დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობის რამდენიმე დეტალი. პირველი სტროფში საუბარია ნაჭარმაგევის სამეფო რეზიდენციაში გამართულ ნაკლებად ცნობილ დარბაზობაზე. მეორეში – მუსლიმი დამპყრობლების განდევნაზე. მესამეში – დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებაზე. ბოლო სტროფში ყველა ამ საქმის შემსრულებლის – დავით მეფის – გარდაცვალებაზე არის აქცენტი გაკეთებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ეს „მოქმედება“, რომელიც ეპიტაფიის ავტორმა დავითს მიაწერა, ისტორიული რეალობის შემცველია (დავით აღმაშენებლის მეფობაზე ვრცლად იხილეთ: მეტრეველი, 1986). ამათგან ყველაზე ადრეულ მოვლენად ნაჭარმაგევის დარბაზობა ჩანს. აღნიშნული დარბაზობის შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაციის შემცველია „ხელმწიფის კარის გარიგება“ – XIV საუკუნის პირველი ნახევრის ტექსტი (ჯავახიშვილი, 1967: 418-422). მეფე-მთავართა დაჯდომის წესის შესახებ „ხელმწიფის კარის გარიგება“ შემდეგ ცნობებს იძლევა:

*„და ზოგთა ვი[ეტ]იმე ასრე უწერია, ვითა ტრაპიზონელი და შარვან[შა],  
შანშე და სომეხთა მეფე რა მოვიდნენ, საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე*

*მამა არსენ იყალთოელი, ეგეთი კაცი, მტყუანი როგორ ეგების? ამა შაირსა  
არა იგი იტყვს: ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს.*

*მაშინ ორნი ოსთა მეფენი, და კახთა მეფე, და აღვანთა მეფე, წ[ა]ნართა  
მეფე, სამნი ტ[ა]ოელთა მეფენი, და სომეხთა მეფე, და ტრაპიზონელნი, და შარვან-  
შაპენნი, – ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგევს და თორმეტნი დასხდეს, და ოთხად რად  
ვერ დაეტეოდეს?“* (დოლიძე, 1965: 89).

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ანონიმ ავტორთან არ ჩანს, თუ რა პირველწყაროდან აქვს მას ინფორმაცია დარბაზობის შემადგენლობის შესახებ. ანონიმი ნაჭარმაგევის დარბაზობიდან ორი საუკუნის შემდეგ მოღვაწეობს. მისივე ნაწარმოებში ის მრავალ ისტორიულ წყაროს იყენებს. დარბაზობის მონაწილე მეფეების დეტალური აღწერა გვაფიქრებინებს, რომ ავტორს დავით აღმაშენებლის დროინდელი წყაროთი უნდა ესარგებლა, რომელშიც იმდროინდელი მეფე-მთავრების საქართველოში ვიზიტზე უნდა ყოფილიყო საუბარი. სამწუხაროდ, მეტის თქმა არ შეგვიძლია. თუმცა, ვარაუდი იმის შესახებ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს შეეძლო რაღაც გამოგონებინა, გაუმართლებლად მიგვაჩნია. ამას უკეთესად დავინახავთ, როდესაც დეტალურად გავეცნობით დარბაზობაში მონაწილე ყველა მეფის მოკლე აღწერას.

ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული მეფეების ვინაობის დადგენა, ასევე დარბაზობის ჩატარების მიზეზების გამოვლენა. მეფე-მთავართა დადგენით შესაძლებელი ხდება თარიღისა და დარბაზობის გამართვის შესაძლო მიზეზების დადგენაც. „თორმეტი მეფის“ ჩვენეული იდენტიფიკაცია შემდეგია:

1-2. „*ორნი ოსთა მეფენი*“ უნდა იყვნენ დავითის დროს არსებული ორი აღან-ოსური პოლიტიკური გაერთიანების მეთაურები. როგორც დავითის ანონიმ მემატინესთან კვითხულობთ, დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი ოსეთი არ არსებობს. იქ მმართველობა ორ ან ორზე მეტ მეფეს ჰქონია ხელში ადებული. მემატინე ვერს:

„*შევიდეს ოსეთს (დავით აღმაშენებელი გიორგი ჭყონდიდელთან და ლაშქართან ერთად – ლ. თ.); და მოეგებნეს მ ე ფ ე ნ ი (ხაზი ჩვენია – ლ. თ.) ოსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა*“ (მეტრეველი, 2008: 319).

ამდენად, არსენ იყალთოელის ეპიტაფიაში აღწერილი ოსეთში არსებული პოლიტიკური ვითარება ემთხვევა დავითის დროს არსებულ ვითარებას, რასაც მისი მემატინეც გვიდასტურებს.

3. „*კახთა მეფე*“ უნდა იყოს დავითის დროს მოღვაწე კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე IV (1084-1102/4 წწ.), ან მისი ძმისწული, მეფე აღსართან II (1102/4-1104 წწ.).

4. „*აღვანთა მეფე*“, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთი მცირე ქვეყნის მმართველია, რომელიც „აღვანთა მეფის“ ტიტულს იჩემებს. ასეთი

პიროვნება დავითის ეპოქაში რამდენიმე იყო. პრეტენზიები „ალბანეთის“ ანუ „ალვანის“ ფლობაზე ჰქონდათ როგორც კახეთ-ჰერეთის, ასევე ტაშირ-ძორაგეტის მეფეებს (Matthew of Edessa, 1993: 24, 63). ვინაიდან პირველი დასახელებულია მხოლოდ „კახთა მეფედ“, „ალვანთა მეფე“ საგულისხმოა, რომ ტაშირ-ძორაგეტის მეფე უნდა ყოფილიყო. დავით IV აღმაშენებლის ეპოქის წყაროები ტაშირ-ძორაგეტის ორ მეფეს ასახელებს, დავითს და აბას კვირიკიანებს (Киракос Гандзакечи, 1976: 114). ძმებიდან ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში შემავალი ალბანური პროვინციის, უტიქის მმართველი იყო აბას კვირიკეს ძე, რომელიც ტაგუშის ციხეში-სიმაგრეში გახლდათ გამაგრებული (ჯაფარიძე, 1995: 32-33, 94; ქუთათელაძე, 2001: 97, 138-142, რუკა № 32). ამგვარად, წყაროში ალვანთა მეფედ, სავარაუდოდ, აბასი უნდა იყოს დასახელებული, ხოლო მისი უფროსი ძმა, დავით II ბაგრატიუნ-კვირიკიანი კი, როგორც ამას ქვემოთ ვიხილავთ, „სომეხთა მეფედ“.

5. „წაწართა მეფე“, გარკვეულწილად, აღდგენილია, თუმცა სამართლიანად. ტექსტში „წნარის“ მაგიერ „წანარი“ უნდა იგულისხმებოდეს. წანართა მეფეებს ადრე კახეთის ქორეპისკოპოსებს უწოდებდნენ, ხოლო ვინაიდან კახეთის მმართველებმა მოგვიანებით კახეთ-ჰერეთის მეფის ტიტული მიიღეს და ალბანეთში ბატონობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, ბუნებრივია, მათ „წანართა მეფედ“ არავინ მოიხსენიებდა. აქ ხუნძახის მეფე უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც სამხრეთ დაღესტნის მფლობელია და ხუნძახის, იმავე სარირის, სამეფოს განაგებდა. ის ჯერ კახეთ-ჰერეთის, ხოლო დავით IV აღმაშენებლის დროიდან ერთიანი საქართველოს გაგლენის ქვეშ ექცევა.

6-8. „სამნი ტაოელთა მეფენის“ საკითხი, ალბათ, ყველაზე სადავოა არსენის ეპიტაფიაში. ტექსტის ეს ნაწილი ჯერ კიდევ ექვთიმე თაყაიშვილმა გაასწორა, ხოლო შემდეგ კი ყველა სხვა გამომცემელმა გაიზიარა (ჯავახიშვილი, 1967: 431-432; დოლიძე, 1965: 89). აღდგენილია „ტოელთა“ თითქოს უფრო მისაღები „ტაოელთა“ ფორმით. თუმცა დავითის დროს ტაოს სამი მეფის არსებობაზე, იქნებიან ტაოს ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლები თუ რომელიმე სხვა დინასტიის წევრები, არაფერია ცნობილი. ტაო მეფეთა არსებობა დავით აღმაშენებლის ხანაში გამორიცხულად მიგვაჩნია. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ტმუტარაკანის სამთავროს მმართველები რიურითა დინასტიიდან, ანდა ყიფჩაღთა

მთავრები. ტმუტარაკანს ბიზანტიური წყაროები ტამატარხას<sup>62</sup> უწოდებენ (Константин Багрянородный 1989: 174-175; Constantine Porphyrogenitus: 186-187). ეს სამთავრო აზოვის ზღვიდან ჯიქეთამდე ვრცელდებოდა და მისი საზღვრები ტამანის ნახევარკუნძულზე იყო განვრცობილი. ამას, ერთი მხრივ, ის გვაფიქრებინებს, რომ დავითის დროიდან ქართველ მეფეთა აღმოსავლურ ტიტულატურაში „რუსთა მეფის“ ტიტული ჩნდება, რაც სწორედ ტმუტარაკანზე არსებული გავლენის მანიშნებელია (მუსხელიშვილი, 1990: 73-82), მეორე ის, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორს შეიძლება მისთვის უცნობი ტერმინი, ტამანი ან ტამატარხა, ტაოში არეოდა. მიუხედავად გარკვეული ბარიერებისა, (სემანტიკური და სხვ.) მიგვაჩნია, რომ ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია „სამნი ტ[ა]ოელთა მეფენის“ საკითხის გადაჭრის კუთხით. ვინაიდან წყაროები მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევს, აღნიშნულ თემას ამით ამოვწურავთ.

9. „სომეხთა მეფეში“, როგორც ზემოთ მივანიშნეთ, ტაშირ-ძორაგეტის მეფე უნდა იგულისხმებოდეს. დავით IV აღმაშენებლის დროს ამ სამეფოს ორი მმართველი ჰყავდა. მეფე კვირიკე II-ს შვილები, ძმები: დავითი და აბასი. ამათგან დავითი ტაშირ-ძორაგეტის უზენაესი მეფე უნდა იყოს. ამ სამეფოს მმართველი ქართული წყაროების მიხედვით, „სომეხთა მეფის“ ტიტულს ატარებს (ქუთათელაძე 2001: 97; დუნდუა, დუნდუა 2006: 197). „სომეხთა მეფის“ ტიტულით ტაშირ-ძორაგეტის მეფე 1045 წლის შემდეგ უნდა წოდებულიყო. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბიზანტიის იმპერიამ სომხეთის დედაქალაქი ანისი დაიკავა და ტაშირ-ძორაგეტის მეფემ თავი სომხეთის სამეფოს სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა. მათ 1065 წლამდე ამ ტიტულში ყარსის სამეფოს მონარქი ეცილებოდა, თუმცა მას შემდეგ, რაც ყარსის მეფე გაგიკმა ქალაქი ბიზანტიის იმპერიას გადასცა, სომეხთა მეფის ტიტული მყარად უნდა დამკვიდრებულიყო ტაშირ-ძორაგეტის მეფის ტიტულატურაში. ამგვარად, ნაჭარმაგევის დარბაზობის ერთ-ერთი სტუმარი დავით II კვირიკიანი უნდა ყოფილიყო ბაგრატუნთა დინასტიიდან.

10-(11). „ტრაპიზონელი“ ტიტულების გარეშე არიან მოხსენიებული, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ისინი ჯერ არ ფლობდნენ სამეფო ღირსებას. აქ ტრაპიზონის არხონტები (მთავრები) უნდა ვიგულისხმოთ გაბრასების

<sup>62</sup> ეს ტერმინი უნდა მომდინარეობდეს ტამანელი თევზით მოვაჭრისგან. ბერძნულად ტარის-ას სწორედ დამარილებული, შენახული თევზით მოვაჭრეს აღნიშნავს.

დინასტიიდან. თეოდორ გაბრას მმართველობიდან მოყოლებული ისინი ტრაპიზონს და მის მიმდებარე მხარეებს ფლობდნენ ხალდიისა და ლაზიკის ჩათვლით. გაბრასები ტრაპიზონის მხარის ნახევრად დამოუკიდებელი ტოპარხები იყვნენ (დუნდუა 2003; დუნდუა 2011; ბაგაური 2011; Breyr 1970). ტრაპიზონის მმართველების ტიტულის გარეშე მოხსენიება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ანონიმი ავტორი დავით აღმაშენებლის დროინდელ პოლიტიკურ ვითარებას აღწერს და არა მისი ეპოქის ვითარებას. ანონიმი ავტორის დროს ტრაპიზონის მმართველები „დიდისა... კომნიანოსის, მეფისა ტრაპიზონელისად“ (მეტრეველი 2008: 613) იხსენიებიან და არა უბრალოდ „ტრაპიზონელად“.

(11)-12. „შარვან-შაჰენი“ უნდა გულისხმობდეს შარვანის მმართველებს. ისინი დავითის მეფობის დროს საწყის ეტაპზე მაინც ინარჩუნებდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობას საქართველოს მეფესთან. უფრო მეტიც, დავითის უფროსი ასული, თამარი, ცოლად შერთეს შარვანშაჰის ძეს, მანუჩიძეს, შარვანის მომავალ მონარქს. ეს ქორწილი 1105/6 წლით თარიღდება (ასათიანი 1968: 26-29). ამდენად, ტექსტის ამ ნაწილში შარვანშაჰის ვიზიტი უნდა ვიგულისხმოთ.

ამასთან, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტის მიხედვით დარბაზობის მონაწილედ თორმეტი მეფეა მითითებული, ხოლო რეალურად მეფე-მთავართა დასახელებული ოდენობა ცამეტი მაინც უნდა იყოს, ვინაიდან „ტრაპიზონელი“ და „შარვან-შაჰენი“ მრავლობითში არიან მოხსენიებულნი. ეს კი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ დარბაზობაზე საქართველოს მეფეს ორი ან ორზე მეტი ტრაპიზონის მთავრის და იმავე რაოდენობის შარვანშაჰის ოჯახის წევრი ესტუმრა. მიუხედავად იმ ნდობისა, რომელსაც ანონიმი ავტორის ცნობა იწვევს ჩვენში, მაინც ვფიქრობთ, რომ რიცხვი „თორმეტი“ უფრო სიმბოლურ დატვირთვას უნდა ატარებდეს, ვიდრე რეალურს. დარბაზობის მონაწილეთა რაოდენობა მეტ-ნაკლებად თორმეტის ფარგლებში უნდა იყოს განსაზღვრული, თუმცა ზუსტი ციფრის დასახელება ძნელია.

ნაჭარმაგვეის დარბაზობის მონაწილე მეფე-მთავართა იდენტიფიკაციის შემდეგ მნიშვნელოვნად გვეჩვენება მისი ჩატარების თარიღის განსაზღვრაც. დარბაზობა, ეპიტაციის მიხედვით, წინ უსწრებს მუსლიმი დამპყრობლების განდევნასა და საქართველოს ორი მხარის, ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის,

გაერთიანებას. ეპიტაფიის დასარულში დავითის გარდაცვალებაა (1125 წელი) აღნიშნული. აღსანიშნავია ისიც, რომ მუსლიმთა განდევნა დავით აღმაშენებლის მეფობის თითქმის მთელ პერიოდში მიმდინარეობდა (დავითის ბრძოლების შესახებ მუსლიმებთან იხ.: მარგიშვილი 2006), ხოლო საქართველოს გაერთიანების დასასრულად თუ თბილისის დაკავებას მივიჩნევთ, ეს მოვლენა, 1122 წლის თებერვალს მოხდა (ჯაფარიძე 1995: 50-52).

ამდენად, არსენ იყალთოელის ეპიტაფიაში ზუსტად არ ჩანს ნაჭარმაგევის დარბაზობის ზუსტი თარიღი. ის უკეთესად შეგვიძლია დავინახოთ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ტექსტში, რომელშიც საუბარია „კახთა მეფეზე“, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე II (1084-1102/4 წწ.), ან მისი ძმისწული აღსართან II (1102/4-1104 წწ.). აქ „კახთა მეფის“ ტიტული არ არის სავალდებულო გულისხმობდეს იმას, რომ კახეთ-ჰერეთის მეფეებს დაკარგული აქვთ „რანთა მეფის“ ტიტული, თუმცა დავით IV აღმაშენებლის ტიტულატურა, რომელიც მითითებულია რუის-ურბნისის ძეგლისწერის (1104/5 წ.) მოსახსენიებელში, გარკვეული ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და რეალური შინაარსის შემცველია (გაბიძაშვილი 1978: 18-19). თუ კახეთ-ჰერეთის შემოერთება და რუის-ურბნისის კრება მართლაც 1104 წელს მოხდა, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არის აღნიშნული (მეტრეველი 2002: 21-25), მაშინ გამოდის, რომ ნაჭარმაგევის დარბაზობას ადგილი კრებამდე ჰქონია.

აქვე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი გარემოება, 1103 წელს ტრაპიზონის დუქსად კვლავ გაბრასების ოჯახის წევრი გრიგოლ გაბრა-ტარონიტისი დანიშნეს (Bryer 1980: 176), სავარაუდოდ, თეოდორ გაბრას შვილი. წინა მმართველისგან (დავეტენოსი) განსხვავებით, გრიგოლ გაბრა „პროკავკასიური“ ორიენტაციის მქონედ და ბიზანტიის იმპერატორზე ნაკლებად დამოკიდებულ მმართველად წარმოგვიდგება (История Византии II, 1967: 309; Bryer 1980: 176). გრიგოლი ანატოლიის ძლევამოსილ ამირა დანიშნენდს შეეკრა და იმპერატორის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. თუმცა, 1106 წელს იგი შეიპყრეს და კონსტანტინოპოლში გაგზავნეს (იქვე). „ტრაპიზონელნი“ სწორედ გრიგოლ გაბრა-ტარონიტისის საქართველოში მოსვლა უნდა იგულისხმებოდეს, რაც მისი მმართველობის წლებში (1103-1106) უნდა მოთავსდეს. წინა მმართველი, დავეტენოსი და გრიგოლის მომდევნო მოხელე,

რომელიც 1106 წელს დაინიშნა, ხალდიის დუქსად ბიზანტიის იმპერატორის სანქციის გარეშე ნაკლებად იმოქმედებდნენ.

ამდენად, ტრაპიზონის მმართველის საქართველოში ვიზიტისა და „კახთა მეფის“ აქ ყოფნის გათვალისწინებით, ნაჭარმაგევის დარბაზობას ადგილი 1103-1104 წლებში უნდა ჰქონოდა. მნიშვნელოვანია დავითის ისტორიკოსის სიტყვები მეფის მოღვაწეობის შეფასებისას. მისი განცხადებით, დავით აღმაშენებლის „აჩრდილსა ქვეშ“ შეკრებილნი ყოფილან „ერნი, ტომნი და ენანი“ (მეტრეველი, 2008: 344). მართალია, დასახელებულთა შორის არ არის „ტრაპიზონელნი“, მაგრამ ეს არც არის აუცილებელი იმისთვის, რომ ამ მხარის მმართველების საქართველოში ჩამოსვლა არარეალურად მივიჩნიოთ. ტრაპიზონის მთავრის საქართველოში ჩასვლა ნაჭარმაგევის დარბაზობაზე სხვა წყაროში, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ფიქსირდება, რაც, ჩვენი აზრით, სრულიად შეესაბამება დავითის ეპოქის პოლიტიკურ ვითარებას.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ არ იძლევა სხვა, დამატებით განმარტებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ და რისთვის გაიმართა ნაჭარმაგევის დარბაზობა. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ თარიღსა და დარბაზობის შემადგენლობას, ასევე მისი გამართვის ადგილს, ძნელი არ იქნება იმის ვარაუდი, რომ ეს კრება ანტითურქული კოალიციის დასაბამი უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ყივჩაღებს, ოსებსა და სხვა ჩრდილო კავკასიელებს დავითი ხშირად იყებენდა თურქებთან ბრძოლაში. ვარდანთან მოხსენიებული ტაშირ-ძორაგეტს მეფეებიც დავით აღმაშენებელთან ერთად იბრძვიან და მისგან მოელიან თურქებისგან ხსნას. გაბრებმა, სანამ აშკარად არ გამოვიდნენ იმპერატორის წინააღმდეგ 1106 წელს, სწორედ თურქების წინააღმდეგ ბრძოლით გაითქვეს სახელი. შარვანის მმართველების ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ნათლად დასტურდება დავითის ისტორიკოსთანაც. რაც შეეხება კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე II-ს, მიუხედავად იმისა, რომ ის დავით აღმაშენებელთან არის დაპირისპირებული, დავითის ისტორიკოსთან ძალიან დადებითად არის დახასიათებული (მეტრეველი, 2008: 309). ეს კი, გარკვეულწილად, მიუთითებს იმას, რომ დაპირისპირებამდე მათ შორის ანტიმუსლიმური ალიანსი უნდა არსებულიყო. კვირიკეს „ჭეშმარიტი ქრისტიანედ“ დასახელება (მეტრეველი, 2008: 309) ამ უფრო აზრს განამტკიცებს.

ამდენად, ყველა ზემოხსენებულ მმართველს ანტიურქული ალიანსი აერთიანებდა, რაც კარგად უჩვენებს იმ მიზეზსაც, რამაც ნაჭარმაგევის დარბაზობის გამართვა გახადა აუცილებელი. აღმოსავლეთის „ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტი პურად“ დასხდომის მომენტი, ასევე ნათლად მიუთითებს იმ ფაქტს, რომ ბიზანტიის აღმოსავლეთით აღიარებული ლიდერი, დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე ხდება, რომელსაც 1103-1104 წლებში ძალიან აქტიურად მოქმედებს. იგი ხელმძღვანელობს ანტიურქულ კოალიციას და, როგორც ეს მოგვიანებით გამოჩნდება, წარმატებით ათავისუფლებს მთელ სამხრეთ კავკასიის რეგიონს თურქ-სელჩუკი დამპყრობლებისგან (მარგიშვილი 2006). დავითი იწოდება, როგორც „ΠΙΣΤΟ[Σ] ΒΑΣΙΛ[ΕΥΣ] ΠΑΣ[ΗΣ] ΑΝΑΤΟΛ[ΕΣ] Ο ΠΑΓΚΡΑΤΟΝΙΑΝΟΣ – მორწმუნე ბასილევსი სრულიად აღმოსავლეთისა, პაგკრატონიანი“, რაც ნათლად უჩვენებს იმას, რომ ის უკვე აღიარებული ლიდერია ბიზანტიის აღმოსავლეთში. დავით აღმაშენებლის წოდებაა ბასილევსი, ანუ იმპერატორი, და ავტოკრატორი, ანუ თვითმპყრობელი. ამ უკანასკნელით ის 1104/5 წელს არის უკვე წოდებული. დავითის ბასილევსად წოდება რომ თვითმპყრობლის პარალელურად ხდება, ამას ზემოთ მოხმობილი ბერძნული წარწერებიც ადასტურებს.

დავითის პოლიტიკური აღიარება სრულიად აღმოსავლეთის თვითმპყრობლად მხოლოდ ნაჭარმაგევის დარბაზობის ანალიზიდან არ ჩანს, იგი ვლინდებოდა მრავალ პოლიტიკურ ქმედებაში, რომლებსაც ის აწარმოებდა თავისი მმართველობის პერიოდში, როდესაც სათავეში ედგა ყივჩაღების, ფრანკების, სომხების, შარვანელების, ალან-ოსებისა და სხვა ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების კოალიციასა თუ დაქირავებულ ჯარებს.

#### **დავით IV აღმაშენებლის მემკვიდრეები**

დავით IV აღმაშენებელი რომ თვითმპყრობელი და ბასილევსია, ეს ზემოთ უკვე მივუთითეთ. შაინტერესოა, რამდენად აგრძელებენ აღნიშნულ ტენდენციას მისი მემკვიდრეები.

ამ კუთხით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია მოსახსენიებლები, ანუ სინიდიკონები. მოსახსენიებლებში დასახელებულნი არიან ის საერო და სასულიერო პირები, რომლებსაც გარკვეული დამსახურება მიუძღვით აეკლესია-მონასტრების დახმარებაში. მათ შორის გამორჩეულია მეფეთა მოსახსენიებლები.



დიმიტრი ბაქრაძემ 1878 წელს გამოაქვეყნა მეწიეთის წმინდა გიორგის ეკლესიიდან მოტანილი „მარხვანი“, რომელიც, მისივე თქმით, შეიცავდა „ძეგლისწერას“. როგორც „ძეგლისწერაში“ იყო ნათქვამი, იგი შეუდგენიათ კონსტანტინოპოლის წმინდა ხატების თაყვანის საცემად შეკრებილ წმინდა მამებს. დიმიტრი ბაქრაძის თქმით, „წიგნს კითხულობდა შემოსილი მღვდელი წმ. სოფიის ტაძარსა და ყველა ეკლესიაში წირვის დროს დიდმარხვის პირველ კვირას“. მას დართული ჰქონდა „ძეგლისწერა“ და ბოლოს ჩამოთვლი იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში ცნობილი საერო და სასულიერო მოღვაწეები (ბაქრაძე 1987: 178).

აღსანიშნავია, რომ ძეგლი გადაწერილია 1566 წელს, იოსფათ ბენაშვილის მეუღლის, ქეთეონის, შეკვეთით (ბაქრაძე 1987: 179-180). „ძეგლის წერაში“ ჩამოთვლილ პიროვნებათ შორის დასახელებულია თითქმის ყველა საქართველოს მონარქი – ბაგრატ IV-დან (1027-1072 წწ.), ვიდრე დავით ნარინამდე და დავით გიორგის ძემდე. ამის შემდეგ მეფეთა მოხსენიება გრძელდება იმერეთის მეფე ალექსანდრე II-დან (1489-1510 წწ.), რომელიც იოსფათ ბენაშვილის დედის, თინათინის მამა და იოსფათის ბაბუა გახლდათ.

ყველა ის პირი, რომლებიც ალექსანდრე II-ის შემდეგ არიან ჩამოთვლილი, იოსფათისა და მისი მეუღლის, ქეთეონის, ნათესავები არიან (ბაქრაძე 1987: 179). სწორედ ამ უკანასკნელის დაკვეთით მიაწერეს ეს პირები ხელნაწერს, მაგრამ დედანი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კიდევ მაშინ იყო დაწერილი, როდესაც კონსტანტინოპოლი მართლმადიდებლების ხელში გახლდათ, ანუ 1453 წლამდე. ეს თავად ხელნაწერიდან მტკიცდება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ძეგლის წერა“ კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიას ტაძარსა და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებში იკითხებოდაო და, შესაბამისად, ორიგინალი, რომელიც ქეთეონმა 1566 წელს გადააწერინა, იყო არა XVI საუკუნისა, არამედ გაცილებით ადრინდელი. გამომდინარე იქიდან, რომ უკანასკნელ მეფეებად რუსუდანის შემდეგ მოხსენიებულნი არიან „*დავით და დავით მართლმადიდებელთა მეფეთ-მეფენი*“<sup>63</sup> (შარაშიძე 1982: 18-21), შეიძლება დავასკვნათ, რომ „ძეგლისწერის“ შედგენის თარიღი იყო 1261-1270 წლები. 1204-1261 წლებში კონსტანტინოპოლი და წმინდა

<sup>63</sup> დ. ბაქრაძე მის მიერ გამოქვეყნებულ მოსახსენიებელში ერთ დავითს ასახელებს, ქრ. შარაშიძე კი ორ დავითს, რასაც ამილახორთა სახლის კრებულის მოსახსენიებელიც ეთანხმება. იხილეთ: შარაშიძე ქრისტინა. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XII-XV). თბ. 1982. გვ. 18-21.

სოფიას ტაძარი ლათინთა ხელში იყო. შესაბამისად, წირვა-ლოცვა იქ ლათინურად სრულდებოდა. ამდენად, 1261 წლამდე მართლმადიდებელ მეფეთა მოსახსენიებელს კონსტანტინოპოლში არავინ წაიკითხავდა.

1261 წლს მიხედვით პალეოლოგოსმა კონსტანტინოპოლი აიღო და მომენტალურად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც დაუბრუნდა ძველ ადგილს (Geanakoplos 1959). კონსტანტინოპოლში აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიის წირვა-ლოცვა კვლავ განახლდა. დავითისა და დავითის ერთად მოხსენიება შეიძლება მათ ორმეფობასაც მიუთითებს, რასაც ადგილი 1262 წელს ჰქონდა. ამრიგად, მოსახსენიებელი შეიძლება დაახლოებით ამ წლითაც დათარიღდეს.

ქრისტიანა შარაშიძემ ხელახლა გამოაქვეყნა ზემოხსენებული მეწიეთის „ძეგლის წერის“ მოსახსენიებელი ორ სხვა მოსახსენიებელთან ერთად. მათ შორისაა კოპასძეთა და ამილახვართა მოსახსენიებლები. აღსანიშნავია, რომ სამივე მოსახსენიებელი, როდესაც საქმე ეხება მის პირველ ნაწილს, იდენტურია და, შესაბამისად, იქ დასახელებული ყველა მეფე ერთი და იმავე კონტექსტში არიან მოხსენიებულნი. განსხვავება იმაშია, რომ მხოლოდ კოპასძეთა მოსახსენიებელი არ აფიქსირებს რუსუდანისა და ორი დავითის მოსახსენიებელს (შარაშიძე 1982: 15-23).

ახლა განვიხილოთ უშუალოდ ის მონარქები, რომლებიც ზემოაღნიშნულ მარხვანში არიან მოხსენიებულნი. ამ შემთხვევაში ჩვენს ინტერესს იწვევს მეფეთა ტიტულატურა:

1. *ბაგრატ აფხაზთა, ქართუჭლთა მართლმადიდებლისა მეფისა საუკუნოდმცა არს ხსენება.*
2. *გიორგი კესაროსისა, აფხაზთად, ქართველთა მართლმადიდებლისაი მეფისა. .*
3. *დავით ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა, ახლისა მართლმადიდებლისა საუკუნოდმცა საკსენებელი და კურთხევა მისი.*
4. *დემეტრე ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფისა საუკუნოდმცა საკსენებელი და კურთხევა მისი.*
5. *გიორგი, ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფედ მპყრობელისა, მეფეთ-მეფისა საუკუნოდმცა საკსენებელი და კურთხევა მისი.*

6. *თამარ ყოვლისა აღმოსავლეთისა ახლისა მართლმადიდებლისა, აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა და კახთა და ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელისა საუკუნოდმცა არს საკსენებელი და კურთხევა მისი.*
7. *ძისა მათისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა მრავალმცა არიან წელნი მეფობისა მისისანი...* (შარაშიძე 1961: 15).

ტექსტი ეკუთვნის კოპასძეთა მოსახსენიებელს, რომელიც ყველაზე ძველი ჩანს ზემოთ ხსენებულ სინოდიკონთა შორის. აქ ბოლო მეფედ გიორგი ლაშა არის დასახელებული, თამარის ძე, რომელიც, მოსახსენიებლის მიხედვით, ცოცხალია (შარაშიძე 1961: 73). მოსახსენიებელს დართული აქვს უკვე მოგვიანო ხანებში მიმატებული კოპასძეების მოსახსენიებელიც, რომელშიც ყვარყვარე ჯაყელის (1451-1498 წწ.), სამცხის ათაბაგისა და სპასალარის ოჯახის წევრების გარდა, კოპასძეთა გვარის წევრებიც არიან მოხსენიებულნი (შარაშიძე 1961: 15-17). აქედან დგინდება, რომ არის ორი ფენა, ახალი და ძველი. ამათგან ძველი დაიწერა გიორგი ლაშას (1210-1222/3 წწ.) მეფობის დროს, ხოლო ახალი – XVI საუკუნეში.

მოსახსენიებლებში რამდენიმე თვალში საცემი ფაქტის გამოყოფა შეიძლება. დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული გიორგი ლაშას ჩათვლით ყველა ქართველი მონარქი „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფედ“ იწოდება. თავად დავითი, ამ ტიტულის გარდა, „ახლისა მართლმადიდებლისას“ ეპითეტით არის წოდებული, რაც ერთგვარი განახლების მანიშნებელია. დავითის დროს რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურა განახლდა და ქართველთა მეფეებმა ყოველი აღმოსავლეთის ავტოკრატორობა და იმპერატორობა შეითავსეს, ეს მათი განახლებული ტიტულატურიდან აშკარად ჩანს. ბიზანტიური საიმპერატორო ტიტულების ეტაპობრივი მიღების დადასტურებაა იმავე მოსახსენიებელში თამარის „ყოველთა ქრისტიანეთა მპყრობელისად“ წოდება, რაც ტრადიციული იყო მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორებისთვის.

ამრიგად, ქართველები მართლმადიდებელ სამყაროს ორ ნაწილად ყოფენ – დასავლეთ და აღმოსავლეთ მართლმადიდებელ სივრცეებად. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მონარქი „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ თვითმპყრობლად იწოდება, ბიზანტიის იმპერატორი ქართულ ნარატიულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც მეფე „ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა“. ამგვარად, როგორც ზემოთ

მიუთითეთ, იმპერატორი მანუელ I დიდი (1143-1180) იხსენიება (ყაუხჩიშვილი 1959: 17; მეტრეველი 2008: 392).

მსგავს დიფერენციაციას საფუძველი XII საუკუნეში ეყრება, როდესაც აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში ორი სერიოზული პოლიტიკური ერთეული დარჩა. დასავლეთით ბიზანტია, ხოლო აღმოსავლეთით – საქართველო. რაც შეეხება სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებს, ისინი ბიზანტიისა ან საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და კონფესიური გავლენის ქვეშ არიან მოქცეული.

### **საქართველოს მეფე ბიზანტიურ წყაროებში – ბიზანტიის იმპერიის ოფიციალური პოზიცია**

#### **(ტიტული „ბასილევსის“ საკითხის შესახებ)**

ბასილევსის (Βασίλεις) ტიტულს ბიზანტიელი მწერლები, როგორც წესი, ბიზანტიის იმპერატორზე იხსენიებენ, თუმცა არსებობს არაერთი გამონაკლისი. VII საუკუნემდე, სანამ ბერძნული ენა პატივით ოდნავ ჩამოუვარდებოდა ლათინურს, ბასილევსის ტიტულით, როგორც წესი, ყველა მონარქი იწოდებოდა. ტერმინი ბასილევსი არ წარმოადგენდა იერარქიული სისტემის მარკერს, არამედ აღნიშნავდა კონკრეტული ქვეყნის სუვერენს, ვისი ძალაუფლებაც ვრცელდებოდა მის მიერ კონტროლირებად ხალხსა და სახელმწიფოზე.

VI საუკუნეში, ბარბაროსული ქვეყნების ინტენსიური წარმოქმნის პერიოდში, იმისთვის, რომ განესხვავებინათ უნივერსალური მონარქი მასზე დამოკიდებული ქრისტიანული ქვეყნების მბრძანებლებისაგან, ტიტული ბასილევსი უფრო დაფასდა. ამის შემდეგ მას მხოლოდ ბიზანტიისა და სასანური ირანის მმართველებზე ხმარობდნენ. სასანური ირანის დაცემამ კიდევ უფრო მეტი ბიძგი მისცა ბიზანტიის ხელისუფლებას აღნიშნული წოდება ექსკლუზიურად ბიზანტიის იმპერატორების ტიტულად გამოეცხადებინათ.

საიმპერატორო ბეჭდებზე ტიტული ბასილევსის პირველი დატანება 654-658 წლებში ხდება. მოგვიანებით იმპერატორი ლეონ III ისაურიელი (717-741 წწ.) მას ვერცხლის მონეტაზე ათავსებს, ხოლო მისი მემკვიდრე, კონსტანტინე V კობრონიძე, (741-775 წწ.) კი ოქროს მონეტის ემისიაზე (ODB 1 1991: 264).

ბასილევსის ტიტულის ხმარებას VII საუკუნიდან მოყოლებული ბიზანტიელები უცხო ქვეყნის მმართველებზე, როგორც წესი, თავს არიდებდნენ. მიუხედავად აღნიშნული ტიტულის მკაცრი კონსერვაციისა და უნივერსალური ქრისტიანული იმპერიის შექმნის მცდელობისა, ბიზანტია იძულებული იყო, ანგარიში გაეწია პოლიტიკური რეალობისათვის. ბასილევსებად იწოდნენ საღვთო რომის იმპერატორები, ოღონდ მათ მოიხსენიებდნენ არა „რომაელთა“ (ბიზანტიელები), არამედ „ფრანკთა ბასილევსებად“ (ODB 1 1991: 264). ბასილევსის ტიტული სცნეს ბულგარეთის იმპერატორ სიმეონზეც.

ნიკიტა ხონიატე იმავე ტიტულით ამკობს როჟერ სიცილიელს, საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსასა და ლათინური რომანიის იმპერატორ ჰენრი ფლანდრიელს. გიორგი აკროპოლიტესთან ბასილევსად იწოდება ბულგარეთის იმპერატორი კალოიანი, ხოლო სერბეთის მმართველი სტეფან დუშანი ოფიციალურ ბერძნულ დოკუმენტებში „რომაელთა და სერბთა ბასილევსად“ იხსენიება. ანალოგიური შეიძლება ითქვას ტრაპიზონის იმპერატორებსა და აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა მბრძანებელზე (თემურ ლენგი, მეჰმედ II დამპყრობელი და სხვა) (ODB 1 1991: 264).

გავრცელებულია მოსაზრება, თითქოს ამ ტიტულს ბერძნები არასდროს არ სცნობდნენ ქართველ მეფეებზე. ამ მოსაზრების მიხედვით, არც ღავით აღმაშენებლამდე და არც მის შემდგომ, ამ ტიტულის ღირსად მათ არ მიაჩნდათ არც ერთი საქართველოს მონარქი. ეს თვალსაზრისი, როგორც როგორც ქვემოთ დავინახავთ, უნდა გადაისინჯოს.

პირველად საქართველოს მეფის ბასილევსად მოხსენიება, და ისიც ბერძნულად, გვხვდება ღავით IV აღმაშენებელთან დაკავშირებით (Rapp 1997: 573). ეს არის წმ. ეკატერინეს მონასტერში არსებულ ქართულ ხატზე გაკეთებული წარწერა, შესრულებული, სავარაუდოდ, ქართველი ბერების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძეგლი წმინდა ეკატერინეს მონასტრის კუთვნილებაა, მისი მიჩნევა ბიზანტიის ხელისუფლების ოფიციალურ პოზიციად რთულია. თუმცა, როგორც სხვა ცნობებიდან გამომდინარე, ეს ტენდენცია, რომელიც ამ წარწერის შემდეგ იღებს სათავეს გრძელდება XV საუკუნის ჩათვლით. ეს არის დღემდე აღმოჩენილი ერთ-

ერთი უბეველესი ცნობა, რომელშიც ქართველი მეფე ბასილევსად სახელდება VII საუკუნის შემდგომი პერიოდის ბერძნულ წყაროებში.

დავით აღმაშენებლამდე VII-XI საუკუნეების ბერძნულ წყაროებში ქართველი მეფეები არხონტებად არიან მოხსენიებულნი, მათვე უმტკიცდებოდათ ბიზანტიური საიმპერიო ტიტულები (ნოველისომოსი, კურაპალატი, სევასტოსი, პანიპერსევასტოსი, კესაროსი და ა.შ.), მაგრამ დავით IV აღმაშენებლიდან მოყოლებული, არც ზემოთ ჩამოთვლილ საიმპერიო ტიტულებით იხსენიებენ ბიზანტიელები საქართველოს მეფეებს და არც არხონტებად. წმინდა ეკატერინეს მონასტერში არსებული ხატზე გაკეთებული წარწერა არ უნდა აღნიშნავდეს მხოლოდ ქართველთა დამოკიდებულებას ქართველი მეფის სტატუსისადმი. პირიქით, ის გამოხატავს ორივეს – ბერძენთა და ქართველთა – დამოკიდებულებას საქართველოს მეფის შეცვლილ სტატუსზე.

ზემოთქმული მტკიცდება იმით, რომ ქართველი მეფეები თუ რაიმე ტიტულით იხსენიებიან ბერძნულ წყაროებში, მხოლოდ ბასილევსებად, ანდა „Μεπ“–დ რაც ქართული სიტყვა „მეფის“ ტრანსკრიპციაა. არის შემთხვევა მათი „ρξ“; ანუ რექსად, მოხსენიებისა, რაც, სფრანძესის სიტყვით, ლათინურად „მეფეს“ (Μεπ) უდრისო. ამით ავტორმა ქართული ტიტულის ლათინურ კორესპოდენციას გაუსვა ხაზი. მართლაც, ლათინების ერთი ნაწილი საქართველოს მეფეებს „Rex“–დ მოიხსენიებენ, ანუ მათ სამეფო ტიტულს – „მეფე“-ს თარგმნიან, როგორც რექს (Rex). ეს მშვენივრად აჩვენებს იმ ფაქტს, რომ რომის პაპები და მისი პოლიტიკის მიმდევრები არ სცობდნენ ქართველ მეფეებზე იმპერატორის ტიტულს, რადგან აღიარებდნენ მხოლოდ ერთ, საღვთო რომის იმპერატორს. ამდენად, როდესაც სფრანძესი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ჩვენში „Μεπ“–ს „ρξ“ უწოდებენო (ყაუხჩიშვილი 1970: 49), ამით ის ქართული ტიტულის ლათინურ კორესპოდენციაზე მიანიშნებს. შესაბამისად, ლათინური გავლენა ბერძნულ დიპლომატიაზე XV საუკუნეში შესამჩნევია.

პირველი მეფე, რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ნარატიულ ტექსტებში ბასილევსად იხსენიება, არის დავით VI ნარინი (1247-92 წწ.). მიქელ პანარეტოსის ქრონიკაში ის იბერიის ბასილევსად იწოდება, რომელმაც ქალაქ

ტრაპიზონს ალყა 1282 წლის აპრილს შემოარტყა, თუმცა, პანარეტოსის ცნობით, ეს შეტევა უშედეგოდ დამთავრდა:

„Μετὰ δὲ σφς (6790)<sup>64</sup> ἔτος, Ἀπριλλίου μηνός, ἦλθεν ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας Δαυὶδ καὶ ἐπεριώρισέ τὴν Τραπεζοῦντα ἄλλὰ ἀπεστράφη κενός“ (ყაუხჩიშვილი 1967: 170) – „შემდეგ 1282 (6790) წლის აპრილში მოვიდა იბერიის ბასილევსი დავითი, ალყა შემოარტყა ტრაპიზონს, მაგრამ გაეცალა ხელცარიელთ“ (ყაუხჩიშვილი 1967: 170).<sup>65</sup>

სხვა დავითი, ამჯერად, გიორგი V ბრწყინვალის ვაჟი, დავით IX (1346-1360), ასევე ბასილევსად არის მოხსენიებული მიქელ პანარეტოსთან. მიქელ პანარეტოსი დავითს იმ საქორწინო პირობის დროს ასახელებს, რომელიც ტრაპიზონსა და საქართველოს მმართველებს შორის დაიდო ალექსის III (1349-1390 წწ.) მმართველობის დროს. ავტორი წერს:

„Τὰ δὲ συνάλλαγματα, ἃ εἶχε μετὰ τῆς ἐξ Ἰβηρίας, θυγατρὸς μὲν Δαβὶδ τοῦ βασιλέως Τυφλίσου, ἀνεψιᾶς δὲ ἐπ’ ἀδελφῆ τοῦ Ἀχπουγᾶ, μεταφέρονται εἰς τὸν νεώτερον καὶ γνήσιον καὶ νόμιμον υἱὸν τοῦ βασιλέως ἡμῶν καὶ νέον βασιλέα κύρ Μανουῆλ τὸν μέγαν Κομνηνόν“ (ყაუხჩიშვილი 1967: 207) – „საქორწინო პირობა, რომელიც დადებული იყო იბერიასთან თბილისის ბასილევს დავითის ასულისთვის, აღბუღას დისწულისთვის, გადატანილ იქნა ჩვენი ბასილევსის უმცროს, ღვიძლ და კანონიერ ძესა და ახალგაზრდა ბასილევს ბატონ მანუელზე, დიდ კომნენოსზე“.

დავით IX თბილისის ბასილევსად იწოდება. მიქელ პანარეტოსის ცნობით, მისი ასული, გულქან-ხათუნი, ცოლად გაჰყვა ალექსი III-ის ვაჟს, ტახტი მემკვიდრე

<sup>64</sup> აღნიშნავს 1282 წელს.

<sup>65</sup> მიქელ პანარეტოსის ცნობა დავით VI ნარინის (1245-1292) ექსპედიციის შესახებ ტრაპიზონის იმპერიაში საკმაოდ ბუნდოვანია. ის არაფერს წერს დავითის შემოსევის მიზეზებზე, ისევე როგორც მის უეცარ უკან დაბრუნებაზე. ტექსტიდან ჩანს, თითქოს ქართველ მონარქმა ისარგებლა ტრაპიზონში მიმდინარე შიდა არეულობით და მისი დაპყრობა მოინდომა, რაც ვერ შეძლო და უკანვე გაბრუნდა. ეს ლაშქრობა ამავე კონტექსტში არის განხილული სპეციალურ ლიტერატურაში, რაც, ჩვენი აზრით, არ შეეფერება სიმართლეს. საქართველოს რომ ტრაპიზონის დაპყრობა ჰქონოდა განზრახული, ის ამას ერთიანობის ხანაში გააკეთებდა და არა იმ დროს, როდესაც ის პოლიტიკურად გათიშულია, ხოლო მისი დიდი ნაწილი მონღოლების ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული. რეალურად ტრაპიზონის ინკორპორაცია არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა სწორედ იმ დროს, როდესაც ის ქართველებმა, ფაქტობრივად, „ხელოვნურად“ შექმნეს (ხელოვნურად იმისთვის, რომ თავდაპირველი განზრახვა იყო არა ტრაპიზონის ახალი სამეფოს ჩამოყალიბება, არამედ ბიზანტიის ტახტზე ალექსი კომნენოსის აღდგენა), 1204 წელს. დავით ნარინს, რომელსაც იმის 1/4 ტერიტორიაც არ გააჩნდა, რაც თამარის სამეფო იყო, არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმაზე დიდი ამბიციაც, ვიდრე ეს მის დიდ ბებიას ჰქონდა. ამდენად, მიზეზი ნარინის ლაშქრობისა არ უნდა ყოფილიყო ტრაპიზონის დაპყრობა, მითუმეტეს, რომ არ ჩანს სხვა დაპყრობილი ქალაქები ან რეგიონები, რომელიც აუცილებელი იყო ქვეყნის ანექსიისთვის. საზღვარი ნარინის შემოსევის შემდეგაც უცვლელი დარჩა.

მანუელ კომნენოსს. ქორწილი 1379 წლის 6 სექტემბერს შედგა. დედოფალს ბიზანტიური ტრადიციით სახელი გამოუცვალეს და ევდოკია დაარქვეს (ყაუხნიშვილი 1967: 207-208).

იმავე მიქელ პანარეტოსთან დავით IX-ის შვილი, ბაგრატ V დიდცი (1360-1395 წწ.) ბასილევსად არის მოხსენიებული და თან არა ერთხელ, არამედ სამჯერ. პირველად 1367 წელთან დაკავშირებით, როდესაც ბაგრატმა ცოლად მოიყვანა იმპერატორ ალექსი III-ის (1349-1390 წწ.) ასული, ანა კომნენა. პანარეტოსი ბაგრატის ტიტულს შემდეგნაირად იხსენიებს:

*„Τῷ βασιλεῖ τῶν Ἰβήρων και Ἀβασγῶν κῆρ Παγκρατίῳ τῷ Παγκρατιανῷ“* (ყაუხნიშვილი 1967: 202) – „ბასილევსი იბერთა და აფხაზთა ბატონი ბაგრატ ბაგრატიონი“.

მეორე მოხსენიება უკავშირდება ალექს III-სა და ბაგრატ V-ის 1373 წლის სექტემბრის შეხვედრას, რომელიც შედგა ლაზეთის მხარეში. მიქელ პანარეტოსი გადმოგვცემს:

*„Μηνὶ Αὐγούστῳ σ' ἀπῆλθαμεν ἐν τῇ Λαζικῇ καὶ πρὸς τὸ ἔκβαν τοῦ μηνὸς περὶ τὰ εἰσιτήρια τοῦ σῶπα (6881) ἔτος ἐσμίγαμεν τὸν βασιλέα τῶν Παγκράτιν“* (ყაუხნიშვილი 1967: 205) – „ექვს აგვისტოს წავედით ლაზიკაში და თვის ბოლოს, 1373 (6881) წლის დასაწყისში<sup>66</sup> შევხვდით ბასილევს ბაგრატს“.

მესამედ მიქელ პანარეტოსი ბაგრატს თემურ-ლენგის შემოსევასთან დაკავშირებით ახსენებს, როდესაც ამ უკანასკნელმა მეფე ბაგრატი მისი ოჯახის ორ წევრთან ერთად ტყვედ ჩაიგდო. როგორც წინა ორ შემთხვევაში, აქაც ავტორი მეფე ბაგრატს ბასილევსად მოიხსენიებს. იგი წერს:

*„βασιλέα Παγκράτιν τὸν στρατηγικώτατον καὶ τὴν ὁμοζυγον αὐτοῦ, τὴν θυματέραν τοῦ ἡμετέρου βασιλέως, τὴν ἄραιοτάτην κυρὰν Ἄννης, καὶ τὸν σὺδς αὐτῆς Δαβίδ“* (ყაუხნიშვილი 1967: 212) – „ბასილევსი ბაგრატი განთქმული მხედართმთავარი და მისი მეუღლე, ჩვენი ბასილევსის ასული მშვენიერი ქალბატონი ანა, და ძე მისი დავითი“.

ბასილევსი ბაგრატი, ამ შემთხვევაში, გამოჩენილ მხედართმთავარად არის მოხსენიებული. იქვე იხსენიება მისი სიმამრი, ალექსი III კომნენოსი, რომელიც ამ

<sup>66</sup> წლის დასაწყისად იგულისხმება სექტემბერი. ამდენად, ბაგრატ V დიდსა და ალექსი III დიდ კომნენოსს შორის შეხვედრა 1373 წ. სექტემბერში შედგა, ლაზეთის მხარეში.



შემთხვევაში დედოფალ ანას მშობლად არის დასახელებული სახელის მოხსენიების გარეშე.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პანარეტოსი ბასილევსად მხოლოდ სამი ქვეყნის, ბიზანტიის, საქართველოსა და საკუთარ – ტრაპიზონის მმართველებს მოიხსენიებს. ისეთ გამოჩენილ პიროვნებას კი, როგორც თემურ-ლენგი იყო, იგი, უბრალოდ, თათართა ამირას უწოდებს „*Ἀμῆρας τις Τάταρις...Ταμουρλάγκης*“ (ყაუხჩიშვილი 1967: 211). შედარებისთვის, იმავე პანარეტოსთან ამირად მოიხსენიებიან მცირე აზიის თურქი მმართველები, რომლებიც თავისი მნიშვნელობითა და სტატუსით თემურ-ლენგზე ბევრად დაბლა იდგნენ. მაგალითად: ტაჯ ად დინი – „*ἀμῆρᾶς ὁ Τατζιατίνης*“, (ყაუხჩიშვილი 1967: 211) ხუტლუ ბეგი – „*Χουτλουπεκ ὁ ἀμῆρᾶς*“ (ყაუხჩიშვილი 1967: 201) და ა.შ.

მიუხედავად ამა თუ იმ ხელისუფლის პოლიტიკური თუ სამხედრო უპირატესობისა, მიმართვისა და კორესპოდენციის ეტიკეტი ბიზანტიისა თუ ტრაპიზონის იმპერიებში საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, სადაც, როგორც ზემოთ დავინახეთ, საქართველოს მონარქს ტრაპიზონის იმპერატორსა თუ ბიზანტიის მმართველს მიქელ პანარეტოსი თანაბარ სტატუსში აყენებდა.

ანალოგიური შეიძლება ითქვას ბიზანტიელ სახელმწიფო მოღვაწეთა და ისტორიკოსთა ერთ ნაწილზეც. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი გიორგი სფრანძესს უკავია.

გიორგი სფრანძესი გიორგი VIII-ის სამეფო კარზე იქნა მივლინებული თავისი მბრძანებლის, იმპერატორ კონსტანტინე XI პალეოლოგოს-დრაგაშის (1449-1453 წწ.) მიერ. გიორგი სფრანძესს, როგორც დესპანს, იმპერატორისა და საქართველოს მეფის ასულის, ქეთეონ-ქრისტინეს ქორწინების პირობები უნდა შეეთანხმებინა. ამ მოგზაურობასა და პერიპეტიებს სფრანძესი საკუთარ ნაშრომში თავადვე აღწერს. გიორგი სფრანძესი წერს:

„*ἐγὼ παρὰ τοῦ αὐθέντον μου καὶ βασιλέως προς τὸν τῆς Ἰβηρίας κυριον Γεώργιον Μέπεν ὃς παρ ἡμῖν ῥήξ λέγεται*“ (ყაუხჩიშვილი 1970: 49) – „*ჩემი ბრძანებლის (αὐθέντον) ბასილევსის (იგულისხმება კონსტანტინე XI – ლ. თ.) მიერ ვაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან, გიორგი მეფესთან (Μέπεν), რომელსაც ჩვენში რექს (ῥήξ) ეძახიან*“.

წყაროდან კარგად ჩანს, რომ სფრანძესი საქართველოს მეფის წოდებას პირდაპირ თარგმნის და იმ ტიტულით იხსენიებს მას, რომლითაც იხსენიებოდა გიორგი VIII საქართველოში. ავტორი აღნიშნავს, რომ ტიტული „Μέπεν“-ს (ქართული „მეფე“) ჩვენში რექს უწოდებდნენო. ამით გიორგი სფრანძესი ლათინური „რექსისა“ (Rex) და ქართული „მეფის“ იგივეობას უსვამს ხაზს, რაზეც ვრცლად ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ის არ ათანაბრებდეს ბიზანტიის იმპერატორისა და საქართველოს მეფის სტატუსს. მისივე ტექსტის უმეტეს ნაწილში არაერთხელ ნახსენები, მეფე გიორგი VIII ყველაზე ხშირად ბასილევსად, ანუ იმპერატორად, არის მოხსენიებული:

„μεθ' ἧν ἐγὼ ἀπέστειλά τινὰς ἵππους, καὶ δύο οὐς Ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας μοι ἐδωρήσατο ἐκ τῶν ὑπ' αὐτοῦ αἰχμαλωτισθέντων, ὅτε τοὺς αἰχμαλώτους ἐσκόλευσεν“ (ყაუხჩიშვილი 1970: 57-58) – „ამ ნავით მე გავვ ზავნე ცხენები და ორი [ბავშვი], რომელიც მე მახუჭა იბერიის ბასილევსმა (Ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας) მის მიერ ტყვედ წამოყვანილთაგან, როდესაც მან ტყვეები მოინადავლა“:

„Τῆ γὰρ ἰδη τοῦ Ὀκτωβρίου μηνὸς τοῦ αὐτοῦ ἔτους ἐστάλην ἐγὼ εἰς τε τὸν τῆς Ἰβηρίας Μέπεν, ἥγουν βασιλέα Γεώργιον, καὶ βασιλέα Τραπεζουντος κύρ Ἰωάννην τὸν Κομνηνὸν“ (ყაუხჩიშვილი 1970: 74)– „იმავე წლის ოქტომბრის თვის თოთხმეტ რიცხვში გავ ზავნილ ვიქმენ იბერიის მეფესთან (Μέπεν), სახელდობრ, ბასილევს გიორგისთან და ტრაპიზონის ბასილევს ბატონ იოანე კომნენოსთან“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბასილევსის წოდების გარდა, სფრანძესი საქართველოს მონარქს, რექსის და რეგოსის ტიტულებითაც მოიხსენიებს (ყაუხჩიშვილი 1970: 62, 68). „რეგოს“ (ῥηγὸς) ამ შემთხვევაში ლათინური «Rex» ბერძნული კორესპოდენციაა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ტიტულები ბასილევსის კვალდაკვალ გამოიყენება და ისიც იშვიათ შემთხვევებში. თვით იმპერატორ კონსტანტინესთან პირად საუბარში სფრანძესის მიხედვით, თავად იმპერატორი იბერიის მეფეს ბასილევსად მოიხსენიებს:

„Λοιπὸν συν θεῶ τελέσωμεν τὸ τοῦ βασιλέως τῆς Ἰβηρίας“ (ყაუხჩიშვილი 1970: 70) – „ღვთის შეწევნით ვაბლოვებთ იბერიის ბასილევსთან [დანათესავეების] საქმეს“.

ამდენად, საქართველოს მეფე ტექსტის უმეტეს ნაწილში ბასილევსად არის მოხსენიებული, მათ შორის იმპერატორ კონსტანტინეს მიერაც (ყაუხჩიშვილი 1970:

68, 78, 80, 84). ეს კარგად მიუთითებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც ამ პერიოდში არსებობს ბიზანტიასა და საქართველოს შორის და რომელიც პარიტეტულ პრინციპებზეა აგებული.

საქართველოს კიდევ ერთი მონარქი – ალექსანდრე დიდი, ბასილევსის ტიტულით არის მოხსენიებული, ამჯერად ლაონიკე ხალკოკონდილეს ისტორიაში, რომელიც მსგავსად გიორგი სფრანძქისა იმპერატორ კონსტანტინე XI დრავაშ-პალეოლოგოსთან მსახურობდა. მის ნაწარმოებში ის აღწერს ტრაპიზონის იმპერატორის იოანე IV კომნენოსის (1429-1460) ისტორიას და იმას, თუ როდის შეერთო ცოლად ალექსანდრე დიდის ასული:

*„Ὁ δὲ βασιλεὺς Ἰωάννης ἀπελευθὼν ἐν Ἰβηρίᾳ ἔσχεν γυναῖκα τὴν τοῦ βασιλέως Ἀλεξάνδρου θυγατέρα“* (ყაუხჩიშვილი 1970: 95) – ბასილევსი იოანე, რომ წავიდა იბერიაში ცოლად ჰყავდა ბასილევსი ალექსანდრეს ასულთ.

ლაონიკე ხალკოკონდილეს „ისტორია“, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა, რომელიც მიუთითებს ბიზანტიელების მიერ ქართველ მეფეებზე ბასილევსის ტიტულის ცნობას. ამდენად, XIV-XV სს. ბიზანტიური ნარატიული მასალები და შედარებით უფრო ადრინდელი ბიზანტიური წყაროები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ თვით ბერძნულ წყაროებში საქართველოს მეფეებს იმპერატორებს უწოდებდნენ, მსგავსად ბიზანტიისა თუ ტრაპიზონის მმართველებისა.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ დასახელებული ავტორები, მაგალითად, მიქელ პანარეტოსი ალექსი III-ის კარზე პროტოსევასტოსისა და პროტონოტაროსის ტიტულებს ფლობდა, ხოლო გიორგი სფრანძქი კონსტანტინე XI-ის კარზე პროტოვესტიარიტის (ყაუხჩიშვილი 1970: 85; ყაუხჩიშვილი 1967: 161). ორივე ისტორიკოსი თავიანთი იმპერატორების ადმინისტრაციის წევრები და ნდობით აღჭურვილი პირები იყვნენ, ამდენად, მათი პოზიცია საქართველოს მეფის სტატუსთან დაკავშირებით მათივე ქვეყნების ოფიციალურ პოზიციას გამოხატავდა.

**კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტებში დაცული ცნობები  
საქართველოს შესახებ  
(პავლე ტაგარის-პალეოლოგოსის მონანიების წერილის მიხედვით)**

ბიზანტიის ისტორიის კვლევისას მნიშვნელოვანი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საეკლესიო აქტები, რომლებიც წარმოადგენს ძვირფას წყაროს ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობებისა და დიპლომატიისა საეკლესიო ცხოვრებისა და სხვა სოციალური ურთიერთობების შესასწავლად (Miklosich, Muller 1860-1890).

საპატრიარქოს აქტებში დაცულია ბიზანტიის ეკლესიის, კერძოდ კი, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მესვეურების მიმოწერა, მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსებისა თუ სხვა სასულიერო პირების წერილები. საერო პირების დაწერილი ანდერძები, რომლებიც კონსტანტინოპოლის ეკლესიას უკავშირდება, მონანიების შემცველი წერილები და სხვა მრავალი.

აღნიშნული აქტების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია ფრანც მიკლოსიხისა და იოსებ მიულერის მიერ ექვს ტომად. გამოქვეყნებულია რამდენიმე ათეული საისტორიო საბუთები, რომლებიც ფარავს რამდენიმესაუკუნოვან პერიოდს, მათ შორის პოსტბიზანტიურ ეპოქასაც.

სპეროს ვრიონისი მათ შესახებ განმარტავს, რომ „ეს აქტები არ არის ყოვლის მომცველი და ამომწურავი, იმდენად რამდენადაც ჩვენამდე მხოლოდ მათმა მცირე ნაწილმა მოაღწია“. თუმცა ვრიონისი იქვე აღნიშნავს, რომ დოკუმენტების დიდი ნაწილი (140 აქტი) სწორედ XIV საუკუნზე მოდის და ისინი მოიცავს არა მარტო XIV საუკუნის საკითხებს, არამედ ეხებიან XIII და XV საუკუნეებში მიმდინარე მოვლენებსაც. ამასთან, მათში აღწერილი საკითხები ფარავს მცირე აზიის ყველა ძირითად რეგიონს და მათ შორის 50 საეპისკოპოსოს (Vryonis 1971; 289). მკვლევარი მათ სანდობას განსაკუთრებით უსვამს ხაზს. ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან წყაროები თანადროულია და, ამასთან, მათ ოფიციალური დადგენილებების სახე აქვს. ყველაფერი აქედან გამომდინარე, ისინი საისტორიო მეცნიერებაშიც პირველ წყაროს მნიშვნელობას იძენს და სანდობით გამოირჩევა. შემორჩენილია პავლე ტაგარის-პალეოლოგოსის მონანიების წერილი, რომელიც დაცულია საპატრიარქო აქტებში, სადაც ტაგარისი დეტალურად ყვება მის ისტორიას<sup>67</sup>.

<sup>67</sup> Ἐξιμολόγησις μοναχοῦ Παύλου τοῦ Τάγαρι ἡ ὀμολογία. Τοῦ Περδίκη ὑπομνηματογράφου (11, 224-230).

გ. ჰილი ტაგარისის მოღვაწეობას გამოგონილ ამბად მიიჩნევს. იგი ეყრდნობა მხოლოდ იმ წყაროს, რომელიც პარიზში იქნა გამოქვეყნებული 1839 წელს მ. ლ. ბელაქუესტის მიერ.<sup>68</sup> ჰილის სკეპტიციზმი, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, უსაფუძვლო გამოდგა. ს. ვრიონისი აღიშნავს, რომ ჰილს არ გამოუყენებია ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული ბერძნული აქტები, რომლებიც არა მარტო ამტკიცებს პავლე ტაგარისის მოღვაწეობას, არამედ ამ ევროპულ ქრონიკასთან ერთად ავსებს კიდევ ერთმანეთის ინფორმაციას ტაგარისის პიროვნების შესახებ (Vryonis 1971: 337, შენ<sup>241</sup>; Hill 1942: 435). ამგვარად, პავლე ტაგარისის შესახებ არსებული მასალა ვრცელია და გარკვეულწილად სანდო საისტორიო ნარატივს წარმოადგენს. ჩვენ ამ შემთხვევაში დავეყრდნობით სპეროს ვრიონისის მიერ განხილულ საინტერესო ინფორმაციას და ქართული წყაროებთან შეჯერებით წარმოვადგენთ საინტერესო მასალას საქართველოს მეფის სტატუსისა და ქვეყნის სახელწოდების შესახებ.

### ტაგარისი ბიზანტიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში

პავლე ტაგარის-პალეოლოგოსის მოღვაწეობას როგორც ბიზანტიაში, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებში კარგად ახასიათებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აქტები, რომელშიც ის დასახელებულია, როგორც „ცოდვილი ბერი უფრო მეტად კი ფსევდო-ბერი და ძე ეშმაკისა ტაგარისი“ (Vryonis 1971: 335). ამ უკნასკნელი ეპითეტით თუ ვიმსჯელებთ, პავლე ტაგარისის ცოდვები მართლაც სერიოზული იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში სინოდი მას ეშმაკის ძედ არ მოიხსენიებდა.

იგი წარმოშობით იყო ტაგარისების საკმაოდ გავლენიან ოჯახის წევრი. ტაგარის ინფორმაციით, მისი მამა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იყო, ხოლო დედა – იმპერატორის ოჯახის ახლო ნათესავი. სწორედ დედის გვარის მიხედვით იწოდა პავლე პალეოლოგოსად (Nicol 1970: 289-300). 15 წლის ასაკში ახალგაზრდა პავლე ტაგარისმა ცოლი მოიყვანა, თუმცა მცირე ხნის შემდეგ მიატოვა ის და პალესტინაში წავიდა, სადაც ბერად აღიკვეცა.

<sup>68</sup> ეს არის მეფე შარლ VI ქრონიკა – *Chronicum Karoli Sexti*, ed. And trans. M.L. Bellaquest, *Chonique du religieux de Saint-Denys contenant le regne de Charles VI, de 1380 á 1422*. paris, 1839 (12); ეს ქრონიკა არის კიდევ ერთი წყარო, რომელიც ასევე გვამცნობს ტაგარისის მოღვაწეობას აღმოსავლეთსა და კათოლიკურ დასავლეთში.

მას შემდეგ, რაც ტაგარისი კონსტანტინოპოლში დაბრუნდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მონასტერში მოისურვა დამკვიდრება „იმისთვის, რომ ემსახურა კეთილი საქმისათვის“. ცოტა ხანში მან იპოვა ხატი, რამაც მას იმედი მისცა, რომ იშოვიდა ფულს ყოველდღიური ცხოვრებისათვის. ამ ფაქტმა ის და მისი ოჯახი სკანდალში გახვია. საქმეში სამღვდელო პირები ჩაერთვნენ, რომლებმაც მას ხატი ჩამოართვეს. ვრიონის თქმით, ტაგარისი შეურაცხყოფილი იყო, ხოლო მას შემდეგ, რაც ვერაგინ ნახა, ვინც შეძლებდა მისი წართმეული საკუთრების დაბრუნებას, სრულ უიმედობაში მყოფი იერუსალიმში წავიდა (Vryonis 1971: 336).

წმინდა მიწაზე ტაგარისი იერუსალიმის პატრიარქის ლაზარიუსის (1334/41-1346, 1349-1354, 1366-1368 წწ) ნდობით აღჭურვილი პირი შეიქნა. 1368 წელს, როდესაც ლაზარიუსი მუსლიმებმა აიძულეს დაეტოვებინა იერუსალიმის პატრიარქის წმინდა საყდარი, ტახტის ერთ-ერთი მაძიებელი, პავლე ტაგარისს, სიცოცხლის მოსპობითაც დაემუქრა. ტაგარისს თავადაც სურდა იერუსალიმის პატრიარქობა, ეს კი იქიდანაც ჩანს, რომ მოგვიანებით ის სრულიად უკანონოდ იერუსალიმის პატრიარქობას იბრალებს და არაერთ შარლატანობას ჩადის სხვადასხვა მხარეში. პავლე ტაგარისი უსაფრთხოების მიზნით იძულებულია იერუსალიმს გაეცალოს. ამ მოვლენამ ტაგარისს ხელი ვერ შეუშალა თავად დაებრალებინა იერუსალიმის პატრიარქობა.

პავლე ტაგარისის შემდეგი გაჩერება ანტიოქია იყო, სადაც, მისივე თქმით, „სატანა შემოვიდა ჩემში ხელახლა და არ დარჩა არაფერი უკანონო და არალეგალური, რისი გაკეთებაც მან არ მაიძულა, რომ გამეკეთებინა სასირცხვილო შემოსავლის სანაცვლოდ“. ტაგარისმა იერუსალიმის პატრიარქობა დაიბრალა. აქედან დაიწყო ეპისკოპოსებისა და მღვდლების მისი სურვილისამებრ გადაყენება და დანიშვნა. ანატოლიაში ტაგარისი ურიგდებოდა სხვადასხვა მუსლიმ ამირასა და მბრძანებელს, რითაც არაერთხელ გადალახა სამართლიანად დანიშნული ეპისკოპოსების წინააღმდეგობა (Vryonis 1971: 335-336; Miklosich, Muller 1862: 226-228).

1370 წლისათვის სიტუაცია ისე დამძიმდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი და წმინდა სინოდი სპეციალურ ბრძანებას გამოსცემს, რომლის მიხედვით იკონიისა და კესარიის არქიეპისკოპოსებს ბრძანება მიეცათ, გადაეყენებინათ ყველა ის სამღვდელო პირი, რომლებიც უკანონოდ იყვნენ

დანიშნული „ფსევდო მღვდლისა და ეშმაკის ძის ტაგარისის” მიერ. პავლე ტაგარისის თქმით, ფულის სიყვარულმა ის ისე გაიტაცა, რომ მზად იყო ქონების მოპოვების მიზნით ყველანაირი ბოროტი გზა ეპოვა (Vryonis 1971: 336; Miklosich, Muller 1862: 226-227). სწორედ ფულმა და სიმდიდრისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ მიიყვანა ის საქართველოში.

### ტაგარისი საქართველოში

სპარსეთისაკენ მიმავალი ტაგარისი საქართველოში გამოემართა. მიზეზი, როგორც ამას თავად განმარტავს, მისი საქართველოში მოსვლისა უფრო დიდი ქონების დაგროვება იყო (Vryonis 1971: 337). მისი საქართველოში შესვლის დროს, როგორც ამას პავლე ტაგარისი თავად მოგვითხრობს, ვიგებთ, რომ იქ სამეფო ხელისუფლებისათვის სამი მამაკაცი დაობდა. ტაგარისმა დაარწმუნა ისინი, რომ მხოლოდ მას შეეძლო გადაეჭრა მათი პრობლემა და მიანიჭა სამეფო ტახტი იმას, ვინც მას ყველაზე მეტ ფულს შეჰპირდა. ამის შემდეგ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, *„მე დავეუფლე არც თუ ისე პატარა სიმდიდრეს”* (Vryonis 1971: 337; Miklosich, Muller 1862: 227).

პავლე ტაგარის-პალეოლოგოსი საქართველოდან თავრიზში მიემართება, სადაც ის ეპისკოპოსი ხდება. თავრიზიდან ტრაპიზონისკენ გაემართა, იქ მან შეიტყო კონსტანტინოპოლის პატრიარქის წერილის შესახებ, რომელშიც დაფიქსირებული იყო ვინმე ანტიქრისტეს მოციქული ტვიროსის მიტროპოლიტი და მისი ბოროტმოქმედი თანამოაზრე ტაგარისი. პავლე ტაგარისი დაპატიმრების შიშით სასწრაფოდ თათართა (ოქროს ურდო ლ. თ.) სახელმწიფოში გადავიდა, სადაც თერთმეტი აღმასის ფასად ადგილობრივი თათართა სამხედრო რაზმი დაიჭირავა და უნგრეთში გავიდა სამშვიდობოზე, ხოლო აქედან კი საბოლოოდ რომის პაპთან ამოყო თავი. ამ უკანასკნელმა ის კონსტანტინოპოლის პატრიარქად დანიშნა და, შესაბამისად, შემოსა კიდევ (Vryonis 1971: 337; Nicol 1970: 289-300; Miklosich, Muller 1862: 228-229).

ახლა დავუბრუნდეთ ტაგარისის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს. როგორც მისი მონათხრობებიდან ირკვევა, ის საქართველოში მოსვლისას სამ პიროვნებას შეხვდა, რომელთაც საქართველოს სამეფო ტახტზე აქვთ პრეტენზია. შემდეგ ის

ერთ-ერთ მათგანს ამტკიცებს ტახტზე (ან აკურთხებს), როგორც მეფეს და მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებს საქართველოს.

ამ ინფორმაციას სწორედ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქტებში ვაწვდებით. ეს ცნობები შესულია პავლე ტაგარისის მონანიების წერილში, რომელსაც ის სწერს კონსტანტინოპოლის სინოდს 1391 წელს. იქ აღნიშნულია, რომ ტაგარისი ესტუმრა დიდი იბერიას, სადაც სამი მამაკაცი იბრძოდა ტახტისათვის. ამათაგან, ერთს მან მეფობა მიანიჭა დიდი თანხის სანაცვლოდ. პავლე ტაგარისის წერილში საქართველოს – იბერიის დიდი იმპერია ეწოდება. წერილში ვკითხულობთ:

*„ ἐκεῖτεν τοῖνον ὀρμήσας πρὸς τὴν μεγάλην Ἰβηρίαν ἀπῆλθον, ἐν ἣ τρεῖς ἄνδρας περὶ βασιλείας φιλονεικούντας – შესაბამისად, სასწრაფოდ გავემართე დიდი იბერიისაკენ, უკანმოუხედავად, სადაც სამი მამაკაცი იყო დაპირისპირებული იმპერიის (ვასილეთის) გამო“ (Miklosich, Muller 1862: 227).*

ზემოხსენებულ წყაროში ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე პასაჟი. 1. დიდი იბერიის პრობლემა. 2. ქვეყნის სტატუსი, რომელიც „ვასილეთად“, ანუ იმპერიად, არის მოხსენიებული 3. იმ პირების იდენტიფიკაცია, ვინც იბრძოდა „დიდი იბერიის“ ტახტისთვის და იმის გარკვევა, თუ ვის დაუმტკიცა ტაგარისმა საიმპერიო ტახტი.

ვინაიდან კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციის განხილვა და წერილში აღნიშნული ისტორიული პირების იდენტიფიკაცია სცდება ჩვენი ნაშრომის შინაარსს, ამ საკითხის განხილვისგან თავს შევიკავებთ. მივუთითებთ მხოლოდ იმას, რომ ერთხელ ჩვენ ამ პრობლემის უკვე შევეხეთ ჩვენს დამოუკიდებელ სტატიაში, თუმცა ის იდენტიფიკაცია შესაძლოა გარკვეულ გადასინჯვას საჭიროებდეს, რასაც სხვა, დამოუკიდებელ სტატიაში შევეცდებით. რაც შეეხება ჩვენ მიერ დასმულ პირველ ორ პრობლემას, მათ განხილვას ქვემოთ შემოგთავაზებთ.

დიდი იბერიის (τῆς βασιλείας μεγάλου Ἰβηριας...) საკითხი, მართალია, გარკვეულ გეოგრაფიული ცნებაა, მაგრამ ვინაიდან ბერძნულ წყაროებში მისი დაფიქსირება არ არის ხშირი, საჭიროდ მივიჩნევთ, აქვე განვიხილოთ. “დიდის” ეპითეტით, როგორც ზემოთ ვიხილეთ, საქართველოში პატრიარქი დოსითეოსის მიერ გამოვლენილ წარწერაში დავით აღმაშენებელიც იწოდება ქვეყანაზე, ამ



შემთხვევაში კი საქართველოს „დიდი იბერიის“ ქვეყნად მოხსენიება XII საუკუნის ბერძნულ წყაროებში არ გვაქვს. ას, როგორც წესი, აღმოსავლეთ იბერიად მოიხსენიებენ, რათა განასხვავონ პირინეის ნახევარკუნძულის იბერია და საქართველო. ბერძნულში დამკვიდრებულმა ტერმინმა „იბერიამ“ თავის დროზე გიორგი მთაწმინდელს ისიც კი აფიქრებინა, რომ ესპანეთში მცხოვრები იბერიელები და ქართველები მონათესავე ხალხი იყო. ბერძნულ წყაროებში ნაკლებად ვხვდებით ტერმინ „დიდი იბერია“, თუმცა ხშირია „ზემო“ და „ქვემო“ იბერიის ხსენება. ეს უკანასკნელი ლათინურ წყაროებშიც ფართოდ გამოიყენება. სებასოპოლისის ლათინი ეპისკოპოსის, პეტრე გერალდის წერილში დასავლეთ საქართველო ქვემო იბერიად იწოდება (მამისთვალაშვილი 1981: 29). როგორც ჩანს, მსგავს დაყოფას სათავე მაშინ ჩაეყარა, როდესაც საქართველო ორად გაიყო დავით ნარინისა და დავით გიორგი ლაშას ძის მეფობის დროს. ანალოგიური უნდა იყოს დიდი იბერიაც. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო ორად იყო გაყოფილი, ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის სახელწოდებები ორ დამოუკიდებელ ტერმინად დამკვიდრდა უცხოეთშიც. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს – მცირე იბერია, ხოლო აღმოსავლეთს – დიდი იბერია უნდა დარქმეოდა.

ამდენად, საპატრიარქოს აქტებში დაფიქსირებული „დიდი იბერია“ აღმოსავლეთ საქართველოს უნდა აღნიშნავდეს.

რაც შეეხება ტერმინს „ვასილეა“, ის, ბუნებრივია, საქართველოს სამეფოს აღსანიშნავად იხმარებოდა. შუა საუკუნეების საქართველოში არ არსებობდა იერარქია, რომელსაც შეეძლო განესაზღვრა იმპერიის უპირატესობა სამეფოზე და აშ. ქართველები „სამეფოდ“ ყველა დიდ თუ მცირე ქვეყანას მოიხსენიებდნენ. განსხვავებული ვითარება იყო ბიზანტიაში. იქ იმპერიის სტატუსი მხოლოდ ბიზანტიის იმპერიას ჰქონდა, გამონაკლისს შეადგენდნენ ის ქვეყნები, რომელთა მმართველებზეც ბიზანტიის იმპერატორმა სცნო ბასილევსის, ანუ ლათინური კორესპოდენციით იმპერატორის, ტიტული. თუმცა მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. ბიზანტიის ხელისუფლებამ მეტი ანგარიში გაუწია პოლიტიკურ ვითარებას და უკვე კონსტანტინოპოლის პირველი დაცემის შემდეგ (1204 წელი), ოფიციალურ ბერძნულ წყაროებსა თუ სიგელებში მრავალი ევროპელი მონარქი იწოდა ბასილევსად. იგივე ტენდენცია შეეხეო საქართველოსაც – მისი მმართველები ბასილევსებად (უფრო მართებული ფორმაა „ვასილეა“) იწოდნენ,

ხოლო ქვეყანა ვასილედ, ანუ იმპერიად. საქართველო, ქართველი მეფის სტატუსიდან გამომდინარე, იმპერიად ლათინურ წყაროებშიც იწოდება. მაგალითად, იოანე IV კომნენოსი (1429-1460 წწ.) საქარველოს – იბერიის იმპერიას უწოდებს, ხოლო საკუთარი თავი მის მემკვიდრედ წარმოუდგენია. აღნიშნული იმით იყო განპირობებული, რომ იოანეს საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდი ასული ჰყავდა ცოლად და, აქედან გამომდინარე, მემკვიდრეობაზეც აცხადებდა პრეტენზიას. თუმცა, აღნიშნული პრეტენზია, ბუნებრივია, ფორმალობა იყო და საკუთარი თავის განდიდებას ისახავდა მიზნად ვენეციელების თვალში.

ამრიგად, საქართველო, კონსტანტინოპოლის ოფიციალურ საპატრიარქო აქტებში ბიზანტიის იმპერიის მსგავსი სტატუსის მქონე ქვეყნად არის წამოდგენილი, რაც თვალნათლივ მიუთითებს იმ ტენდენციას, რომ ბიზანტიელები საქართველოსა და მისი მონარქის სტატუსს ძველებურად დამცრობილად აღარ თვლიდნენ. ეს ტენდენცია დასაბამს დავით IV აღმაშენებლის დროიდან უნდა იღებდეს და ნარჩუნდება ბიზანტიის იმპერიის დაცემამდე. უფრო მეტიც, ბიზანტიის დაცემის შემდგომი პერიოდის ბერძენი ავტორებისთვისაც სიტუაცია არ იცვლება. მათთვის XV საუკუნის ბოლომდე ქართველი მეფეები ბასილევსები არიან, ხოლო სამეფო ბასილეა (ვასილეა), ანუ იმპერია.

## დასკვნა

როგორც ვიხილეთ, საქართველოში ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურა თითქმის მთელი ათასწლეულის განმავლობაში მყარად იმკვიდრებს ადგილს. VI საუკუნიდან XV საუკუნის ჩათვლით და გარკვეული ინერციით ოდნავ მოგვიანო პერიოდშიც, ბიზანტიური ტიტულები თუ ოფიციალური ეპითეტები, რომლებითაც იწოდებოდნენ ბიზანტიური არისტოკრატის წევრები, შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში ფართოდ გავრცელდა.

ბიზანტიური სენატორული ტიტულების გავრცელება, მათ შორის, ალბათ, ყველაზე ცნობილი, კურაპალატის ტიტულის შემოღებით იწყება. აქამდე რომის იმპერიის პოლიტიკა სხვადასხვა ქართული ქვეყნის მეფე-მთავრებს მეგობარი-მოკავშირე ქვეყნის სტატუსს ანიჭებდა. ქართველი წარჩინებულები ეუფლებოდნენ რომის მოქალაქეობასაც. ხდებოდა მათი ინტეგრაცია რომაულ (ხოლო შემდეგ ბიზანტიურ ანუ აღმოსავლეთ რომის) თანამეგობრობაში. „ორმაგი მოქალაქეობა“ ქართველებისთვის რომის პოლიტიკურ სისტემაში ინტეგრაციის საშუალება იყო, ხოლო სხვა მხრივ კი იდენტობის შენარჩუნების გარანტია (იხ.: Dundua 2003).

მოგვიანებით, როდესაც ინტეგრაციის ინტენსივობა შესუსტდა, გაჩნდა ახალი ტიპის ურთიერთობის მოთხოვნილება. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში ქართველი დიდებულები სულ უფრო ნაკლებად ტოვებდნენ საკუთარ საზღვრებს. საჭიროება იმისა, რომ ქართველები რომსა თუ კონსტანტინოპოლში წავიდნენ და იქაურ მმართველ ელიტაში გაერიონ, სხვადასხვა მიზეზის გამო ნელ-ნელა ქრება. აღნიშნულს, ერთი მხრივ, რომის იმპერიის ეკონომიკური დასუსტება, ხოლო სხვა მხრივ კი საგარეო პოლიტიკური გამოწვევები (ბარბაროსთა შემოსევები, სპარსეთის გაძლიერება და სხვა) განაპირობებს.

იმისთვის, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერიას შეენარჩუნებინა საკუთარი გავლენა საქართველოში არსებულ სამეფო-სამთავროებზე, ბიზანტიელი მესვეურები ქართველ დიდებულებს საკარისკაცო ტიტულებს ანიჭებდნენ. აღნიშნული, ფაქტობრივად, ბიზანტიის მოქალაქეობის გაცემა იყო, ვინაიდან კონკრეტული საკარისკაცო პატივით დამშვენებული კონსტანტინოპოლში ვიზიტისას ეუფლება

იმავე სახის პრივილეგიებს, რასაც ადგილობრივი არისტოკრატები, რომელსაც ანალოგიური პატივი ჰქონდა (Dundua 2003: 5).

ბიზანტიის იმპერატორი ქრისტიანული სამყაროს უზენაეს მბრძანებლად, თვითმპყრობლად ითვლებოდა. შესაბამისად, იმპერატორის მიერ ბიზანტიური სენატორული პატივის მქონე ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები იმპერატორის ქვეშევდომებად განიხილებოდნენ.

საქართველოში ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურის გამოჩენისთანავე საკარისკაცო ტიტულატურა განახლებას, დახვეწასა და სხვა სახის უამრავ ცვლილებას განიცდის. აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ჩნდება დიდი რაოდენობის ახალ-ახალი საკარისკაცო ტიტულები. თუ თვალს მივადევნებთ ბიზანტიური ტიტულატურის ევოლუციას საქართველოში, დავინახავთ, რომ ქართველ მეფე-მთავრებში დამკვიდრებული ბიზანტიური საიმპერიო ტიტულები ბიზანტიაში მათი მნიშვნელობის ცვლილების პარალელურად საქართველოშიც იცვლება. მაგალითად, VII-VIII საუკუნეებში ქართულ პოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრებული იყო ისეთი ტიტულები, როგორებიცაა კურაპალატი, დისიპატოსი, იპატოსი, პროტოპატრიპიოსი, პატრიკიოსი. მოგვიანებით, ამ ტიტულების დამცრობასთან ერთად, ისინი ქრება, ხოლო მათ ადგილზე ჩნდება ისეთი ბიზანტიური ტიტულები, როგორებიცაა მაგისტროსი, პროედროსი, ანთიპატოსი და სხვა. მხოლოდ კურაპალატის ტიტული ინარჩუნებს თავის თავდაპირველ მნიშვნელობას.

უფრო მეტიც, საქართველოს მაგალითზე შეგვიძლია ვივარაუდოთ მრავალი ბიზანტიური ტიტულის შემოდების, დამცრობისა თუ აღზევების პარალელურად დაფიქსირებული ფაქტი. მაგალითად, ანთიპატოს-პატრიკიოსი, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში, ბიზანტიურ სენატში დაწინაურდა IX საუკუნეში, ხოლო ქართული წყაროების ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი აღზევება უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს VII-VIII საუკუნეების მიჯნისა, როდესაც ქართლის ერისმთავარმა, ვარაზ-ბაკურმა, მიიღო იგი იმპერატორ იუსტინიანე II-გან (685-695, 705-711 წწ.). მართალია, ეს ფაქტი არ გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ანთიპატოს-პატრიკიოსობა პირველად ვარაზ-ბაკურს დაუმკვიდრდა. სამაგიეროდ, ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ ქართველი ერისმთავარი ბიზანტიაში ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული ფიგურა იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა მიიღო

ბიზანტიაში ანთიპატოს-პატრიკოსობა, როგორც დაწინაურებული სენატორული პატივი.

აღნიშნული კუთხით ცალკე უნდა გამოყოფის ღირსია ბაგრატ IV-ის დროს საქართველოში გავრცელებული ბიზანტიური ტიტულატურა. როგორც ჩვენ ვარკვევთ, პირველი, ვინც საიმპერიო ოჯახის წევრების გარდა ნოველისიმოსის ტიტული მიიღო, იყო ბაგრატი. ხოლო სევასტოსის ტიტული თუ ბაგრატ IV-მდე იმპერატორების ოფიციალური პატივი იყო, 1060 წელს ბაგრატის მიერ ამ პატივის მიღებით ეს წოდება დაემცრო. ოდნავ მოგვიანებით სწორედ ეს ფაქტი უძღვოდა წინ აღექსი I-ის იმპერატორობის პირველ წელს მომხდარ ბიზანტიური ტიტულატურის რეფორმაციას. ამ უკანასკნელის შემდეგ სევასტოსის ტიტული შენარჩუნდა იმპერატორის ოჯახის წევრებზე და მასთან დაახლოებულ პირებზე. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ ქართული პოლიტიკური რეალობა მნიშვნელოვანი გასაღებია იმ ცვლილებების ასახსნელად, რომლებიც ბიზანტიის იმპერიაში ხდებოდა.

ცალკე ეტაპი ბიზანტიური საიმპერიო ტიტულატურის შესწავლის თვალსაზრისით დგება დავით IV აღმაშენებლის დროს. დავითის მმართველობის პერიოდში საქართველოს მეფე ბიზანტიის იმპერატორის ოფიციალური ტიტულით იწოდებოდა. ტიტულების თვითმპყრობლის (ავტოკრატორი) და ბასილევსის (იმპერატორი) ქართველ მეფეებზე დაფიქსირება რეგულარულად უკვე დავითის დროს ხდება. აღნიშნულ ტიტულები შენარჩუნდა დავითის მემკვიდრეების დროსაც. საქართველოს მეფე „ყოველი აღმოსავლეთის თვითმპყრობელი“ ხდება. ეს კი ბიზანტიის აღმოსავლეთით მდებარე ქრისტიანულ მიწებზე პრეტენზიის გამოცხადებაა. ამ ფაქტს კარგად ეხმაურება დავითისა და მისი მემკვიდრეების „ყოველისა აღმოსავლეთისა“ და „ახლისა მართლმადიდებლისა“ მეფედ წოდება.

ბიზანტიურ პოლიტიკურ რეალობაში ქრისტიანული სამყარო ერთიან, მთლიან სხეულად განიხილებოდა, სადაც უმაღლესი ადგილი ბიზანტიის იმპერატორს ეკავა.

ამ პოზიციას იმპერატორი ურყევად ინარჩუნებს, ვიდრე VIII საუკუნის ბოლომდე. 897 წელს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე VI (780-797 წწ.) დაამხო თავისმა დედამ, დედოფალმა ირინემ (797-802 წწ.), რომელიც ბიზანტიის ერთპიროვნულ იმპერატორად გამოცხადდა. ბევრისთვის ეს იყო წარმოუდგენელი

ფაქტი, როდესაც „ქრისტეს მოადგილის ტახტი“ დაიკავა არა მამაკაცმა, არამედ ქალმა. აღნიშნული განსაკუთრებით მძაფრად ფრანკთა სამეფოში აღიქვეს, სადაც კაროლინგები მმართველობდნენ კარლოს (შარლემანი) I დიდის მეთაურობით. სალიკური სამართლის მიხედვით, ქალს მემკვიდრეობიდან არაფერი ერგებოდა, წარმოუდგენელი იყო ქალის მოაზრება ქრისტესმოყვარე კონსტანტინე დიდის მემკვიდრედ.

ამგვარმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ლეგიტიმურობის თვალსაზრისით, დაძაბული ფონი შექმნა. ლანგობარდების დამარცხებით კარლოს დიდმა რომის პაპი დაითანხმა მისთვის იმპერატორის გვირგვინი დაეღვა. 800 წლის 25 დეკემბერს, შობა დღეს, კარლოს I დიდი რომის იმპერატორად აკურთხეს. ამით ქრისტიანულ სამყაროში კვლავ ორი პოლიტიკური ცენტრი გაჩნდა. მცდელობა, მომხდარიყო ორი იმპერიის გაერთიანება კარლოსისა და ირინეს ქორწინებით, უშედეგო აღმოჩნდა.

ამგვარად, პირველი პრეცედენტი საქრისტიანო სამყაროში ახალი იმპერიული ცენტრის გაჩენისა 800 წელს შედგა. შემდეგი იყო 913 წელს ბულგარეთის მონარქის, სიმეონის, აღიარება ბულგარეთის იმპერატორად. აქედან მოყოლებული ბულგარეთი იმპერიად იწოდებოდა.

საქართველო ამ კუთხით მესამე იყო, სადაც დამოუკიდებელი იმპერიული ცენტრი ჩნდება, რასაც ადგილი 1104 წელს, დავით IV აღმაშენებლის მმართველობის დროს ჰქონდა.

ამრიგად, დავით IV აღმაშენებლიდან მოყოლებული ქართველ მეფეებს იგივე პოლიტიკური სტატუსი ჰქონდათ, რაც ბიზანტიის იმპერატორებს, საღვთო რომის იმპერატორებსა და ბულგარეთის მონარქებს. ამათგან, მხოლოდ ბულგარეთი დაეცა ბასილ II ბულგართმმუსვრელის დროს (976-1025 წწ.). მაგრამ სცნობდნენ კი ქართველები ერთიანი ქრისტიანული სამყაროს ასეთ დაქუცმაცებას? სავარაუდოა, რომ არა. ქართული წყაროების მიხედვით, ბიზანტიის იმპერატორი „ყოველი დასავლეთის მეფე“ და თვითმპყრობელია, ხოლო ქართველი მეფე კი „ყოველი აღმოსავლეთისა“. ამდენად, სრულიად გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დავითის დროს გაჩნდა დუალისტური იმპერიის ხედვა (დუნდუა 1997: 149-152), რომლის მიხედვითაც ქრისტიანულ სამყაროში ერთის მაგიერ უკვე ორი იმპერატორი მოიაზრება – ერთი დასავლეთში, ბიზანტიის იმპერატორი, ხოლო მეორე აღმოსავლეთში – საქართველოს იმპერატორის სახით. „საქართველოს

იმპერატორის“ შესახებ საუბრისას არ უნდა გაგვიკვირდეს მისი სტატუსი – იმპერატორი – იგი შეიძლება ცოტა ხმამაღლა უღერდეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ქართული წყაროების მიხედვით, ქართველი მეფე თვითმპყრობელია, ანუ ავტოკრატორი, ხოლო ბიზანტიურ წყაროებში ის ბასილევსად, ანუ ლათინური კორესპოდენციით იმპერატორად იწოდება. ლათინური ტერმინი „იმპერატორი“ ქართველი მეფეების მიმართ იხმარება ლათინურ წყაროებშიც, მათ შორის ესპანეთისა და ტრაპიზონის მონარქთა ოფიციალურ წერილებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ დუალისტური იმპერიის ხედვა არ ყოფილა მხოლოდ ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის დამახასიათებელი. მსგავსი იდეოლოგიის ჩასახვას ვხედავთ ეთიოპიაშიც. ეთიოპიის ნაგუსების (მონარქის აღმნიშვნელი ტერმინი ეთიოპურად) ოფიციალური მატრიანის. „კებრა ნაგასტის“ მიხედვით, მსოფლიოში ორი უმაღლესი ლეგიტიმური მმართველია: სამხრეთში სოლომონის უფროსის ძის, მენელეკის, მემკვიდრე ეთიოპიის ნაგუსის სახით, ხოლო ჩრდილოეთში კი ბერძენთა (იმავე ბიზანტიის) იმპერატორი, რომელიც სოლომონის უმცროსი ძის მემკვიდრედ აღიქმება. დუალიზმი აქაც სახეზეა, ოღონდ განსხვავებული გეოგრაფიული დეტერმინიზმის გამოყენებით, მაგრამ დუალისტური იმპერიის აღქმის ანალოგიური იდეით.

ქართველი მეფეების ეს სტატუსი არ ყოფილა რაღაც ახალი პროცესის დასაბამი. ქრისტიანულ სამყაროში მისი ანალოგია უკვე არსებობდა საღვთო რომის იმპერატორისა და ბულგარეთის იმპერატორის პოლიტიკური სტატუსების სახით.

საქართველოს მეფის მიერ მისი პოლიტიკური სტატუსის საიმპერატორო სტატუსში ამაღლება არ აღმოჩნდა ახალი საიმპერიო ცენტრების აღმოცენების ტენდენციის დასასრული. ქრისტიანულ სამყაროში უფრო მეტ მმართველს უჩნდებოდა თვითმპყრობლობისა და იმპერატორობის სურვილი. ასე მოხდა 1204 წელს ტრაპიზონის იმპერიის, ხოლო 1224 წელს თესალონიკეს იმპერიის წარმოქმნის შემთხვევაში. იგივე პროცესი ხდება ბულგარეთის მეორე იმპერიისა და, ასევე, სერბეთის იმპერიის არსებობის, სტეფან IV დუშანის (1331-1355 წწ.) დროს. მოგვიანებით, როდესაც ეს პოლიტიკური ერთეულები წყვეტენ არსებობას, მართლმადიდებელ სამყაროში რუსეთი დაწინაურდა, რომელსაც თითქოს ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრის ფუნქცია უნდა ეკისრა.

1453 წლის 29 მაისი მსოფლიო ისტორიაში ბიზანტიის იმპერიის დაცემის თარიღად არის შესული. კონსტანტინოპოლის დაცემა არ ყოფილა მხოლოდ პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური კარჩაკეტილობის გამომწვევი ფაქტორი, რამაც საქართველო ევროპულ სამყაროს ჩამოაშორა. აღნიშნულმა მოვლენამ, უპირველეს ყოვლისა, ჩაახშო ის პოლიტიკური თუ რელიგიური აზროვნების მიღწევები, რომლითაც საზრდოობდა ქართული საერო და სასულიერო ელიტა. ამ კუთხით ბიზანტიის დაცემა მნიშვნელოვანი კრიზისის მომასწავლებელი იყო.

XV საუკუნის ბოლოს საქართველო პოლიტიკურ კრიზისს განიცდის. ქვეყანა პოლიტიკური დაშლილობის ზღვარზეა და დეზინტეგრაციას განიცდის. მიუხედავად ამისა, საქართველოს მმართველები ცდილობენ ბიზანტიის იმპერატორების ადგილი დაიკაონ და ამ მიზნით მფარველობენ და ხელს უწყობენ ბიზანტიის ეკლესიასაც. როგორც სტივენ რანსიმანი აღნიშნავს, კონსტანტინოპოლის პატრიარქი, იოაკიმე I, საქართველოს მეფის, კონსტანტინე II-ის ხელშეწყობით აკურთხეს პატრიარქად. საქართველოს მესვეურების გარდა, კონსტანტინოპოლის პატრიარქის არჩევაში ერევიან ვლახეთის მთავრებიც (Runciman 1985: 196-198). ბიზანტიის იმპერიის არარსებობის პირობებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ახალ მფარველს ეძებს. პოლიტიკურმა დაშლილობამ არ მისცა ქართველებს იმის შესაძლებლობა, რომ მართლმადიდებლობის ფლაგმანის როლი შეესრულებინათ, რის გამოც ეს როლი XVI საუკუნეში რუსეთმა იკისრა.

კონსტანტინე II გაერთიანებული საქართველოს ბოლო *de jure* მეფეა, რომელიც დიდი პრესტიჟით სარგებლობდა ევროპაში. ესპანეთის მეფეების წერილებში იგი, მსგავსად თავისი წინაპარი ბაგრატონი მმართველებისა, იმპერატორად იწოდება. ეს, ბუნებრივია, საქართველოს პოლიტიკური სტატუსისა და პრესტიჟის ნათელი გამოვლინებაა.

კონსტანტინე II-ის შემდეგ, XVI საუკუნეში, ქართველი მეფეები ნაწილობრივ მაინც ინარჩუნებდნენ ძველ ტიტულატურას. განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩეოდნენ იმერეთის მეფეები. იმერეთის მეფეებზე, აღმოსავლეთ საქართველოს მმართველებისაგან განსხვავებით, გარეშე ძალების პოლიტიკური



ექსპანსია ნაკლები იყო. ოსმალეთი XVII საუკუნის დასაწყისის ჩათვლით სამცხის-საათაბაგოს კუთვნილი ტერიტორიის დამორჩილებითა და ინტეგრაციით იყო დაკავებული, ხოლო სეფიანთა ირანი კი აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობით. თუმცა XVII საუკუნეში გამძაფრებულმა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ იმერეთის მეფეების პრესტიჟი მნიშვნელოვნად შეარყია. XVII საუკუნეში იმერეთის მეფეები რუსეთის მონარქთან გამართულ დიპლომატიურ კორესპოდენციაში საკუთარ თავს დამცრობილი პოლიტიკური სტატუსის მატარებლად წარმოადგენენ.

სწორედ XVIII საუკუნიდან მოყოლებული, პოლიტიკური სტატუსის კუთხით საქართველოში ახალი ვითარება ისახება, როდესაც ტერმინი „იმპერატორი“ იძენს განსხვავებულ შინაარსს და ტერმინ „მეფეზე“ მაღლა დგება. მანამდე „მეფე“ მეტ-ნაკლებად, ზოგადი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და არ მოიაზრებდა მონარქიულ წყობაში არსებულ იერარქიული მდგომარეობის გამომხატველ ტერმინს. თავისი შინაარსით იგი „ხელმწიფეს“ უახლოვდებოდა. „მეფედ“ შეიძლება ყოფილიყო წოდებული, მაგალითად, ბერძნული კორესპოდენციით „ბასილევსი“ და ლათინური კორესპოდენციით „იმპერატორი“. თუმცა, მას შემდეგ, რაც ქართველი მეფეების პოლიტიკური სტატუსი, გავლენა და პრესტიჟი დაეცა ტერმინი „მეფის“ შინაარსიც დაკნინდა. ეს უკანასკნელი მონარქიაში უმაღლეს საფეხურზე მდგომი პოლიტიკური შინაარსის მქონე ტერმინიდან იმპერატორზე ქვემოთ მდგომი მონარქის აღმნიშვნელ ტერმინად გადაიქცა. ყველაფერი ეს ქართველი მეფის პოლიტიკური სტატუსის დაქვეითების პარალელურად მოხდა. ქართულ ენაში აღნიშნული სემანტიკური ცვლილება დღემდე შეინიშნება და იმპერატორი მეფეზე მაღალ ხელისუფლად განიხილება.

შუა საუკუნეების ზემოთ განხილულ ეპოქაში იმპერატორი ყოველთვის მეფეზე მაღალი რანგის ტიტული არ ყოფილა. XII-XVI საუკუნეებში ტერმინი „მეფე“, ზოგადად მონარქის აღსანიშნავად იხმარებოდა. იმპერატორის სტატუსს ქართველი მეფეები ამ დროს ისევე ატარებდნენ, როგორც ბიზანტიისა თუ საღვთო რომის იმპერიების მმართველები. ქართველი მეფეების საიმპერატორო სტატუსი დავით IV აღმაშენებლიდან კონსტანტინე II-ის ჩათვლით, მათ მიერ საიმპერატორო ტიტულების ფლობით დგინდება, რასაც გარკვეული საერთაშორისო აღიარება ერთვოდა თან.

## შემოკლებების განმარტება

თსუშ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

სსსმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაბე

სშ – საისტორიო შტუდიები

ქდ - ქართული დიპლომატია (წელიწდეული)

ქისკ – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი

ქპ – ქართული პროზა

ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქსძ – ქართული სამართლის ძეგლები

ქხა – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

ქსძ - ქართული სამართლის ძეგლები – ტექსტები გამოსცა წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ. ტომი I-VII

ძქმ – ძველი ქართველი მესობტენი

ძსკი – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან

სსმმ – აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მონაბე

ძსკი – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან

CMH - Cambridge Medieval History

HC - A History of Crusades. General editor Kenneth M. Setton.

JAOS – Journal of the Americal Oriental Society

JEH - Journal of Ecclesiastical History

DORLC - Dumbarton Oaks Research Library and Collection

DOS - Dumbarton Oaks Studies

ODB – The Oxford Dictionary of Byzantium

NC – Numismatic Chronicle

RCH - Recueil des Historiens des Croisades

REB – Revue des Études Byzantines

ZPE – Zeitschrift für Papyrologie und Epigraphik

ZRVI – Zbornik Radova Vizantolaskog Instituta, Sprska Akademija Nauka

ВИ – История Византии

НС – Нумизматический сборник

## ბიბლიოგრაფია

- 1) აბდალაძე 1978; სომხური ანდერძ-მინაწერები (ჰიმტარაკანები) საქართველოს შესახებ XIV–XV სს. ძველი სომხურიდან თარგმნა შესავალი და კომენტარები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1978.
- 2) აბდალაძე 2005; აღ. აბდალაძე, სომხური ანდერძ-მინაწერები საქართველოს შესახებ (X–XIII სს.), გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ. 2005.
- 3) აბრამიშვილი 1965; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1965.
- 4) აბრამიშვილი 1977; გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ. მეცნიერება, 1977.
- 5) აბრამიშვილი 1984; გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მნათობი“, 9, 1984.
- 6) აბრამიშვილი 1989; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები (1966-1984), თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1989.
- 7) აბრამიშვილი, ალექსიძე 1989; ფრესკული წარწერები, I, ატენის სიონი, ქსკ – III, გამოსაცემად მოამზადეს გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა ალექსიძემ, თბ. 1989.
- 8) აბულაძე 1953; ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ. 1953.
- 9) აბულაძე 1963; მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. წგნ.: I (V-X სს.), რედ. ილია აბულაძე, თბ. 1963.
- 10) აბულაძე 1991; სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტომი I, გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, პირველად გამოიცა 1965-6, თბ. გამომცემლობა მერანი, 1991.
- 11) აბულაძე 1993; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, პირველად გამოიცა 1965-6, თბ. გამომცემლობა მერანი, 1993.

- 12) ავალიშვილი 1989; ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1989.
- 13) ალასანია 1980; უცნობი ავტორი. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1980.
- 14) ალექსიძე 2001; ზ. ალექსიძე, აბო ტფილელის მარტვილობის თარიღი და მასთან დაკავშირებული ქართლის ერისმთავართა ქრონოლოგია. მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XIX, თბ. 2001.
- 15) ალექსიძე 2007; მოქცევაჲ ქართლისაჲ: ახლად აღმოჩენილი სინური რედაქციები. გამოსცა და წინასიტყვაობა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ. 2007.
- 16) ანთელავა 1983; ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბ. 1983.
- 17) ანთელავა 1988; ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები. თბ. „მეცნიერება“. 1988.
- 18) ანჩაბაძე 1998; გ. ანჩაბაძე, საქართველოს ომების ქრონოლოგია. თბ. 1998.
- 19) არახამია 1990; სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრებაჲ და უწყებაჲ ბაგრატიონიანთა. ტექსტი გამოსცა გ. არახამიამ, თბ. 1990.
- 20) ასათიანი 1968; ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტომი 125, თბ. 1968.
- 21) ასათიანი 2004; ნ. ასათიანი, დავით რუსუდანის ძის (ნარინის) მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების საკითხისათვის. საისტორიო შტუდიები, ტომი V, თბ. 2004.
- 22) ასალაშვილი 1987; მ. ასალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე. თბ. „მეცნიერება“, 1987.
- 23) ბაგაური 2011; ნ. ბაგაური, მცირე აზიელი ტოპარხები (ტენდენცია და ანალოგიები). თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი: შრომები, ტომი II, თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2011.
- 24) ბადრიძე 1965; შ. ბადრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან. თსუ შრომები 113, ისტორიის მეცნიერებათა სერია V, თბ. 1965.
- 25) ბადრიძე 1974; შ. ბადრიძე, დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის. თსუშ. B 8-9 (155-156), თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 1974.

- 26) ბადრიძე 1984; შ. ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1984.
- 27) ბაქრაძე 1959; ა. ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, სსმმ. XX-B., თბ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959.
- 28) ბაქრაძე 1978; ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისთვის. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1978.
- 29) ბაქრაძე 1987; დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, რუს. თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. პირველად გამოიცა 1878 სანკტ-პეტერბურგში, თბ. 1987.
- 30) ბახტაძე 2003; მ. ბახტაძე, ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ. 2003.
- 31) ბერძენიშვილი 1964; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბ. 1964.
- 32) ბერძენიშვილი 1978; მ. ბერძენიშვილი, „მატიანე ქართლისაის“ ერთი ადგილის დაზუსტებისთვის. კრ. – ქართული წყაროთმცოდნეობა, ტომი V, თბ. 1978.
- 33) ბერძენიშვილი 1989; მ. ბერძენიშვილი, ქართული ეპისტოლური წყაროები: XV ს. -1762, ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი, I, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძენიშვილმა. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1989.
- 34) ბოგვერაძე 1971; ა. ბოგვერაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ. კრ. – ქართული ისტორიოგრაფია, 2, თბ. 1971.
- 35) ბუაჩიძე 1997; გ. ბუაჩიძე, საქართველო ბიზანტია და ფატიმიანთა სახალიფო (დიპლომატია და პოლიტიკური ბრძოლა 1014-1023). ქართული დიპლომატია, წელიწდეული. ტომი 4, თბ. 1997.
- 36) გაბაშვილი 1967; ვ. გაბაშვილი, საქართველოს სავაჭრო ურთიერთობანი XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტომი 121, თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 1967.
- 37) გაბაშვილი 1969; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი. თბ. გამომცემლობა ნაკადული, 1969.
- 38) გაბიძაშვილი 1978; ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა. თბ. „მეცნიერება“, 1978.

- 39) გაგოშიძე 2004; გ. გაგოშიძე, ბაგრატ IV ნოველისიმოსი: 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან. სსსმ – ნარკვევები, IX, თბ. 2004.
- 40) გოგოლაძე 2004; მ. გოგოლაძე, ქართლის სოციალური და პოლიტიკური ისტორია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით (ძვ.წ. IV ს. – ახ.წ. VII ს. I ნახევარი), გამომცემლობა მერიდიანი, თბ. 2004.
- 41) გოილაძე 2007; ვ. გოილაძე, ოფსიკონის თემის სტრატეგოსის – ვარაზ-ბაკურის ვინაობის საკითხისათვის. კრ. – ბიზანტინოლოგია საქართველოში, თბ. 2007.
- 42) გოილაძე 2008; ვ. გოილაძე, ბიზანტიის აღმოსავლური პოლიტიკის ასახვა ქართულ ეპიგრაფიკაში. თბ. 2008.
- 43) დავლიანიძე-ტატიშვილი 1985; მოვსეს კალანკატუაცი, ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ. 1985.
- 44) დავლიანიძე-ტატიშვილი 1985; მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ. „მეცნიერება“, 1990.
- 45) დარჩიაშვილი 2010; შ. დარჩიაშვილი, ძიებანი ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიიდან: სომხური ლაპიდარული წარწერების ცნობები საქართველოს შესახებ XII-XIII საუკუნეების პირველ მესამედში, თბ. „არტანუჯი“, 2010.
- 46) დოლიძე 1965; ქართული სამართლის ძეგლები, II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXსს). ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, ტომი II. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1965.
- 47) დოლიძე 1970; ქართული სამართლის ძეგლები. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIXსს), ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, ტომი III. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1970.
- 48) დუნდუა 2006; გ. დუნდუა, დავით აღმაშენებლის სპილენძის იშვიათი მონეტა. კრ. – ისტორიანი, მიძღვნილი რ. მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი, თბ. 2006.
- 49) დუნდუა 1995; თ. დუნდუა, საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 1995.

- 50) ღუნდუა 2003; თ. ღუნდუა, სევასტოსები და მართლმადიდებელი სიმახია: დავით აღმაშენებელი და თეოროდე გაბრასი. თბ. 2003.
- 51) ღუნდუა, ღუნდუა 2006; გ. ღუნდუა, თ. ღუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა. ტომი I, თბ. გამომცემლობა არტანუჯი, 2006.
- 52) ღუნდუა, ღუნდუა 2011; გ. ღუნდუა, თ. ღუნდუა. ქართული ნუმიზმატიკა. ტომი II. თბ. გამომცემლობა მერიდიანი. 2011.
- 53) ღუნდუა, ღუნდუა 2011; გ. ღუნდუა, თ. ღუნდუა. იჭრებოდა თუ არა გიორგაული თეთრი? თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი I, თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2011.
- 54) ღუნდუა 2011; თ. ღუნდუა, ბიზანტიური პროვინციული ნუმიზმატიკა: გაბრასები და მათი სამონეტო ემისიები, თბ. მერიდინი, 2011.
- 55) ღუნდუა, თავაძე 2011; თ. ღუნდუა, ლ. თავაძე, *Limes Ponticus* – რამდენიმე საკითხი პონტოს საზღვრის შესახებ I – II სს. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი III, თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2011.
- 56) ენუქიძემ, სილოგავამ, შოშიაშვილი 1984; ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. ქისკ, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილი, თბ. „მეცნიერება“, 1984.
- 57) თავაძე 2003; ლ. თავაძე, 1204 წლის კონსტანტინეპოლის ტრაგედია. სტუდენტური ძიებანი: სტუდენტთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ. გამომცემლობა ინტელექტი, 2003.
- 58) თავაძე 2004; ლ. თავაძე, ვაჭართა ფენის როლი XII საუკუნის საქართველო-ბიზანტიის დიპლომატიურ ურთიერთობებში. სტუდენტური ძიებანი: სტუდენტთა 64-ე კონფერენციის მასალები, თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2004.
- 59) თავაძე 2006; ლ. თავაძე, საქართველო-კილიკიის სომხეთის დიპლომატიური ურთიერთობა გიორგი V ბრწყინვალის ხანაში. სტუდენტთა 66-ე სამეცნიერო კონფერენცია (გამარჯვებულ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები), რედ. ტ. კვიციანი, თბ. გამომცემლობა უნივერსალი, 2006.

- 60) თავაძე 2007; ლ. თავაძე, მითები და ლეგენდები დავით აღმაშენებლის შესახებ (ლათინური, ებრაული და ეთიოპური წყაროების ანლიზის საფუძველზე). მარიამ ლორთქიფანიძე 85, თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 2007.
- 61) თავაძე 2008; ლ. თავაძე, საქართველო და ერზინკის საამიროს ურთიერთობა ბაგრატ V დიდის ხანაში. საისტორიო ძიებანი, X-XI (წელიწდეული), თბ. 2008.
- 62) თავაძე 2010; საქართველოს სასაზღვრო სისტემა: საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის პრობლემები ანტიკურ ეპოქაში. სპეკალი (ორენოვანი ელექტრონული სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი). № 2, 2010.
- 63) თავაძე 2011; ლ. თავაძე, სევასტოპოლის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი: შრომები, ტომი II, თბ. „მერიდიანი“, 2011.
- 64) თაყაიშვილი 1920; საქართველოს სიძველენი. რედ. ექვთიმე თაყაიშვილი, ტომი I, პირველად გამოიცა 1899, თბ. 1920.
- 65) თვალთვაძე 2009; დ. თვალთვაძე, ქართული ოთხთავის ათონური რედაქციის ჩამოყალიბების ისტორიიდან. ფილოსოფიურ-კულტურული დიალოგი, ტომი I, თბ. თსუ გამომცემლობა, 2009.
- 66) თვარაძე 2004; ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიულ და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე). თბ. გამომცემლობა სეზანი, 2004.
- 67) თოდუა 1979; ქართულ-სპარსული ეტიუდები. ტექსტი გამოსცა, თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ, ტომი III, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1979.
- 68) კაკაბაძე 1912; ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი მე-XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი. თბ. 1912.
- 69) კაკაბაძე 1925; ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია. გამოსცა ს. კაკაბაძემ, ტფ. გამომცემლობა საისტორიო მოამბე, 1925.
- 70) კაპანაძე 1969; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა. თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 1969.
- 71) კაციტაძე 1975; დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 1975.



- 72) კვაჭანტირაძე, შოშიაშვილი 2003; ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია. სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ, თბ. გამომცემლობა არტანუჯი, თბ. 2003.
- 73) კიკნაძე 1987; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატინე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ, თბ. „მეცნიერება“, 1987.
- 74) კიკნაძე 1989; ვ. კიკნაძე, საქართველო XIV საუკუნეში. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1989.
- 75) კლდიაშვილი 1989; სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით. მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XV, თბ. გამომცემლობა „მეცნიერება“, 1989.
- 76) კლდიაშვილი 2009; დ. კლდიაშვილი, ქართული არისტოკრატია კონსტანტინოპოლში: ჰერეთისა და კახეთის მმართველები. კრ. – ბიზანტინოლოგია – 2. წგნ.: I, თბ. 2009.
- 77) კობალაძე 2000; ვ. კობალაძე, საერთაშორისო ურთიერთობის თეორიული საკითხები ქართულ აზროვნებაში XII-XIII საუკუნეებში (მონღოლთა შემოსევამდე). ქართული დიპლომატია (წელიწადეული), ტომი VII, თბ. თსუ. გამომცემლობა, 2000.
- 78) კოპალიანი 1969; ვ. კოპალიანი, საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში, თბ. 1969.
- 79) კოპალიანი 1972; ვ. კოპალიანი, „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ კურაპალატის საკითხისათვის, „მაცნე“: ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის სერია, 1972, № 3.
- 80) კუცია 1987; თოვმა მეწოფეცი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა. ძველი სომხურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო კ. კუციამ, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1987.
- 81) ლოლაშვილი 1978; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი: ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. „მეცნიერება“, 1978.
- 82) ლოლაშვილი 1984; იოანე შავთელი, აბდულმესიანი. ძქმ, წგნ.: II. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ. 1984.

- 83) ლორთქიფანიძე 1963; მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX-X სს.), თბ. 1963.
- 84) მამისთვალაშვილი 1981; ე. მამისთვალაშვილი, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს. II ნახევარსა და XVI საუკუნეში, თბ. 1981.
- 85) მარგიშვილი 2006; ს. მარგიშვილი, მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ, თბ. „სიესტა“. 2006.
- 86) მესხია 1982; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი. ტომი I, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1982.
- 87) მეტრეველი 1976; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ყოფილი საეკლესიო მუზეუმის A კოლექციისა, ტომი I<sub>2</sub>. რედ. ელ. მეტრეველი, თბ. 1976.
- 88) მეტრეველი 1986; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი: ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მიმოხილვა. თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1986.
- 89) მეტრეველი 1998; ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ. 1998.
- 90) მეტრეველი 2002; რ. მეტრეველი, ქრონოლოგიის საკითხები. თბ. თსუ გამომცემლობა, 2002.
- 91) მეტრეველი 2003; ქართული დიპლომატიის ისტორია (ქრესტომათია), რედ. რ. მეტრეველი, თბ. თსუ გამომცემლობა, 2003.
- 92) მეტრეველი 2003<sup>2</sup>; ქართული დიპლომატიის ისტორია. მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ. თსუ გამომცემლობა, 2003.
- 93) მეტრეველი, სამუშია 2003; რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია. მეფეთ მეფე გიორგი II. თბ. 2003.
- 94) მეტრეველი 2008; ქართლის ცხოვრება. მთ. რედ. რ. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბ. „მერიდიანი“, 2008.
- 95) მიწიშვილი 2000; ნ. მიწიშვილი, „მეფეთა მეფე“, „დიდი მეფე“ (სამეფო ტიტულების გენეზისის საკითხისათვის). ქართული დიპლომატია (წელიწადეული), ტომი VII, თბ. თსუ-ს გამომცემლობა, 2000.
- 96) მიწიშვილი 2003; ნ. მიწიშვილი, „დიდი მეფე“ ვახტანგ გორგასალი (ქართლი და ირანი V ს. მეორე ნახევარში). ქართული დიპლომატია: წელიწადეული, ტომი 10, თბ. 2003.

- 97) მიქაბერიძე 1997; ა. მიქაბერიძე, მართა ბაგრატიონი ბიზანტიასა და საქართველოში. ქდ, ტომი 4, თბ. 1997.
- 98) მუსხელიშვილი 1990; დ. მუსხელიშვილი, დავით აღმაშენებლის აღმოსავლური ტიტულატურა. დავით აღმაშენებელი, თბ. „მეცნიერება“, 1990.
- 99) ნინიძე 1995; დ. ნინიძე, „პროვინციის მეფეები“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში. თბ. თსუ გამომცემლობა, 1995.
- 100) ნინიძე 2003; დ. ნინიძე, XIII საუკუნის ტეხილის გაგებისათვის. ქართული დიპლომატია (წელიწდეული), ტომი X, თბ. თსუ გამომცემლობა, 2003.
- 101) ნინიძე 2004; დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები), თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2004.
- 102) ნოღია 1978; ი. ნოღია, მარიამ დედოფალი XI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თსუ შრომები, ტომი 183, თბ. 1978.
- 103) ოთხმეზური 1981; XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1981.
- 104) პაპასქირი 2009; ზ. პაპასქირი, ქართული პოლიტიკური სამყარო „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (X საუკუნის I ნახევარი). ისტორიანი: კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70-ე წლისთავისადმი, თბ. „არტანუჯი“, 2009.
- 105) პაპასქირი 2009; ზ. პაპასქირი, მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის XI ს. 60-იან წლებსა და 70-იან წლების დამდგს. საისტორიო კრებული, ტომი 1, თბ. „მხედარი“, 2011.
- 106) პატარიძე, ჯანჯღავა 2006; მ. პაარიძე, გ. ჯანჯღავა. ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები. Rare coins of Trebizond Empire, თბ. 2006.
- 107) ჟორდანიას 1897; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, ტომი II (1213 დან-1700 მდე), ტფ. 1897.
- 108) ჟორდანიას 1967; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, ტომი III, 1700-XIX საუკუნის 60-იან წლებამდე. გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1967.

- 109) უორდანია 2004; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო უორდანიას მიერ. წგნ.: I. პირველი გამოცემა ტფ. 1892, მეორე ფოტოფირული გამოცემა, თბ. გამომცემლობა არტანუჯი, 2004.
- 110) სამუშია 1997; ჯ. სამუშია, XI საუკუნის საქართველოს ისტორიის რამდენიმე მოვლენის დათარიღებისთვის. ქდ, ტ. 4, თბ. 1997.
- 111) სამუშია 2011; ჯ. სამუშია, ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში სამწლიანი ტყვეობა და საქართველო-ბიზანტიის 1055 წლის ზავი. ჟურნ. თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტომი II, თბ. 2011.
- 112) სამუშია 2012; ჯ. სამუშია, დავით აღმაშენებელი: სტატუსი 1083-1089 წლები. ჟურნ. დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა – თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სპეციალური დამატება, თბ. 2012.
- 113) სილაგაძე 1991; ბ. სილაგაძე, არაბთა ბატონობა საქართველოში. თბ. 1991.
- 114) სილოგავა 1980; დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1980.
- 115) სილოგავა 2004; სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. გამოსცა ვალერი სილოგავამ, თბ. 2004.
- 116) სილოგავა 2006; ვ. სილოგავა. ოშკი: X ს. მემორიალური ტაძარი, თბ. 2006.
- 117) სურგულაძე, ოდიშელი 1991; პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით). ტომი I, რედ. მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1991.
- 118) სამუშია 1999; ჯ. სამუშია, ნარკვევები შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. წიგნი I, თბ. გამომცემლობა არტანუჯი, 1999.
- 119) სტეფნაძე 1976; ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულების გაგებისათვის. ძსკი, თბ. 1976.
- 120) სტეფნაძე 1999; ჯ. სტეფნაძე, უცხოელ მეფე-მთავართა და დიპლომატთა მიღების წესები (ეტიკეტი) XII საუკუნისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ქართული დიპლომატია (წელიწადეული), ტომი VI, თბ. თსუ გამომცემლობა, 1999.

- 121) სტეფნაძე 2000; მ. სტეფნაძე, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების მიზეზებისათვის ქართული დიპლომატია (წელიწადეული), ტომი VII, თბ. თსუ გამომცემლობა, 2000.
- 122) სურგულაძე 2006; მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები XI-XV სს. თბ. გამომცემლობა არტანუჯი, 2006.
- 123) საქართველოს ... ; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი I-III. თბ. 1970-1973.
- 124) ტაბატაძე 1982; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1974.
- 125) ქართული პროზა...; ქართული პროზა, ტომი I-III. თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1982.
- 126) ქუთათელაძე 2001; ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი: პოლიტიკურ ისტორიული საკითხები. თბ. „მთაწმინდელი, 2001.
- 127) ქსე..., I-XI; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. მთ. რედ. ირ. აბაშიძე, თბ. 1973-1987.
- 128) ღვაბერიძე 1986; ც. ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯვლართა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით), თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1986.
- 129) ყაუხჩიშვილი 1936; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. III. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ. ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1936.
- 130) ყაუხჩიშვილი 1941; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. IV ნაკვ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
- 131) ყაუხჩიშვილი 1952; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. IV ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1952.

- 132) ყაუხნიშვილი 1955; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, ტომი I, თბ. „სახელგამი“, 1955.
- 133) ყაუხნიშვილი 1959; ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, ტომი II, თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1959.
- 134) ყაუხნიშვილი, გამყრელიძე 1961; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ს. ყაუხნიშვილმა და აღ. გამყრელიძემ, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961.
- 135) ყაუხნიშვილი 1963; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. V. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხნიშვილმა, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963.
- 136) ყაუხნიშვილი 1965; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხნიშვილმა, მეორე შევსებული გამოცემა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1965.
- 137) ყაუხნიშვილი 1966; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. VI. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხნიშვილმა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1966.
- 138) ყაუხნიშვილი 1967; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. VII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხნიშვილმა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1967.
- 139) ყაუხნიშვილი 1970; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობების საქართველოს შესახებ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხნიშვილმა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1970.
- 140) ყაუხნიშვილი 1973; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხნიშვილის მიერ, ტომი IV, თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1973.

- 141) ყაუხნიშვილი 2009; თ. ყაუხნიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბ. გამომცემლობა ლოგისი, 2009.
- 142) შანიძე 1945; აკ. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. თბ. 1945.
- 143) შანიძე 1971; ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1971.
- 144) შარაშიძე 1948; ქართულ ხელნაწრთა აღწერილობა. II კოლექცია, ტომი III, შედგენილი ქრ. შარაშიძის მიერ, თბ. 1948.
- 145) შარაშიძე 1982; ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XII-XV). თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1982.
- 146) შენგელია 1997; ნ. შენგელია, სელჩუკებისა და საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა XI-XIII სს. ქართული დიპლომატია (წელიწადეული), ტომი IV, თსუ გამომცემლობა, 1997.
- 147) შოშიაშვილი 1980; ლაპიდარული წარწერები, I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.). ქართული წარწერების კორპუსი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1980.
- 148) ცაგარეიშვილი 1978; „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებელი დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ. 1978.
- 149) ცქიტიშვილი 1976; ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში. მაცნე. ისტორიის ... სერია, I, თბ. 1976.
- 150) ჯავახია 2005; ბ. ჯავახია, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო). თბ. გამომცემლობა უნივერსალი, 2005.
- 151) ჯავახია 2003; ბ. ჯავახია, ბიზანტიური კულტურა. კულტუროლოგია, თბ. თსუ გამომცემლობა, 2003.
- 152) ჯავახიშვილი 1962; ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ტომი III-IV, თბ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.
- 153) ჯავახიშვილი 1965; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტომი II, თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1965.
- 154) ჯავახიშვილი 1966; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტომი III, თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1966.

- 155) ჯავახიშვილი 1967; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. ტომი IV, თბ. თსუ გამომცემლობა, 1967.
- 156) ჯავახიშვილი 1977; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VIII, თბ. გამომცემლობა მეცნიერება. 1977.
- 157) ჯავახიშვილი 1982; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VI, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1982.
- 158) ჯავახიშვილი 1984; ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII, თბ. გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, 1984.
- 159) ჯაფარიძე 1990; გ. ჯაფარიძე, ნაჯმ აღ-დინ ილ-ლაზი. დავით აღმაშენებელი, რედ. რ. მეტრეველი, თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1990.
- 160) ჯაფარიძე 1995; გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველი მესამედი. თბ. გამომცემლობა მეცნიერება, 1995.
- 161) ჯაფარიძე 1995; გ. ჯაფარიძე, ლიპარიტ IV ბაღვაში ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დიპლომატიურ ურთიერთობებში. ქდ, ტ. 5, თბ. 1998.
- 162) ჯანაშია 1962; ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 1962.
- 163) ჯუღელი 2008; ვ. ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები. თბ. ლოგოსი, 2008.
- 164) Adler 1907; Benjamin of Tudela, The Itinerary of Benjamin of Tudela. Critical text, translation and commentary by Marcus Nathan Adler, M.A. London: Henry Frowde, Oxford University Press, Amen Corner, E.C. 1907.
- 165) Adler, Tuffin 2002: The Chronography of George Synkellos: A Byzantine Chronicle of Universal History from the Creation. Trans. with introd. and notes by W. Adler and P. Tuffin, Oxford University Press 2002.
- 166) Angelov 2007; D. Angelov, Imperial Ideology and Political Thought in Byzantium, 1204-1330. Cambridge University Press. 2007.
- 167) Angold 1997; M. Angold, The Byzantine Empire 1025-1204: A Political History. First pub. in 1987. London, New York: Longman. 1997.



- 168) Arnheim 1972; M. T. W. Arnheim, *The Senatorial Aristocracy in the Late Roman Empire*. Clarendon Press: Oxford. 1972.
- 169) Asher 1842; Rabbi Benjamin of Tudela, *The Itinerary of Rabbi Benjamin of Tudela*. Translated and edited by A. Asher. Vol. II. Notes and esseys. London and Berlin. A. Asher &C<sup>o</sup>. 1842.
- 170) Bedrosian 1985; Aristakes Lastivertc'i, *History*. Translated by Robert Bedrosian. New York. 1985.
- 171) Bedrosian 1987; T'ovma Metsobets'i', *History of Tamerlane and His Successors*. Translated by Robert Bedrosian. New Yor. 1987.
- 172) Bedrosian 2004; Het'um, *History of Tatars [Flower of Histories of the East]*. Translated by R. Bedrosian. Long Branch, New Jersey, 2004.
- 173) Bedrosian 2008; Eusebius of Ceasaria, *Chronicle*, book 1. Trans. from Armenian by Robert G. Bedrosian. Long Branch. 2008.
- 174) Biljarski 1998; I. A. Biljarski, *Instituciite na srednovekovna Bălgarija. Vtoro bălgarsko carstvo (XII-XIV v. Sofia. 1998.*
- 175) Blockley 1985; *The History of Menander the Guardsman*, Introductory essay, text, translation and historiographical notes by R. C. Blockley. Ottawa. 1985.
- 176) Braund 1985; D. C. Braund, *Augusrus to Nero: A Source Book on Roman History 31 B.C. – A.D. 68*. Croom Hell: London, Sydney. 1985.
- 177) Bréhier 1949; L. Bréhier, *Le monde byzantin. Vol. II. Les institutions de l'Empire byzantin*. Paris. 1949.
- 178) Breyr 1970; A. Breyr, *A Byzantine Family of Gabrades*. *Historical Journal*. XII. Birmingham. 1970.
- 179) Bryer 1980; A. A. Bryer, *The Empire of Trebizond and the Pontos*. *Variorum reprints*. London. 1980.
- 180) Breyr, Winfield 1996; A. Breyr, D. Winfield. *The Byzantine monumnets and topography of the Pontus. Vol. I*. DORLC. Washington. 1996.
- 181) Budge 1932; *Bar Hebaeus' Chronography translated by from Syriac by E. A. Wallis Budge*. London, 1932.
- 182) Bury 1907<sup>1</sup>; J. B. Bury, *The Ceremonial Book of Constantine Porphyrogennetos*. *The English Historical Review*. LXXXVI – April, 1907.

- 183) Bury 1907<sup>2</sup>; J. B. Bury, *The Ceremonial Book of Constantine Porphyrogenetos II: Ecclesiastical Ceremonies of Book I*. *The English Historical Review*. LXXXVII – July, 1907.
- 184) Bury 1911; J. B. Bury, *Imperial Administrative System of the Ninth Century: With a Revised Text of the Kletorologion of Philotheos*. London, 1911.
- 185) Cahen 1968; Claude Cahen, *Pre-Ottoman Turkey*. London, 1968.
- 186) Cahen 1969; Claude Cahen, *The Turkish Invasion: The Selchukids*, HC, Vol. I, *The first hundred years*. Edited by Marshall W. Baldwin. The University of Wisconsin Press: Madison, Milwaukee, and London, 1969.
- 187) Cahen 1969; Claude Cahen, *The Mongols and Near East*, HC, Vol. II, *The later Crusades, 1189-1311*. Edited by Robert Lee Wolff and Harry W. Hazzard. The University of Wisconsin Press: Madison, Milwaukee, and London, 1969.
- 188) *Cambridge Ancient History...*, 1992; *Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. IX – The Last Age of the Roman Republic, 146-43 B.C.* Ed. by J.A.Crook, A. Lintott, E. Rowson. Cambridge University Press, 1992.
- 189) *Cambridge Ancient History...*, 2000; *Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. IX – The High Empire, A.D. 70-192*. Ed. by A. K. Bowman, P. Garnsey, D. Rathbone. Cambridge University Press, 2000.
- 190) *Cambridge Ancient History...*, 1996; *Cambridge Ancient History. Second Edition. Vol. X – The Augustian Empire, 43 B.C. – A.D. 69*. A.K. Bowman, E. Champlin, A. Lintott. Cambridge University Press, 1996.
- 191) *Cambridge Ancient History...*, 2006; *Cambridge Ancient History, Second Edition. Vol. XII – The Crisis of Empire, A.D. 193-337*. Ed. A. Bowman, P. Garnsey, A. Cameron. Cambridge University Press. 2005; A. Kemm. *Julius Caesar: a life*. Routledge: London, New York, 2006.
- 192) *Cambridge Medieval History ...* 1923; *The Cambridge Medieval History*. Ed. by J. B. Bury. Vol. IV – *The Eastern Roman Empire (717-1453)*. Cambridge University Press. 1923.
- 193) Cameron 1993; A. Cameron, *The Later Roman Empire. AD. 284-430*. Cambridge: Harvard University Press, 1993.
- 194) Cameron, Hall 1999; Eusebius. *Life of Constantine*. Trans. and comm. by Averil Cameron, Stuart G. Hall. Clarendon Press: Oxford, 1999.

- 195) Catalogue ...; Catalogue of Byzantine Seals At Dumbarton Oaks and in the Fogg Museum of Art. Vol. I-VI. Ed. by J. Nesbitt and N. Oikonomides. Dumbarton Oaks Research Library and Collection. Washington, 1991-2009.
- 196) Chabot 1899-1910; Jean-Baptiste Chabot, Chronique de Michel le Syrien, Patriarche Jacobite d'Antiche (1166-1199). Éditée pour la première fois et traduite en français I-IV. Paris. 1899; 1901; 1905; 1910; a suppl. 1924. Rep. 4 vol. 1963, 2010.
- 197) Chabot 1920; Anonymi Auctoris, Chronicon An Annum 1234 Pertinens. Ed. Jean-Baptiste Chabot, Paris 1920.
- 198) Charanis 1969; Peter Charanis, The Byzantian Empire in Eleventh Century, HC, Vol. I, The first hundred years. Edited by Marshall W. Baldwin. The University of Wisconsin Press: Madison, Milwaukee, and London, 1969.
- 199) Cheynet 2001; J.-C. Cheynet, Sceaux de la collection Zacos (Bibliothèque nationale de France) se rapportant aux provinces orientales de l'Empire byzantin. Paris, 2001.
- 200) Moravcsik 1967; Constantine Porphyrogenitus, De Administrando Imperio. Greek text ed. By G. Moravcsik and English translation by R. J. H Jenkins. New revised ed. CFHB. 1. DOks. Washington, 1967.
- 201) Croke 1995; Marcellinus Comes. Chronicle. Trans. and comm. by B. Croke. Sydney. 1995.
- 202) Dardel 1906; Jean Dardel. Chronique D'Arménie. Documents Arméniens. RCH. Paris, 1906.
- 203) Darrouzés 1981; Notitiae Episcopatum Ecclesiae Constantinopolitanae, Texte critique introduction et notes par J. Darrouzés. Paris, 1981.
- 204) Davies 1967; Zosimos, New History. English trans. J. J. Buchanan and H. T. Davies, San Antonio, 1967.
- 205) Dawes 1928; Anna Comnena (Komnene), The Alexiad. Edited and translated by Elizabeth A. Dawes. London: Routledge, 1928.
- 206) Diehl 1888; Ch. Diehl, Études sur l'administration byzantine dans l'exarchat de Ravenne (568-751). Paris, 1888.
- 207) Diehl 1919<sup>1</sup>; Ch. Diehl, Byzance: grandeur et décadence. Paris, 1919.
- 208) Diehl 1919<sup>2</sup>; Ch. Diehl, Histoire de l'Empire Byzantin. Paris, 1919.
- 209) Dinič 1966; M. Dinic, The Balkans 1018-1499. CMH, IV, parts 1. (ed. J.M. Hussey). Cambridge University Press, 1966.

- 210) Dundua 1999; T. Dundua, Georgia within the European integration: short intercultural stories. Tb. 1999.
- 211) Dundua 2000; T. Dundua, Review of Georgian Coins with Byzantine Iconography. *Numismatica e Antichità Classiche*. XXIX. 2000.
- 212) Dundua 2003; T. Dundua, Question et réponse. Tb. 2003.
- 213) Dundua 2003a; T. Dundua, Publicius Agrippa, Flavius Dades and a Dual Citizenship – a Pattern for Europe in Future? Georgians and Roman Frontier Policy in the East. Tbilisi. Meridiani Publishers, 2003.
- 214) Dundua 2005; T. Dundua, European Industrial Complexes of I Cycle of Capitalism and the Georgian Western Affiliations. Artanuji publishers. 2005. 40 p.
- 215) Dundua 2007; T. Dundua, Flavius Hanibalianus – King of Pontus and Lazica. Eastern Roman Empire – Early History. Tb. Meridiani, 2007.
- 216) Dundua, Tavadze 2009; Tedo Dundua, Leri Tavadze, Frankish *Limitanei* in Lazica//Phasis, Vol. 12, Tbilisi, 2009.
- 217) Garland 2002; L. Garland, Byzantine Empresses: Women and Power in Byzantium, AD 527-1204. 1<sup>st</sup> pub. in 1999. Routledge: London and New York, 2002.
- 218) Garland, Rapp 2006; L. Garland, S. Rapp, ‘Mery of Alania’: Woman and Empress Between Two Worlds. 36. Byzantine women: varieties of experience 800-1200. Ed. by L. Garland, Aldershot 2006.
- 219) Geanakoplos 1959; D. Geanakoplos, Emperor Michael Palaeologus and the West, 1258-1282: a study in Byzantine-Latin relations. Harvard University Press, 1959.
- 220) Grierson 1973; Catalogue of Byzantine Coins in Dumbarton Oaks Collection and in Whittemore Collection. Vol. III. Leo III-Nicephorus III. By P. Grierson. In two parts. Dumbarton Oaks, 1973.
- 221) Grierson 1982; Philip Grierson, Byzantine Coins. Dumbarton Oaks, 1982.
- 222) Guiland ..., 1967; R. Guiland, Recherches sur les institutions byzantines. I-II. Amsterdam, 1967.
- 223) Failler 1982; A. Failler, Les insignes et la signature du despote. *Revue des études byzantines*. 40. Paris, 1982.
- 224) Failler, Laurent 1984; Georges Pachymérès, Relations historiques. I. lives I-III. Ed. A. Failler et trad. V. Laurent. Paris, 1984.

- 225) Failler, Laurent 1984; Georges Pachymérès, *Relations historiques*. II. lives IV-VI. Ed. A. Failler et trad. V. Laurent. Paris, 1984.
- 226) Failler 1999<sup>1</sup>; Georges Pachymérès, *Relations historiques*. III. lives VII-IX. Ed. et trad. A. Failler. Paris, 1999.
- 227) Failler 1999<sup>2</sup>; Georges Pachymérès, *Relations historiques*. IV. lives X-XIII. Ed. et trad. A. Failler. Paris, 1999.
- 228) Failler 2000; Georges Pachymérès, *Relations historiques*. V. Index. Ed. Failler. Paris. 2000.
- 229) Frendo 1975; Agathias. *The Histories*. Trans. with an introd.and short explanatory notes by J. D. Frendo. *Corpus Fontium Historiae Byzantinae*. Berlin, 1975.
- 230) Jones ..., 1964; A. H. M. Jones, *The Later Roman Empire, 284-602*, 4 vols. Oxford: Basil Blackwell, 1964
- 231) Haldon 1984; J. F. Haldon. *Byzantine Praetorians: an administrative, institutional, and social survey of the Opsikion and tagmata, c. 580-900*, Bonn: R. Habelt, 1984.
- 232) Harrak 1999; *Chronicle of Zuqnin A.D. 488-775*, Translated by Amir Harrak. Pontifical Institute of Medieval Studies. Toronto, 1999.
- 233) Hill 1942; G. Hill, *A History of Cyprus*. Vol. II, Cambridge University Press, 1942.
- 234) Hussey 1986; J. M. Hussey, *The Orthodox Church in the Byzantine Empire*. Oxford, 1986.
- 235) Jordanov...; I. Jordanov, *Corpus of Byzantine Seals from Burgaria*. Vol. I-III, Sofia, 2003-2010.
- 236) Joshua the Stylite 1882; Joshua the Stylite, *Chronicle composed in Syriac in AD 507*. 1882.
- 237) Haldon 1990; J. F. Haldon, *Byzantium in the seventh century: the transformation of a culture*. Cambridge University Press, 1990.
- 238) Holmes 2005; Catherine Holmes, *Basil II and the Governance of Empire (976-1025)*, Oxford University Press, 2005.
- 239) Kaldellis 1998; Genesisios, *On the Reigns of the Emperors*. Trans. and comm. by A. Kaldellis. Canberra. 1998.
- 240) Kazhdan, Epstein 1985; A. P. Kazhdan, A. W. Epstein. *Change in Byzantine culture in the eleventh and twelfth centuries*. University of California Press: Berkeley, Los Angeles, London, 1985.
- 241) Kurkjian 1953; V. M. Kurkjian, *History of Armenia*. Paris, 1953.

- 242) Lake 1926; Eusebius, *Ecclesiastical History*. Vol. I. Trans. by Kirsopp Lake. LOEB. Harvard University Press, 1926.
- 243) Laurent ..., ; V. Lorent, *Le corpus des sceaux de l'empire byzantin*. Vol. 1-3. Paris, 1962-72.
- 244) Lampsides 1958; Michael Panaretos, *Chronicle*. Critical edition by O. Lampsides. Athens, 1958.
- 245) Lang 1957; D. M. Lang, *Notes on Caucasian Numismatics*. NC. XVII. 1957.
- 246) Le Goff 1964; Jacques Le Goff, *La civilisation de l'Occident médiéval*. Paris, 1964.
- 247) Leadbetter 2009; Bill Leadbetter. *Galerius and the Will of Diocletian*. Routledge: London, New York. 2009.
- 248) Magdalino 1993; P. Magdalino, *The Empire of Manuel I Komnenos 1143-1180*. Cambridge, 1993.
- 249) Magdalino 1996; P. Magdalino, *Innovations in Government. Alexios I Komnenos*. Ed. by M. Mullet and D. Smythe. *I papers*. Belfast, 1996, 33. 147-148.
- 250) Magoulias 1975; Doukas, *Decline and Fall of Byzantium to the Ottoman Turks*. Trans. by Harry J. Magoulias. Wayne State University Press: Detroit, 1975.
- 251) Magoulias 1984; Niketas Choniates, *O City of Byzantium, Annals of Niketas Choniates*, English trans. Harry J. Magoulias. Detroit: Wayne State University Press, 1984.
- 252) Maksimovic 1988; L. Maksimovic, *The Byzantine Provincial Administration Under the Palaiologoi*. Adolf M. Hakkert Publishers. Amsterdam, 1988
- 253) Mango 1978; C. Mango, *Who Wrote the Chronicle of Theophanes?* ZRVI. 18. 1978
- 254) Mango 1980; C. Mango. *Byzantium: The Empire of New Rome*. London, 1980.
- 255) Mango 1990; Nikephoros Patriarch of Constantinople, *Short History*. Text, Trans. and Comm. by C. Mango. CFHB, vol. XIII. Washington, 1990.
- 256) Mango and Scott 1997; *The Chronicle of Theophanes Confessor: The Byzantine and Near Eastern History AD 284-813*. Trans. with introd. and comm. by C. Mango and R. Scott. Clarendon Press: Oxford, 1997.
- 257) Mango 1978; C. Mango, *Who Wrote the Chronicle of Theophanes?* ZRVI. 18. 1978.
- 258) Martindale 1992; J. Martindale, *Prosopography of Later Roman Empire*. Vol. III. A.D.527-641. Cambridge University Press, 1992.
- 259) Marzials 1908; Geoffrey de Villehardouin. *Memoirs or Chronicle of The Fourth Crusade and The Conquest of Constantinople*, trans. Frank T. Marzials, London: J.M. Dent. 1908.

- 260) Matthew of Edessa 1993; *The Chronicle of Matthew of Edessa*, Translated from original Armenian with a commentary and introduction by Ara Edmond Dostourian, forward by Krikor H. Maksoudian. University Press of America. Lanham, New York, London, 1993.
- 261) Mattingly, Sydenham 1936; *The Roman Imperial Coinage*. Vol. IV. Part I. Pertinax to Geta. H. Mattingly, E. A. Sydenham. London. 1936.
- 262) Metcalf 2004; D. M. Metcalf, *Byzantine Lead Seals From Cyprus*. Nicosia, 2004.
- 263) Meyendorff 1983; Gregory Palamas, *Triads*. Ed. J. Meyendorff and English trans. N. Gendle. New York: Paulist Press, 1983.
- 264) Migne 1861; *Theophanis Abbatis et Confessoris Chronographia*, PG. T. Unicus. Ed. J.-P. Migne. Paris, 1861.
- 265) Miklosich, Muller 1860-1890; *Acta et Diplomats greaca medii aevi sacra et profana*. Edit. F. Miklosich, & J. Muller. Vol. I-VI. Vindobonae Carolus Gerold. 1860-1890.
- 266) Mitthof 1993; F. Mitthof, *Vom ἱερώτατος Καῖσαρ zum ἐπιφανέστατος Καῖσαρ Die Ehrenprädikate in der Titulatur der Thronfolger Des 3 Jh.n.Chr. nach den Papyri: ZPE, 99*. 1993.
- 267) Nicol 1968; Donald M. Nicol, *The Byzantian family of Kantakouzeos ca. 1100-1460. A Genealogical and prosopographical study* by Donald M. Nicol. Washington, 1968.
- 268) Nicol 1970; Donald M. Nicol, *The Confessions of a bogus Patriarch: Paul Tagaris Palaiologos, Orthodox Patriarch of Jerusalem and Catholic Patriarch of Constantinople in the Fourteenth Century*. *JEH*, 21, 1970.
- 269) Nicol 1996; Donald M. Nicol, *The reluctant emperor: a biography of John Cantacuzene, Byzantine emperor and monk, c. 1295-1383*. Cambridge University Press, 1996.
- 270) Nicol 1997; Theodore Spandounes, *On the Origin of Ottoman Emperors*. Trans. and ed. by D. M. Nicol. Cambridge University Press, 1997.
- 271) Obolensky 1971. Dimitri Obolensky, *The Byzantine commonwealth: Eastern Europe, 500-1453*. London: Weidenfeld and Nicolson, 1971.
- 272) Obolensky 1982; D. Obolensky, *The Byzantine Inheritance of Eastern Europe*. London, 1982.
- 273) ODB 1 1991; *The Oxford Dictionary of Byzantium, Volume 1*. Ed. by A. Kazhdan. Oxford University Press, 1991.
- 274) ODB 2 1991; *The Oxford Dictionary of Byzantium, Volume 2*. Ed. by A. Kazhdan. Oxford University Press, 1991.

- 275) ODB 3 1991; *The Oxford Dictionary of Byzantium*, Volume 3. Ed. by A. Kazhdan. Oxford University Press, 1991.
- 276) O'Connell 1972; Patrick O'Connell, *The Ecclesiology of St. Nikephorus I (758-828) Patriarch of Constantinople*. OCA – vol. 194, Roma, 1972.
- 277) Oikonomides 1972; N. Oikonomides, *Les listes de préséance byzantines des IXe et Xe siècle*. Paris, 1972.
- 278) Oikonomides 1980/1; N. Oikonomides, *St. George of Mangana, Maria Skleraina, and the “Malyj Sion” of Novgorod*. DOP, Vol. 34/35, 1980/1981.
- 279) Oikonomides 1985; N. Oikonomides, *Byzantine Lead Seals*. Washington, 1985.
- 280) Oikonomidès 1986; N. Oikonomidès, *A collection of dated Byzantine lead seals*. *Dumbarton Oaks*. Washington, D.C. 1986.
- 281) Oikonomides 1997; N. Oikonomides, *Income at the Byzantine Court. Byzantine court culture from 829 to 1024*. Ed. by Henry Maguire. *Dumbarton Oaks*, 1997.
- 282) Oikonomides 2005; N. Oikonomides, *Society, Culture and Politics in Byzantium*. Ed. by E. Zachariadou. Aldershot, 2005.
- 283) Ostrogorsky 1957; George Ostrogorsky, *History of the Byzantine State*. Translated from German by Joan Hussey. Rutgers University Press, 1957.
- 284) Oulton 1932; *Ecclesiastical History*, Vol. I. Trans. by J. E. L. Oulton. LOEB, Harvard University Press, 1932.
- 285) Pakourianos 2000; *Typikon of Gregory Pakourianos for the Monastery of the Mother of God Petritzonitissa in Backovo*. Translator: Robert Jordan. (Edition employed: Paul Gautier, “Le typikon du sébaste Grégoire Pakourianos,” REB 42, 1984, 5–145, at 19–133). *Byzantine Monastic Foundation Documents: A Complete Translation of the Surviving Founders’ Typika and Testaments* edited by John Thomas and Angela Constantinides Hero with the assistance of Giles Constable. Published by DORLC, Washington, D.C. in five volumes as number 35 in the series DOS. *Dumbarton Oaks Trustees for Harvard University*, Washington, D.C. 2000.
- 286) Philippides 1990; *Emperors, Patriarches and Sultans of Constantinople, 1373-1513. An Anonymous Greek Chronicle of the Sixteenth Century. An Introduction, Translation and Commentary* by Marios Philippides. Hellenic College Press. 1990.
- 287) Polemis 1985; D. I. Polemis, *Doukai*. London, 1985



- 288) Rackham 1942; *Natural History*. Vol. II. Libri III-VII. Trans. by H. Rackham. Harvard University Press, 1942.
- 289) Rapp 1997; Stephen Harold Rapp Jr. *Imagining History at the crossroads: Persia, Byzantium, and the architects of written Georgian past*. A dissertation submitted in partial fulfillment of the degree of Doctor of Philosophy (History) In University of Michigan, 1997.
- 290) Rapp 2000; Stephen Harold Rapp Jr. *Sumbat Davit'is-dze and the vocabulary of political authority in the era of Georgian unification*. *JAOS*. Vol. 40, No 4. Oct.-Dec. 2000.
- 291) Rapp 2003; Stephen Harold Rapp Jr. *Studies in medieval Georgian historiography: early texts and Eurasian contexts*. Lovanii. 2003.
- 292) Reiske 1929; *Constantini Porphyrogeniti Imperatoris De Cerimoniis Aulea Byzantinae*. Libri Dou. Graece et Latine. Ed. by I. Reiske. CFHB. Bonnae, MDCCCXXIX (1929).
- 293) Ridley 1982; *Zosimus, New History*. Trans. and comm. by Ronald T. Ridley. University of Sydney. 1982.
- 294) Rolfe 1935; *Ammianus Marcellinus, Vol. I*. Trans. by John C. Rolfe. LOEB. Harvard University Press, 1935.
- 295) Rolfe 1940; *Ammianus Marcellinus, Vol. II*. Trans. by John C. Rolfe. LOEB. Harvard University Press, 1935.
- 296) Rolfe 1952; *Ammianus Marcellinus, Vol. III*. Trans. by John C. Rolfe. LOEB. First printed in 1939. Harvard University Press, 1952.
- 297) Rohrbacher 2002; David Rohrbacher, *The Historians of Late Antiquity*. Routledge: London and New York, 2002.
- 298) Runciman 1963; Steven Runciman, *The Eastern Schism: A Study of the Papacy and the Eastern Churches during the XI<sup>th</sup> and XII<sup>th</sup> centuries*. Oxford: Clarendon Press. 1955.
- 299) Runciman 1975; Steven Runciman, *Byzantine Style and Civilization*. Baltimore: Penguin, 1975.
- 300) Runciman 1977; Steven Runciman, *The Byzantine Theocracy*. Cambridge, 1977.
- 301) Runciman 1985; Steven Runciman. *The Great Church in captivity*. Cambridge University Press, 1985.
- 302) Savvides 1981; A. G. C. Savvides, *Byzantium in the Near East: its Relations with the seljuk Sultanate of Rum in Asia Minor, the Armenians in Cillicia and the Mongols A.D. 1192-1277*. Thessaloniki. 1981.

- 303) Seaby 1982; H. A. Seaby, *Roman Silver Coins. Vol. IV. Gordian III to Postumus*. Second revised edition by D. R. Sear. London, 1982.
- 304) Sear 1996; David R. Sear, *Byzantine Coins and their values*. Second edition revised and enlarged published by B.A. Seaby in 1987. London, 1996.
- 305) Sewter 1966; Michael Psellos, *Fourteen Byzantine Rulers*. English trans. E.R.A. Sewter, rev. ed., New York: Penguin, 1966.
- 306) Shclumberger 1884; G. Shclumberger, *Sigillographie de l'empire byzantin*. Paris, 1884.
- 307) Sloomjes 2006; D. Sloomjes, *The Governor and his Subject in the Later Roman Empire*. Brill: Leiden, Boston, 2006.
- 308) Smith 1999; John Bishop of Ephesus, *The Third Part of the Ecclesiastical History*. Translated by R. Payne Smith, Oxford, 1860; Harrak 1999.
- 309) Sola 1916; G. N. Sola, *Giambografi sconosciuti del sec. XI. "Roma e l'Oriente"* 11, 1916.
- 310) Soulis 1984; G. C. Soulis, *The Serbs and Byzantium during the reign of Tsar Stephen Dušan (1331–1355) and his successors*. *Dumbarton Oaks Library and Collection*. Washington, 1984.
- 311) Squatriti 2007; *The Complete Works of Liudprand of Cremona*. Trans. by P. Squatriti. Catholic University of America Press, 2007.
- 312) Tawadse 2007; L. Tawadse, *Pauli Tagaris-Palaeologi und Georgien*. *Georgika. Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens*. 30 Jahrgang. Shaker Verlag. Aachen, 2007.
- 313) Tavadze 2009; L. Tavadze, *Polish-Georgian Military Relationship During Fifth Crusade//Pro Georgia*. Vol. 18. Warsaw, 2009.
- 314) Thurn 2000; Ioannis Malalae, *Chronographia*. Ed. by I. Thurn. Berlin 2000.
- 315) Toumanoff 1966-7; C. Toumanoff, *Armenia and Georgia*. CMH. vol. IV/1-2, part I: *Byzantium and its neighbours*, ed. by J.M. Hussey. Cambridge, 1966-1967.
- 316) Toumanoff 1971; C. Toumanoff. *Caucasus and Byzantium*. *Traditio*. Vol. 27. 1971.
- 317) Toumanoff 1990: C. Toumanoff, *Les dynasties de la Caucasic chrétienne de l'Antiquité jusqu'au XIXe siècle*. Rome, 1990.
- 318) Treadgold 1995; W. Treadgold, *Byzantium and Its Army 284-1081*. Stanford University Press, 1995.
- 319) Treadgold 1997; Warren Treadgold, *A History of Byzantine State and Society*. Stanford University Press, 1997.

- 320) Turan 1954; O. Turan, *Istambulun fethinden once yazilimis tarihi takvimter*. Ankara, 1954.
- 321) Vasiliev 1936; A. Vasiliev. *The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222)*. *Speculum*. 1936. Vol. 11.
- 322) Vasilev 1952; A. Vasilev, *History of the Byzantine Empire*. Madison, 1952.
- 323) Verpeaux 1966; Pseudo-Kodinos, *Traité des Offices*. Introduction, texte et traduction par J. Verpeaux. Paris, 1966.
- 324) Vryonis 1971; S. Vryonis Jr. *The Decline of Medieval Hellinism in Asia Minor and the Process of Islamization from Eleventh century through the fifteenth century*. Berkeley, Los Angeles, London, 1971.
- 325) Vrionis 1997; S. Vrionis Jr. *Studies in Byzantine institutions, society and culture: The imperial institution and society*. Artistide D. Caratzas Publishers, 1997.
- 326) Wahlgren 2006; Symeonis Magistri et Logothetae. *Chronocon*. CFHB. Vol. XIV/1. Recensuit S. Wahlgren. Berlin, 2006.
- 327) Whitby, Whitby 1986; *The History of Theophylact of Simocatta*. An English translation with introduction and notes by Michael Whitby and Mary Whitby. Oxford: Clarendon Press, 1986
- 328) Whitby 2000; *Ecclesiastical History of Evagrius Scholasticus*. Trans. with an introd. by M. Whitby. Liverpool University Press, 2000.
- 329) Zachariah of Mitylene 1899; Zachariah of Mitylene. *The Syriac Chronicle known as that of Zachariah Mitylene*. Transtated by F. J. Hamilton and E. W. Brooks. London, 1889.
- 330) Zacos 1972; G. Zacos, *A. Vegrety. Byzantine Lead Seals*. I. Basel, 1972.
- 331) Zosimus 1814; Zosimus. *New History*. Translator is unknown. London, 1814.
- 332) Алемань 2003; А. Алемань, *Аланы в древних и средневековых письменных источниках*. Пер. К. К. Кочиев, Д. Н. Медоев. М. 2003.
- 333) Амиранашвили 1957; Ш. Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*. I. Тб. 1957.
- 334) Константин Багрянородный, *Об управлении империей*. Под. ред. Г. Г. Литаврина. М. Наука, 1989.
- 335) Бунятов 1980; Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-даулат ас-сельджукийа*. З. М. Бунятов, 1980.
- 336) Дарбинян-Меликян 1984; Ованес Драсханакертци, *“История Армении”*, Перевод с древнеармянского М.О. Дарбинян-Меликян, Ереван, 1984.

- 337) Дестунис 1860; Сказания Приска Панийского, Пер. С. Дестуниса. СПб. 1860.
- 338) Дундуа 2009; Т. Г. Дундуа, Грузинские монеты X-XII вв. как исторический источник. Сок. и перераб. вариант 1-го изд. 2000. Тб. 2009.
- 339) Гиуу 2005; Андре Гиуу. Византийская цивилизация. издательство: У-Фактория. Екатеринбург. 2005.
- 340) Грабар 2000; Андре Грабар. Император в Византийском Искусстве. М. 2000.
- 341) Гумилев 2004; Л. Гумилев. Тысячелетие вокруг каспия. М. 2004.
- 342) История Византии I 1967; История Византии. В трех томах. Том I. Изд. Наука. М. 1967. - 524 с.
- 343) История Византии II 1967; История Византии. В трех томах. Том II. Изд. Наука. М. 1967. - 472 с.
- 344) История Византии III 1967; История Византии. В трех томах. Том III. Изд. Наука. М. 1967. - 508 с.
- 345) Каждан 1974; Александр П. Каждан. Социальный состав господствующего класса Византии XI-XII вв. М. Наука. 1974.
- 346) Карпов 1981; С. П. Карпов. Трапезундская империя и западноевропейские государства в XIII—XV вв. М. 1981.
- 347) Карпов 2007; С. П. Карпов. История Трапезундской империи. СПб. 2007.
- 348) Карпов 2001; С. П. Карпов. Основание Трапизундской империи (1204-1215). ВВ. 2001. Т.60 (85), с. 5-29.
- 349) Кебуладзе 1977; Р. В. Кебуладзе. Клад из села Цихесулори. НС. Тб. 1977.
- 350) Киракос Гандзакеци 1976; Киракос Гандзакеци. История Армении. Пер. Л. А. Ханларян М. Наука. 1976.
- 351) Кузнецов 1990; В. А. Кузнецов, Реком, нузал и царзонта. Владикавказ. 1990.
- 352) Кулаковский 1996; Ю. А. Кулаковский. История Византии. т. II. СПб.: 1996.
- 353) Кучма 2001; В. В. Кучма. Военная организация Византийской империи СПб. Алетейя. 2001.
- 354) Литаврин 1972; Кекавмен. Советы и рассказы Кекавмена. Сочинение византийского полководца XI в. Пер. Г. Г. Литаврина. М. 1972.
- 355) Литаврин 1977; Г. Г. Литаврин. Византийское общество и государство в X-XI. М. Издательство Наука. 1977.

- 356) Любарский 1965; Анна Комнина. Алексиада. Пер. и комм. Я. Н. Любарского. М. 1965.
- 357) Любарский, Черноглазов, Брихманов 2003; Михаил Псел., Хронография. Краткая История. Пер. на Рус. Язык Я. Н. Любарского, Д. А. Черноглазова, Д.Р. Брихмановой. СПб: Алетейя. 2003.
- 358) Никифор Вриений 1858; Никифор Вриений. Исторические записки. Перевод с греческого В. Н. Карпова. СПб. 1858
- 359) Острогорский 1973; Г. А. Острогорский. Эволюция Византийского обряда коронавания. Византия, Южные Славяне и древняя Русь, Западная Европа, Искусство и культура. Сборник статей в честь В. И. Лазарева. М. 1973.
- 360) Папаскири 2001; З. В. Папаскири. От Давида до Давида: Из истории международных отношений Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Тб. 2001.
- 361) Патканов 1871; История Магакии Абега (инока). Перевод на русский К. П. Патканова. СПб. 1871.
- 362) Патканов 1877; Армянская География. Перевод на русский К. П. Патканова. СПб. 1877.
- 363) Пахомов 1970; Е. А. Пахомов. Монеты Грузии. 1-ое изд. 1910. Ред. Д. Г. Капанадзе. Тб. 1970.
- 364) Себастаци 1962; Себастаци. Летопись. Армянские источниклето о монголах. Перевод А. Г. Галстяна. М. 1962.
- 365) Себеос 1862; История императора Иракла. Сочинение епископа Себеоса, писателя VII века. Перевод К. Патканьяна. М. 1862.
- 366) Гевонд 1862: Гевонд. Истории Халифов. Перевод К. Патканьяна. СПб. 1862.
- 367) Православная ... 2001; Православная Энциклопедия. Том II. Под общей редакцией Патриарха Московского и всея Руси Алексия II. М. 2001.
- 368) Скабаланович 1884; Н. Скабаланович. Византийское государство и церковь в XI веке СПб. 1884.
- 369) Степаненко 1982; В. П. Степаненко. К датировке получения сана Куропалата Давидом II Багратидом Тао. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*. 227. თბ. 1982.
- 370) Степаненко 1988; В.П. Степаненко. Название: Византия в международных отношениях на Ближнем Востоке (1071-1176) Издательство: Издательство Уральского университета. М. 1988.

- 371) Степаненко, Шандровская 2005; В.П. Степаненко, В.С. Шандровская. Татул и Пакурианы. Античная древность и средние века. 2005. Вып. 36.
- 372) Тер-Григорян, Баграмян 1957; Фома Мецопский. История Тимур-ланка и его преемников. Перевод Т. Тер-Григорян и А. Баграмяню. Баку. 1957.
- 373) Ферјанчић 1960; Б. Ферјанчић. Деспоти у Византији и Јужнословенским земљама [დესპოტიზმი ბიზანტიასა და სამხრეთ სლავურ ქვეყნებში]. Srpska akademija nauka. Beograd. 1960.
- 374) Успенский, Бенешевич 1927; Ф. И Успенский, В. В. Бенешевич. Вазелонские акты. Материалы для истории крестьянского и монастырского землевладения в Византии XIII—XIV веков. Л. 1927.
- 375) Хаханов 1905; Панарет. Трапезундская хроника. Пер. А. Хаханова. М. 1905.
- 376) Хониат 1860; Никита Хониат. История начинаюшися с царствования Иоана Комнина М. СПб. 1860.
- 377) Эмин 1864; Всеобщая история Степаноса Таронского. переведена с армянского и объяснена Н. Эминым. М. 1864.